აფხაზეთის „დამოუკიდებლობის" აღიარება მოსკოვმა რუსეთ-საქართველოს ომის დასრულების შემდეგ 2008 წლის 26 აგვისტოს მოახდინა. ეს ე. წ. აღიარება ფორმალურ ხასიათს ატარებს და მხოლოდ ოკუპაციის ლეგალიზებას ისახავს მიზნად. 2008 წლის 28 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ"[12]. იმავე წლის 23 ოქტომბერს კი პარლამენტმა დაამტკიცა კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ"[13]. იგი განსაზღვრავს ოკუპირებული ტერიტორიების სტატუსს, ადგენს ამ ტერიტორიების განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს (მუხლი 1); კანონის მიხედვით, აფხაზეთის ტერიტორია სამხედრო ოკუპაციის ქვეშ იმყოფება (მუხლი 2, პ. ა); მასზე „ვრცელდება საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი, აგრეთვე განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი" (მუხლი 3). საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, კანონმა განსაზღვრა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე „ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დარღვევისთვის პასუხიმგებლობა ეკისრება რუსეთის ფედერაციას" (მუხლი 7). უკანონოდ არის გამოცხადებული „ნებისმიერი ორგანო (თანამდებობის პირი), რომელიც შექმნილი (დანიშნული/არჩეული) არ არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ან/და რაიმე ფორმით ფაქტობრივად ახორციელებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საკანონმდებლო, აღმასრულებელ ან სხვა საქმიანობას..." (მუხლი 8).

ამრიგად, საქართველოს კანონმა მკაფიოდ განსაზღვრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დღევანდელი სტატუსი: ეს არის რუსეთის ფედერაციის უკანონო სამხედრო ოკუპაციის ქვეშ მყოფი ტერიტორია, სადაც მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი, ასევე განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი; აღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებენ უკანონო სახელისუფლებო ორგანოები; ადამიანის უფლებების დარღვევისთვის პასუხისმგებლობა კი ოკუპანტ სახელმწიფოს ეკისრება.

რუსეთის ფედერაცია არ კმაყოფილდება აფხაზეთის უკანონო სამხედრო ოკუპაციით და ცდილობს განახორციელოს მისი სრული ანექსია. ამ მიზანს ემსახურება ოკუპირებულ ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის შეიარაღებული ძალების სამხრეთის ოლქის კრასნოდარის მე-7 სამხედრო ბაზა. მისი ობიექტები აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზეა განფენილი. რუსეთის შემადგენლობაში აფხაზეთის ინკორპორაციის მიზნით მოსკოვსა და სოხუმს შორის 2009 წლის 30 აპრილს გაფორმდა

12. https://matsne.gov.ge/ka/document/view/45004?publication=0
13. https://matsne.gov.ge/ka/document/view/19132?publication=7

„შეთანხმება“ ე. წ. სახელმწიფო საზღვრის ერთობლივი დაცვის შესახებ[14], 2014 წლის 24 ნოემბერს დაიდო ე. წ. ხელშეკრულება „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“[15], 2015 წლის 21 ნოემბერს – გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შექმნის შესახებ[16], 2017 წლის 18 მაისს ხელი მოეწერა „შეთანხმებას“, რომელიც შინაგან საქმეთა ორგანოების ერთობლივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის შექმნას ითვალისწინებს[17]. ანექსიონისტური პოლიტიკის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია რუსეთის საბაჟო სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 სექტემბრის ბრძანება აფხაზეთში სპეციალიზებული საბაჟო საგუშაგოს შექმნის შესახებ[18], რომელმაც მთლიანად დაიქვემდებარა ადგილობრივი საბაჟო სამსახური. დამატებით იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აფხაზეთში დღეს მცხოვრებთა 85% რუსეთის მოქალაქეა, ხოლო ადგილობრივი მწირი ბიუჯეტის მეტი ნაწილიც მოსკოვის „ინვესტიციებით“ ივსება[19], კიდევ უფრო ცხადი გახდება აფხაზეთის დღევანდელი სამართლებრივი მდგომარეობა – **რომ ის ნამდვილად არის უცხო ქვეყნის უკანონო სამხედრო ოკუპაციის, პერმანენტული აგრესიისა და მცოცავი ანექსიის ქვეშ მყოფი ტერიტორია.** „რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევისა და „ოთხოზორია-ტატუნაშვილის საქმის“ შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 21 მარტის რეზოლუციაც იმავე სულისკვეთებას გამოხატავს. მასში აღნიშნულია, რომ პარლამენტი გმობს „რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციას და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ანექსიისკენ გადადგმულ ნაბიჯებს“[20].

აფხაზეთის სამართლებრივ სტატუსზე მსჯელობისას მხედველობაშია მისაღები კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. 2008 წლის აგვისტოდან აფხაზეთში საომარი მოქმედებები შეწყვეტილია, მაგრამ ხელშეკრულება რუსეთ-საქართველოს შორის ომის დასრულების შესახებ გაფორმებული არ არის. უფრო მეტიც, აგრესორი არ ასრულებს საომარი მოქმედებების შეწყვეტის ერთ-ერთ მთავარ პირობასაც კი. იგულისხმება 2008 წლის 12 აგვისტოს ნიკოლა სარკოზის, როგორც ევროკავშირის პრეზიდენტის, შუმავლობით გაფორმებული ექვსპუნქტიანი შეთანხმების მეხუთე პუნქტი,

14. http://kremlin.ru/supplement/190
15. www.nevs.kremlin.ru/ref_notes/4783
16. http://www.mid.ru/foreign_policy/international_contracts/2_contract/-/storage-viewer/bilateral/page-32/43758
17. http://docs.cntd.ru/document/542605976
18. http://docs.cntd.ru/document/456092593
19. https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20181012/1025266436/igor-koshin-sotrudnichestvo-abxazii-i-rossii.html
20. http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/88867

რომელიც საქართველოში შემოჭრილი რუსეთის შეიარაღებული ძალების ომამდელ პოზიციაზე დაბრუნებას ითვალისწინებს[21]. გარდა ამისა, რუსეთი დღემდე არ იღებს ვალდებულებას საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობისა და ომის განუახლებლობის შესახებაც. საქართველომ კი (პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა) 2010 წლის 23 ნოემბერს ევროკავშირის წინაშე ცალმხრივი წესით აიღო ვალდებულება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მშვიდობიანი მეთოდებით მოგვარების თაობაზე[22]. 2013 წლის 7 მარტს იგივე ვალდებულება საქართველოს პარლამენტმაც დაადასტურა[23].

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, **აფხაზეთი წარმოადგენს რუსული უკანონო სამხედრო ოკუპაციისა და პერმანენტული აგრესიის ქვეშ მყოფ ტერიტორიას, რომელიც იძულებით დატოვა მისი მოსახლეობის ორ მესამედზე მეტმა; როგორც ეფექტური კონტროლის განმახორციელებელი ქვეყანა, რუსეთი პასუხისმგებელია აფხაზეთში ადამიანის უფლებების დარღვევაზე; მოსკოვი არ ასრულებს საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოში დაწყებული ომის შეწყვეტის მთავარ პირობას, არ იღებს ვალდებულებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ და ნაბიჯ-ნაბიჯ ახორციელებს მცოცავი ანექსიის პოლიტიკას.**

მსგავს შეფასებას იზიარებენ წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციებიც, მათ შორის ევროკავშირიც. ასე მაგალითად, 2018 წლის 14 ივნისს ევროპის პარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციაში **„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ რუსული აგრესიიდან ათი წლის შემდეგ"** დაგმობილია საქართველოს რეგიონების უკანონო ოკუპაცია, ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსული სამხედრო ყოფნის მუდმივი გაძლიერება, ადამიანის უფლებების დარღვევა, ეთნიკური ნიშნით მოსახლეობის დისკრიმინაცია, ეთნიკურად მოტივირებული სხვა დანაშაული; მათზე პასუხისმგებლობას ევროპარლამენტი აკისრებს რუსეთს. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის გაგრძელება წარმოადგენს სხვა ევროპული ქვეყნების სუვერენიტეტის მიმართ პოტენციურ საფრთხეს; იგი შეიცავს მოთხოვნას საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა და ანექსიის შეწყვეტის, 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების ყველა პირობის შესრულების, რუსეთის მიერ ძალის არგამოყენების ვალდებულების აღების შესახებ. ევროპარლამენტი „მოუწოდებს ევროკავშირის ინსტიტუტებს, მიიღოს მიდგომა, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროპის პარლამენტისა

21. https://old.civil.ge/geo/article.php?id=19157; https://reliefweb.int/report/georgia/background-six-point-peace-plan-georgia-russia-conflict
22. http://www.tabula.ge/ge/story/53351-brdzola-mshvidobistvis
23. http://www.tabula.ge/ge/story/64436-parlamentma-sagareo-politikis-dziritadi-mimartulebebis-shesaxeb-rezolucia-miigho

და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული პარლამენტების მიერ მიღებულ პოლიტიკასთან და რომელიც გამოიყენებს უფრო ზუსტ ტერმინებს, რომელიც რუსეთის **აგრესიას** საქართველოში განსაზღვრავს, როგორც რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას"[24].

ევროპის საბჭოს დღის წესრიგში 2008 წლიდან რეგულარულად დგას საკითხი **„ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში"**. ამ საკითხზე ევროსაბჭოს გენერალური მდივანი მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის წინაშე წელიწადში ორჯერ წარმოადგენს კონსოლიდირებულ ანგარიშს, რომელიც ეხება ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების მდგომარეობას. 2018 წლის 14 ნოემბერს გამართულ 1329-ე სხდომაზე მე-18 ასეთი ანგარიში იქნა წარმოდგენილი. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 2017 წლის 3 მაისს ევროსაბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის 1285-ე სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება. დოკუმენტში საუბარია ეროვნული ნიშნით აფხაზეთის მოსახლეობის დისკრიმინაციაზე, ამასთან დაკავშირებით რუსეთის საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებაზე და პასუხისმგებლობაზე. მასში პირველად დაფიქსირდა, რომ **კონფლიქტი არის რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის**[25]. იგივე ჩაიწერა ევროსაბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის 1315-ე სხდომის გადაწყვეტილებაშიც (2018 წლის 2 მაისი)[26], რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს აფხაზეთში არსებული ვითარების შეფასების, მისი სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის, აგრეთვე ადამიანის უფლებების დაცვაზე პასუხისმგებლობის თვალსაზრისით. 1315-ე სხდომის გადაწყვეტილება ყურადღებას ამახვილებს რუსეთის ვალდებულებაზე, რომ მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობა არ დაექვემდებაროს დისკრიმინაციას, მათ შორის ეთნიკურ ნიადაგზე.

მკაცრ შეფასებებს შეიცავს ეუთოს დოკუმენტებიც. 2016 წლის 5 ივლისს მიღებულ რეზოლუციაში **„კონფლიქტი საქართველოში"** ეუთოს საპარლამენტო ასამბლეამ დაგმო საქართველოს რეგიონების ოკუპაციისა და მცოცავი ანექსიის რუსული პოლიტიკა; მოუწოდა მოსკოვს, შეწყვიტოს ოკუპაცია, გააუქმოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარება, დაიცვას ადამიანის უფლებები, ხელი შეუწყოს დევნილთა დაბრუნებას, აიღოს ძალის არგამოყენების ვალდებულება და ა. შ.[27] 2018 წლის 11 ივლისს ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაზე მიღებული რეზოლუცია „10

24. https://www.radiotavisupleba/29291069.html
25. http://www.mfa.gov.ge/News/evropis-sabchos-ministrta-moadgileebis-komitetma.aspx
26. https://imedinews.ge/ge/saqartvelo/59768/saqartvelos-sagareo-utskeba-evrosabcho-miesalmeba-saqartvelos-mtavrobis-samshvidobo-initsialivas
27. https://www.google.ge/search?q; http://mfa.gov.ge/getattachment/News/2016-OSCE-PA-res-on-Conflict-in-Georgia.pdf.aspx

წელი საქართველოში აგვისტოს ომის შემდეგ" რუსეთის ფედერაციას 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების სრულად შესრულებისკენ, საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან სამხედრო ძალების გაყვანისკენ, იძულებით გადაადგილებული პირების თავიანთ მშობლიურ ადგილებში დაბრუნებისკენ მოუწოდებს. საპარლამენტო ასამბლეა „გამოხატავს ღრმა შეშფოთებას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებული მძიმე მდგომარეობისა და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ ანგარიშების გამო...[28]

ანალოგიური მიდგომაა დაფიქსირებული 2008 წლის აგვისტოს შემდგომ პერიოდში ნატოს მიერ მიღებულ დოკუმენტებშიც[29]. ასე მაგალითად, 2017 წლის 29 მაისს ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე დამტკიცებული 435-ე დეკლარაცია გმობს „აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების განგრძობით უკანონო ოკუპაციას, ადამიანის უფლებების ფართომასშტაბიან დარღვევას და მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას ოკუპირებული ტერიტორიებიდან გაიყვანოს საკუთარი შეიარაღებული ძალები, უკან გაიწვიოს ამ ტერიტორიების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების გადაწყვეტილება, აიღოს ძალის გამოუყენებლობის ვალდებულება, როგორც ეს ცალმხრივი წესით საქართველომ გააკეთა"[30].

2008 წლიდან გაერო რეგულარულად იღებს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებთან დაკავშირებულ ჰუმანიტარული ხასიათის რეზოლუციებს. 2018 წლის 12 ივნისს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა მორიგი ასეთი რეზოლუცია **„აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/ სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ"**[31]. ის გმობს ოკუპირებულ რეგიონებში ძალისმიერი გზით განხორციელებულ დემოგრაფიულ ცვლილებებს, ადასტურებს საკუთარ სახლებში დევნილთა დაბრუნების უფლებას, ხაზს უსვამს საკუთრების უფლების დაცვის აუცილებლობას.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მათ შორის აფხაზეთში ადამიანის უფლებების კუთხით არსებული ვითარება მუდმივად განიხილება გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სესიებზე. 2017 წლის 24 მარტს გამართულმა საბჭოს 34-ე სესიამ პირველად მიიღო რეზოლუცია **„თანამშრომლობა საქართველოსთან"**[32]. ადამიანის

28. https://imedinews.ge/ge/saqartvelo/69698/eutos-saparlamento-asambleam-agvistos-omis-rezolutsiis-proekti-absoluturi-umravlesobit-miigo; https://drive.google.com/file/d/1vWdUT4qyabjtH5i2dtDLwHwezTwhacWJ/view
29. http://abkhaziajustice.gov.ge/wp-content/uploads/2015/09/53.pdf; https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_156624.htm
30. http://mfa.gov.ge/getattachment/News/tbilisshi-gamartuli-natos-saparlamento-asambleis-r/PLENARY-GE.pdf.aspx
31. http://www.mfa.gov.ge/News/gaero-s-generalurma-asambleam-saqartvelos-inicireb.aspx?CatID=5
32. https://jam-news.net/?p=27387&lang=ka; http://www.un.org/ga/search/view_doc.asp?symbol=A/HRC/34/L.13

უფლებათა უმაღლესი კომისრის ანგარიშების განხილვის შემდეგ, ამ სახელწოდების რეზოლუციები მიიღეს ადამიანის უფლებათა საბჭოს მომდევნო სესიებმაც. მათ შორის უკანასკნელი, 39-ე სესია 2018 წლის 27 სექტემბერს გაიმართა. უმაღლესი კომისრის მოხსენებაში და რეზოლუციაში „თანამშრომლობა საქართველოსთან" აღნიშნულია, რომ ეთნიკურად ქართული მოსახლეობა ოკუპირებულ რეგიონებში რეგულარულად ხდება სხვადასხვა სახის დისკრიმინაციის მსხვერპლი. იქვე ხაზგასმულია, რომ აღნიშნულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის უფლებების დაცვაზე პასუხისმგებლობა საოკუპაციო ძალას – რუსეთის ფედერაციას ეკისრება[33].

ამრიგად, საერთაშორისო ორგანიზაციები ერთსულოვანი არიან როგორც აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსის საკითხში, ისე აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული ვითარების, ადამიანის უფლებების მდგომარეობის შეფასებაში. ისინი აღიარებენ, რომ

- აფხაზეთი არის რუსეთის მიერ ოკუპირებული, მოსკოვის ეფექტიანი კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორია;

- რუსეთი აგრძელებს აგრესიულ მოქმედებას საქართველოს წინააღმდეგ, იგი არ ასრულებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების მოთხოვნას ომამდელ პოზიციებზე საკუთარი შეიარაღებული ძალების დაბრუნების შესახებ; არ იღებს ძალის არგამოყენების ვალდებულებას და ეწევა ოკუპირებული რეგიონების ანექსიის პოლიტიკას;

- კონფლიქტი მიმდინარეობს რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის

- აფხაზეთის ტერიტორიაზე ხორციელდება ადამიანის უფლებების ფართომასშტაბიანი დარღვევა, ეთნიკურ ნიადაგზე მიმდინარეობს ქართული მოსახლეობის ყოველმხრივი დისკრიმანაცია, ადგილი აქვს ეთნიკურად მოტივირებული დანაშაულის ჩადენას;

- პასუხისმგებლობა აფხაზეთში ადამიანის უფლებების ფართომასშტაბიან დარღვევაზე, ეთნიკური ნიშნით მოსახლეობის დისკრიმინაციაზე და ეთნიკურად მოტივირებულ დანაშაულთა ჩადენაზე ეკისრება ოკუპანტ სახელმწიფოს;

- მოსკოვის მიერ სრულად არის იგნორირებული მრავალრიცხოვანი მოწოდებები აფხაზეთის დეოკუპაციის, „დამოუკიდებელ" სახელმწიფოდ მისი აღიარების გაუქმების, საკუთარ სახლებში დევნილთა უპირობო და ღირსეული დაბრუნების შესახებ.

აფხაზეთში ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ საქართველოს ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები დიდძალ ფაქტობრივ მასალას ეფუძნება. ამ თემაზე აფხაზეთის ლეგიტიმური

33. http://www.mfa.gov.ge/News/khaluna-lolladzem-monacileoba-miigo-gaero-s-ad-(1).aspx?CatID=5

ხელისუფლება ფლობს ყოველდღიურ ინფორმაციას, რომელიც ასევე ყოველდღიურად სათანადო სახელმწიფო სტრუქტურებს მიეწოდება. არსებობს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვრცელი კვარტალური ანგარიშები ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ[34]. დეტალურ ინფორმაციას შეიცავენ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მომზადებული ანგარიშები, მათ შორის: „განათლების უფლება გალის რაიონში: 2015-2016 სასწავლო წლის სიახლეები და თანმდევი პრობლემები"[35], „კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ"[36], „ქალთა და ბავშვთა უფლებები კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში (2014-2016 წლების მიმოხილვა)"[37], „ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული მდგომარეობა"[38], „გადასასვლელების გაუქმების გავლენა აფხაზეთის გამყოფ ხაზზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე"[39], „სპეციალური ნარკვევი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზთან მუდმივი დაკავებებისა და პატიმრობაში მყოფი პირების საკითხთან დაკავშირებით"[40] და ა. შ. არსებობს აგრეთვე სხვადასხვა უწყებების, თანამდებობის პირების ანგარიშები და მოხსენებები ოკუპირებულ აფხაზეთში ქართული მოსახლეობის დისკრიმინაციის შესახებ[41].

შეიძლება დასახელდეს კიდევ ერთი სპეციალური ანგარიში – „ადამიანის უფლებები დღევანდელ აფხაზეთში. 2017 წლის იცლისი"[42]. მისი ავტორები არიან ადამიანის უფლებათა საკითხებში ევროკომისიის ყოფილი საგანგებო მრჩეველი თომას ჰამერბერგი და სამხრეთ კავკასიის საკითხთა ექსპერტი, საერთაშორისო კრიზისების ჯგუფის ევროპისა და ცენტრალური აზიის პროგრამების დირექტორი მაგდალენა გრონო. ანგარიშზე მუშაობის პერიოდში (2015-2017 წლები) ავტორები ექვსჯერ ჩავიდნენ აფხაზეთში და ადგილზე გაეცნენ იქ არსებულ მძიმე ვითარებას. ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩასვლის ნებართვა კი თომას ჰამერბერგსა და მაგდალენა გრონოს ოკუპანტების წინაშე

34. Quarterly Reports of the Ministry of Foreign Affairs of Georgia on the Human Rights Situation in the Occupied Regions of Georgia http://mfa.gov.ge/Occupied-Territories/ყოველკვარტალური-ანგარიშები.aspx
35. https://drive.google.com/file/d/0B9BM3M8hbgAUNFE3RndlaXc2dFU/view?usp=sharing
36. http://ombudsman.ge/uploads/other/3/3764.pdf; http://ombudsman.ge/uploads/other/3/3372.pdf
37. http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4459.pdf
38. http://ombudsman.ge/ge/news/okupirebul-teritoriebze-djandacvis-momsaxurebis-xelmisawvdomobis-kutxil-arsebuli-mdgomareoba.page
39. http://ombudsman.ge/uploads/other/4/4911.pdf
40. http://ombudsman.ge/uploads/other/1/1771.pdf
41. http://abkhaziajustice.gov.ge/wp-content/uploads/2016/12/2017-წლის-ანგარიში.pdf; http://scara.gov.ge/2011-09-08-07-44-18/977-2018-04-27-11-41-49.html; http://scara.gov.ge/2011-09-08-07-44-18/889-2017-06-06-08-39-02.html; http://grass.org.ge/wp-content/uploads/2016/07/GRASS-ganatlebis-uphleba-galis-raionshi1.pdf
42. https://www.palmecenter.se/wp-content/uploads/2017/07/Human-Rights-in-Abkhazia-Today-report-by-Thomas-Hammarberg-and-Magdalena-Grono.pdf; https://www.youtube.com/watch?v=W13TseJhelM&t=34s; https://dfwatch.net.

მიუღებელი პოლიტიკური დათმობების ფასად დაუჯდათ. მიუხედავად ამისა, ანგარიში შეიცავს მეტად ღირებულ ინფორმაციას ქართული მოსახლეობის უფლებების ფართომასშტაბიანი დარღვევების შესახებ.

აფხაზეთის ქართული მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია ატარებს მიზანმიმართული პოლიტიკის ხასიათს. რაში მდგომარეობს ოკუპანტების მიზანი? საოკუპაციო რეჟიმის მონაცემებით, ქართველთა რაოდენობა აფხაზეთში, მიუხედავად ეთნიკური წმენდისა, 46.5 ათას კაცს, მაშასადამე მთელი მოსახლეობის 19-20 %-ს შეადგენს[43]. არაოფიციალური მონაცემებით კი, ეს რაოდენობა 60 ათასს აჭარბებს. ქართველები კომპაქტურად ცხოვრობენ საოკუპაციო ხაზთან მდებარე გალის რაიონში. ისინი ინარჩუნებენ საქართველოს მოქალაქეობას, რაც ძალიან აშფოთებს ოკუპანტებს. გალის რაიონის ქართულ მოსახლეობას ისინი საქართველოს „მეხუთე კოლონად" მიიჩნევენ, რომელიც სერიოზულად უშლის ხელს აფხაზეთის ანექსიის რუსული პოლიტიკის განხორციელებას. აქედან გამომდინარე, **ოკუპანტი ქვეყანა ცდილობს მოახდინოს გალის რაიონის მოსახლეობის რუსიფიკაცია, ხოლო ვინც არ დაექვემდებარება ასიმილაციას, განდევნოს აფხაზეთიდან.** ეს პოლიტიკა ხორციელდება საოკუპაციო რეჟიმის მიერ წინასწარი განზრახვით შექმნილი დისკრიმინაციული „სამართლებრივი" ბაზის საფუძველზე. ამჯერად არ შევუდგებით ამ ე. წ. სამართლებრივი ბაზის დეტალურ ანალიზს და მოქმედი „კანონების" მცირე კომენტარებით შემოვიფარგლებით.

ეთნიკური ქართველების უფლებების ფართომასშტაბიანი დარღვევის ერთ-ერთ ძირითად „სამართლებრივ" საფუძველს წარმოადგენს „კანონი" მოქალაქეობის შესახებ (2005 წელი)[44]. მისი მე-5 და მე-6 მუხლები წინასწარ აყენებენ ქართველებს დისკრიმინირებულ, სხვა ეთნოსებთან შედარებით უთანასწორო და უუფლებო მდგომარეობაში. ამ მხრივ აღსანიშნავია 2016 წლის 1 აპრილს ამოქმედებული ე. წ. კანონები „აფხაზეთის რესპუბლიკაში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ"[45] და „აფხაზეთის რესპუბლიკიდან გასვლისა და აფხაზეთის რესპუბლიკაში შემოსვლის წესის შესახებ"[46]. აღნიშნული „კანონები" ქართველებს უცხო ქვეყნის მოქალაქეებად აცხადებს და მათ მხოლოდ ბინადრობის უფლებას ანიჭებს. „აფხაზეთის რესპუბლიკაში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" ე. წ. კანონის მე-10, მე-11, მე-13, მე-14, მე-17 და „აფხაზეთის რესპუბლიკიდან გასელისა

43. http://www.ethno-kavkaz.narod.ru/rnabkhazia.html
44. http://www.emb-abkhazia.ru/konsulskie_voprosy/zakon_j/
45.http://presidentofabkhazia.org/upload/iblock/72a/Закон%20РА%20О%20правовом%20положении%20иностранных%20граждан%20в%20РА.pdf
46. http://presidentofabkhazia.org/upload/iblock/1de/Закон%20РА%20%20О%20порядке%20выезда%20из%20РА%20и%20въезда%20в%20РА.pdf

და აფხაზეთის რესპუბლიკაში შემოსვლის წესის შესახებ" „კანონის" 24-ე და სხვა მუხლებით უკიდურესად იზღუდება ქართველთა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები. ქართველების, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეების აფხაზეთიდან განდევნას ფაქტობრივად უზრუნველყოფს „სამოქალაქო აქტების შესახებ" 2007 წლის 7 თებერვალს მიღებული „კანონის"[47] მე-7, მე-15, 25-ე, 26-ე და სხვა მუხლები.

აფხაზეთიდან იძულებით განდევნილი მოსახლეობის უძრავი ქონების ოკუპანტების მიერ მიტაცების „დაკანონებას", აფხაზეთში მცხოვრები ქართველების საკუთრებაზე უფლების მაქსიმალურად შეზღუდვას ისახავენ მიზნად ე. წ. „სამოქალაქო კოდექსის" (2006 წლის 28 ივნისი)[48] 224-ე, 230-ე, 233-ე, „რესპუბლიკური და მუნიციპალური საკუთრების პრივატიზაციის შესახებ" „კანონის" (2016 წლის 20 ივლისი)[49] მე-4 და მე-6, „მიწის კოდექსის" (1994 წლის 7 სექტემბერი)[50] მე-3, მე-7 და სხვა მუხლები.

აღნიშნული „კანონების", „კოდექსებისა" და აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობის მიერ მიღებული აქტების საფუძველზე ხორციელდება ქართული მოსახლეობის უფლებების ფართომასშტაბიანი დარღვევა, მისი დევნა და სრული დისკრიმინაცია. კერძოდ, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები მოკლებული არიან

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას;

ნებისმიერი დონის დე-ფაქტო არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლებას;

საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებში გაერთიანების უფლებას;

დე-ფაქტო სახელისუფლებო სტრუქტურებში და სხვა დაწესებულებებში დასაქმების უფლებას (დასაქმება შესაძლებელია მხოლოდ ჯანდაცვისა და განათლების სფეროში, მაგრამ არა ქართული დიპლომით);

მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებას;

მშობლიურ ენაზე ღმრთისმსახურების შესრულების უფლებას;

მშობლიურ ენაზე კომუნიკაციის (საუბრის, მიმოწერის) უფლებას;

საჯარო სივრცეში მშობლიურ ენაზე სიმღერის შესრულებისა და მოსმენის უფლებას;

საკუთარი იდენტობის შენარჩუნების უფლებას და შესაძლებლობას;

ადმინისტრაციულ საზღვარზე თავისუფლად გადაადგილების უფლებას;

---

47. http://parlamentra.org/upload/zakon/3PA%20об%20актах%20гражданского%20%20состояния.doc%20 http://mvdra.org/doki/gr_kodeks.pdf
48. http://mvdra.org/doki/gr_kodeks.pdf
49. http://www.tppra.org/ru/publikacii/zakon-ra-o-privatizacii-respublikanskoy-i-municipalnoy-sobstvennosti
50.http://parlamentra.org/upload/zakon/3PA%20об%20актах%20гражданского%20%20состояния.doc%20 http://mvdra.org/doki/gr_kodeks.pdf

ქორწინების აფხაზეთში რეგისტრაციის უფლებას;
ახალშობილთა აფხაზეთში რეგისტრაციის უფლებას;
სოციალური დახმარების, ჯანდაცვის, პენსიის მიღების უფლებას;
დეკრეტული შვებულების უფლებას;
წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებული საკუთრების თავისუფლად განკარგვის უფლებას;
ნებისმიერი სახის საკუთრების, მათ შორის საცხოვრებელი სახლის, მიწის, ავტომანქანის, სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებების შეძენის უფლებას;
სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების აღების შესაძლებლობას და ა. შ.

ქართული იდენტობის დათრგუნვის მიზნით ხორციელდება ეთნიკური ნიშნით ბავშვების დისკრიმინაცია; ადგილი აქვს ღირსების შემლახავ მოპყრობას, სპეცსამსახურების მხრიდან მუქარას, ბავშვების ფსიქიკასა და თავისუფალ ნებაზე უხეშ ზემოქმედებას[51].

გარდა ამისა, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს ოკუპანტებმა ჩამოართვეს საკუთარ სახლებში დაბრუნებისა და საკუთრების უფლება, რომელიც გარანტირებულია ეროვნული კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით.

ამრიგად, აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევა ატარებს ფართომასშტაბიან, მიზანმიმართულ და სისტემურ ხასიათს. დარღვევების მასშტაბურობისა და სპეციფიკურობის გამო, მათი სიღრმისეული შეფასება და, რაც მთავარია, პრევენცია შეუძლებელია თვით ისეთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო აქტების ჩარჩოებშიც კი, როგორიცაა „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ (1948 წლის 10 დეკემბერი), „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“ (1950 წლის 4 ნოემბერი), „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ (1989 წლის 20 ნოემბერი), საერთაშორისო პაქტები „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ (1966 წლის 16 დეკემბერი), „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ (1966 წლის 16 დეკემბერი) და ა. შ. აფხაზეთის შემთხვევაში საქმე გვაქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთან, რომლის განსჯა, ჩვენი აზრით, რომის სტატუტის ფარგლებში უნდა მოხდეს.

II

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტის იურისდიქცია საქართველოზე ვრცელდება 2003 წლის 5 სექტემბრიდან (რატიფიკაციის თარიღი). აქედან გამომდინარე, საერთაშორისო სისხლის

51. http://netgazeti.ge/news/315893/; https://www.youtube.com/watch?v=W13TseJhelM&t=34s

სამართლის სასამართლო უფლებამოსილია დამატებითობის პრინციპის (principle of complementarity) საფუძველზე, თავისი იურისდიქცია განახორციელოს საქართველოს ტერიტორიაზე ან საქართველოს მოქალაქეების მიერ განხორციელებულ რომის სტატუტის განსჯადი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. 2016 წლის 27 იანვრიდან სასამართლოს პროკურორი აწარმოებს გამოძიებას proprio motu საქართველოში ჩადენილ კატაბრიობის წინააღმდეგ მიმართული და ომის დანაშაულის ჩადენისათვის, რასაც ადგილი ჰქონდა 2008 წლის 1 ივლისიდან, 10 ოქტომბრის ჩათვლით, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში. ამას წინ უძღოდა პროკურორის მიერ ვითარების წინასწარი შესწავლა.

ჩვენ დღეს ამ კონკრეტულ ვითარებაზე არ ვისაუბრებთ, არამედ თქვენს ყურადღებას გავამახვილებთ საქართველოს ავტონომიურ სუბიექტში, აფხაზეთში შექმნილ ისეთ ვითარებაზე, რომელშიც კონკრეტული იდენტიფიცირებადი ჯგუფის წინააღმდეგ სავარაუდოდ ხორციელდება ადამიანის ისეთი ფუნდამენტური უფლებების ფართომასშტაბიანი, სისტემატური და მძიმე (severe) ხელყოფის ფაქტები, როგორიცაა თავისუფლად გადაადგილების უფლების ხელყოფა, საკუთრების უფლების ჩამორთმევა, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების, მშობლიურ ენაზე ღმრთისმსახურების უფლების, მშობლიურ ენაზე აზრის საჯაროდ გამოხატვის თავისუფლების ხელყოფის ფაქტები, ოჯახის შექმნის (ქორწინების უფლების) ფუნდამენტური უფლების ხელყოფა, ახალშობილთა რეგისტრაციის უფლების აკრძალვა. ბავშვთა დაპატიმრება, ეროვნული თუ ეთნიკური ნიშნით მოსახლეობის სხვადასხვა ფორმის სოციალური და ეკონომიკური დისკრიმინაციის სხვა სერიოზული გამოვლინების ფაქტები. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ადამიანის უფლებათა აღნიშნული სავარაუდო სერიოზული დარღვევები ხორციელდება აგრესიის შედეგად ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ოკუპანტი მხარის მოქმედების არეალში.

ეს გარემოებანი, კერძოდ კი ადამიანის უფლებათა დარღვევის მძიმე გამოვლინებანი, რომელიც ხორციელდება კონკრეტული იდენტიფიცირებული ჯგუფის წინააღმდეგ აგრესიის შედეგად ოკუპირებულ და ანექსირებულ ტერიტორიაზე, ქმნიან რომის სტატუტის მე-7-ე მუხლის 1(h) პუნქტით გათვალისწინებულ დევნაში გამოხატულ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობას (ratione materiae). კერძოდ, „ნებისმიერი იდენტიფიცირებული ჯგუფის ან ერთობის დევნას პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, გენდერული ან სხვა ისეთი ნიშნის საფუძველზე, რომელიც საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ დაუშვებლად არის აღიარებული, დაკავშირებულ მე-7-ე მუხლის პირველ საერთო პუნქტში აღნიშნულ რომელიმე ქმედებასთან ან სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ რომელიმე დანაშაულთან“.

ტერმინი „დევნა“ განიმარტება რომის სტატუტის მე-7-ე მუხლის 2 (g) პუნქტის მიხედვით, კერძოდ კი „საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგოდ, ამა თუ იმ ჯგუფის ან ერთობისადმი კუთვნილების ნიშნით, ფუნდამენტურ უფლებათა **განზრახ და უხეშ** ხელყოფად.

იქიდან გამომდინარე, რომ ამა თუ იმ ჯგუფის სისტემატური ხასიათის დისკრიმინაცია (მათ შორის ეროვნული, ენობრივი თუ რელიგიური საფუძვლით) წარმოადგენს ადამიანის უფლებათა როგორც ჩვეულებითი, ისე ხელშეკრულებითი საერთაშორისო სამართლის დარღვევას, „დევნაში“ გამოხატული დანაშაულის **„რაიმე ჯგუფთან იდენტურობისა“** და „საერთაშორისო სამართლით აკრძალული საფუძვლის“ ელემენტები თავად წარმოადგენს „ადამიანის ძირითად უფლებათა **განზრახ და სერიოზულ ხელყოფის**“ მეორე ელემენტის შემადგენელ ნაწილს (სტატუტის მე-7-ე მუხლი, 2g; დანაშაულის ელემენტი 1 და 2). სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, ჯგუფის უფლებათა დისკრიმინაციული საფუძვლით სისტემატური ხელყოფა თავისთავად განაპირობებს ხელყოფის სიმძიმესაც. მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის სიმძიმე ფარდობითი და არა აბსოლუტური კატეგორიაა, „ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევის“ დახასიათებისას, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ხშირ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს არა ადამიანის უფლებათა კონკრეტული კატეგორიის, როგორც ასეთის დაღვევას, არამედ იმ ვითრებას, რომელშიც ხდება გარკვეული ფორმითა და სიხშირით უფლების დარღვევა. ვითარება, სადაც დისკრიმინაციის დაუშვებლობის ფუნდამენტური ius cogens ხასიათის პრინციპის უგულებელყოფას კანონები ითვალისწინებენ, იმანენტურად წარმოადგენს ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევის ნოყიერ ნიადაგს.

მიუხედავად იმისა, რომ რომის სტატუტი და სასამართლოს ფუნქციონირების განმსაზღვრელი სხვა დოკუმენტი არ იცნობს თავად დანაშაულის „სიმძიმის“ ცნებას, სტატუტის მე-17-ე (1)(d) მუხლის თანახმად სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ საქმე არ შეიძლება იყოს წარმოებაში მიღებული, როდესაც: „საქმე არ არის იმდენად მძიმე, რომ სასამართლოს შემდგომი მოქმედება მიზანშეწონილად ჩაითვალოს“. მსაგავსი შინაარსის დებულებას გადმოგვცემს სტატუტის 53-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებიც, რომელთა თანახმად გამოძიებისა თუ სისხლისსამართლებრივი დევნის „გონივრული საფუძვლის“ დადგენისას, პროკურორი ვალდებულია შეაფასოს „დანაშაულის სიმძიმე“. სიმძიმის ზღვარის დადგენა კრიტიკული მნიშვნელობისაა გამოძიების დაწყების თვალსაზრისით, არა მხოლოდ იმიტომ რომ იგი აუცილებელია მისაღებობის დასადგენად, არამედ თავად საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის საკითხებისათვის. სასამართლოს პროკურორი ერთერთი იმ პირველ ორგანოთაგანია, რომელიც განმარტავს და იხმობს „სიმძიმის“

კონცეფციას. გარდა პროკურორის ოფისისა, წინასასამართლო სხდომების პალატა თავის მხრივ განსაზღვრავს „სიმძიმის“ საკითხსა და მე-17 მუხლის 1(დ) პუნქტის შინაარსს[52]. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, პროკურორი „დანაშაულის სიმძიმის“ საკითხს განიხილავს არა მხოლოდ საქმის მისაღებობის დამაბრკოლებელ კრიტერიუმად, არამედ უნიშვნელოვანეს ინდიკატორად პოტენციურ ვითარებათა თუ საქმეთა შესარჩევად.

„ფუნდამენტური უფლებების სერიოზული დარღვევის“ ელემენტთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სასამართლო საკუთარი იურისპრუდენციის განვითარების ამ ეტაპზე შემოიფარგლება ისეთ დანაშაულთა ჩამონათვალით, რაც დამოუკიდებლად იქნა შერაცხული ბრალად როგორც ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაული[53]. პროკურორის მუშაობის პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი „დანაშაულის სიმძიმის“ განსაზღვრისას ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს: მსხვერპლთა სიმრავლეს, დანაშაულის ჩადენის ფორმას; დანაშაულის გეოგრაფიულ არეალს; დანაშაულის სისტემატურობას; დანაშაულის ბუნებას და დანაშაულით გამოწვეულ შედეგს. გარდა ამისა, უფლებათა დარღვევის სიმძიმე (ხარისხი) სამი შემადგენელი კომპონენტით შეგვიძლია დავახასიათოთ – დარღვეული უფლების ტიპი, დარღვევის ხასიათი და მსხვერპლთა მახასიათებლები (კუთვნილება).

პირველი და შეიძლება ითქვას ერთადერთი სამართლებრივი (იურიდიული) განმარტება „დანაშაულის სიმძიმისა“ (gravity of the crime) ეკუთვნის სასამართლოს პირველ წინასწარი წარმოების პალატას (pre-trial Chamber I), რომელიც მან ტომას ლუბანგას საქმესთან დაკავშირებით გააკეთა. სიმძიმის ზღვარი (gravity threshold) წარმოადგენს სასამართლოს განსჯად დანაშაულთა შერჩევის საშუალებას, რათა ისე შეიზღუდოს სასამართლოს განსჯადობა რომ გავრცელდეს მხოლოდ „საერთაშორისო მნიშვნელობის ყველაზე სერიოზულ დანაშაულთა“ კატეგორიაზე.

დანაშაულის სიმძიმის საკითხზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორი დანაშაულის სიმძიმის განსაზღვრისას იყენებს ე.წ. სტადიურ მიდგომას. კერძოდ იგი ორ სტადიაზე განიხილავს შესაძლო დანაშაულის სიმძიმეს, პირველი ეს არის ვითარებითი (სიტუაციური) სტადია, ხოლო მეორე კონკრეტულ შემთხვევათა სტადია. რაც შეეხება თავად ვითარების ცნებას, სასამართლოს მიერ ტომას ლუბანგას საქმეზე, იგი განმარტებულია როგორც, „ტერიტორიული, დროითი

52. იხ. prosecutor v Dyilo, supra note 10, 44,45.

53. იხ. Prosecutor v. Gbagbo, ICC PT. Ch. I, Decision on the Confirmation of Charges against Laurent Gbagbo, ICC-02/11-01/11-656-Red, 12 June 2014, para. 204, compared with paras. 193–199; Prosecutor v. Muthaura et al., ICC PT. Ch. II, ICC01/09-02/11-382-Red, Decision on the Confirmation of Charges Pursuant to Article 61(7)(a) and (b) of the Rome Statute, 23 January 2012, para. 283, compared with paras. 233, 243, 257, 270–271, 275–277; Prosecutor v. Ruto et al., ICC PT. Ch. II, ICC-01/09-01/11-373, Decision on the Confirmation of Charges Pursuant to Article 61(7)(a) and (b) of the Rome Statute, 23 January 2012, paras. 271–272, compared with paras. 225–226, 228–239, 241–242, 248–251, 253–266.

და შესაძლოა პიროვნული პარამეტრების" ერთობლიობა[54].

დანაშაულის სიმძიმის შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დანაშაულთა მასშტაბები, მათი ხასიათი, ჩადენის საშუალებები და დანაშაულებრივი ზემოქმედების **შედეგი**[55]. ასე მოხდა მალიში არსებული ვითარების შეფასებისას, როდესაც პროკურორმა ეს ოთხი კომპონენტი თითოეული ინციდენტის შეფასებისას გამოიყენა, (ე.წ. აგელპოკის ინციდენტი). ვითარების სიმძიმე პროკურორის მიერ აქ შეფასდა თავად **ვითარებაში პოტენციური შემთხვევების სიმძიმის თვალსაზრისით.**

კომოროს კუნძულების ალმის ქვეშ მცურავი ხომალდის შემთხვევაში, პროკურორმა გაითვალისწინა დანაშაულის მასშტაბისა და მსხვერპლთა ფარდობითი სიმცირე, სასამართლოს წარმოებაში მყოფ სხვა დანაშაულთა მიმართებით. დანაშაულის ხასიათის თვალსაზრისით პროკურორმა დაადგინა, ომის დანაშაულის შემადგენლობის არსებობა, დანაშაულის ჩადენის საშუალებების თვალსაზრისით, პროკურორმა დაადგინა ძალის ნაწილობრივი გადამეტება, მაგრამ არ დაუდგენია სისტემატურობა და გეგმაზომიერება. ხოლო დანაშაულის ზემოქმედების შედეგების თვალსაზრისით დაადგინა რომ ღაზას მოსახლეობა ამ ინციდენტით მნიშვნელოვნად არ დაზიანებულა.

პროკურორმა მიიჩნია, რომ ეს ვითარება მისი შეზღუდული ხასიათიდან გამომდინარე „გავლენას ახდენს პოტენციური შემთხვევის სერიოზულობაზე"[56]. ამის საპირისპიროდ, აბუ გარდას საქმეზე (ჰასკანიტას ინციდენტი, დარფური, სუდანი), პროკურორმა ჩათვალა, რომ მართალია საქმეში მსხვერპლთა სიმცირე იყო, დანაშაულის ხასიათი და შედეგი სიმძიმის მაღალ ზღვარს აღწევდა. აქ ერთი შემთხვევის სიმძიმე საკმარისი აღმოჩნდა თავად ვითარება მისაღები (admissible) გამხდარიყო სასამართლოს განსჯისათვის.

სასამართლოს უკანასკნელი პერიოდის პრაქტიკა, რომელიც დანაშაულის სიმძიმის საკითხს ეხება საქართველოს კონტექსტშია განხილული, სადაც პროკურორი ადგენს, რომ „სიმძიმის განსაზღვრა მოიცავს (ითვალისწინებს) სიტუაციის საერთო, ზოგად შეფასებას იმისა, მონაწილეობდნენ თუ არა ადამიანთა გარკვეული ჯგუფები, რომლებიც სავარაუდოდ გამოძიების ობიექტები გახდებიან, დანაშაულთა სავარაუდო ჩადენაში, (ე.წ. ვითარებითი შეფასება)[57]. დანაშაულის სიმძიმე იურიდიული

54. Prosecutor v. Lubanga, Decision Concerning Pre-Trial Chamber I's Decision of 10 February 2006 and the Incorporation of Documents into the Record of the Case against Mr. Thomas Lubanga Dyilo, 24 February 2006, para. 21; Prosecutor v. Katanga, Decision on the evidence and information provided by the Prosecution for the issuance of a warrant of arrest for Germain Katanga, 5 November 2007, para. 9; Bemba, Decision on the Prosecutor's Application for a Warrant of Arrest against Jean-Pierre Bemba Gombo, 10 June 2008, para. 16.
55. Schabas, William A. (2009) „Prosecutorial discretion and gravity„ in C. Stahn; G. Sluiter, ed. The Emerging Practice of the International Criminal Court. Leiden/Boston: Brill Nijhoff. p. 233.
56. Office of the Prosecutor (2014b) „Situation on Registered Vessels of Comoros, Greece and Cambodia – Article 53(1) Report„ The Hague: International Criminal Court. Para 143.
57. Situation in Georgia, ICC – 01/15-12 „Decision on the Prosecutor's request for authorization of an investigation„(27 January 2016.

მოთხოვნაა სიტუაციისა და ცალკეული შემთხვევის (საქმის) შეფასების სტადიაზე. სიმძიმე, როგორც სავალდებულო იურიდიული ზღვარი იძლევა დისკრეციის შესაძლებლობას დანაშაულის შემადგენლობის სახელმძღვანელო პრინციპების ფარგლებში. როგორც ზემოთ ითქვა, დანაშაულის სიმძიმე უნდა შეფასდეს მისი მასშტაბის, ხასიათის, ჩადენის საშუალებისა და გამოწვეული შედეგების თვალსაზრისით. ყოველ შემთხვევაში ამ ელემენტთაგან ერთი ან რამდენიმე უნდა აკმაყოფილებდეს განსაკუთრებული სერიოზულობის მოთხოვნას, იმისათვის რათა ვითარება თუ ცალკეული შემთხვევა იწვევდეს საერთაშორისო თემობის შეშფოთებას.

სიტუაციური სიმძიმე უნდა შეფასდეს იმ პოტენციური შემთხვევების გათვალისწინებით, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მოცემული ვითარებიდან. ამიტომ სიტუაციის შეფასება არ შეიძლება სრულად, არამედ მხოლოდ პოტენციური ამსრულებლებისა და მათი ქმედებების თვალსაზრისით. თუმცა, ვინაიდან პოტენციურობა აღემატება ფაქტობრიობას, ვითარების სიმძიმე უფრო მაღალი სტანდარტით უნდა შეფასდეს, ვიდრე ფაქტობრივი, ცალკეული შემთხვევების სიმძიმე.

იმის გადასაწყვეტად, დასაწყებია თუ არა კონკრეტული სავარაუდო დანაშაულის გამოძიება, უნდა მივმართოთ სამსაფეხურიან პროცედურას (ასე იქცევა პროკურორი), უწინარეს ყოვლისა, ეს არის პირველადი შემოწმება, შეფასება ინფორმაციისა რაც შეიძლება პირდაპირ მიუთითებდეს გამოძიების არდაწყების საფუძვლებზე. ამის მაგალითად გამოდგება ვენესუელას შემთხვევა, როდესაც მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოირიცხებოდა ფართომასშტაბიანი და სისტემატური თავდასხმები სამოქალაქო მოსახლეობაზე. ამ შემთხვევაში პროკურორს დანაშაულის სიმძიმე არც კი გამოუკვლევია, ვინაიდან უკვე არსებობდა მისაღებობის დამაბრკოლებელი სხვა ნიშნები.

მეორე საფეხური რომელსაც დიდი ყურადღება ექცევა, ეს არის დანაშაულთა „სერიოზულობის" შეფასება (examination of the „seriousness" of crimes). ამ ეტაპზე განისაზღვრება ის თუ რამდენად მძიმეა ვითარება იმისათვის რათა სასამართლომ თავისი ყურადღება მიაბყროს შექმნილ სიტუაციას. განსხვავება პირველსა და მეორე საფეხურებს შორის ის არის, რომ პირველ ეტაპზე შეიძლება გამოიკვეთოს სასამართლოს განსჯად დანაშაულთა არსებობა, მაგალითად განზრახ მკვლელობა და არაადამიანური მობყრობა, თუმცა დანაშაულისა და მსხვერპლთა სიმნირის გამო არ მოექცეს სასამართლოს ყურადღების არეალში. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ბრიტანეთის სამხედროების მოქმედება ერაყში.

მესამე საფეხურზე პროკურორი უკვე იღებს გადაწყვეტილებას, რომ საქმე სავარაუდოდ იმსახურებს სასამართლოს ყურადღებას, სხვა სიტყვებით, ეს ის ვითარებაა როდესაც ხორციელდება სასამართლოს განსჯადობა „სავარაუდო დანაშაულის სიმძიმის" გათვალისწინებით და პროკურორი

იწყებს ვითარების „შემდგომ გაანალიზებას". თუმცა ამ შემთხვევაშიც შეიძლება აღმოჩნდეს, რომ დანაშაულის სიმძიმისა და დაზარალებულთა ინტერესების გათავისწინების მიუხედავად, არსებობს საფუძველი ვარაუდისათვის, რომ გამოძიება არ ემსახურება მართლმსაჯულების მიზნებს.

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წინასასამართლო სხდომების პალატამ, გამოყო დანაშაულის ხუთი ძირითადი ელემენტი, რომელსაც თან უნდა ახლდეს ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. ესენია: 1. თავდასხმა მიმართული უნდა იყოს სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ; 2) ქმედება ნაწილი უნდა იყოს სახელმწიფოს ან ორგანიზებული პოლიტიკის; 3) იგი უნდა იყო ფართომასშტაბიანი ან სისტემატური; 4) უნდა არსებობდეს კავშირი ცალკეულ ქმედებასა და თავდასხმას შორის და 5) თავდასხმა უნდა იყოს გაცნობიერებული[58].

როგორც ვხედავთ, იმისათვის რომ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედება ჩაითვალოს რომის სტატუტის მე-7-ე მუხლის 1 (h) პუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულად, იგი უნდა პასუხობდეს მთელ რიგ საერთაშორისო სისხლისსამართლებრივ მოთხოვნებს. იქიდან გამომდინარე, რომ საერთაშორისო დანაშაული პოტენციურად ფართე კატეგორიას მოიცავს, „დანაშაულის სიმძიმის" შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული აგრეთვე „სისტემატურობა" და „გეოგრაფიული არეალი", გნებავთ ფართომასშტაბურობა, მიუხედავად იმისა რომ ისინი ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენელი დამოუკიდებელი ელემენტებია. აგრეთვე სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს საერთაშორისო თემობაში ამ ქმედებით გამოწვეულ წუხილს[59].

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა ითქვას, რომ თუმცა ქმედებათა მრავალჯერადობა და ამსრულებელთა თუ მსხვერპლთა მრავალრიცხოვნობა აღარ წარმოადგენს ამ დანაშაულის აუცილებელ შემადგენელ ელემენტს[60], მიუხედავად ამისა, ტერმინი „ფართოდ გავრცელებული" გულისხმობს თავდასხმის ფართომასშტაბურ ხასიათს და მსხვერპლთა რაოდენობის სიმრავლეს[61]. ტადიჩის საქმეზე იუგოსლავიის ტრიბუნალმა განმარტა, რომ ფართოდ გავრცელებულობა გულისხმობდა მსხვერპლთა რაოდენობას[62]. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო კატანგას საქმეზე

58. Situation in the Republic of Kenya, ICC PT. CH.II,ICC-01/09-19. 31 March 2010, para 79; აგრეთვე Situation in the Republic of Cole dIvoire, ICC PT. CH.III,ICC-02/11-14. 3 October 2011, para.29.
59. Prosecutor v. Dyilo, supra note 10, 46.
60. ICTY, Prosecutor v. Tadić (alias „Dule„), „Judgement„, IT-94-1-T, 7 May 1997, para. 649. See also ICTY. Prosecutor v. Kupreškić, „Judgement„, IT-95-16-T, 14 January 2000, para. 550; ICTY, Prosecutor v. Kunarac. Kovac and Vukovic, „Judgement„, IT-96-23-T and IT-96-23/1-T, 22 February 2001, para. 431.
61. ICTY, Prosecutor v. Kunarac, Kovac and Vukovic, „Judgement„, IT-96-23-T and IT-96-23/1-T, 22 February 2001, para. 428. See also ICTY, Prosecutor v. Kmojelac, „Judgement„, IT-97-25-T, 15 March 2002, para. 57.
62. ICTY, Prosecutor v. Tadić (alias „Dule„), „Judgement„, IT-94-1-T, 7 May 1997, para. 648.

განმარტავს, რომ „ფართომასშტაბიანი" მიუთითებს თავდასხმის მასობრიობაზე, სიხშირეზე და მსხვერპლთა სიმრავლეზე[63].

რაც შეეხება ქმედებათა სისტემატურ ხასიათს, უნდა ითქვას, რომ აქ მნიშვნელოვანია ბიუროკრატიული აპარატის ჩართულობა დანაშაულის ჩადენაში. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ფართომასშტაბიანი დანაშაულებრივი წამოწყება ემყარება ექსპლიციტურ თუ იმპლიციტურ (აშკარად გამოხატულ თუ ნაგულისხმევ) პოლიტიკას და რომლის აღსრულება ხდება ბიუროკრატიული თუ ადმინისტრაციული მექანიზმებით. რუანდის ტრიბუნალი სისტემატურობას განსაზღვრავს, როგორც „ძალადობის აქტების ორგანიზებულ ხასიათს, ურომლისოდაც მათი შემთხვევით განხორციელება წარმოუდგენელი იქნებოდა"[64]. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო თავის მხრივ განმარტავს, რომ ბოროტმოქმედთა (თავდამსხმელთა) მხრიდან მიზნების ზუსტად განსაზღვრა მიანიშნებს ძალადობის გეგმაზომიერ და სისტემატურ ხასიათზე[65]. ისტორიიდან ასეთად შეიძლება დასახელდეს მაგალითად მესამე რაიხში ნიურნბერგის კანონები, აგრეთვე გარკვეული ჯგუფებისთვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობისა და კანონებით სარგებლობის აკრძალვა.

რაც შეეხება ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ისეთ კომპონენტს, როგორიცაა თავდასხმა (ხელყოფა) უნდა ითქვას, რომ როგორც ეს იუგოსლავიის ტრიბუნალმა რადოვან კარაჯიჩის საქმეზე აღნიშნა, იგი (თავდასხმა) „კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კონტექსტში არ შემოიფარგლება შეიარაღებული ძალის გამოყენებით, არამედ მოიცავს სამოქალაქო მოსახლეობისადმი ნებისმიერ სასტიკ მოპყრობას"[66].

საგულისხმოა, რომ რუანდის საერთაშორისო ტრიბუნალის განმარტების თანახმად, „თავდასხმა თავისი ხასიათით ასევე შეიძლება იყოს არაძალადობრივი, მაგალითად აპართეიდის სისტემის შემოღება **...ან ზეწოლის მეშვეობით მოსახლეობის იძულება იქცეოდეს ამა თუ იმ გარკვეული ფორმით, რაც შესაძლოა მასიურად ან სისტემატურად განხორციელების შემთხვევაში ჯდებოდეს თავდასხმის ცნების ფარგლებში**[67]. ჩვენი თვალსაზრისით, სწორად მსგავს მოპყრობას აქვს

63. Prosecutor v. Katanga and Ngudjolo, ICC PT. CH. I, ICC-01/04-01/07-717, Decision on the Confirmation of Charges, 30 September 2008, para.394; Prosecutor v. Gbagbo, ICC PT.Ch. I, ICC-02/11/-01/11-656-Red, 12 June 2014,para 222.

64. ICTR, Prosecutor v. Galele, „Judgement„, ICTR-2000-61-T, 31 March 2011, para. 631. See also ICTR, Prosecutor v. Ndindiliyimana et al., „Judgement„, ICTR-00-56-T, 17 May 2011, para. 2087; ICTR, Prosecutor v. Nyiramasuhuko et al., „Judgement„, ICTR-98-42-T, 24 June 2011, para. 6040; ICTR, Prosecutor v. Bizimungu et al., „Judgement„, ICTR-99-50-T, 30 September 2011, para. 835; ICTR, Bagosora and Nsengiyumva v. Prosecutor, „Appeals Judgement„, ICTR-98-41-A, 14 December 2011, para. 389.

65. ICC, Prosecutor v. Muthaura, Kenyatta and Ali, „Decision on the confirmation of charges„, ICC-01/09-02/11, 23 January 2012, para. 176 .

66. Prosecutor v. Radovan Karadžić, Case No. IT-95-5/18-T, Public Redacted Version of Judgement Issued on 24 March 2016 – Volume I of IV (TC), 24 March 2016, para 473.

67. ICTR, Prosecutor v. Musema, „Judgement„, ICTR-96-13-T, 27 January 2000, para. 205; ICTR, Prosecutor

ადგილი დღეს აფხაზეთში. გარდა ამისა თავად ჰააგის სასამართლო „თავდასხმას" განმარტავს როგორც „ყოფაქცევას" (course of conduct). წინასასამართლო სხდომების პალატამ საქმეში Prosecutor v. Bemba მიიჩნია, რომ ეს ტერმინი უკავშირდება „კამპანიას ან ოპერაციას"[68]. თავად სტატუტიც ამ ტერმინით განსაზღვრავს თავდასხმას, (იხ. მუხლი 7, 2a; აგრეთვე მუხლი 101.1.). გასათვალისწინებელია, რომ მე-7-ე მუხლის პირველ პუნქტით გათვალისწინებული ქმედების განხორციელება, თავისთავად წარმოადგენს „თავდასხმას" და „თავდასხმის" დასადასტურებლად სხვა დამატებით კრიტერიუმს ვიდრე აკრძალული ქმედების განხორციელებაა, არ საჭიროებს. საკითხისადმი ასეთი მიდგომა დააფიქსირა რუანდის საერთაშორისო ტრიბუნალმა აკაეზუს საქმეში, კერძოდ მან განმარტა, რომ თავდასხმის ცნება შეიძლება განისაზღვროს როგორც უკანონო ქმედება ჩამოთვლილი ნესდების მე-3-ე (a) ... თავდასხმა შეიძლება თავისი ბუნებით იყოს არაძალადობრივი ხასიათის[69]. რაც შეეხება ტერმინს „ნებისმიერი სამოქალაქო მოსახლეობა" საერთაშორიოს სისხლის სამართლის სასამართლოს თანახმად „მაკვალიფიცირებელი ელემენტი „ნებისმიერი სამოქალაქო მოსახლეობა" განიმარტებოდა როგორც ეროვნული, ეთნიკური, თუ სხვა ...ნიშნით განსხვავებული ჯგუფები. სასამართლო პალატის თვალსაზრისით, სამოქალაქო მოსახლეობად ჯგუფები აგრეთვე შეიძლება განისაზღვროს მათი პოლიტიკური კუთვნილების საფუძველზე"[70].

რომის სტატუტის შესაბამისად, დევნაში გამოხატული ადამიანურობას წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ერთერთი უმთავრესი ელემენტია – „სხვა დანაშაულთან კავშირი". იქიდან გამომდინარე, რომ ხსენებული კავშირი დევნაში გამოხატულ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულსა და სტატუტის განსჯად სხვა დანაშაულთან უნდა არსებობდეს მხოლოდ ობიექტურად, იმ შემთხვევაში თუ ეს „სხვა დანაშაული" აგრესიის დანაშაულია, „დევნის" აქტები, მაშასადამე დანაშაულებრივი ქმედებანი, უნდა წარმოადგენდეს აგრესიის დანაშაულზე სტატუტის იურისდიქციის შემდეგ ჩადენილ ქმედებებს, ვინაიდან სტატუტის მიხედვით (მუხლი 7) „დევნა" კავშირში უნდა იყოს „სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ ერთ-ერთ დანაშაულთან". წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა კავშირის დადგენა ისეთ დანაშაულთან, რომლის ცნებაც სტატუტის მიერ არ იყო განსაზღვრული და რომელზეც არ ვრცელდებოდა იურისდიქცია. სხვა სიტყვებით დევნის დანაშაული აქ უკავშირდება აგრესიის დანაშაულის მატერიალურ ელემენტს, მის შემადგენლობას ratione materia და

v. Rulaganda, „Judgement„, ICTR-96-3-T, 6 December 1999. para. 70, citing ICTR, Prosecutor v. Akayesu, „Judgement„, ICTR-96-4-T, 2 September 1998, para. 581.

68. Prosecutor v. Bemba, ICC PT. Ch.II,ICC-01/05-01/08-424, 15 June 2009,para.75.

69. Akayezu ICTR-96-4,ICTR T. CH., 2 September 1998, para.581.

70. ICC, Prosecutor v. Muthaura, Kenyatta and Ali, „Decision on the Confirmation of charges„, ICC-01/09-02/11-382-Red, 23 January 2012, para. 110.

მასზე განსჯადობის გავრცელებას ratione temporis. აგრესიასთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ ტერიტორიის ოკუპაცია საერთაშორისო სამართლის მიხედვით აგრესიის დანაშაულის შემადგენელი ელემენტია. ის რომ ეს ასეა, მაშასადამე კი, რომ ოუპაცია აგრეიის ფორმაა, თავად რომის სტატუტშია დადასტურებული, კერძოდ კი მის ე-8-ე (bis) მუხლში, რომლის თანახმად, სტატუტის მიზნებისათვის აგრესიის დანაშაული ომის გამოცხადებისგან დამოუკიდებლად, ნიშნავს ...“ერთი სახელმწიფოს შეიაღებული ძალების შეჭრას მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ან ნებისმიერ სამხედრო ოკუპაციას, თუნდაც დროებითს, რომელიც ამგვარი შეჭრის შედეგია, ან ძალის გამოყენებით სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნაწილის ნებისმიერი სახის ანექსიას.“ იმ შემთხვევაში, როდესაც რომის სტატუტის წევრი სახელმწიფო (ამ შემთხვევაში საქართველო) ფლობს ინფორმაციას მის ტერიტორიაზე ისეთი საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულებრივი ფაქტების არსებობის შესახებ, როგორიცა ეთნიკური ჯგუფის თუ სხვა ერთობისათვის გადაადგილების, ბინადრობისა და საკუთრების, საკუთარ ენაზე განათლების მიღების, საკუთარ ენაზე აღმსარებლობისა თუ გამოხატვის, ქორწინების, დაბადების რეგისტრაციის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თუ სხვა ფუნდამენტური უფლებების სერიოზული ხელყოფა, განხორციელებული დისკრიმინაციულ ნიადაგზე, რომელიც ამავდროულად არის მასშტაბიანი და სისტემატური ხასიათისა და უკავშირდება სხვა საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულს, მაგალითად აგრესიას, ვალდებულია გამოიძიოს აღნიშნული დანაშაული და დააკისროს სისხისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მის ჩამდენთ. ხოლო იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნდება, რომ იგი მოკლებულია სავარაუდო დამნაშავეების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების უნარს, სტატუტის მე-14-ე მუხლის შესაბამისად უნდა მიმართოს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შექმნილი ვითარების შესახებ. ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განხორციელებული რიგი ფუნდამენტური უფლებების უხეში დარღვევა, რაც ხორციელდება დისკრიმინაციულ ნიადაგზე, ამავდროულად მოიცავს ფართო მასებს და აქვს სისტემატური ხასიათი, ოკუპაციის პირობებში ქმნის სტატუტით გათვალისწინებული ადამიანურობის წინააღმდეგ დევნაში გამოხატული დანაშაულის შემადგენლობას.

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისმა უწყებებმა, შეძლებისდაგვარად უნდა შეაგროვონ ინფორმაცია ასეთ ვითარებაში კონკრეტული დანაშაულისა თუ კონკრეტული ამსრულებლების შესახებ, დაიწყონ გამოძიება და თავის მხრივ შეაფასონ ამ ქმედებათა სიმძიმე. იურისდიქციის განხორციელების უუნარობის შემთხვევაში ინფორმაციით მიმართონ სასამართლოს, იურისდიქციის განხორციელების მოთხოვნით.

Jemal Gamakharia
Doctor of Historical Sciences
Nodar Topuridze
Doctor of Law

HUMAN RIGHTS VIOLATIONS IN ABKHAZIA, GEORGIA - CRIME AGAINST HUMANITY

I

Abkhazia is an Autonomous Republic of Georgia, its most ancient historical region and one of the cradles of Georgian civilization[1]. After the Hybrid War having place from the 14th of August of 1992 to 30th September of 199, Russian federation occupied Abkhazia. From the very first days of the military actions the occupant country carried out the purposeful policy of ethnic cleansing and genocide. The Georgian Parliament revealed and criticized the above mentioned policy in the Statement made on December 22, as well as in the Appeal to the UNDP,OSCE and International Organizations of Human Rights made on April 1st of 1993 and in the Parliament Resolution made on the 1st and 27th of April of the year of 1993[2]. The military actions and occupation of the territory of Abkhazia were followed by the mass massacre, torture and deportation of the peaceful Georgian population[3]. According to the official data, the population of Abkhazia, comprising 535 thousands of people before the conflict was reduced ბყ 72.7 %. In total, the number of people forcedly expelled from Abkhazia is 3, 5 higher than those remaining there[4].

At the OSCE Summits on 6 December 1994 in Budapest, on 3 December 1996 in Lisbon and on 18 November 1999 in Istanbul[5], events having place in Autonomous Abkhazia were qualified as ethnic cleansing. Such an assessment was formally shared by official Moscow.

Nevertheless, Russia's alleged peacekeeping mission in Abkhazia (1994-2008) under the auspices of the United Nations and on behalf of the Commonwealth of the Independent States not only failed to fulfill its mandate, but also legitimized ethnic cleansing and deepened the conflict.

1. Essays from the History of Georgia. Abkazia. Jemal Gamakharia, Tamaz Beradze, Teimuraz Gvantseladze... Tbilisi, 2011. http://abkhazia.gov.ge/files/eLibrary/Eng/15.pdf
2. Abkhazian issue in the official documents (1989-1999), part I. Tbilisi, 2000, გვ. 107, 151, 152, 169-170.
გენოციდი კვლავ ითვლება ყველაზე საზარელ საერთაშორისო დანაშაულად,[1] ხოლო ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული უფრო გამოკვეთილი სამართლებრივი კონცეფციაა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს საქმიანობაში. სასამართლოს განსახილველი 27 საქმიდან, 18 მოიცავს ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში ბრალდებებს, მაშინ როდესაც, მხოლოდ ერთია გენოციდის ბრალდება.[2] კერძოდ, დარფურში, სუდანში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით, სასამართლომ გამოსცა დაპატიმრების ოთხი ბრძანება იმ დანაშაულისათვის, რომელიც სავარაუდოდ ჩადენილ იქნა ოფიციალური პირებისა და გაერთიანებული ჯანჯავადის მილიციის წევრების მიერ ფურის, მასალიტისა და ზაღავას ტომების წევრების წინააღმდეგ.[3] მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ქმედებანი იდენტური ან ურთიერთმომცველია, მხოლოდ ერთი ორდერი – ომარ ალ ბაშირის წინააღმდეგ – მოიცავს გენოციდის ბრალდებას. უკანასკნელ პერიოდში, 2019 წლის ივლისში, პროკურორმა უფლებამოსილება მოითხოვა სასამართლოს წინასწარი განხილვის

1. რუანდას საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი, სასამართლო პალატა (Trial Chamber), პროკურორი ჟან კამბანდას წინააღმდეგ, Judgment and Sentence, 4 სექტემბერი 1998, ICTR-97-23-S, პარაგრაფი. 16 (ეხება გენოციდს როგორც „დანაშაულთა დანაშაულს„); საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიისათვის, სააპელაციო პალატა (Appeals Chamber), პროკურორი *Radislav Krstić-ის წინააღმდეგ*, Judgment, 19 აპრილი, 2004, IT-98-33-A, მუხლები 36-37; W. Schabas, „გენოციდი საერთაშორისო სამართალში„: დანაშაულთა დანაშაული (ნიუ იორკი: Cambridge University Press, მეორე გამოცემა, 2009), 10-12; C. Kreß, 'გენოციდის დანაშაული საერთაშორისო სამართლის მიხედვით', (2006) 6 საერთაშორისო სისხლია სამართალი. მიმოხილვა461, at 463-464.

2.. 2019 წლის 3 ოქტომბრის მდგომარეობით, დახურული ან შეჩერებული საქმეების ჩათვლით

3. ნინა-სასამართლო პალატა I, პროკურორი აჰმად მუჰამად ჰარუნის წინააღმდეგ *(„Ahmad Harun")* და ალი მუჰამად ალი აბდ-ალ-რაჰმანი *(„Ali Kushayb")*, Decision on the Prosecution Application under Article 58(7) of the Statute, 27 აპრილი, 2007, ICC-02/05-01/07-1-Corr (შემდეგში მითითებული, როგორც ჰარუნ და ალი კუშაიბები , მუხლი 58 გადანყვეტილება); პროკურორი ომარ ჰასან აჰმად ალ ბაშირის წინააღმდეგ Decision on the Prosecution's Application for a Warrant of Arrest against Omar Hassan Ahmad Al Bashir, 4 მარტი 2009, ICC-02/05-01/09-3; Second Decision on the Prosecution's Application for a Warrant of Arrest, 12 იულისი 2010, ICC-02/05-01/09-94; პროკურორი აბდელ რაჰემ მუჰამად ჰუსეინის წინააღმდეგ, Public redacted version of „Decision on the Prosecutor's application under article 58 relating to Abdel Raheem Muhammad Hussein". 1 მარტი 2012, ICC-02/05-01/12-1-Red, მუხლები 3-4 (შემდეგში მოხსენიებული, როგორც ჰუსეინის მუხლი 58 გადანყვეტილება).

პალატიდან, რათა დაეწყო იმ დანაშაულთა გამოძიება, რომლებიც 2016 წლის ოქტომბრის შემდეგ იქნა ჩადენილი მიანმაში როჰინგიელთა წინააღმდეგ.[4] მაშინ როდესაც ამა თუ იმ დაწესებულებამ ჩატარებული კვლევების საფუძველზე ხსენებული ქმედებები სავარაუდო გენოციდად შეაფასა,[5] პროკურორმა მოამზადა მხოლოდ დეპორტაციის, დევნისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენელი სხვა არაადამიანური ქმედებების ბრალდებები.[6] რა იწვევს ამ შეუთავსებლობას? საინტერესოა, რად აღემატება ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული გენოციდს, სასამართლოს მიერ განსახილველ ვითარებებსა და საქმეებში?

ამ კითხვას ნათლად პასუხობს თავად გენოციდის დანაშაულის არსი, კერძოდ კი, სამიზნე ჯგუფის სრულად ან ნაწილობრივ განადგურების წადილი. მოთხოვნა განსაკუთრებით მკაცრია და საოცრად რთული დასამტკიცებლად.[7] სწორად ეს შეიძლება წარმოადგენდეს პროკურორის მიერ სუდანში, დარფურში, ომარ ალ ბაშირისა და არა სხვა ეჭვმიტანილთა წინააღმდეგ გენოციდის ბრალდების შერაცხვის მიზეზს. თუმცა, მხოლოდ სპეციფიური განზრახვის განხილვა როდი გვიჩვენებს სრულ სურათს.

წინამდებარე სტატია გვიჩვენებს კიდევ ორ მიზეზს იმისა, თუ რატომ აღმოჩნდა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული სასამართლოს მართლმსაჯულების ყურადღების ცენტრში, გენოციდისათვის განსჯასთან შედარებით. უწინარეს ყოვლისა, სასამართლოს განსახილველი საქმენი და ვითარებანი უმეტესწილად უკავშირდება რეალურ თუ აშკარა პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ განხორციელებულ თავდასხმებს, რომლებიც იმთავითვე გამოირიცხებიან გენოციდის მსხვერპლთა დაცვის სფეროდან. მეორეს მხრივ, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენელ აკრძალულ ქმედებათა რაოდენობა, მნიშვნელოვნად აღემატება გენოციდით გათვალისწინებულ ქმედებებს, რაც სასამართლოს საჟარაუდო დანაშაულებრივ ვითარებებში ჩარევის მეტ საშუალებას აძლევს, ვიდრე გენოციდი. სახელდობრ, სტატია ყურადღებას ამახვილებს დევნაში გამოხატულ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე, ვინადიან სწორად დევნა დგას ყველაზე ახლოს გენოციდთან თავისი დისკრიმინაციული განზრახვით. სტატიაში ეს ორი დანაშაული

4. პროკურორი, მდგომარეობა ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკაში/მაიანმარის კავშირის რესპუბლიკა Request for authorisation of an investigation pursuant to article 15, 4 July 2019, ICC-01/19-7. წერის დრო- პროკურორის მოთხოვნა კელავ მოცდის რეჟიმში იყო Pre-Trial Chamber III -ში.

5. იხ. მაიანმარის შესახებ დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტების დადგენის მისიის დეტალური შედეგების ანგარიში, 2018 წლის 17 სექტემბერი, UN Doc. A/HRC/39/CRP.2, მუხლი. 1441, რომლის თანახმად, „არსებით საფუძველზე, [...] არსებობს გენოციდის განზრახვის ფაქტორებს".

6. Bangladesh/Myanmar Article 15 Request, *supra* note 4, paras 4, 75, 85 *et seq.*

7. L. N. Sadat, 'კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულები თანამედროვე სამყაროში', (2013) 107 *American Journal of International Law* 334, at 339-340.

ერთმანეთთან შედარებული იქნება (ა) დაცულ ჯგუფთა (ნაწილი II); აგრეთვე (ბ) დანაშაულის შემადგენელ აკრძალულ ქმედებათა მიხედვით (ნაწილი III).

II. დაცული ჯგუფები

რომის სტატუტის[8] მე-6 მუხლი, რომელიც ეთმობა გენოციდის დანაშაულის ცნებას, მოიცავს იმავე ოთხ დაცულ ჯგუფს, რომელსაც 1948 წლის გენოციდის პრევენციისა და დასჯის კონვენციის[9] მეორე მუხლი იცავს – ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი და რელიგიური ჯგუფები:

სტატუტის მიზნებისათვის, „გენოციდი" ნიშნავს ნებისმიერ ქვემოთ მოცემულ ქმედებას, ჩადენილს ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის, როგორც ასეთის, სრულად ან ნაწილობრივ განადგურების მიზნით. [...].

რომის სტატუტის შექმნის პროცესში, ზოგიერთმა სახელმწიფოს დელეგაციამ მხარი დაუჭირა გენოციდის ცნებაში სოციალური და პოლიტიკური ჯგუფების დამატებას. თუმცა, სხვებმა უარყვეს ეს მოსაზრება და ამ წინანდადებამ საკმარისი მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. ამ წინადადების მოწინააღმდეგეებმა უარი გამოთქვეს გადაეხვიათ გენოციდის კონვენციით განსაზღვრული ცნებიდან, რომელიც ჩვეულებითი სამართლის თვალსაზრისით[10] უკვე წარმოადგენდა ყველა სახელმწიფოსათვის სავალდებულოდ დასაცავ ქცევის წესს. სანაცვლოდ, შემოთავაზებულ იქნა რომ სოციალური, პოლიტიკური და სხვა ჯგუფების წევრების წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებანი, რომლებიც არ ექცეოდნენ გენოციდის დანაშაულის შემადგენლობაში, უნდა მოთავსებულიყვნენ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნებაში.[11]

სწორად ეს გადაწყვეტილება, არ გაფართოვებულიყო გენოციდის ცნება დაცულ ჯგუფთა თვალსაზრისით, გახდა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მართლმსაჯულების, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულით დატვირთვის ძირითადი მიზეზი.

---

8. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს რომის სტატუტი, 17 ივლისი, 1998, 2187 UNTS 3. 9.მიიღეს 1948 წლის 9 დეკემბერს. ძალაშ შევიდა 12 იანვარს, 1951, 78 UNTS 277.

10. M. Cherif Bassiouni, *The Legislative History of the International Criminal Court* (Ardsley, New York: Transnational Publishers, 2005), Vol. I, at 149, and Vol. II, at 42; W. Schabas, 'Article 6: Genocide', in O. Triffterer and K. Ambos (eds), *The Rome Statute of the International Criminal Court: A Commentary* (München: C.H. Beck, 2016), at 135; H. von Hebel and D. Robinson, '*Crimes within the jurisdiction of the Court*', in R. S. Lee (ed.),*The International Criminal Court – The Making of the Rome Statute: Issues, Negotiations and Results* (The Hague: Kluwer Law International, 1999), at 89-90.

11. Bassiouni,*Legislative History*,*supra* note 10, Vol. II, at 42; *see also*Report of the Preparatory Committee on the Establishment of an International Criminal Court, in Official Records of the United Nations Diplomatic Conference of Plenipotentiaries on the Establishment of an International Criminal Court, Rome, 15 June – 17 1998 წლის იელისი. ტომი. III, მუხლი 14. note 11, UN Doc. A/CONF.183/13(Vol. III), რომლის თანახმად: „მოსამზადებელი კომიტეტი ინიშნავს ყურადღებას მიაქცევს შეთავაზებას, რომ მოხდეს იმ შესაძლებლობის შემოწმება, რომ მოეიაზროთ 'სოციალური და პოლიტიკური' ჯგუფები კაცობრობის წინაშე ჩადენილი დანაშაულების კონტექსტში„.

რომის სტატუტის 7(1)(h) და (2)(g) მუხლი დევნას განმარტავს, როგორც „საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგოდ, ამა თუ იმ ჯგუფის ან ერთობისადმი კუთვნილების ნიშნით ძირითად უფლებათა განზრახ და სერიოზულ ხელყოფას". ნებისმიერი იდენტიფიცირებადი ჯგუფის ან ერთობის წინააღმდეგ პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, გენდერული, (როგორც ეს მესამე პუნქტშია განმარტებული) ნიშნით ან საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ დაუშვებლად მიჩნეული საფუძვლით [...].

დევნა, როგორც ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული მნიშვნელოვნად აფართოვებს დაცულ ჯგუფთა სიას. იგი ამას ორი გზით ახდენს: (i) ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი და რელიგიური საფუძვლების დარად, დევნის მოტივად მკაფიოდ აღიარებს – პოლიტიკურ, კულტურულ და გენდერულ საფუძვლებს; და (ii) „საერთაშორისო სამართლით დაუშვებლად აღიარებული სხვა ნებისმიერ საფუძველზე [...]" მინიშნებით. ეს სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს გააფართოვოს სხვა ჯგუფთა დაცვა ანალოგიის საშუალებით და ეს ჩამონათვალი დატოვოს ღიად.[12]

პოლიტიკური ჯგუფების ღიად აღიარება არ წარმოადგენს სიახლეს,[13] იგი აუცილებელი გახდა სასამართლოს წინაშე გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნისათვის. სასამართლოსათვის წარდგენილი 13 საქმიდან, რომელიც მოიცავს დევნის ბრალდებებს, რვა, პოლიტიკური, სამი – ეთნიკური, ხოლო ორი – რელიგიური თუ სხვა, მათ შორის სქესობრივი (გენდერული)[14] მოტივით არის განპირობებული. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში იმ საქმეთა რაოდენობის სიჭარბე, რომლებიც პოლიტიკური მოტივით დევნას მოიცავს, თავიდანვე არ გამოაშკარავებულა. ადრინდელ ვითარებებში, განსაკუთრებით კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და სუდანში, დარდუფში, გამოსაძიებელი დანაშაული მეტწილად ეთნიკური საბაბით იყო ჩადენილი.[15] თუმცა 2010 წელს,

12. W. Schabas, *The International Criminal Court: A Commentary on the Rome Statute* (New York: Oxford University Press, 2010), at 177.

13. ნიურნბერგის ქარტია, ისევე, როგორც შესაბამისი ტრიბუნალების წესდებები, პოლიტიკური საბაბით არსებულ დევნას აღიარებდა, როგორც დანაშაულს კაცობრიობის წინაშე; იხ., საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის ქარტიის მუხლი 6(c). რომელიც დანართის სახით ერთვის გაერთიანებული სამეფოს დიდ ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის 1945 წლის შეთანხმებას, აშშ-ს მთავრობა, საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა (the Provisional Government of the French Republic) და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მთავრობა ევროპული ღერძის მთავარი ომის დამნაშავეების დევნა და დასჯისთვის(1945) 82 UNTS 279 (the Government of the Union of Soviet Socialist Republics for the Prosecution and Punishment of the Major War Criminals of the European Axis (1945) 82 UNTS 279); მუხლი 5. საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის მე-5 მუხლი ყოფილი იუგოსლავიისათვის, რომელიც მიიღო უშიშროების საბჭომ რეზოლუცია 827, 1993 წლის 25 მაისს; მუხლი 3, საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი რუანდასათვის წესდება, მიიღო უშიშროების საბჭომ რეზოლუციით 955, 1994 წლის 8 ნოემბერს.

14. 2019 წლის 3 ოქტომბრის მონაცემებით, დახურული და შეჩერებული სამქეების ჩათვლით.

15. Harun and Ali Kushayb მუხლი 58 გადაწყვეტილება,*supra* note 3; Hussein მუხლი 58 Decision,*supra* note 3; Trial Chamber IV, *Prosecutor v. Bosco Ntaganda*, Judgment, 8 ივლისი, 2019, ICC-01/04-02/06-2359, მუხლები 749-752, 1012 *et seq* (შემდეგში, როგორც Ntaganda-ს სასამართლოს დადგენილება (Trial Judgment).

სასამართლოს წინასწარი განხილვის პალატის ავტორიზებით, პროკურორმა კენიაში შექმნილი ვითარების გამოძიება დაიწყო, რომელიც 2007/2008 წლების არჩევნების შემდგომ პერიოდში განხორციელებულ ძალადობას ეხებოდა.[16] კენიის ვითარება პირველთაგანი იყო, სადაც პოლიტიკურ ოპონენტთა წინააღმდეგ სავარაუდო დანაშაულის ჩადენა მოყვა სადავო არჩევნებს, დემონსტრაციებს და რევოლუციებს.

კენიაში არჩევნების გაყალბების ეჭვით ნაკარნახები ძალადობა, 2007 წლის 30 დეკემბერს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გამოცხადებას მოყვა. რვიდან ექვს პროვინციაში, ორი მთავარი პოლიტიკური პარტიის – ნარინჯისფერი დემოკრატიული მოძრაობის და ეროვნული ერთობის პარტიის წევრები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ძალადობას მოჰყვა მკვლელობა, გაუპატიურება და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმები, მოსახლეობის იძულებით გადაყვანა და სხვა არადამიანური ქმედებანი[17]. დამნაშავეებმა პირდაპირი იერიში მიიტანეს გარკვეული ეთნიკური ჯგუფების წევრებზე. ნარინჯისფერი დემოკრატიული მოძრაობის მხარდამჭერებმა მიზანში ამოიღეს არა-კალენჯინის ტომები (კონკრეტულად, კიკუის, კისიის, ლუჰიასა და მერუს ეთნიკური თემის წარმომადგენლები), ხოლო ეროვნული ერთობის პარტიის მხარდამჭერთა სამიზნედ იქცნენ არა-კიკუის თემები, განსაკუთრებით კალენჯინის, ლუოს და ლუჰუას ეთნიკური თემის წარმომადგენლები. თუმცა, ეთნიკურობა სულაც არ წარმოადგენდა თავდასხმის რეალურ საფუძველს, არამედ პოლიტიკური კუთვნილების მანიშნებელი იყო. წინასწარი განხილვების მეორე სასამართლო პალატამ, რომელმაც თავის 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით უფლებამოსილება მიანიჭა პროკურორს გამოეძია ეს საქმე, სწორად იმ ასპექტზე გაამახვილა ყურადღება, რომ თავდასხმის მიზეზი, ორ ძირითად პოლიტიკურ პარტიათაგან ერთ-ერთის მხარდაჭერა გახდა.[18]

კენიის ვითარების გამოძიების დაწყებიდან ერთი წელი არ იყო გასული, რომ 2011 წლის 26 თებერვალს, გაერო–ს უშიშროების საბჭომ ლიბანში არსებული სიტუაცია გადასცა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს[19]

---

16. წინა-სასამართლო პალატა Pre-Trial Chamber II, სიტუაცია კენიის რესპუბლიკაში, რომის წესდების მე-15 მუხლის შემდგომი გადაწყვეტილება გამოძიების ავტორიზაციისათვის კენიის რესპუბლიკაში არსებულ სიტუაციაში, 2010 წლის 31 მარტი, ICC-01/09-19-Corr (შემდეგში, როგორც კენიის მე-15 მუხლის გადაწყვეტილება).
17. Kenya Article 15 Decision, *supra* note 16, paras 102-106, 139 *et seq*.
18. Kenya Article 15 Decision, *supra* note 16, paras 110-112. პროკურორმა მოიტანა 2 ძირითადი საქმე, რომლებიც კენიის სიტუაციიდან გამომდინარეობს, 6 ეჭვმიტანილის წინააღმდეგ, მოიცავს დევნის ბრალდებებს პოლიტიკურ ნიადაგზე: პროკურორი იულიამ სამოი სოტოს წინააღმდეგ, პენრი კიპრონო კროსი და ჯოშუა არაპ სანგი (ICC01/09-01/11) და პროკურორი ფრანსის კირიმი მუტაურას წინააღმდეგ, უშურუ მიუგაი კენიატა და მოჰამედ ჰუსეინ ალი (ICC-01/09-02/11) (ეს გამორიცხავს 2 საქმეს, რომლებიც ეხება დარღვევებს სამართლიანობის ადმინისტრირების წინააღმდეგ). არც ერთ მათგანს არ მოპყოლია ბრალდება, ვინაიდან ბრალდებები არ დადასტურდა, არ გათავისუფლდა ან გამოითხოვეს.
19. გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუცია 1970 (2011), 2011 წლის 26 თებერვალი, UN Doc. S/RES/1970 (2011), მუხლები 4-8.

და 2011 წლის 27 ივნისს, სასამართლომ გასცა მუამარ კადაფის[20], საიფ ალ–ისლამ კადაფისა და აბდულა ალ სენუსის პირველი დაპატიმრების ორდერი. ორდერი ითვალისწინებდა 2011 წლის 5 თებერვლიდან მინიმუმ 28 თებერვლამდე ლიბიაში განხორციელებულ ადამიანურობის წინაარმდეგ მიმართულ დანაშაულს დისიდენტებისა და სამოქალაქო პირების წინააღმდეგ, რომლებიც მონაწილეობდნენ მუამარ კადაფის წინააღმდეგ დემონსტრაციებში და რომლებზე თავდასხმაც განპირობებული იყო რეჟიმთან მათი (რეალური თუ აღქმული) დაპირისპირებით.[21]

სასამართლოს მხრიდან ვითარებებში ჩარევა გაგრძელდა იმავე წელს 2011 წლის 5 ნოემბერს კოტ-დივუარის სიტუაციის გამოძიებით. კოტ დივუარის ვითარებამ ბევრი მსგავსება დაგვანახა კენიის სიტუაციასთან: იგი ეხებოდა განცხადებულ დანაშაულს ადამიანურობის წინააღმდეგ, რომელიც ჩადენილ იქნა სადავო საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ 2010 წლის ოქტომბრის/ნოემბრის ბოლოს იმ ძალთა მიერ, რომელნიც მხარს უჭერდნენ ორ ძირითად კანდიდატს – ლაურენტ გბაგბოს და ალასანე უატარას. კენიის მსგავსად, შეტევები ხშირად ხორციელდებოდა კონკრეტული ეთნიკური ან რელიგიური ერთობების წინააღმდეგ, თუმცა ეთნიკურობა და რელიგია პოლიტიკური კუთვნილების ნიშანს ნარმოადგენდა.[22]

ამ მიმართულებით ყველაზე ახალი მაგალითი ბურუნდის ვითარების გამოძიებაა, რომელიც პროკურორმა, სასამართლოს წინასწარი განხილვის პალატის ხელდასმით, 2017 წლის 25 ოქტომბერს წამოიწყო. გამოძიებას საფუძვლად დაედო მოვლენები, რომლებიც თან სდევდნენ 2015 წლის 25 აპრილს მმართველი პარტიის მიერ პრეზიდენტ პიერ ნკურუნზიზას მესამე ვადით არჩევის შესახებ განცხადებას. ეს გადაწყვეტილება არაკონსტიტუციურად იქნა აღქმული და დემონსტრაციები მოჰყვა. სავარაუდოდ, არჩევნების შემდგომ პერიოდში ბურუნდის სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტის და მმართველი პარტიის ახალგაზრდული ფრთის (იმბონერაკურეს) წევრები მონაწილეობდნენ იმ სამოქალაქო პირთა, ოპოზიციონერთა, სამოქალაქო საზოგადოების წევრთა, ჟურნალისტთა

20.დაპატიმრების გარანტია მუამარ კადაფის წინააღმდეგ გამოითხოვეს 2011 წლის 22 ნოემბერს, მისი სიკვდილის შემდეგ.

21. Pre-Trial Chamber I, *Situation in the Libyan Arab Jamahiriya*,Decision on the „Prosecutor's Application Pursuant to Article 58 as to Muammar Mohammed Abu Minyar GADDAFI, Saif Al-Islam GADDAFI and Abdullah ALSENUSSI", 27 June 2011, ICC-01/11-12.

22. ნინა სასამართლო პალატა III, სიტუაცია კოტ-დივუარში, Corrigendum to „Decision Pursuant to Article 15 of the Rome Statute on the Authorisation of an Investigation into the Situation in the Republic of Côte d'Ivoire", 2011 წლის 15 ნოემბერი, ICC-02/11-14-Corr, პუნქტები 41, 95. პროკურორმა მოიტანა 2 საქმე. რომლებიც წარმოიშვა კოტ-დივუარის სიტუაციიდან, სამი ეჭვმიტანილის წინააღმდეგ, რაც, სხვათა შორის, მოიცავდა დაკვნის ბრალდებებს პოლიტიკურ საფუძველზე: პროკურორი ლაურენტ გბაგბოს და *Charles BléGoudé-ის* წინააღმდეგ (ICC-02/11-01/15) და პროკურორი სიმონე გბაგბოს წინააღმდეგ (ICC-02/11-01/12). არც ერთ საქმეს ჯერ-ჯერობით არ მოუტანია ბრალდება. ბატონები გბაბაო და BléGoudé სასამართლომ გაანთავისუფლა 2019 წლის 15 იანვარს და ქ-ნი გაბაოს წინააღმდეგ დაპატიმრების ორდერი ჯერ კიდევ არ არის აღსრულებული.

და ოპოზიციის შეიარაღებული დაჯგუფებების გულშემატკივართა მკვლელობაში, დაპატიმრებაში, წამებაში, გაუპატიურებაში და გაქრობაში, რომლებიც აღიქმებოდნენ მმართველი პარტიის ოპონენტებად და პრეზიდენტ მკურნუნზიზას მესამე ვადით პრეზიდენტად არჩევის მოწინააღმდეგეებად.[23]

ზემოთ აღწერილი ვითარებანი ააშკარავებს თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს დევნაში გამოხატული ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული სასამართლოს ფუნქციონირებაში. დღესდღეობით, სასამართლოს წინაშე განსახილველი ვითარებანი, მართალია არა მთლიანად,[24] თუმცა მეტწილად განპირობებულნი არიან პოლიტიკურ კუთვნილებასთან დაკავშირებული ბრძოლებით. დისკრიმინაციის საფუძვლად პოლიტიკური მოტივების აღიარებით, დევნაში გამოხატული დანაშაული სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს მოიცვას ვიქტიმიზაციის ეს კონკრეტული მოდელი, რის შესაძლებლობასაც გენოციდი არ იძლევა.

III. განმსაზღვრელი აკრძალული ქმედებანი

დაცული ჯგუფების ჩამონათვალი არ გვეველინება იმ ერთადერთ ასპექტად, რომელიც დევნაში გამოხატულ ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულს, დაცულობის მრავალფეროვნების თვალსაზრისით გენოციდზე მეტ ძალას ანიჭებს. ქმედებათა კრიმინალიზაციის თვალსაზრისითაც, დევნას, გამოყენების უფრო ფართე სივრცე აქვს.

გენოციდის შემთხვევაში დაცული ჯგუფების ჩამონათვალის მსგავსად, განმსაზღვრელ ქმედებათა სიაც შეზღუდულია. რომის სტატუტის მე-6 მუხლი ითვალისწინებს შემდეგ 5 ქმედებას: (a) მკვლელობა; (b) მძიმე ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანის მიყენება; (c) ჯგუფისთვის განზრახ ისეთი პირობების შექმნა, რაც მიზნად ისახავს მის ფიზიკურ განადგურებას; (d) ისეთი ზომების გატარება, რომელთა მიზანია ჯგუფში შობადობის აღკვეთა; და (e) ერთი ჯგუფიდან მეორეში ბავშვების იძულებით გადაცემა. ყველა ეს ქმედება შეიძლება ფიზიკურ ან ბიოლოგიურ გენოციდამდე დავიყვანოთ, მაშასადამე კი იმ ქმედებებამდე, რომლებიც გამიზნულია ჯგუფის წევრების მოსაკლავად ან შობადობის აღმოსაფხვრელად.[25] გენოციდის, როგორც ასეთის, აკრძალვა იცავს სიცოცხლისა და „ადამიანთა [განსაზღვრული] ჯგუფების არსებობის უფლებას".[26]

---

23. წინა-სასამართლო პალატა III, სიტუაცია ბურუნდის რესპუბლიკაში, საჯარო რედაქტირებული ვერსია „Decision Pursuant to Article 15 of the Rome Statute on the Authorization of an Investigation into the Situation in the Republic of Burundi", 9 ნოემბერი 2017, ICC-01/17-9-Red, მუხლები 33 *et seq*, 130-136 (შემდეგში მოხსენიებული, როგორც ბურუნდის მუხლი 15, გადაწყვეტილება).
24. იხ., მაგალითად, წინა-სასამართლო პალატა I, სიტუაცია საქართველოში, Decision on the Prosecutor's Request for Authorization of an Investigation, 27 იანვარი, 2016, ICC-01/15-12, მუხლები 19-22, 30 (შემდეგში მოხსენიებული, როგორც საქართველო, მუხლი 15, გადაწყვეტილება).
25. Schabas, *Genocide*, *supra* note 1, at 173-175.
26. UN General Assembly Resolution 96 (I) on „The Crime of Genocide" of 11 December 1946.

შედარებისთვის, დევნაში გამოხატული ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის აკრძალვა, ადამიანებს იცავს დისკრიმინაციისაგან. რომის სტატუტის მუხლი 7(2)(g) აკრძალულ ქმედებას განმარტავს, როგორც „საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგოდ, ამა თუ იმ ჯგუფის ან ერთობისადმი კუთვნილების ნიშნით ძირითად უფლებათა განზრახ და სერიოზულ ხელყოფას". დევნის დანაშაულის პირველი ელემენტი ამის მსგავსად არის ჩამოყალიბებული: „ამსრულებელი ხელყოფს ერთი ან რამდენიმე ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგოდ" [27]. მოდით ვნახოთ, თუ რაში შეიძლება გამოვლინდეს ფუნდამენტურ უფლებათა ამგვარი ხელყოფა?

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს იურისპრუდენციაში, დევნის განმსაზღვრელ ქმედებათა სამი ძირითადი კატეგორია დადგინდა:

1. ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა განმსაზღვრელი ქმედებანი. სასამართლო და წინასწარი განხილვის პალატები თანმიმდევრულად ადგენდნენ, რომ სტატუტის 7 (1) მუხლით განსაზღვრული ქმედებანი, თავისთავად შეადგენს ფუნდამენტურ უფლებათა უხეშ ხელყოფას, რაც წარმოადგენს დევნის დანაშაულს დისკრიმინაციული განზრახვით განხორციელებას. ეს ქმედებანია :

- მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა;[28]
- დამონება;[29]
- დეპორტაცია[30] და მოსახლეობის ძალისმიერი გადაყვანა;[31]
- დაპატიმრება და თავისუფლების ჩამორთმევის სხვა უხეშ ზომებს;[32]
- წამება;[33]
- გაუპატიურება და სექსუალური დამონება;[34]

27. The Elements of Crimes მიიღო სახელმწიფოთ ამხარეების ასამბლეამ, რათა დახმარებოდა სასამართლოს 6, 7, 8, 8*bis* მუხლების ინტერპრეტაციასა და გამოყენებაში და შეექმნა სასამართლო გამოყენებათი სამართლის ნაწილი; იხ. ასევე რომის წესდების მუხლები 9 და 21.

28.Ntaganda Trial Judgment, *supra* note 15, paras 745-752, 990-1008; Burundi Article 15 Decision, *supra* note 23, paras 134-136; *Prosecutor v. Laurent Gbagbo*, Decision on the confirmation of charges against Laurent Gbagbo, 12 June 2014, ICC-02/11-01/11-656-Red, paras 204-206 (hereinafter Gbagbo Decision on the Confirmation of Charges).

29. Pre-Trial Chamber II, *Prosecutor v. Dominic Ongwen*, Decision on the confirmation of charges against Dominic Ongwen, 23 March 2016, ICC-02/04-01/15-422-Red, pp. 77, 81, 85, 89 (hereinafter Ongwen Decision on the Confirmation of Charges).

30. Pre-Trial Chamber I, *Request under Regulation 46(3) of the Regulations of the Court*, Decision on the „Prosecution's Request for a Ruling on Jurisdiction under Article 19(3) of the Statute", 6 September 2018, ICC-RoC46(3)-01/18-37, para. 76.

31. Ntaganda Trial Judgment, *supra* note 15, paras 990-1008; Georgia Article 15 Decision, *supra* note 24,paras 19-22, 31; Pre-Trial Chamber II, *Prosecutor v. William SamoeiRuto, Henry KipronoKosgey and Joshua Arap Sang*, Decision on the Confirmation of Charges Pursuant to Article 61(7)(a) and (b) of the Rome Statute, ICC01/09-01/11-373, 23 January 2012, paras 271-274.

32. Burundi Article 15 Decision, *supra* note 23, paras 134-136.

33 Burundi Article 15 Decision, *supra* note 23, paras 134-136; Pre-Trial Chamber I, *Situation in the Libyan Arab Jamahiriya*,Decision on the „Prosecutor's Application Pursuant to Article 58 as to Muammar Mohammed Abu Minyar GADDAFI, Saif Al-Islam GADDAFI and Abdullah ALSENUSSI", 27 June 2011, ICC-01/11-12, paras 42-65.

34. Ntaganda Trial Judgment, *supra* note 15, paras 990-1008; Burundi Article 15 Decision, *supra* note 23.

- იძულებითი გაუჩინარება;[35]
- სხვა არაადამიანური ქმედებანი.[36]

2. სასამართლოს განსჯადობას დაქვემდებარებულ სხვა დანაშაულთა შემცველი ქმედებანი. რომის სტატუტის მუხლი 7(1)(h) ადგენს, რომ დევნა შესაძლოა ჩადენილ იქნას „ამ პუნქტში აღნიშნულ რომელიმე ქმედებასთან ან სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ რომელიმე დანაშაულთან" კავშირში. მითითებამ – „სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ რომელიმე დანაშაულთან" – პალატებს საშუალება მისცა გარდა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა, სხვა, კერძოდ კი ომის დანაშაულიც მიეჩნიათ დევნის დანაშაულად.

მაგალითად :

- პირადი ღირსების შელახვა; [37]
- სამოქალაქო პირებზე მიზანმიმართული თავდასხმა; [38]
- რელიგიური დანიშნულების შენობებზე მიზანმიმართული შეტევა; [39]
- მონინააღმდეგის ქონების/საკუთრების განადგურება;[40] და
- ძარცვა.[41]

3. ფუნდამენტური უფლებების სხვა დარღვევები. დევნის ქმედებები არ შემოიფაგრლება მხოლოდ რომის სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულით, არამედ შეიძლება სხვა ქმედებებშიც გამოიხატოს, ვინაიდან ფუნდამენტურ უფლებათა დარღვევა არის: (i) უხეში და საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგო; და (ii) განხორციელებულია სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ სხვა დანაშაულთან დაკავშირებით.[42] ქმედება შესაძლოა მოიცავდეს ან არ მოიცავდეს ფიზიკურ ძალადობას. მაგალითად გაერთიანების, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების ისეთ ხელყოფას, როგორიცაა:

- დემონსტრაციების აკრძალვა და დემონსტრანტების დაპატიმრება;
- ჟურნალისტების შეურაცხყოფა, მათი ოფისების დახურვა, მათი აპარატურის განადგურება და ქვეყნის დატოვების იძულება;
- საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ლიცენზიების გაუქმება და საბანკო ანგარიშების შეჩერება ან გაყინვა;
- ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების შეურაცხყოფა და მათი

paras 134-136; Gbagbo Decision on the Confirmation of Charges, *supra* note 28, paras 204-206.
35.Burundi Article 15 Decision, *supra* note 23, paras 134-136;
36. Gbagbo Decision on the Confirmation of Charges, *supra*note28, paras 204-206.
37. Ongwen Decision on the Confirmation of Charges, *supra*note29, pp. 77, 81.
38. Ntaganda Trial Judgment, *supra* note 15, paras 990-1008; Ongwen Decision on the Confirmation of Charges, *supra* note 29, p. 77.
39. Ntaganda Trial Judgment, *supra* note 15, paras 990-1008.
40. Ntaganda Trial Judgment, *supra* note 15, paras 990-1008; Georgia Article 15 Decision, *supra* note 24, paras 19-22, 31; Ongwen Decision on the Confirmation of Charges, *supra* note 29, pp. 85, 89.
41. Ntaganda Trial Judgment, *supra* note 15, paras 990-1008; Ongwen Decision on the Confirmation of Charges, *supra* note 29, pp. 77, 81, 85, 89; Georgia Article 15 Decision, *supra* note 24, paras 19-22, 31.
42. Articles 7(1)(h) and 7(2)(g) of the Rome Statute and the Elements of Crimes of article 7(1)(h).

თავისუფლად შეკრების აკრძალვა.[43]

თუ რომელი ქმედება შეიძლება იქნას მიჩნეული ფუნდამენტურ უფლებათა ხელყოფად, დამოკიდებულია ყოველი ცალკეული შემთხვევის (საქმის) კონკრეტულ გარემოებებზე.[44]

როგორც ზემოთ ვიხილეთ, დევნაში გამოხატული ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული მოიცავს აკრძალულ ქმედებათა ფართე არეალს, მათი აკრძალვით დაცულია არა მხოლოდ სიცოცხლის უფლება, არამედ უფლება არ დაექვემდებარო სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას. უფლება არ გახდე თვითნებური დაპატიმრების, დატუსაღების ან განდევნის ობიექტი. საკუთარ სახლში ან თემში ცხოვრების უფლება გარედან რაიმე სახის ჩარევის ან შიშის გარეშე, კერძო საკუთრების უფლება, გამოხატვის თავისუფლება და შეკრებისა თუ გაერთიანების თავისუფლება.

გამოძიების დაწყების უფლებამოსილების მინიჭების ერთ-ერთი ბოლო მოთხოვნა, რომელიც 2019 წლის 4 ივლისს პროკურორმა წარადგინა მიანმაში როჰინგიელთა წინააღმდეგ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით, კარგი პრაქტიკული მაჩვენებელია იმისა თუ როგორ ენიჭება უპირატესობა დევნასა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს გენოციდთან შედარებით. ფაქტები, რომლებიც საფუძვლად დაედო პროკურორის მოთხოვნას გამოძიების დაწყების შესახებ, უკავშირდება მიანმას უსაფრთხოების ძალების მიერ როჰინგიელთა წინააღმდეგ 2016 წლის ოქტომბრიდან მოყოლებულ შეტევათა სერიას. შეტევები მოიცავდა მკვლელობას, გაუპატიურებას და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმებს, ცემას და საკუთრების განადგურებას, რომელთა შედეგად დაახლოვებით 790,000 როჰინგიელი გაიქცა მიანმიდან ბანგლადეშში.[45] პროკურორმა ჩათვალა, რომ სავარაუდოდ ადგილი ჰქონდა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშულს, გამოხატულს: (i) დეპორტაციაში (რომის სტატუტის მუხლი 7(1)(d); (ii) სხვა არაადამიანური ქმედებით როჰინგიელთა სამშობლოში უსაფრთხოდ და ადამიანურ გარემოში დაბრუნების უფლების ხელყოფაში (რომის წესდების მუხლი 7(1)(k)); აგრეთვე (iii) დეპორტაციით და დაბრუნების უფლების ხელყოფით განხორციელებულ ეთნიკურ თუ რელიგიურ ნიადაგზე დევნაში (მუხლები 7(1)(k), რომის წესდება).

იმის დასადგენად, თუ რატომ ამახვილებდა ყურადღებას პროკურორი დეპორტაციაზე, სხვა არაადამიანურ ქმედებებზე და დევნაზე, თვალი უნდა გადავავლოთ მის 2018 წლის 8 აპრილის მოთხოვნას, მიმართულს

43. Burundi Article 15 Decision, *supra* note 23, paras 134-136.

44. Ntaganda Trial Judgment, *supra* note 15, para. 992.

45. Prosecutor, *Situation in the People's Republic of Bangladesh/Republic of the Union of Myanmar*, Request for authorisation of an investigation pursuant to article 15, 4 July 2019, ICC-01/19-7, paras 1, 4-5, 75-222, 283.

სასამართლოს წინასწარი განხილვის პალატისადმი „როჰინგიელთა მიანმიდან ბანგლადეშში სავარაუდო დეპორტაციასთან დაკავშირებით სასამართლოს იურისდიქციის გამოყენების შესახებ [რომის წესდების 12(2)(a) მუხლის თანახმად]".[46] ზემოხსენებული საკითხი საბოლოოდ დაუკავშირდა სასამართლოს ტერიტორიული იურისდიქციის საკითხს. ბანგლადეში, სადაც როჰინგიელები გადაასახლეს, რომის სტატუტის ხელმომწერი სახელმწიფოა. თუმცა, მიანმა, სადაც მკვლელობის, გაუპატიურების, საკუთრების განადგურების ფაქტებს შედეგად დეპორტაცია მოჰყვა, არ არის სტატუტის წევრი და სასამართლოსაც არ შეუძლია იმ დანაშაულზე იურისდიქციის გავრცელება, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მხოლოდ მიანმას ტერიტორიაზე. ამ თვალსაზრისით, პროკურორი მიიჩნევდა, რომ სასამართლოს მაინც შეეძლო იურისდიქციის გავრცელება რომის წესდების 12(2)(a) მუხლის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ დანაშაულის სულ ცოტა ერთი ელემენტი მაინც განხორციელდა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. მისი მოსაზრებით, დეპორტაცია ჯდება ამ სცენარში, ვინაიდან დეპორტაციის აუცილებელი ელემენტი – საერთაშორისო საზღვრის გადაკვეთაა და იგი დაფიქსირდა ბანგლადეშის ტერიტორიაზე.[47]

2018 წლის 6 სექტემბერს, სასამართლოს წინასწარი განხილვის პალატამ დაადგინა, რომ სასამართლო უფლებამოსილია გაავრცელოს იურისდიქცია სტატუტის 12 (2) „a" პუნქტის თანახმად თუ დანაშაულის ერთი ელემენტი მაინც სასამართლოს განსასჯელია ან ამგვარი დანაშაულის ნაწილი ჩადენილია სტატუტის წევრი სახელმწიფო ტერიტორიაზე.[48]

პალატამ დაადგინა, რომ თუ „დეპორტაციის ქმედებები (გაძევების ან სხვა იძულებითი აქტების საფუძველზე) დაიწყო იმ სახელმწიფოში, რომელიც არ არის სტატუტის წევრი და (მსხვერპლის მიერ სახელმწიფოს საზღვრის გადაკვეთით) დასრულდა იქ სადაც რომის სტატუტი მოქმედებს," ექვემდებარებიან სასამართლოს განსჯადობას.[49] საბოლოოდ დადგინდა, რომ სასამართლო უფლებამოსილი იყო გაევრცელებინა თავისი იურისდიქცია მიანმიდან ბანგლადეშში როჰინგიელთა სავარაუდო დეპორტაციაზე. თუმცა, პალატა ამით არ შემოიფარგლა და ისიც ამტკიცა,

---

46. Prosecutor, *Request under Regulation 46(3) of the Regulations of the Court*, Prosecution's Request for a Ruling on Jurisdiction under Article 19(3) of the Statute, 9 April 2018, ICC-RoC46(3)-01/18-1, რომის წესდების პუნქტი 1. მუხლი 12(2)(a) შსაბამის ნანილში აცდაბეს, რომ „სასამართლოს შეუძლია მისი იურისდიქცია გააერცელოს თუ ერთი ამ მეტი ამ სახლემნიფოთაგან წინამდებარე წესდების მონაწილეა ან მიიღო სასამართლოს იურისდიქცია მე-3 ს მუხლთან მიმართებაში: (a). სახელმნიფო, რომლის ტერიტორიაზე მოცემული საქციელი დაფიქსირდა, თუ დანაშაული ჩადენილი იქნა გემის ან თვითმფრინავის ბორტზე, ამ ხომალდის ან გემის რეგისტრაციის მდგომარეობა [...]".

47. Prosecution's Request for a Ruling on Jurisdiction under Article 19(3) of the Statute,*supra* note 46, para. 2.

48. Decision on the „Prosecution's Request for a Ruling on Jurisdiction under Article 19(3) of the Statute",- *supra* note 30, para. 72.

49. Decision on the „Prosecution's Request for a Ruling on Jurisdiction under Article 19(3) of the Statute", *supra* note 30, para. 73.

რომ „მისი განსაზღვრების საფუძველი [...] დეპორტაციის დანაშულთან დაკავშირებით შესაძლოა შეხებოდა აგრეთვე სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ სხვა დანაშაულს".[50] ამ თვალსაზრისით, მან ორი მაგალითი მოიხმო: (i)დეპორტაციის შედეგად განხორციელებული დევნა, თუ დადგინდა როჰინგიელთა მიანმიდან ბანგლადეშში დეპორტაციისათვის აუცილებელი ზღვარი რომის წესდების 7(1)(h) მუხლში მოცემული რომელიმე საფუძვლით; და (ii) რომის სტატუტის 7(1)(k) მუხლით გათვალისწნებული სხვა არაადამიანური ქმედებები, რაც აღკვეთს როჰინგიელთა მიანმაში დაბრუნებას და ხელყოფს სამშობლოში დაბრუნების უფლებას.[51] საკუთარ განცხადებაში სწორედ ამ დანაშაულთა წარმოდგენის საფუძველზე მოითხოვა პროკურორმა გამოძიების დაწყების ავტორიზება.

სასამართლოს წინასწარი განხილვის I პალატის გადაწყვეტილებას არ დაუბრკოლებია პროკურორი სხვა ისეთი ბრალდებაც განეხილა, როგორიცაა, მაგალითად, გენოციდი, ბრალდებები, რომლებიც სხვა ორგანოებმა წარადგინეს,[52] რათა დადგენილიყო სტატუტის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დანაშაულის ან დანაშაულის ნაწილის თუნდაც ერთი ელემენტის ჩადენის ფაქტი.[53] პირიქით, პალატამ განაცხადა, რომ მოცემული გადაწყვეტილების შესაბამისად, სტატუტის 12(2)(a) მუხლის თანახმად, სასამართლოს იურისდიქციის განხორციელებისათვის წინასწარი პირობების გამოყენება, [პროკურორის] პრეროგატივას წარმოადგენდა.[54] იმ შემთხვევაში თუ III წინა–სასამართლო პალატა პროკურორს გამოძიების დაწყების უფლებამოსილებას მიანიჭებს, მას მიეცემა სასამართლოს განსჯადი ნებისმიერი დანაშაულის, მათ შორის გენოციდის გამოძიების შესაძლებლობა ამ წინაპირობის თანახმად.[55] თუმცა, ამ ეტაპზე, ფაქტია, რომ მოცემულ ვითარებაში, სწორედ დეპორტაციაში გამოხატული ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, დევნა თუ სხვა არაადამიანური ქმედებები უქმნიან პროკურორს სასამართლოს განსჯადობის გავრცელების მკაფიო შესაძლებლობას.

IV. დასკვნა

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავდა იმ მიზეზთა გამოაშკარავებას,

50. Decision on the „Prosecution's Request for a Ruling on Jurisdiction under Article 19(3) of the Statute", *supra* note 30, para. 72.
51. Decision on the „Prosecution's Request for a Ruling on Jurisdiction under Article 19(3) of the Statute", *supra* note 30, paras 72-78.
52. Report of the detailed findings of the Independent International Fact-Finding Mission on Myanmar, 17 September 2018, UN Doc. A/HRC/39/CRP.2, para. 1441.
53. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დანაშაულის ყველა ელემენტი შესაბამის ზღვარს მიესადაგება.
54. Decision on the „Prosecution's Request for a Ruling on Jurisdiction under Article 19(3) of the Statute", *supra* note 30, para. 79.
55. იხ. Burundi Article 15 Decision, *supra* note 23, para. 193; Georgia Article 15 Decision, *supra* note 24, paras 60-64.

რაც საფუძვლად უდევს სასამართლოს ფუნქციონირებაში ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ბრალდების როლის გაძლიერებას, გენოციდის ბრალდებასთან შედარებით. იგი აგრეთვე გამიზნული იყო წარმოეჩინა ამ ორს შორის არსებული რაოდენობრივი სხვაობის მიზეზები. მოცემულ დისკუსიას საფუძვლად უდევს ორი სამართლებრივი კონცეფციის ისტორიული განვითარება. გენოციდის განმარტების კოდიფიცირება შედარებით უფრო ადრე მოხდა, კერძოდ 1948 წლის გენოციდის კონვენციის მიღებით. კონცენციაში მოცემული განმარტება სწრაფად გახდა ჩვეულებითი სამართლის ნაწილი.[56] ხოლო მოგვიანებით მოხდა მისი შეტანა (ინკორპორირება) სპეციალურად შექმნილი (ad hoc) ტრიბუნალების წესდებებში და საერთაშორისო სისხლის სამართლის მუდმივმოქმედი სასამართლოს სტატუტში.[57] გენოციდის ცნების არეალის გაფართოების მცდელობების მიუხედავად,[58] გენოციდის განმარტება ფაქტობრივად უცვლელი დარჩა გენოციდის კონვენციის მიღებიდან სამოცდაათი წლის გასვლის შემდეგაც.

საპირისპიროდ, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული არასდროს არ კოდიფიცირებულა სპეციალური კონვენციით. რამდენად ირონიულადაც არ უნდა ჟღერდეს, სწორად ამან უბიძგა ცნებას განვითარებისაკენ.[59] იქიდან გამომდინარე, რომ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული თავდაპირველად 1945 წელს, ნიურნბერგის წესდებით განიმარტა, ცნება შემდგომ მნიშვნელოვნად გაფართოვდა: (i) ცნობილ იქნა დანაშაულის ახალი ნაირსახეობანი: დაპატიმრება, წამება, გაუპატიურება და სექსუალური იძულების სხვა ფორმები, იძულებითი გაუჩინარება და აპართეიდი შეემატა თავდაპირველ ნიურნბერგისეული ცნების შემადგენლობას (მკვლელობას, განადგურებას, დამონებას, დეპორტაციას, სხვა არაჰუმანური ქმედებებს და დევნას); ii) მნიშვნელოვნად გაფართოვდა დევნის დისკრიმინაციული საფუძვლები; (iii) გაუქმდა შეიარაღებულ კონფლიქტთან დანაშაულის კავშირის აუცილებლობა.[60] ამან შედეგად გამოიღო ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნების

56. International Court of Justice, *Reservations to the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide*, Advisory Opinion of 28 May 1951, [1951] ICJ Reports 15, p. 23.

57. იხ. მუხლი 4. საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის წესდება ყოფილი იუგოსლავიისათვის, *supra* note 13; რაუნდას საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის წესდება, მუხლი 2, *supra* note 13.

58. იხ. Schabas,*Genocide*, *supra* note 1, at 6, 8.

59. თავის 71-ე სესიაზე 2019 წელს, საერთაშორისო სამართლის კომისიამ მიიღო რამდენიმე მუხლის პროექტი „კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულების პრევენციისა და დასჯის შესახებ„, რაც შესაძლოა წარმოადგენდეს კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულების საერთაშორისო კონვენციის საფუძველს; იხ. საერთაშორისო სამართლის კომისიის ანგარიში მისი 71-ე სესიის მუშაობის შესახებ (2019), UN Doc. A/74/10, გვ. 10 *et seq.*

60. შეადარეთ ნიურნბერგის ქარტიის მუხლი 6(c)ს, *supra* note 13; კაცობრიობის მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების კოდექსის პროექტის მუხლი 2(11), საერთაშორისო სამართლის კომისიის ყოველწლიური ნიგნი, 1954, ტომი. II, მუხლი 150; მუხლი 21,

მოცემული ფორმით ჩამოყალიბება, რომელიც ასახავს საერთაშორისო სამართალში განვითარებულ შესაბამის ტენდენციებს და რომელიც გაცილებით უკეთაა მორგებული ვიქტიმიზაციის თანამედროვე მოდელებს.

1991 წლის დანაშაულთა კოდექსის პროექტი კაცობრიობის მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ. საერთაშორისო სამართლის კომისიის წლიური გამოცემა (*Yearbook)*, 1991, ტომი. II, ნაწილი II, მუხლი 96-97; მუხლი 18, 1996 წლიას კოდექსის პროექტი (Draft Code of Offences against the Peace and Security of Mankind, *Yearbook of the International Law Commission*, 1996, vol. II, part II, at 47); ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის წესდება, მუხლი 5, *supra* note 13; რუანდას საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის წესდება, მუხლი 3,*supra* note 13; და რომის წესდების მუხლი 7. იხ. ასევე: M. CherifBassiouni, „კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულები: ისტორიული განვითარება და თანამედროვე გამოყენება (ნიუ იორკი: Cambridge University Press, 2011). მუხლი 171-183, 359-452.

Teodora Jugrin
PhD candidate, Leiden University; International Criminal Court;

GENOCIDE V. PERSECUTION AS A CRIME AGAINST HUMANITY: WHY ARE CRIMES AGAINST HUMANITY PREVAILING AT THE INTERNATIONAL CRIMINAL COURT?

I. Introduction

While genocide is considered still the most heinous of the international crimes,[1] crimes against humanity are the more prominent legal concept in the work of the International Criminal Court (the Court or ICC). Of the 27 cases before the Court, 18 involve allegations of crimes against humanity, while only 1 involves allegations of genocide.[2] Notably, in the situation in Darfur, Sudan, the Court issued four warrants of arrest for crimes allegedly committed by Government officials and members of the allied Janjaweed Militia against members of the Fur, Masalit and Zaghawa tribes.[3] While the alleged crimes are identical or overlapping, only one of the warrants – the one against Omar Al Bashir – involves allegations of genocide. More recently, in July 2019, the Prosecutor requested authorisation from the Pre –Trial Chamber to initiate an investigation into crimes allegedly committed since October 2016 against the Rohingya people of Myanmar.[4] While other bodies have made findings that the crimes may amount to genocide,[5] the Prosecutor has presented only allegations of deportation, persecution and other inhumane acts as crimes against humanity.[6] Why the discrepancy? And, more generally, why are crimes against

1. International Criminal Tribunal for Rwanda, Trial Chamber, *Prosecutor v. Jean Kambanda*, Judgment and Sentence, 4 September 1998, ICTR-97-23-S, para. 16 (referring to genocide as the „crime of crimes"); International Criminal Tribunal for the former Yugoslavia, Appeals Chamber, *Prosecutor v. Radislav Krstić*, Judgment, 19 April 2004, IT-98-33-A, paras 36-37; W. Schabas, *Genocide in International Law: The Crime of Crimes* (New York: Cambridge University Press, 2nd edn. 2009), at 10-12; C. Kreß, 'The Crime of Genocide under International Law', (2006) 6 *International Criminal Law Review* 461, at 463-464.
2. As of 3 October 2019, including closed or terminated cases.
3. Pre-Trial Chamber I, *Prosecutor v. Ahmad Muhammad Harun („Ahmad Harun") and Ali Muhammad Ali Abd-Al-Rahman („Ali Kushayb")*, Decision on the Prosecution Application under Article 58(7) of the Statute, 27 April 2007, ICC-02/05-01/07-1-Corr (hereinafter Harun and Ali Kushayb Article 58 Decision); *Prosecutor v. Omar Hassan Ahmad Al Bashir*, Decision on the Prosecution's Application for a Warrant of Arrest against Omar Hassan Ahmad Al Bashir, 4 March 2009, ICC-02/05-01/09-3; Second Decision on the Prosecution's Application for a Warrant of Arrest, 12 July 2010, ICC-02/05-01/09-94; *Prosecutor v. Abdel Raheem Muhammad Hussein*, Public redacted version of „Decision on the Prosecutor's application under article 58 relating to Abdel Raheem Muhammad Hussein", 1 March 2012, ICC-02/05-01/12-1-Red, paras 3-4 (hereinafter Hussein Article 58 Decision).
4. Prosecutor, *Situation in the People's Republic of Bangladesh/Republic of the Union of Myanmar*, Request for authorisation of an investigation pursuant to article 15, 4 July 2019, ICC-01/19-7. At the time of writing, the Prosecutor's request was still pending before Pre-Trial Chamber III.
5. *See* Report of the detailed findings of the Independent International Fact-Finding Mission on Myanmar, 17 September 2018, UN Doc. A/HRC/39/CRP.2, para. 1441, stating that, „on reasonable grounds, [...] the factors allowing the inference of genocidal intent are present".
6. Bangladesh/Myanmar Article 15 Request, *supra* note 4, paras 4, 75, 85 *et seq.*

humanity so much more prevalent than genocide among situations and cases before the Court?

The specific intent to destroy in whole or in part the targeted group – which is the essence of genocide – explains that to a large extent. The requirement is particularly stringent and notoriously difficult to prove.[7] This may very well be why the Prosecutor chose to bring allegations of genocide against Omar Al Bashir, but not against other suspects in the Darfur, Sudan situation. Yet, a look only at the special intent does not reveal the whole picture.

This article will provide two further reasons why crimes against humanity have been so central to the work of the ICC, while genocide has remained of limited applicability. First, situations and cases before the Court are predominantly concerned with attacks against actual or apparent political opponents, who are automatically excluded from the scope of protection of the crime of genocide. Second, the prohibited conduct is considerably broader under crimes against humanity than under genocide, allowing the Court to intervene in situations where genocide may not. The article will focus specifically on persecution as a crime against humanity, as persecution comes closest to genocide owing to its discriminatory intent, and will compare the two crimes in terms of: (a) protected groups (section II); and (b) underlying prohibited conduct (section III).

II. The protected groups

Article 6 of the Rome Statute of the ICC (the Rome Statute or Statute),[8] concerning the definition of genocide, covers the same four protected groups as article II of the 1948 Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide (the Genocide Convention),[9] on which it is based – national, ethnical, racial and religious:

For the purpose of this Statute, „genocide" means any of the following acts committed with intent to destroy, in whole or in part, a national, ethnical, racial or religious group, as such [...].

During the drafting of the Rome Statute, some delegations supported the inclusion of social and political groups as well. However, other delegations opposed it and the suggestion never garnered enough support. Those who opposed it were essentially against departing from the definition contained in the Genocide Convention, which was seen as already binding on all States by way of customary law.[10] Instead, it was suggested that acts committed against

7. L. N. Sadat, 'Crimes against Humanity in the Modern Age', (2013) 107 *American Journal of International Law* 334, at 339-340.
8. Rome Statute of the International Criminal Court, 17 July 1998, 2187 UNTS 3.
9. Adopted on 9 December 1948, entered in force on 12 January 1951, 78 UNTS 277.
10. M. Cherif Bassiouni, *The Legislative History of the International Criminal Court* (Ardsley, New York: Trans-

members of social, political and other groups not included in the definition of genocide could constitute crimes against humanity.[11]

The decision not to expand the list under genocide to include other protected groups is one of the main reasons why crimes against humanity have gained more traction in the work of the ICC. Article 7(1)(h) and (2)(g) of the Rome Statute defines persecution as „the intentional and severe deprivation of fundamental rights contrary to international law" against any identifiable group or collectivity on political, racial, national, ethnic, cultural, religious, gender as defined in paragraph 3, or other grounds that are universally recognized as impermissible under international law [...].

Persecution as a crime against humanity expands the list of protected groups significantly. It does so in two ways: (i) by expressly recognising as persecutory grounds – alongside nationality, ethnicity, race and religion – political, cultural and gender grounds; and (ii) by referring to any „other grounds [...] universally recognized as impermissible under international law". This allows the Court to extend protection, by analogy, to other groups than those expressly recognized, leaving the list open.[12]

The express recognition of political groups, while not new,[13] has become essential in investigations and prosecutions before the ICC. Of the 13 cases before the Court involving allegations of persecution, 8 concern targeting on political grounds, 3 on ethnic grounds and 2 on religious and other grounds, including gender.[14] The prevalence of cases involving persecution on political grounds before the ICC was not immediately apparent. In the early situations, notably the

national Publishers, 2005), Vol. I, at 149, and Vol. II, at 42; W. Schabas, 'Article 6: Genocide', in O. Triffterer and K. Ambos (eds), *The Rome Statute of the International Criminal Court: A Commentary* (München: C.H. Beck, 2016), at 135; H. von Hebel and D. Robinson, '*Crimes within the jurisdiction of the Court*', in R. S. Lee (ed.), *The International Criminal Court – The Making of the Rome Statute: Issues, Negotiations and Results* (The Hague: Kluwer Law International, 1999), at 89-90.

11. Bassiouni, *Legislative History*, *supra* note 10, Vol. II, at 42; *see also* Report of the Preparatory Committee on the Establishment of an International Criminal Court, in Official Records of the United Nations Diplomatic Conference of Plenipotentiaries on the Establishment of an International Criminal Court, Rome, 15 June – 17 July 1998, Vol. III, at 14, note 11, UN Doc. A/CONF.183/13(Vol. III), stating that: „The Preparatory Committee took note of the suggestion to examine the possibility of addressing 'social and political' groups in the context of crimes against humanity".

12. W. Schabas, *The International Criminal Court: A Commentary on the Rome Statute* (New York: Oxford University Press, 2010), at 177.

13. The Nuremberg Charter, as well as the Statutes of the ad hoc tribunals, all recognised persecution based on political grounds as a crime against humanity; *see* article 6(c) of the Charter of the International Military Tribunal, annexed to the 1945 Agreement by the Government of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland, the Government of the United States of America, the Provisional Government of the French Republic and the Government of the Union of Soviet Socialist Republics for the Prosecution and Punishment of the Major War Criminals of the European Axis (1945) 82 UNTS 279; Article 5 of the Statute of the International Criminal Tribunal for the former Yugoslavia, adopted by Security Council Resolution 827, on 25 May 1993; Article 3 of the Statute of the International Criminal Tribunal for Rwanda, adopted by Security Council Resolution 955, on 8 November 1994.

14. As of 3 October 2019, including closed or terminated cases.

situations in the Democratic Republic of the Congo and Darfur, Sudan, the crimes under investigation, for the most part, were committed along ethnic lines.[15] Yet, in 2010, upon authorisation from the Pre–Trial Chamber, the Prosecutor opened an investigation into the situation in Kenya concerning the post–election violence of 2007/2008.[16] The situation in Kenya was the first in a series of situations concerned with crimes allegedly committed against political opponents (actual or perceived), following contested elections, demonstrations or revolutions.

The violence in Kenya erupted soon after the results of the presidential elections were announced, on 30 December 2007, amidst allegations of electoral fraud. Groups associated with the two main political parties – the Orange Democratic Movement (ODM) and the Party of National Unity (PNU) – started attacking each other's perceived supporters in a series of incidents which eventually engulfed 6 of Kenyan's 8 provinces. The violence allegedly resulted in murder, rape and other forms of sexual violence, forcible transfer of population and other inhumane acts.[17] The perpetrators reportedly targeted victims belonging primarily to certain ethnic groups. Supporters of the ODM targeted nonKalenjin communities (in particular individuals of Kikuyu, Kisii, Luhya and Meru ethnicity), while supporters of the PNU targeted non–Kikuyu communities (in particular individuals of Kalenjin, Luo and Luhya ethnicity). However, ethnicity was not the actual basis for the targeting, but rather a „proxy" for political affiliation: nonKalenjin communities were perceived as affiliated with the PNU, while non–Kikuyu communities were perceived as affiliated with the ODM. In its 31 March 2010 decision authorising the investigation, Pre–Trial Chamber II took note of this aspect, highlighting that the basis for the targeting was the perceived support for one of the two main political parties.[18]

Proving intent in criminal law is inherently difficult if one considers that what must be established on the evidence is what was going on a person's mind when performing an action or course of conduct. In her application to issue a warrant of arrest against Mr Al-Bashir, the Prosecutor of the International Criminal Court has noted that „direct evidence of a person's state of mind is rarely available", resulting in „fact finders commonly rely[ing] on circumstantial evidence and the reasonable inferences that may be drawn".[15]The International Criminal Tribunal for Rwanda recognised this in the first case in which genocide was discussed by an international tribunal in the following terms: „[i]ntent is a mental factor which is difficult, even impossible, to determine" directly, at least absent a confession.[16]In a similar vein, the same tribunal noted that „evidence, in the present case, is considered in light of [the] reality" of „the difficulty in finding explicit manifestations of a perpetrator's intent".[17]

10. ICTY, Trial Chamber, *P. Radislavrosecutor v. Krstić*, „Judgement", IT-98-33-T, 2 August 2001, paras 571-572.
11. ICTY, Trial Chamber, *P. VidojeBlagojević and Dragan Jokić*, „Judgement", IT-02-60-T, 17 January 2005, para 656.
12. ICTR, Trial Chamber, *P. v. MilomirStakić*, IT-97-24-T. „Judgement", 31 July 2003, para.45: „in genocide cases, the reason why the accused sought to destroy the victim group has no bearing on guilt."; ICTY, Trial Chamber, *P. v. RadislavKrstić*, „Judgement", IT-98-33-T, 2 August 2001, para.572noting that „an armed force could decide to destroy a protected group during a military operation whose primary objective was totally unrelated to the fate of the group."
13. Andrew T. Cayley, *„The Prosecutor's Strategy in Seeking the Arrest of Sudanese President Al Bashir on Charges of Genocide"*, Journal of International Criminal Justice, Volume 6, Issue 5 (2008), pp. 829-840.
14. This rigidity is arguably also evidenced by the specific groups that must be the subject of the aimed destruction.
15. ICC, *P. v. Omar Al-Bashir*, „Prosecution Document in Support of Appeal against the „Decision on the Prosecution's Application for a Warrant of Arrest against Omar Hassan Ahmad Al Bashir", 6 July 2009, ICC-02/05-01/19-25, para. 41.
16. ICTR, Trial Chamber, *P. v. Akayesu*, „Judgement,, ICTR-96-4-T, 2 September 1998, para. 523.
17. ICTR, Trial Chamber, *P. Clément Kayishema and Obed Ruzindana*, ICTR-95-1-T, „Judgement", 21 May 1999, para. 527.

But, what do we mean by circumstantial evidence exactly? The International Criminal Tribunal for the former Yugoslavia has recently recalled the definition of circumstantial evidence as follows: „[c]ircumstantial evidence is evidence of a number of different circumstances surrounding an event from which a fact at issue may be reasonably inferred."[18]The evidentiary test for findings made on the basis of circumstantial evidence is very high. In the recent Karadžić Trial Judgment, the International Criminal Tribunal for the former Yugoslavia explained this standard as follows: „[w]here an inference is drawn from circumstantial evidence to establish a fact on which a conviction relies, that inference must be the only reasonable one that could be drawn from the evidence presented."[19]

Turning to the specific issue of the difficulty in establishing on the facts the existence of a genocidal intent on the part of the perpetrator, international tribunals have considered that this legal element that is without doubt the hallmark of the crime of genocide can be inferred from the factual circumstances surrounding the crime. In this sense, the Appeals Chamber of the International Criminal Tribunal for the former Yugoslavia has held that „evidence of intent to destroy may be inferred from an accused's actions or utterances vis-à-vis the targeted group".[20] The International Criminal Tribunal for Rwanda has also found that „[i]n the absence of direct evidence, a perpetrator's intent may be inferred from relevant facts and circumstances".[21]

Turning to the specific items of evidence that may be relied upon as circumstantial evidence to prove genocidal intent, these may vary significantly ranging from statements of the accused made at the relevant to factual circumstances surrounding the crimes such as the scale and planning thereof.[22]Studies of the relevant case-law have identified four key factors: (1) statements indicating genocidal intent; (2) the scale of the atrocities committed; (3) systematic targeting of the protected group; and (4) evidence suggesting that commission of the actus reus was consciously planned.[23]It has been argued that no specific combination

18. ICTY, Trial Chamber, *P. Radovan Karadžić*, IT-95-5/18-T, „Judgement", 24 March 2016, para. 14.
19. ICTY, Trial Chamber, *P. v. Radovan Karadžić*, IT-95-5/18-T, „Judgement", 24 March 2016, para. 14.*See also*ICTR, Trial Chamber, *P. v. Ferdinand Nahimana, Jean-Bosco Barayagwiza and Hassan Ngeze*, ICTR-99-52-T, „Judgement", 3 December 2003, para. 524.
20. ICTY, Appeals Chamber, *P. v. MilomirStakić*, IT-97-24-A, „Judgement", 22 March 2006, para. 18.
21. ICTR, Trial Chamber, *P. v. Aloys Simba*, ICTR-01-76-T, „Judgement", 13 December 2005, para. 413. *See also*ICTY, Trial Chamber, *P. v. RadoslavBrdanin*, IT-99-36-T, „Judgment", para. 704: „[t]he Trial Chamber notes that it is generally accepted in the jurisprudence of the Tribunal and of the ICTR that, in the absence of direct evidence, the specific intent for genocide can be inferred from 'the facts, the concrete circumstances, or a pattern of purposeful action.'". *See also*ICTY, Appeals Chamber, *P. v. Goran Jelisić*, „Judgement", IT-95-10-A, 5 July 2001, para . 47;ICTR, Trial Chamber, *P. v. Akayesu*, „Judgement„, ICTR-96-4-T, 2 September 1998, paras 477 and 522;ICTR, Appeal Chamber, *P. v. Laurent Semanza*, ICTR-97-20-A, „Judgment", 20 May 2005, para. 262.
22. *See* e.g.ICTR, Trial Chamber, *P. v. Akayesu*, „Judgement„, ICTR-96-4-T, 2 September 1998, para.523; ICTR, Trial Chamber, *P. Clément Kayishema and Obed Ruzindana*, ICTR-95-1-T, „Judgement", 21 May 1999, para.93; ICTY, Trial Chamber, *P. Radislavprosecutor v. Krstić*, „Judgement", IT-98-33-T, 2 August 2001, para. 572.
23. Park, R. Y., *„Proving Genocide Intent: International Precedent and ECCC Case 002"*, Harvard Law

of factors can be identified as necessary or sufficient to prove genocidal intent.[24] For example, in the case of Jelisic, a Trial Chamber of the International Criminal Tribunal for the former Yugoslavia found that although Jelisic had personally murdered dozens of Muslims, he had acted „arbitrarily rather than with the clear intention to destroy a group".[25]The Appeals Chamber in the same case found insufficient to prove genocidal intent the fact that the defendant had committed acts satisfying the actus reus of genocide and that a discriminatory intent had been established.[26]Rather, the relevant jurisprudence shows that courts carry out a holistic inquiry in order to determine whether genocidal intent is the only reasonable conclusion to be reached from the evidence available as a whole.

The above demonstrates that, in the absence of direct evidence such as a confession of the indicted person, assessing whether a person acted with genocidal intent involves a complex and holistic evaluation of the facts and circumstances surrounding the commission of crimes. Because in those cases the finding of genocidal intent would be made on the basis of circumstantial rather than direct evidence, the evidentiary test is high and strict demanding that the conclusion drawn from this evidence be the only reasonable one that could be drawn from the evidence presented.

The focus of the ICC on the most responsible and its implications for the establishment of genocidal intent

Although the Rome Statute does not mandate the Court to prosecute those most responsible, the policy of the Prosecutor has been from the beginning of its operations to focus on those bearing most responsibility. In September 2003, the Prosecutor published a policy paper entitled „Paper on some policy issues before the Office of the Prosecutor", in which after noting that „[t]he Court is an institution with limited resources", she held that it would „function with a two-tiered approach to combat impunity. On the one hand it will initiate prosecutions of the leaders who bear most responsibility for the crimes. On the other hand it will encourage national prosecutions, where possible, for the lower-ranking perpetrators, or work with the international community to ensure that the offenders are brought to justice by some other means."[27]

In its more recent policy paper, the Prosecutor noted regulation 34(1) of

School (2010), p. 4 available here.

24. Park, R. Y., *„Proving Genocide Intent: International Precedent and ECCC Case 002"*, Harvard Law School (2010), p. 4 available here.

25. ICTY, Trial Chamber, *P. v. Goran Jelisić*, „Judgement", IT-95-10-T, 14 December 1999, para. 108.

26. ICTY, Appeals Chamber, *P. v. Goran Jelisić*, „Judgement", IT-95-10-A, 5 July 2001, paras 61-64.

27.ICC, Office of the Prosecutor, „Paper on Some Policy Issues Before the Office of the Prosecutor", 5 September 2003, P. 3, available here.

the Regulations of the Office of the Prosecutor[28]and the Prosecution's Strategic Plan[29]both of which direct the Prosecutor to conduct its investigations with a view to ensuring that charges are brought against those persons who appear to be the most responsible for the identified crimes.[30]The Prosecutor then re-stated its policy to prosecute those most responsible and held that it would exceptionally initiate prosecutions of lower level perpetrators only „where their conduct has been particularly grave or notorious".[31]The policy of the Prosecutor to focus its investigations on those persons bearing high positions in the level of command is crystallized by the following assertion: „[f]or example, the Office considers that the responsibility of commanders and other superiors under article 28 of the Statute is a key form of liability, as it offers a critical tool to ensure the principle of responsible command and thereby end impunity for crimes and contribute towards their prevention."[32]

Although the Prosecutor has stated that „the notion of the most responsible does not necessarily equate with the de jure hierarchical status of an individual within a structure",[33] the practice of the Court to date shows that the Prosecutor has so far mainly focused on persons bearing high de jure or de facto hierarchical status within organised power apparatus.[34] This is unsurprising given that generally speaking those holding high de jure or de facto positions in organised power apparatus are the ones that control said apparatus and are therefore in a unique position to perpetrate the crimes, albeit indirectly, in a systematic and organised manner.

The fact that the Court focuses on those bearing most responsibility for crimes under its jurisdiction poses several challenges in general, and with respect to genocide in particular. The Prosecutor has noted in this regard that its investigations and prosecutions look into „often complex structures with the most

28. Regulation 34(1) of the Regulations of the Office of the Prosecutor, 23 April 2009, ICC-BD/05-01-09: *„the joint team shall review the information and evidence collected and shall determine a provisional case hypothesis (or hypotheses) identifying [...] the person or persons who appear to be the most responsible"*

29. ICC, Office of the Prosecutor, „Strategic Plan, 2016-2018", 16 November 2015, para. 35, last bullet point: *„Where deemed appropriate, the Office will implement a building-upwards strategy by first investigating and prosecuting a limited number of mid- and high-level perpetrators in order to ultimately have a reasonable prospect of conviction for the most responsible".*

30. ICC, Office of the Prosecutor, „Policy Paper on Case Selection and Prioritisation", 15 September 2016, para. 42, available here.

31. ICC, Office of the Prosecutor, „Policy Paper on Case Selection and Prioritisation", 15 September 2016, para. 42, available here.

32. ICC, Office of the Prosecutor, „Policy Paper on Case Selection and Prioritisation", 15 September 2016, para. 44, available here.

33. ICC, Office of the Prosecutor, „Policy Paper on Case Selection and Prioritisation", 15 September 2016, para. 43, available here.

34. The Court has focused on commanders and individuals bearing high positions (de jure or de facto) in the relevant organisations under investigations such as the current sitting Head of State of Sudan, Mr Al-Bashir; former Head of State of Ivory Coast, Mr Gbagbo; and current sitting Head of State and Vice-president of Kenya, Mr Kenyatta and Mr Ruto.

responsible often keeping a distance between themselves and the crimes and using different mechanisms to hide their role".[35]In this regard, the Prosecutor has explained that the challenges presented to her office are in this regard similar to those existing in „organized crime investigations in national jurisdictions".[36]

In the specific case of genocide, the need to prove the genocidal intent of the accused poses an additional challenge to the Prosecutor who does not only need to demonstrate on the facts the link between the accused (often high up in the hierarchy and distant from the crimes) and the crimes but must also establish beyond reasonable doubt that the accused possessed the specific dolusspecialis- that characterises the crime of genocide. As seen above, the availability of direct evidence on this point is rare which, in turn, means that the stringent standard applicable to findings reached on the basis of circumstantial evidence must be applied. Given this strict evidentiary threshold, the Prosecutor is faced with the difficult task of producing evidence sufficiently reliable and credible to demonstrate that the inference of genocidal intent is the only reasonable conclusion available.

In the case against Mr Al-Bashir, the Prosecutor faced difficulties in this regard very early on as illustrated by the Pre-Trial Chamber's decision on the request to issue a warrant of arrest for the crime of genocide. In this regard, the Prosecutor did not introduce direct evidence of genocidal intent and the Pre-Trial Chamber found that on the basis of the circumstantial evidence presented by the Prosecutor in support of its allegation that the Government of Sudan possessed genocidal intent, „the existence of reasonable grounds to believe that the [Government of Sudan] acted with a dolusspecialis/specific intent to destroy in whole or in part the Fur, Masalit and Zaghawa groups is not the only reasonable conclusion that can be drawn therefrom".[37]Although the Appeals Chamber reversed this finding and eventually charges of genocide were included in the arrest warrant, this occurred as a result of the Appeals Chamber determining that the Pre-Trial Chamber had applied „an erroneous standard regarding '[proof by inference]'" because it „was higher and more demanding than what was required under article 58(1)(a) of the Statute" (reasonable grounds to believe).[38] This means that, unless the Prosecutor is able to obtain further evidence than that presented in the request to issue an order of arrest against Mr Al-Bashir, it will arguably be quite difficult to establish at the trial stage the existence of genocidal intent on the basis of circumstantial evidence beyond reasonable doubt.

35. ICC, Office of the Prosecutor, „Strategic plan June 2012-2015", 11 October 2013, para. 19, available here .
36. ICC, Office of the Prosecutor, „Strategic plan June 2012-2015", 11 October 2013, Para. 19, available here .
37. ICC, Pre-Trial Chamber, *P. v. Omar Al-Bashir*, „Decision on the Prosecution's Application for a Warrant of Arrest against Omar Hassan Ahmad Al Bashir", 4 March 2009, ICC-02/04-01/09-3, para. 205.
38. ICC, Appeals Chamber, *P. v. Omar Al-Bashir*, „Judgment on the appeal of the Prosecutor against the „Decision on the Prosecution's Application for a Warrant of Arrest against Omar Hassan Ahmad Al Bashir„, 3 February 2010, ICC-02/05-01/09-73, paras 34, 39.

Reliance of the Court on State Cooperation

As it is well known, the Court, unlike domestic jurisdictions, does not have its own enforcement mechanisms. Some have described the Court as „impotent" when its member States refuse to cooperate with it.[39] The Prosecutor has highlighted the fundamental importance of State cooperation for the success of its investigations in the following terms: „[t]he Office however faces an even bigger challenge than national jurisdictions because the investigative tools it has available are more limited and depend on State cooperation. Specialized investigative techniques are in most cases not feasible or available (e.g. infiltration, interception of voice and electronic communication, controlled delivery, etc). Such obstacles can only be overcome if the Office is getting full cooperation from all partners involved".[40]

The difficulties faced by the lack of State cooperation with respect particularly to the crime of genocide have been illustrated so far by the case instituted against the Head of State of Sudan, Mr Al-Bashir, whose arrest warrants have not yet been executed. Referring to the case of Mr Al-Bashir, and in particular to the evidence available to establish genocidal intent in that case, an author has noted that indirect inference „is often the only kind available, in circumstances where the Prosecution is faced with an absence of cooperation from State authorities and does not have direct access to key government documents that would allow for a more solid evidentiary basis for the charges".[41]

The above shows that, in the particular case of the crime of genocide, State cooperation is particularly fundamental to make possible the effective investigation, prosecution and punishment of those most responsible for the commission of genocidal acts.

Conclusion

In the particular case of the crime of genocide, State cooperation is of utmost importance. This is so because of the fact that one of its legal elements (genocidal intent) thatmust be established beyond reasonable doubt is inherently difficult to prove,and in the light of the often absent direct evidence of intent requiring that the finding which will be based on circumstantial evidence be the only reasonable conclusion from the evidence presented. In the absence of State cooperation,

39. Barnes, G.P., „The International Criminal Court's Ineffective Enforcement Mechanisms: The Indictment of President Omar Al-Bashir", 34 Fordham International Law Journal 1584 (2011), HeinOnline, p. 1587: „The safe travel President Al Bashir enjoyed in Chad exemplifies the impotence of the ICC when its member states refuse to cooperate".

40. ICC, Office of the Prosecutor, „Stralegic plan June 2012-2015", 11 October 2013, Para. 19, available here.

41. D. Jacobs, „The Al Bashir Appeals Chamber Judgment on Genocide: A Critical Appraisal in Law and in Context", The Hague Justice Portal, 8 March 2010, available here.

the circumstantial evidence that the Prosecutor may be able to produce is likely to be of low probative value, its reliability dubious and its credibility called into question. This would, in turn, result in genocidal intent probably not being the only reasonable conclusion available on the evidence, the failure of proving beyond reasonable doubt a legal element of the crime of genocide and the inevitable result of having to acquit an accused of this very grave crime. Although this is a reality in all cases in which findings are entered on the basis of circumstantial evidence before the Court, in the specific case of genocide, given the particularly high threshold that must be established beyond reasonable doubt (genocidal intent), the prospect of ever having a person convicted of genocide becomes almost an illusion in the absence of State cooperation.

ედიშერ ფუტკარაძე,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

გენოციდის ზოგიერთი სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტი

I

გენოციდის დეფინიცია უნდა ემსახურებოდეს მომავალში მსგავს ქმედებათა პრევენციას. რა თქმა უნდა, აუცილებელია წარსული, ისტორიული გამოცდილების გათვალისწინება, მაგრამ მხოლოდ მათზე დაყრდნობით ჩამოყალიბებული გენოციდის ცნება სრულყოფილი ვერ იქნება და შესაბამისად ვერ მოემსახურება ასეთ ქმედებათა პრევენციას, თავიდან აცილებას.

ჩვენი მიზანი ხომ გენოციდის ქმედებათა (და არა მხოლოდ ასეთ ქმედებათა) თავიდან აცილებაა. საზოგადოება სწრაფად ვითარდება, რაც ინვევს ტექნოლოგიების გამოყენებით მიზნის მიღწევისათვის სხვადასხვა ფორმის ქმედების ჩადენას, რაც ადრე, თუნდაც უახლოეს ისტორიულ წარსულში, შეუძლებელი იყო.

გენოციდის მსოფლიოში ცნობილი ისტორიული ფაქტები, რომლის უარყოფას მისი ჩამდენი სახელმწიფოებიც ვერ მოახდენენ, გახდა გენოციდის კონვენციის მიღების საფუძველი. რა არის ამ კონვენციის მიზანი? მომავალში ასეთ ქმედებათა თავიდან აცილება. მაგრამ როგორც იქნა ჩადენილი ეს ფაქტები ადრე, იგივე შედეგი შეიძლება მივიღოთ დღეს სხვა ფორმით.

ამის ნათელი დადასტურებაა გენოციდის კონვენციის მიღების შემდეგ არაერთხელ გენოციდის ფაქტის ჩადენა, რაც მთელი მსოფლიოსათვის არის ცნობილი. შეიძლება ითქვას, რომ ალბათ არსებობდა ისეთი ფაქტებიც, რომლებიც ფართო საზოგადოებისათვის არ გახდა ცნობილი, მაგრამ თუნდაც მსოფლიოსათვის გენოციდის ცნობილი ფაქტების არსებობა, რომლებიც ჩადენილი იქნა გენოციდის კონვენციის მიღების შემდეგ, მიუთითებს იმაზე, რომ მხოლოდ კონვენციის მიღება და მისი მუხლების ტექსტის ლამაზად ჩამოყალიბება საკმარისი არ არის ამ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად. თუმცა უდავო ფაქტია მისი სამართლებრივი მნიშვნელობა გენოციდის წინააღმდეგ საბრძოლველად.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით ,,გენოციდის კონვენციურ განსაზღვრებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ იგი სამართლებრივისა და პოლიტიკურის კომპრომისული ვარიანტია,

რაც ეფუძნება გენოციდის მეცნიერულ კონცეფციასა და სპეციალურ კომიტეტში მონაწილე გაეროს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლების ინტერესებს."[1]

ეს ნათლად ადასტურებს იმას, რომ კონვენციის მიღება, მისი რატიფიცირება სახელმწიფოების მიერ და სახელმწიფოთა მიერ თავიანთ კანონმდებლობაში გენოციდის შემადგენლობის (დანაშაულის) დასჯადად გამოცხადება სამართლებრივი, მაგრამ საკმარისი საფუძველი არ არის ამ დანაშაულის ასაცილებლად.

ეს იმიტომ, რომ იცვლება მისი გამოვლენის ფორმა, მაგრამ არსი იგივე რჩება. დღეს გენოციდის მიზნის მისაღწევად აღარ არის აუცილებელი ის უხეში ფორმები, თუნდაც მკვლელობის სახით, რაც ჩვენთვის ცნობილია. იგივე მიზანს მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების გამოყენებით (და არა მხოლოდ ამით) შეიძლება მიაღწიონ დამნაშავეებმა.

გასაზიარებელია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ,,გენოციდის კონვენციური გაგება, მისი მიღების მომენტში ვერ უზრუნველყოფდა გენოციდის ყველა არსებითი სპექტრის გათვალისწინებას, ვინაიდან კონვენციის პროექტზე მუშაობა ეფუძნებოდა ახლო წარსულში მომხდარ ორ ფაქტს და არა კრიმინოლოგიურ შესწავლას. ეს გარემოება დღემდე გენოციდის დეფინიციის პრობლემის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია."[2]

ამიტომ გენოციდის დეფინიცია სრულყოფას მოითხოვს, რათა უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს და მის თავიდან აცილებას, პრევენციას შეუწყოს ხელი.

როგორც დ.წულაია აღნიშნავს, ,,სოციოლოგიის დარგის მეცნიერებმა განაცხადეს, რომ კონვენციამ ვერ შეძლო მისი ყველაზე არსებითი მიზნის განსაზღვრა – გენოციდის პრევენცია."[3]

სამწუხაროდ მომავალშიც არსებობს ამ დანაშაულის ჩადენის საფრთხე. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ვერ მოხდება ამ ქმედების დეკრიმინალიზაცია. პირიქით, საჭირო გახდება შემადგენლობის სრულყოფა, საკანონმდებლო ან თუნდაც კონვენციური დეფინიციის, დროის მოთხოვნების, გამოწვევების შესაბამისად.

დღესაც განსხვავებული შეხედულებები არსებობს გენოციდის განმარტებასთან დაკავშირებით. ,,სოციოლოგები, იურისტებისაგან განსხვავებით, გენოციდს არ განიხილავენ, როგორც კონკრეტულ შემთხვევას, არამედ როგორც მიმდინარე პროცესს... პოლიტიკური და სხვა ჯგუფები არ არის გენოციდის დაცულ ჯგუფებში კატეგორიზებული

1. დავით წულაია, გენოციდის გენეზისი, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013, №2, გვ.201;
2. იქვე, გვ.202;
3. იქვე, გვ.211;

და, შესაბამისად, ისინი დაუცველი რჩებიან."[4]

რამდენად მიზანშეწონილია კონვენციური დეფინიციის შეცვლა ეროვნულ კანონმდებლობაში? უფრო სწორი იქნება მისი ისეთივე შინაარსითა და ფორმით გადმოღება თუ შესაძლებელია ეროვნულ კანონმდებლობაში განსხვავებული ფორმითა და შესაბამისად შინაარსითაც ჩამოყალიბება?

შეიძლება კი გენოციდი განსახვავებულად ესმოდეს სხვადასხვა სახელმწიფოს თუ ის თავისი საერთაშორისო ხასიათიდან გამომდინარე ერთნაირ, რა თქმა უნდა, სახელმწიფოთა შორის შეთანხმების შედეგად მიღებულ დეფინიციას უნდა ეყრდნობოდეს.

ვფიქრობ აქ ერთიანი მიდგომა უფრო მიზანშეწონილია ამ მუხლის პრაქტიკულად გამოყენების გაადვილების მიზნით. შეიძლება გარკვეულ დათმობაზე წასვლა სხვა „კონვენციურ" მუხლებთან მიმართებაში, რომლებიც ეროვნულ კანონმდებლობაში შემოღებულია და იცავს რაიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს და ადასტურებს ქვეყნის სამართლებრივ განვითარებას რაიმე საკითხთან დაკავშირებით, მაგალითად, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით.

რა თქმა უნდა, ნებისმიერი სამართლებრივი სიკეთის დაცვა მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს სახელმწიფომ თავისი სუვერენიტეტის ფარგლებში შეიძლება ისე ჩამოაყალიბოს, რომ გაითვალისწინოს ეროვნული ღირებულებები და ასევე დაიცვას კონვენციის მოთხოვნები. მით უმეტეს, როცა დაცული სამართლებრივი სიკეთე ე. წ. „შიდასახელმწიფოებრივი მასშტაბისაა". მაგრამ როცა საქმე ეხება „საერთაშორისო მასშტაბის სამართლებრივ სიკეთეს", აქ აუცილებელია საერთაშორისო, კონვენციური შეთანხმებით დათქმული პირობების დაცვა.

ამიტომ მიზანშეწონილია მსჯელობა, დებატები, განსხვავებული პოზიციები, კონვენციის, საერთაშორისო შეთანხმების მიღწევამდე, მაგრამ კონვენციის მიღებისა და მით უმეტეს ამოქმედების შემდეგ დაცული უნდა იქნას თითოეული სახელმწიფოს მიერ შეთანხმების პირობები თუნდაც დანაშაულის შემადგენლობათა დეფინიციის საკითხში.

შეუძლებელი იქნება წარმატებული საერთაშორისო თანამშრომლობა ისეთ საკითხზე, სადაც არ არსებობს ერთიანი სამართლებრივი დათქმა/შეთანხმება. ეს საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებელი წინაპირობაა.

II

ამიტომ მე ვფიქრობ, რომ გენოციდი და სხვა საერთაშორისო დანაშაულები ყველა ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა

4. იქვე;

ჩამოყალიბდეს ერთნაირად კონვენციისა და რომის სტატუტის შესაბამისად, რათა შემდეგში არ წარმოიშვას ამ ქმედების სხვადასხვაგვარად განმარტების საფრთხე, რაც თავის მხრივ პრობლემას შეუქმნის მართლმსაჯულების განხორციელებას.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „სხვა ნიშნით გაერთიანებულ ჯგუფში", რომელიც საქართველოს სსკ 407-ე მუხლის თანახმად, ასევე, მიიჩნევა გენოციდის შემადგენლობით დაცულ ჯგუფად, შეიძლება ვიგულისხმოთ პოლიტიკური, სქესობრივი, ენობრივი ან სოციალური ჯგუფი."[5]

გასაზიარებელია ის, რომ „სხვა ნიშნით გაერთიანებულ ჯგუფში," შეიძლება ვიგულისხმოთ ზემოთ დასახელებული და ასევე კიდევ სხვა ნიშნით განსხვავებული ჯგუფებიც, მაგრამ რამდენად მიზანშეწონილია გენოციდით დაცული ჯგუფის ასე გაფართოება. მით უმეტეს, რომ სხვა ნიშნით გაერთიანება არ ამოიწურება მხოლოდ პოლიტიკური, სქესობრივი, ენობრივი ან სოციალური ნიშნით გაერთიანებით. რატომ არ შეიძლება აქ ვიგულისხმოთ პროფესიული, ასაკობრივი, საცხოვრებელი, ტრადიციული, კულტურული ან სხვა ნებისმიერი ნიშნით გაერთიანება, რომელიც ადამიანთა ერთ ჯგუფს რაიმე ნიშნით განასხვავებს სხვებისგან და აძლევს მას რაიმე განსაკუთრებულ იდენტობას.

ასეთი მიდგომა საკმაოდ ხელოვნურად გაზრდის გენოციდით დაცული ჯგუფის წრეს.

თუკი სახელმწიფო თავისი პოლიტიკის განხორციელებით ცდილობს პენსიონერების ნაკლებად უზრუნველყოფას და თუნდაც ამ გზით მათი რაოდენობის შემცირებას ან რომელიმე პროფესიას მიიჩნევს არაპრიორიტეტულად, სახელმწიფოსათვის წამგებიანად და შეეცდება ამ პროფესიის ადამიანების შემცირებას თუნდაც სამუშაო ადგილების გაუქმებით, მაშინ რასთან გვექნება საქმე – გენოციდთან?

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „შესაძლებელია დავა გენოციდის კონვენციურ განსაზღვრებაში რასობრივი ჯგუფთან ერთად ეროვნულისა და ეთნიკური ჯგუფების მოხვედრაზე, მაგრამ არა რელიგიურ ჯგუფებზე."[6]

ეს მოსაზრებაც ნაკლებად გასაზიარებელია. რატომ უნდა მივიჩნიოთ სადაოდ და არ უნდა მოხვდნენ რასობრივი, ეროვნული და ეთნიკური ჯგუფები გენოციდის კონვენციურ განსაზღვრებაში?და თუ ისინი უნდა მივიჩნიოთ სადაოდ, მაშინ რატომ აქვს უპირატესობა რელიგიურ ჯგუფს?

თუ კარგად ჩავუფიქრდებით რასობრივი, ეროვნული და ეთნიკური ნიშნით გენოციდი უფრო მძიმე, დიდი დანაკლისია კაცობრიობისთვის, ვიდრე

---

5. თემურ ცქიტიშვილი, გენოციდის ცნება და შემადგენლობა, იურიდიული ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი„, 2010, №3 (26)', გვ.137;

6. დავით წულაია, გენოციდის გენეზისი, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013, №2, გვ.196;

რელიგიური ნიშნით. რატომ? იმიტომ რომ ადამიანმა შეიძლება აირჩიოს, შეიცვალოს რელიგია, ამას ადასტურებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომლის მე-18 მუხლის მიხედვით: ,,ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და, აგრეთვე, თავისუფლებას როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა სწავლებით, წესების დაცვით, აღმსარებლობითა და რიტუალების აღსრულებით."

მაგრამ ადამიანი ვერ აირჩევს რასას, ეროვნებას ანდა ეთნიკური ჯგუფისადმი კუთვნილებას. ის ამ რომელიმე ჯგუფს ან ეკუთვნის ან არა. ამიტომ ამ კუთხით გენოციდი (მაგ; ადამიანის მკვლელობა) პირდაპირ ამცირებს ჯგუფის რაოდენობას. განსაკუთრებით მძიმეა შედეგი მცირერიცხოვანი ერებისა და ეთნიკური ჯგუფისადმი გენოციდის დროს, ზოგჯერ გენოციდმა შეიძლება რომელიმე ერის ან ეთნიკური ჯგუფის სრული განადგურება გამოიწვიოს. ამის მაგალითები ხშირია ისტორიაში (მაგ; უკანასკნელი მოჰიკანი).

როგორც შეიძლება ერთი ეროვნების ხალხი სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის იყოს, ასევე შეიძლება, რომ სხვადასხვა ეროვნების ხალხი ერთი რელიგიური აღმსარებლობის იყოს. მსოფლიოში ცნობილია ბევრი რელიგია. მათ შორის რამდენიმე გამოირჩევა მიმდევართა რაოდენობით. რელიგიის მიმდევართა რაოდენობა კვლავაც შეიძლება გაიზარდოს ახალი მიმდევრებით და ამ კუთხით კაცობრიობას დიდი დანაკლისი არ ექნება, რადგან ეს რელიგია კვლავ იარსებებს. მაგრამ თუ გენოციდის შედეგად განადგურდება რომელიმე ეროვნება ან ეთნიკური ჯგუფი, მაშინ ეს კაცობრიობისთვის გამოუსწორებელი დანაკლისი იქნება.

თუ კარგად დავაკვირდებით მსოფლიოში დემოგრაფიულ და რელიგიის მიმდევართა მდგომარეობას, ვნახავთ, რომ მცირერიცხოვანი ერებისა და ეთნიკური ჯგუფებისათვის გენოციდის გარეშეც დიდი საფრთე არსებობს.

მათი მომავალი მართლაც დამაფიქრებელია.

ეს საფრთხე არ ემუქრება რასებსა და დიდი/მრავალრიცხოვანი რელიგიის მიმდევრებს. პირიქით, მათი რაოდენობა ყოველდღიურად მატულობს და კაცობრიობას მათი დაკარგვის არ უნდა ეშინოდეს.

ასეთი მკვლელობა ხშირად უფრო რასობრივი ან რელიგიური შეუწყნარებლობის გამო მკვლელობა იქნება, ვიდრე გენოციდი, რადგან კონკრეტულ დროსა და ადგილას მათი მკვლელობით შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული რაოდენობით რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის შემცირება, მაგრამ შეუძლებელია სრული განადგურება. რასაც ვერ ვიტყვით მცირერიცხოვანი ერებისა და ეთნიკური ჯგუფების მიმართ გენოციდის დროს.

ამიტომ ვერ გავიზიარებთ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას და სადაოდ არ მიგვაჩნია გენოციდის კონვენციურ განსაზღვრებაში რასობრივი, ეროვნული და ეთნიკური ჯგუფების მოხვედრა. პირიქით, მათი გენოციდით დაცულ ჯგუფში მოხვედრა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

,,საყურადღებოა, რომ რეზოლუცია დაცულ ჯგუფებში ითვალისწინებს პოლიტიკურ და სხვა ჯგუფებს, რაც გაეროს მიერ მიღებულ 1948 წლის „გენოციდის შესახებ" კონვენციაში და სხვა აქტებში არ მეორდება."[7]

ვფიქრობ, ეროვნული სსკ–ის/კანონმდებლობის კონვენციასთან შესაბამისობის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, დაცულ ჯგუფთა წრე არ უნდა გაფართოვდეს. პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მკვლელობის არაერთ ფაქტს იცნობს ისტორია. რამდენად უნდა მივიჩნიოთ გენოციდად პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მთლიანი ან თუნდაც ნაწილობრივი განადგურება? ხელყოფს კი ეს ქმედება იგივე სამართლებრივ სიკეთეს, რასაც გენოციდი იცავს? ძირითადად პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა განადგურება ხდება ქვეყნის შიგნით ხელისუფლების მოპოვების, შენარჩუნების ანდა განმტკიცების მიზნით. ამიტომ ეს უფრო შიდასახელმწიფოებრივი პრობლემაა, ვიდრე საერთაშორისო, რადგან კაცობრიობის მშვიდობიან თანაარსებობას არ ხელყოფს.

არსებობს მოსაზრება, რომ ,,გენოციდის დანაშაულის შემადგენლობაში დაცული ჯგუფისათვის განმსაზღვრელი კრიტერიუმი უნდა იყოს ის მოცულობა, რომლის განადგურების შემდეგ კაცობრიობისათვის შეუძლებელი იქნება მისი აღდგენა."[8]

მაშინ საკითხავია, ვისი აღდგენაც შესაძლებელია გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ის არ უნდა ჩავთვალოთ გენოციდად?! ეს მიდგომა არ არის გასაზიარებელი. მაშინ არ არის ებრაელების, სომხების ან თუნდაც ქართველების წინააღმდეგ ჩადენილი ქმედება გენოციდი? საბედნიეროდ, ეს ერები ხომ არ განადგურებულან. ამ ლოგიკით ერთი ან ცოტა ადამიანის მკვლელობა არასდროს არ ჩაითვლება გენოციდად, რადგან „მცირე" დანაკლისის აღდგენა უფრო სწრაფად და ადვილად შეიძლება.

III

სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდაუვალობა აუცილებელია კაცობრიობის მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. გენოციდის არცერთი გამოვლინება არ უნდა დარჩეს სამართლებრივი რეაგირების გარეშე. არცერთი აგრესორი, გენოციდის ჩამდენი დაუსჯელი არ უნდა დარჩეს, თუ გვინდა ჩვენ მომავალში მისი თავიდან აცილება.

7. იქვე, გვ.199;
8. იქვე, გვ.216;

აქ კი აღმოვჩნდებით სხვა პრობლემის წინაშე. რამდენად მოქნილია იურისდიქციის განხორციელების სამართლებრივი მექანიზმები და „სახელმწიფოთა პოლიტიკური ნება". ხშირად ძნელია ნამდვილი აგრესორის, გენოციდის ორგანიზატორის გამოვლენა და ჩვენ მხოლოდ დამხმარეებთან ან უკიდურეს შემთხვევაში ამსრულებლებთან გვაქვს საქმე. ამ მხრივ საინტერესოა თუნდაც აფხაზეთის მაგალითი.

გენოციდისა და სხვა დანაშულის (მათ შორის საერთაშორისოს), აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია მისი სულის ჩამდგმელების, იდეის ავტორებისა და ორგანიზატორების დადგენა და დასჯა. სხვა შემთხვევაში გენოციდის წინააღმდეგ ბრძოლა წარმატებული ვერ იქნება.

,,გენოციდი საერთაშორისო სამართლის დაქვემდებარებაშია, რომელსაც გმობს ცივილიზებული მსოფლიო და რომლისთვისაც დასჯილი უნდა იყოს როგორც ამსრულებელი, ასევე თანამონაწილე – განურჩევლად იმისა არის იგი კერძო, სახელმწიფო თანამდებობის პირი თუ პოლიტიკური მოღვაწე და მიუხედავად იმისა, დანაშაული ჩადენილია რელიგიური რასობრივი, პოლიტიკური თუ სხვა ჯგუფის განადგურების საფუძველზე".[9]

რა თქმა უნდა, უნდა დაისაჯოს ყველა ის მოქმედი, ვინც გენოციდის შემადგენლობა განახორციელა და დახმარება გაუწია, მაგრამ მთავარი მაინც ორგანიზატორთა დასჯაა. მართალია სამართლებრივად გენოციდს არ ჰყავს სპეციალური ამსრულებელი, მისი განხორციელება ფორმალურად ყველას შეუძლია, მაგრამ რეალურად ამსრულებელთა ქმედების გენოციდის ჩასადენად წარმართვა გარკვეულ „შესაძლებლობებთან" არის დაკავშირებული და ეს ნებისმიერ ადამიანს არ შეუძლია.

სამართლიანად აღნიშნავს თ.ცქიტიშვილი, რომ ,,გენოციდის ჩამდენ პირებად ხშირ შემთხვევაში, გვევლინებიან თანამდებობის პირები, რომლებიც მიღწეული არიან სრულწლოვანების ასაკს. გენოციდი არ მიეკუთვნება სპეციალური ამსრულებლობით ჩასადენ დანაშაულს, იგი შეიძლება ჩაიდინოს არა თანამდებობის პირმაც."[10]

როგორც საქართველოს სსკ-ის 404-ე მუხლის შენიშვნის პირველ ნაწილშია აღნიშნული: ,,ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება პირს, რომელსაც თავისი მდგომარეობის გამო აქვს სახელმწიფოს პოლიტიკური ან სამხედრო მოქმედებების ეფექტიანი კონტროლის ან ხელმძღვანელობის შესაძლებლობა."

მართალია გენოციდის მუხლთან დაკავშირებით ასეთი დათქმა არ არის, მაგრამ თუ კარგად გავაანალიზებთ გენოციდის შემადგენლობასა და მასშტაბებს, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ მისი ორგანიზება „გარკვეულ

9. გაეროს გენერალური ასმბლეის რეზოლუცია, მოყვანილია დ.წულაიას მიხედვით, იხ. დ.წულაია, დასახ. ნაშრ.გვ.198-199;

10. თემურ ცქიტიშვილი, გენოციდის ცნება და შემადგენლობა,იურიდიული ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი",2010, №3 (26)», გვ.142;

უნარებსა და შესაძლებლობებს" მოითხოვს. გენოციდის ჩასადენად „შეთანხმებული გეგმის" შედგენა და ორგანიზება არის მთავარი პრობლემა, რომელიც აღმოფხვრას საჭიროებს. სწორედ მის წინააღმდეგ ბრძოლაა რთული, რომელიც დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

ამსრულებელთა და დამხმარეთა დასჯა, რომლებმაც რაღაც ფორმითა და მოტივით მონაწილეობა მიიღეს გენოციდში, შეასუსტებს გენოციდს რაღაც დროით, მაგრამ ვერ აღმოფხვრის. მთავარი გენოციდის იდეის აღმოფხვრაა, ანუ მისი ორგანიზატორების გამოვლენა და დასჯაა. ხშირად ისინი უშუალოდ არ მონაწილეობენ გენოციდის ქმედების ჩადენაში. მათ დასასჯელად გენოციდის ორგანიზების დადასტურებაა საჭირო, რაც ხშირად არც თუ ისე ადვილია.

უფრო მეტიც. ხშირად ძნელდება გენოციდის ქმედების ამსრულებელთა დასჯაც. განსაკუთრებით მათთვის გენოციდის განზრახვისა და მიზნის დადასტურება.

უნდა აღინიშნოს, რომ ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნების დადასტურება და დამტკიცება უფრო ადვილია, ვიდრე სუბიექტური შემადგენლობის, მაგალითად, მიზნის, განზრახვის. ობიექტურად განხორციელებული ერთი და იგივე ქმედება, განსხვავებული მიზნის შემთხვევაში სხვადასხვა მუხლით შეიძლება და უნდა დაკვალიფიცირდეს კიდეც. გენოციდის დროს ქმედება ჩადენილი უნდა იყოს „ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად" და ამისათვის „შეთანხმებული გეგმის განსახორციელებლად".

სუბიექტური – შინაგანი ნიშნების დამტკიცება უფრო რთული, ძნელია და ზოგჯერ შეუძლებელიც, ვიდრე გარეგანი – ობიექტურის, რომლებიც გამოხატულია რაიმე ქმედების, შედეგის, ხელყოფის ობიექტის ან სხვა სახით.

სწორედ ობიექტური ნიშნების შესაბამისად და მათთან მიმართებაში უნდა დადგინდეს სუბიექტური ნიშნებიც, რათა სრულყოფილად შევაფასოთ მოქმედის მიერ ჩადენილი ქმედება. ეს კი შესაძლებელია ფაქტობრივად ჩადენილი გარემოებების სრულყოფილად დადგენით, შესწავლითა და სამართლებრივი შეფასებით. ამისათვის აუცილებელია ასევე შემადგენლობათა საკანონმდებლო-თეორიული მოდელის ცოდნა, ის თუ რა იგულისხმება ამ შემადგენლობაში და ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობის დადგენა, რაც ზოგჯერ პროცესუალურად არც თუ ისე ადვილია.

მაგალითად, როდესაც ჯარისკაცი ან სხვა ვინმე კლავს სხვა ჯგუფის ადამიანს, ამ ფაქტის დადგენა უფრო ადვილია, ვიდრე იმის, რომ მან ეს ჩაიდინა „შეთანხმებული გეგმის განსახორციელებლად რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად". დასადგენია, ის მოქმედებდა დამოუკიდებლად, თავისი პირადი მოტივით,

თუ „შეთანხმებული გეგმის“ მიხედვით. რატომ შეუერთდა ამ გეგმას? ვინ გააცნო ანდა შეიმუშავა ეს გეგმა?

მე აქ აღარ ვსაუბრობ 407-ე მუხლში ჩამოთვლილ რომელიმე ქმედებაზე (მკვლელობა, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ცხოვრების მძიმე პირობის განზრახ შექმნა, შობადობის ძალით შემცირება, ბავშვის იძულებით გადაცემა ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში), რომელიც არ იქნება ჩადენილი „შეთანხმებული გეგმის განსახორციელებლად რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად.“

მიუხედავად გარეგნული მსგავსებისა, ისინი არ იქნებიან გენოციდის დანაშაული. თუმცა პრაქტიკაში შეიძლება წარმოიშვას კვალიფიკაციის პრობლემაც.

აუცილებელია სპეციალური მიზნის არსებობა და შემდეგ მისი დადგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში ქმედება რომც შეიცავდეს ზემოთ ჩამოთვლილ ობიექტურ ნიშნებს, მაინც არ იქნება გენოციდი. მაგალითად, ერთი პერიოდი ჩინეთში აკრძალული იყო ერთზე მეტი შვილის გაჩენა. გამრავლების ასეთი შეზღუდვა ჩინეთში მიზნად არ ისახავდა ერის ნაწილობრივ ან მთლიან მოსპობას. არ ჰქონდა ეს მიზანი და ამიტომ არც გენოციდი იქნება. თუმცა ამ ფაქტმა მაინც იმოქმედა ჩინეთის მოსახლეობის ზრდაზე და ის მალე პირველობას ინდოეთს დაუთმობს.

საკმაოდ საინტერესოა გენოციდის შემადგენლობაში ჩამოთვლილ ქმედებათა სხვა შემადგენლობათაგან გამიჯვნის საკითხი, რომლებიც ასევე ობიექტურ შენადგელობაში ითვალისწინებენ მსგავს ქმედებას. მაგალითად, მკვლელობა, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ბავშვის იძულებით გადაცემა და ა. შ. ეს ქმედებები არის სსკ-ის შესაბამის მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები, მაგრამ თუ ისინი ჩადენილი იქნება სპეციალური, გენოციდის მიზნით, „შეთანხმებული გეგმის განსახორციელებლად რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად“, მაშინ მათ მიეცემათ გენოციდის კვალიფიკაცია.

ასევე საინტერესოა გენოციდისა და რომის სტატუტით განსაზღვრული სხვა საერთაშორისო დანაშაულების – აგრესიის აქტის დაგეგმვა, მომზადება, დაწყება ან წარმოება, დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ და აგრესიის შემადგენლობათა გამიჯვნა.[11]

მე აქ აღარ ვსაუბრობ ამ დანაშაულებით დაცული სამართლებრივი სიკეთის საერთაშორისო მნიშვნელობასა და ხასიათზე. ყველა

11. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით იხილეთ კლაუს კრესი, ლეონი ფონ პოლტცენდორფი, კამპალას კომპრომისი აგრესიის დანაშაულზე, სამართლის ჟურნალი, 2011, №1, გვ. 279-319; ასევე ვეფხია გვარამია, აგრესიის საერთაშორისო სამართალდარღვევებისა და დანაშაულების გამიჯვნა და მათი იმპლემენტაცია კანონმდებლობაში, იურისტი, 2016, №1, გვ.22-31;

ცივილიზებული სახელმწიფო უნდა ჰგმობდეს და ებრძოდეს ასეთ ქმედებათა ჩადენას. ამისათვის კი პირველი საფეხურია შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებებზე მიერთება და ამ ქმედებათა დანაშაულად გამოცხადება.

IV

თუმცა ისევე როგორც სხვა დანაშაულების, ასევე გენოციდის წინააღმდეგ საბრძოლველად საკმარისი არ არის მისი მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინება. აუცილებელია მისი გამომწვევი მიზეზების შესწავლა და აღმოფხვრა. თუ გვინდა რომ დანაშაული შევამციროთ, მისი გამომწვევი მიზეზების კვლევა აუცილებელია.

შიდასახელმწიფოებრივი, ეროვნული სსკ-ით გათვალისწინებულ დანაშაულებთან მიმართებით კონკრეტული სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მაღალია თავისი მოქალაქეების დანაშაულისგან დაცვის საკითხში. სახელმწიფო უნდა იკვლევდეს ამა თუ იმ ქმედების გამომწვევ მიზეზებს და მათი ანალიზის საფუძველზე ახდენდეს სსკ-ში ცვლილებებს – ქმედების კრიმინალიზაციას ან დეკრიმინალიზაციას.

აქ საინტერესოა ერთი გარემოება. დანაშაულის გამომწვევ მიზეზთა კვლევის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ზოგიერთ ქმედებათა კრიმინალიზაცია ან/და დეკრიმინალიზაცია. მაგრამ სახელმწიფო ვერასოდეს ვერ იტყვის უარს „კლასიკურ დანაშაულთა" დასჯაზე.

არსებობენ ე.წ. „მარადიული" დანაშაულები, რომლებიც ყველგან და ყოველთვის დასჯადი იყვნენ, არიან და იქნებიან მომავალშიც (მაგალითად, მკვლელობა, გაუპატიურება, ყაჩაღობა და ა. შ.). არსებობენ ასევე ე.წ. „მოდური" დანაშაულები, რომელთა მიმართაც ხშირია კრიმინალიზაცია და დეკრიმინალიზაცია, რომლებიც ხან დასჯადია, ხან არა, ზოგან დასჯადი, ზოგან არა. მაგალითად, სპეკულაცია, ცილისწამება, ზოგიერთი ნარკოტიკის მოხმარება.

ასეთ დანაშაულთა მიმართ საკანონმდებლო ცვლილებები კვლავაც იქნება. სახელმწიფო უნდა შეეცადოს ასეთ ქმედებათა აღმოფხვრას ან მინიმუმ შემცირებას მაინც.

ის თუ რომელ სახელმწიფოში როგორი კრიმინოგენური ვითარებაა, დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე და მიუთითებს ქვეყნის სამართლებრივ განვითარებაზე მის საერთო ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებასთან ერთად.

ძლიერი ეკონომიკისა და მაღალი სამართლებრივი კულტურის ქვეყნებს შეუძლიათ დანაშაულის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლა ქვეყნის შიგნით, მაგრამ ისეთი ხასიათის დანაშაულთან საბრძოლველად, როგორიც გენოციდია, აუცილებელია მთელი კაცობრიობის ერთიანი ძალისხმევა.

ვერცერთი „ძლიერი“ სახელმწიფო თავისი ძალისხმევით მარტო ვერ შეძლებს გენოციდის დამარცხებას.

გენოციდის შემადგენლობას არ აქვს ის ისტორია, რაც მკვლელობას, მაგრამ სავარაუდოდ როგორც ვერ იტყვის კონკრეტული სახელმწიფო მომავალშიც უარს მკვლელობის დასჯადობაზე, ისე ვერ იტყვის კაცობრიობა რაღაც დროის გასვლის შემდეგ უარს გენოციდის დასჯადობაზე და ის იქნება „მარადიული“ დანაშაული.

ღმერთმა ჰქნას, რომ ის „მოდურ“, დროებით პრობლემას წარმოადგენდეს. მაგრამ დღევანდელი რეალობა ამის თქმის საფუძველს არ გვაძლევს.

მართალია გენოციდი საერთაშორისო დანაშაულია, მაგრამ ის ძალიან სერიოზული პრობლემაა მცირერიცხოვანი ერების/სახელმწიფოებისათვის. მით უმეტეს, რომ გენოციდის მიზნის მიღწევა მომავალში სხვა ფორმითაც იქნება შესაძლებელი და ეს შესაძლებლობა ყველაზე მეტად მაღალგანვითარებულ ქვეყნებს ექნებათ. სწორედ პირველ რიგში მათ უნდა იზრუნონ გენოციდის აღმოსაფხვრელად და არ მისცენ „სხვასაც“ ამის ჩადენის შესაძლებლობა.

ზემოთ აღვნიშნე, რომ მხოლოდ ერთი სახელმწიფო, რაც არ უნდა ძლიერი ეკონომიკისა და მაღალი სამართლებრივი კულტურის იყოს, მარტო ვერ შესძლებს გენოციდის აღმოფხვრას. მის წინააღმდეგ გაერთიანებული ბრძოლაა საჭირო. ეს კი ისევ მისი გამომწვევი მიზეზების შესწავლას გულისხმობს.

რა ამოძრავებთ გენოციდის ორგანიზატორებს? რატომ სურთ სხვა ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი მოსპობა? რა შეიძლება იყოს ამის საფუძველი? გენოციდის ეს მიზეზები არსებობდა და არსებობს დღესაც. მავანს შეუძლია მისი გაღვივება და გამოყენება თავისი მიზნების მისაღწევად.

მართალია კაცობრიობა თავისი განვითარების მაღალ საფეხურზე დგას, მაგრამ დაპირისპირების საფუძველი არსებობდა და დღესაც არსებობს. ზოგჯერ პრობლემის, დაპირისპირების გადაწყვეტის ფორმად დანაშაულებრივ ქმედებას ირჩევენ, რომლის საზაინო მასშტაბიც დიდია. ერთ-ერთ ასეთ სახიფათო დანაშაულს სწორედ გენოციდი წარმოადგენს. სამწუხაროდ მასზე უარს არც მომავალში იტყვიან. თუმცა ამას ისევ მომავალი გვიჩვენებს.

Prof., Dr. Edisher Phutkaradze –
Sokhumi State University

SEVERAL CRIMINAL AND CRIMINOLOGICAL ASPECTS OF GENOCIDE

I

The purpose of genocide definition has to serve to prevent similar acts for the future, Also, it is necessary to take into account past historical experience but, the concept of genocide that only depends on above–mentioned experience, will not be able to prevent such acts.

Our Aim is to prevent the acts of Genocide (and not only acts). Societies fast development defied the use of technologies that are used to serve for another forms of acts, that was impossible for the near past.

Therefore, well-known historical facts of Genocide can not be refused by the Countries, who committed such crime was the base for adopting a convention of genocide. What is purpose of this convention? Can we prevent such crimes for the future? also, the facts that took place previously, nowadays can bring different forms of result.Furthermore, After the adoption of Genocide Convention, more than once it was violated. Facts of Genocide are known for the world. We may conclude, there might be such facts of Genocide, that are not known by General Public, but Abovementioned: well–known or Hidden facts of Genocide cannot be prevented only by adoption of The Convention of Genocide. In order to avoid and prevent this crime, only articles are not enough but legal aspects and significance is also necessary in fight against Genocide.

According to the expressed opinions in legal literature, about the conventional definition of Genocide is mentioned, that it is a compromise version of law and policy, that is based on the scientific conception and the interests of special committee member countries of UN representatives..„[1]

Likewise, the clear demonstration of proof is that adoption, ratification and implementation of the convention in states own legislations, to make the it criminally responsible is not sufficient measure to prevent Crime of Genocide.

The reason is that, Essence of Genocide is still remaining same, but the shape of its detection is changing. Nowadays, no longer is necessary to commit this crime even with gruesome forms, as we know: for example murder. The perpetrators can achieve same purpose by using highly developed technologies (not only).

We can share the conception, according to which „ the conventional understanding, at the moment of its adoption could not provide all the essential framework, since it was based on two facts that has taken place in the near past, not on the criminological studies. This is one of the main reasons of genocide deficiency problem".

1. Davit Tsulaia, Genesis of Genocide, Journal of Law, TSU Faculty of Law, University Press, 2013, №2, pg.201;

This is why the definition of Genocide requires to be improved, it has to respond modern challenges and prevention of this crime.

According to D. Tsulaia, as he mentioned „ Sociology scientists have stated that the Convention has failed to define its most essential purpose – preventing genocide.„[2]

Unfortunately, the danger to commit the crime of genocide in the future, still exists, which indicates that the act of genocide can not be decriminalised Yet, it is necessary to improve its structure, legislative or even conventional definition, requirements of time and also, its challenges.

Nowadays, regarding to genocide definition there are still different views. „Unlike lawyers, sociologists do not consider genocide as a concrete matter, but the ongoing process... political and the other groups are not categorized in protected groups of genocide, and, therefore, they remain unprotected." [3]

How appropriate is to change the conventional definition in a national legislation? Which would be correct: if it be transmitted with the same content and form or is it possible to change the content and form in national legislation?

Can it be understood differently by different states, or according to its international character, of course, it has to be based on adopted definition in a result of the agreement of states.

In my opinion, uniform approach is more appropriate is in order to make easier practical use of the article. Some concessions can be done in a relation with other „conventional" articles, that are transmitted in the national legislation and protects legal goods, also confirms the development of a state in some direction, for example in terms of protection of human rights

Therefore, of course it is necessary to protect legal goods, but a state has to make it within the scope of its sovereignty, it has to take into consideration national values and also, comply with the Conventional requirements. Especially, when protected legal good is within a domestic scale. when it comes to the legal good of international law, it is required to observe the conditions of convention and international agreement.

That is the reason why it is advisable to debate, to involve different positions, until the convention and international agreement has been reached. But, after the adoption of the convention, therefore, after the enactment of conventional conditions must be ensured, even through the structure of the crime definition.

it would be impossible to gain a success in international cooperation in such cases, where there is no uniform international legal resort /agreement, as this is a necessary precondition of international cooperation.

2. ib. pg.202 3ib, pg.211;
3. ib;

II

In my point of view, Genocide and other international crimes has to be formulated similarly in every states national legislation according to the convention and the rome statute, in order to prevent dissimilar interpretation of this act, which can create a problem for justice.

Furthermore, as it is assumed ,,united in the group by different reasons" that according to Georgian cc article 407 is protected group by the structure of genocide, as political, sexual, language and social group. also, we can afford that in such group we can also mention the groups by other reasons, but how appropriate is that to extent the group of genocide. It won't expire by political, sexual, language or social reasons. why cannot we imply profession, age, inhabitancy, traditional or cultural or any different reason, that will unite group of people and it will afford special identification and will differentiate one of the others. Such approach will artificially increase groups protected from genocide.

If state by implementation of its policy will try to maintain less for pensioners or will gain to reduce their number, or considers it as less prior, or even will try to abolish jobs for them, will it lead us to a crime of genocide?

In a legal literature there is mentioned „the dispute that is possible within conventional scope of genocide with racial group, national or ethnic groups but not religious one". [4]

This view is least favourable. why can we consider disputable racial, national or ethnic groups in the definition of genocide according to convention, if they are disputable why is religious prior ?

If we think carefully, the loss by racial, national and ethnic grounds are excessive than by religious grounds. Why? Because a person may choose to change religion, convert, this is confirmed by the Universal Declaration of Human Rights according to Article 18: „Everyone has the right to freedom of thought, conscience and religion; this right includes freedom to change his religion or belief, and freedom, either alone or in community with others and in public or private, to manifest his religion or belief in teaching, practice, worship and observance."

Hence, a person can not choose race, nationality or ethnicity.He/She either belongs to one of a group, That is the reason why genocide (for example: murder) directly reduces the number of group.Especially, it is harsh for such small number for ethnic groups or nation. Sometimes genocide can completely destruct any nation or ethnic group. Lot of examples are given in a history (for Example The last Mohican).

As it is possible for one nationality people can have different religious

4. Davit Tsulaia, Genesis of Genocide, Journal of Law, TSU Faculty of Law, University Press, 2013, №2, pg.196;

confessions, also it is possible to a different nationality people can have same religion. Lot of Religions are known around the world. Some of them are prominent by the number of followers and it can also grow with new followers. Humanity will not have much loss, thus this religion will continue to exist. But by genocide it is possible to completely destroy nationality or ethnic group, it would be incorrigible loss for mankind.

If we watch carefully to the condition demography or to followers of a religion, we will see small nations and ethnic groups are standing close to a danger of genocide.

Their future really is thoughtfull.

This threat is not for large races or large nations, or the large number of followers of religion, their number increases day by day and humanity should not to be afraid to lose them.

Such murder can be a murder in account of racial or religion intolerance, than genocide, because murder in certain place and time can only reduce certain number of religion group or race but complete destruction is not possible of such group, what we can not tell about the small number of ethnic groups or nation in a matter of genocide.

That's why we can not share above–mentioned opinion and do not consider arguable the understanding of conventional definition of genocide which involves race, nationality and ethnic groups. On the Contrary, it is really vital for them to be protected from genocide.

It is worth to attention, that the resolution of protected groups stipulates political and other groups, which is adopted by UN Convention on Genocide 1948 and is not repeated in other acts. ." [5]

I believe that the circle of protected groups should not be expanded in terms of compliance with the National Criminal Procedure / Convention. A number of facts of the murder of political opponents are familiar with the story. How do we consider the genocide as a complete or even partial destruction of political opponents? Does this act violate the same legal kindness that genocide protects? The destruction of political opponents occurs mainly within the country in order to obtain, maintain or strengthen political power. That is why this is a more internal problem than international, since it does not harm the peaceful coexistence of humanity.

There is mentioned that „the criteria defining the group in the criminal group of genocide should be the volume that cannot be restituted to humanity after its destruction." [6]

Afterall, the question arises: who can be recovered after a while, should

5. ib, pg.199;
6. ib, pg.216;

this not be considered as a genocide? This approach is not shared. Is this not an act of genocide against Jews, Armenians or even Georgians? Fortunately, these nations of people were not destroyed. according to this logic, murder of a one or more person will never be considered as genocide, because a „small" loss can be quickly and easily replaced.

III

In order to alter Fair justice and the inevitability of criminal responsibility that are necessary for the peaceful coexistence of humanity, No manifestation of genocide should be left without a legal reaction. No aggressor who is responsible for the genocide should be unpunished, in order to avoid crime in the future.

Here we will face another problem, which consists flexibility of the legal mechanisms of jurisdiction and States „political will.„ It is often difficult to show the real aggressor, the organizer of the genocide, and we deal only with assistants or in the worst case with the executor. In this regard, The matter of the example of Abkhazia is interesting.

For the eradication of genocide and other crimes (including international ones) it is important to punish the authors and organizers of the idea of its creators. In other cases, the fight against genocide can not be successful.

„Genocide is the subject of international law, which is condemned by the civilized world and for which it has to be punished a perpetrator and accomplice – regardless of whether it is a public, state or political figure, and even if the crime was committed on the basis of the destruction of religious, racial, political or other groups" .[7]

Of course, it must be punished for all those who committed the act of genocide and helped to the perpetrator who has committed the act of genocide, but the main thing is to punish the organizers. Although the genocide does not have a true perpetrator, it can be formally carried out, but in reality the actions of the perpetrators and organizers is associated with certain „abilities" and is possible only for some persons.

T. Tskitishvili equitably mentions that the persons who commit genocide in most cases are public figures, who has reached the adulthood. Genocide does not belong to a special offense, it can be committed by non public figure.

As it is implied in the Article 404 of the Criminal Code of Georgia: „The criminal responsibility for the action envisaged by this article shall be imposed on a person who has the ability to effectively control or manage the state's political or military actions."

Although there is no such a stipulation in the article of genocide, but if we

7. Un assembly resolution , according to D. Tsulaia, see D, Tsulaia ib 198-199 pg;

analyze well the composition and scope of genocide, we will make a conclusion that the organizing this crime requires „certain skills and abilities.„ Creating and organizing a „agreed plan„ for genocide is a major problem that needs to be eliminated. It is precisely the struggle against it, which is a hard work that requires great effort.

The punishment of perpetrators and accessory, who in some form and motivate took a part in the committing crime of the genocide, will reduce the genocide for some time but can not be eliminated. The main idea of genocide is the elimination its organizers, that have to be identified and punished. Often they do not directly engage with genocide. It is necessary to verify the organized crime of genocide to punish members of it, which often is not so easy.

Moreover, It is often hard to punish the members of the genocide crime. Especially to prove their intentions and the purpose of commitment of genocide.

It should be noted that the confirmation and approval of the objective composition of the action is simpler than the subjective composition, for example, purpose, intent. The target action of the same action in different cases may be different and may also be qualified like that. Genocide should be aimed at „whole or partial destruction of the group„ and „implementation of the agreed plan." The approval of subjective – internal signs is more complex, difficult and sometimes impossible to enact than an external object, which is expressed in any act, result, object of violation or in a different way.

Hence, the objective marks and subjective signs, has to be evaluated the subjective signs should also be determined to fully evaluate the action taken by the person. This can be done through the study,case study, identification and judicial assessment. To this end, knowledge of the legislative–theoretical model of composition, what it means to be in this composition and to determine the conformity of factual circumstances, which is sometimes not easier according to the process.

For example, when a soldier or someone else murders a person from a group of other people, it is easier to determine the fact than that it has committed „to completely or partially destroy a group of national, ethnic, racial, religious, or other grounds for the agreed plan". To determine it, we should consider if he has acted independently, on his personal motivation, or in accordance with the „Agreed Plan". Why did he/she join this plan? Who introduced or developed this one?

I do not mention the article 407, which involves the act (murder, serious health injury, deliberately creating harsh conditions of life, decrease in childbirth, forced child transfusion from one ethnic group), which will not be „committed to implement a concerted plan for any national, ethnic, Race, religion, or any other ground To completely or partially destroy the united group."

Despite the similarity, they will not be be charged for the commiting the act of genocide. However, in practice, the problem of qualification may also arise.

It is mandatory, to have a special purpose and then determine it, otherwise the act if it includes the above mentioned objective signs, will be no the acts of genocide. For example, in China, there was a ban on giving birth to more than one child. This restriction of reproduction in China did not aim at partial or total destruction of the nation. It has not maintained this purpose and therefore, it can not be charged as genocide. But this fact has affected the growth of China's population and it has to give India the first prize in the case of child birth soon.

It is quite interesting to make a difference from other structure of the crime in a relation to the composition of the genocide, which also may take into account the similar act in relation with objective signs. For example, murder, serious health injury, forced child transfusion, etc. These actions are punishable by the relevant Articles of Criminal Procedure of the CCG, but if they are committed to a special genocide to „fully or partially destroy a group of national, ethnic, racial, religious or any other grounds for the implementation of the agreed plan" then they will be qualified as the acts of genocide.

It is also interesting to plan, prepare, start or produce an act of aggression in a relation with other international crimes, how to make a difference between the crimes of Rome Statute, for example between genocide, a crime against humanity and the act of aggression.[8]

I do not speak here about international importance and character of the legal goodness protected by the articles . All civilized states must be condemned and fight against such acts. in the order of this, the first step is to join the relevant international treaties and to declare this acts as a crime.

IV

However, it is not enough to fight against other crimes as well as genocide. It is necessary to study and eliminate the causes, maintaining purposes of this act. If we want to reduce the offense, it is necessary to investigate the cause of the act.

The responsibility of a particular state in accordance of specified crimes is to highly protect its citizens from this crime in national and national criminal cases. The state should investigate the causes for the act and make changes to the CC based on their analysis – criminalization or decriminalization of the act.

The interesting point here is Criminalization and / or decriminalization of some acts that may be based on analysis of the causes of the acts of the crime. But the state can never refuse to punish „classical crimes".

8. In regard to this, see Claus Crese, Leon von Holtzendorf, Campbell's compromise on aggression, Journal of Journal, 2011, No. 1, p. 279-319; Vepkhvia Gvaramia, separation of international offenses and crimes of aggression and their implementation in legislation, lawyer, 2016, no.1, p.22-31;

There are „eternal„ crimes that are everywhere and were always punishable and will be in the future (for example, murder, rape, robbery, etc.). There are also „fashionable„ offenses that are often criminalized and decriminalized, which are sometimes punishable, sometimes not punishable, in some cases. For example, speculation, defamation, use of some drugs.

Legislative amendments will still continue to apply to such crimes. The state should try to eliminate or at least reduce such acts. The degree of a crime in each state depends on many factors and points, also to the legal development of the country, with its common economic and cultural development.

Strong economy and high legal culture can make a successful fight against crime inside the country, but to fight a crime as such a crime as genocide, it is necessary to unite all human effort.

None of the „strong" states can fight alone and defeat a crime of genocide alone.

The composition of genocide does not have a same history as a crime of murder, but presumably the state can not refuse to punish a crime of murder as genocide – as it is the „eternal" offense".

For God's sake only he can make this crime to be a „fashionable„ temperer problem. But today's reality does not give us the basis to afford this.

Genocide is an international crime, but it is a very serious problem for small nations / states. Moreover, the achievement of genocide will be possible in the future as well, and this opportunity will be for the most developed countries. First of all they should take care to eliminate genocide and not to allow anyone else to commit this crime.

As i mentioned above that only one state can not fight against genocide crime, does not matter if it is economically strong or has a high legal culture. for elimination of genocide is necessary to unite, what means genocide crime has to be carefully studied for identification of its causes.

What motivates the genocide organizers? Why they want a whole or partial demise of another group? What can be the basis for this? These causes of genocide existed and still exist today. willingness person can stir and use it to achieve its purposes.

It is true that mankind is at its highest level of development, but there is a basis for controversy and still exists. Sometimes the problem of confrontation is the form of criminal action, the size of which is a big scale. Genocide is one of such a dangerous crimes. Unfortunately, persons who are able to commit genocide and are willing to do so, will not say no to it in the future. However, In conclusion, the future will show that.

სტეფან თამანი
ემერიტუს პროფესორი, სენტ-ლუისის უნივერსიტეტი, აშშ

ეთნიკური წმენდა: გენოციდი თუ დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ?

შესავალი

ომები, მიუხედავად მათი „სამოქალაქო" თუ სახელმწიფოთაშორისი ხასიათისა, ხშირად საზღვრების შეცვლის ან კონფლიქტში მონაწილე ერთ-ერთი მხარისათვის ტერიტორიის გამოყოფის სახით, მინაზე კონტროლის დასამყარებლად იმართება. ხშირად, ტერიტორიის მითვისების სურვილს თან სდევს „მტრის" გარკვეული ტერიტორიიდან გაძევება, მისი ანექსია ერთ-ერთი მეომარი ქვეყნის მიერ ან ტერიტორიზე გამარჯვებული მხარის მოსახლეობით დასახლება. ეს ხშირად იმპერიების დასუსტების დროს ხდება. ოსმალეთის იმპერიის დაცემას მოჰყვა სომხებისა[1] და ბერძნებისაგან თანამედროვე თურქეთის „წმენდა", თურქების საბერძნეთიდან გაძევება და ა.შ. ავსტრო-უნგრეთისა და გერმანიის იმპერიების დაცემას ასევე მოჰყვა საზღვრების შეცვლა და ახალ საზღვრებში ეროვნებათა გადანაცვლება.

საბჭოთა კავშირის დაშლამ ასევე გამოიწვია ხალხთა მიგრაცია „ცხელი" ომების გარეშე, ჩეჩნეთის ომის, რუსულ-ქართული კონფლიქტისა და მიმდინარე რუსულ-უკრაინული კონფლიქტის და ყირიმის ანექსიის გამოკლებით. იუგოსლავიის დაცემას თან სდევდა ხორვატიასა და კოსოვოში „ეთნიკური წმენდა", განსაკუთრებით კი ბოსნიაში, სადაც 8 000 ახალგაზრდა ბოსნიელი მუსულმანი მამაკაცის მკვლელობა სრებრენიცაში, ყველაზე აღმაშფოთებელ მაგალითად იქცა.

რა თქმა უნდა, იმპერიების შექმნასაც თან სდევდა ეთნიკური წმენდა. ჩრდილოეთ ამერიკის ევროპელებით დასახლებამ გამოიწვია მკვიდრი ამერიკელების კეთილმოუწყობელ რეზერვაციებში გაძევება და წინააღმდგომთა ხოცვა-ჟლეტა. კარიბის ზღვის ქვეყნებისა და სამხრეთ ამერიკის ნაწილები მთლიანად გაიწმინდა მკვიდრი მოსახლეობისაგან, მართალია ზოგჯერ დაავადებების გავრცელების, თუმცა ასევე მკვლელობების შედეგად.

აფრიკაში კოლონიური რეჟიმების მიერ თვითნებურად დადგენილი საზღვრები, რამაც ეთნიკური ჯგუფები გახლიჩა, იმ საზარელი „სამოქალაქო" ომების ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს, რომლებმაც ეს კონტინენტი ბოლო 60 წლის მანძილზე მოიცვა და რუანდაში, კონგოში, სუდანსა თუ სხვაგან მასობრივი მკვლელობები გამოიწვია.

1. სომხების წინააღმდეგ " გენოციდ" –ის For a compelling story of the "genocide" performed against the Armenians during World War I, see Vahakn N. Dadrian, *The Armenian Genocide: Review of Its Historical, Political and Legal Aspects*, 5 Univ. of St Thomas J. of Law & Public Policy 135-94 (2010).

თუმცა, როდესაც გენოციდზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია პირველ რიგში, ნაცისტების მიერ ექვსი მილიონი ებრაელის განადგურება გვახსენდება, რადგანაც ეს იყო "ჰოლოკოსტი", რამაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასაბამი მისცა რაფაელ ლემკინისეულ "გენოციდის" ტერმინოლოგიურად დამკვიდრებას. თუმცა, ებრაელთა სისტემატური ხოცვა ძირითადად ომის დროს ხორციელდებოდა, მას თითქმის არაფერი აკავშირებდა სამხედრო სტრატეგიასთან ან ებრაელთა მიერ დაკავებული ტერიტორიის კოლონიზაციასთან – როგორც ამას ჰიტლერის "Mein Kampf"-ი გვთავაზობს. ეს გახლდათ ებრაელთა ევროპიდან განდევნის მცდელობა გამონვეული არა მათი განსახლების ადგილმდებარეობით, არამედ მათი წარმომავლობით.

„ჰოლოკოსტის" შემდეგ მსგავსი მასშტაბის, სისტემური ხასიათისა და წინასწარ განზრახულობის მქონე სისასტიკეს ადგილი არ ჰქონია. სისასტიკეთა უმეტესობას ეთნიკური წმენდა ახასიათებთ, ვინაიდან ხორციელდება სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს, რასას, რელიგიურ მიმდინარეობას მიკუთვნებული თუ სხვა იდენტობის მქონე ადამიანების წინააღმდეგ. წინამდებარე ნაშრომის მიზანია ეთნიკური წმენდის (ცალსახად ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის) შემცველი ვითარების, გენოციდად ჩამოყალიბების შესაძლო საზღვრების დადგენა.

„ეთნიკური წმენდის" მსჯელობის ფარგლები

ტერმინი „ეთნიკური წმენდა" გამოიყენეს ბოსნიელმა სერბებმა არასერბი მაჰმადიანებისა და ხორვატების იმ ტერიტორიებიდან აღგვის პოლიტიკის დასახასიათებლად, რომლთა მიერთებასაც დიადი სერბეთისათვის აპირებდნენ.. მსგავსი ტერმინი „წმენდა" (Säuberung) გამოიყენეს ნაცისტებმა, ებრაელთა მასობრივ ულეტასთან დაკავშირებით. ჲყოფილი იუგოსალავიის კონფლიქტების კონტექსტში, „ეთნიკური წმენდა" გულისხმობს „ეთნიკურად ერთგვაროვან ტერიტორიაზე ძალის ან დაშინების გამოყენებას ამ ტერიტორიიდან მოცემული ჯგუფების წევრების განსადევნად". ეს განმარტება მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ბოსნიასა და ჰერცეგოვინასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში აღიარა. [2]

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოწინააღმდეგის მოკვლა ნებისმიერ ომში მიღებული პრაქტიკაა. იგი, ომის დანაშაულადაც კი არ მიიჩნევა, თუ განხორციელებულია ჯუს ინ ბელლუმის დაცვით: თუ ჯარისკაცი შესაბამისად შემოსილია და ა.შ. აგრეთვე თუ ქმედება პროპორციულია, მას შეუძლია მოკლას სხვა ჯარისკაცები. იმისათვის, რომ მკვლელობა ჩაითვალოს ომის დანაშაულად, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ან გენოციდად, უნდა დადასტურდეს რამდენიმე ელემენტი და ჩვენ მათ აქ განვიხილავთ. სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ყველა ომში ჯარისკაცები აუპატიურებენ ქალებს მოწინააღმდეგის ბანაკში. ეს მკაფიოდ ომის დანაშაულია და შესაძლოა ჩაითვალოს კაცობრიობის

2 Application of Convention on Prevention and Punishment of Crime of Genocide (Bosn. &Herz. v. Serb. & Mont.), ¶ 191 (Feb. 26. 2007), http // www icj-cij.org/docket/files/91/13685 pdf (hereafter, ICJ judgment)

წინაშე ჩადენილ დანაშაულად, თუნდაც გენოციდად, გარკვეული ელემენტების შემცველობის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ გაუპატიურებებს ადგილი აქვს ეთნიკური წმენდებისას, რომლის მომსწრენიც, მაგალითად, ახლახან კიდევ ერთხელ გავხდით მიანმარში როჰინგიათა წმენდისას, გაუპატიურებას აქ არ განვიხილავ მხოლოდ სივრცის შეზღუდულობის გამო. გარდა მკვლელობებისა, განხილული იქნება მასობრივი დეპორტაციისა და განზრახ მკვლელობის ნაირსახეობის, ე.წ. „ნელი სიკვდილის" ისეთი შემთხვევები, როგორიცაა მაგალითად შიმშილი, რომელიც შესაძლოა ეთნიკური წმენდის იარაღად იქნას გამოყენებული. ამ თვალსაზრისით, ყურადღება მინდა გავამახვილო ეთნიკური წმენდის კონტექსტში განხორციელებულ მკვლელობებზე: რამდენი ადამიანი უნდა მოიკლას, განადგურებაში გამოხატული ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ან გენოციდად ქმედების დასაკვალიფიცირებლად და როგორი ფსიქიკური დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ამსრულებელს მის მიმართ.

რა თქმა უნდა, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული სცილდება მკვლელობასა და დეპორტაციას. ნიურნბერგის წესდების მე-6-ე (ც) მუხლის თანახმად დასჯადია შემდეგი ქმედება: „მკვლელობა, განადგურება, დამონება, დეპორტაცია და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი სხვა არაადამიანური ქმედება". ICTY-ს (ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილი ტრიბუნალი) მე-5-ე და ICTR-ის (რუანდისათვის შექმნილი ტრიბუნალი) მე-3-ე მუხლები ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს შემდეგნაირად აყალიბებენ: ა) მკვლელობა; ბ) განადგურება; გ) დამონება; დ) დეპორტაცია; ე) დატყვევება; ვ) წამება; ზ) გაუპატიურება; დევნა პოლიტიკური, რასობრივი და რელიგიური მიზეზით; თ) სხვა არაადამიანური ქმედებები.

ICC -ს (საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს) სტატუტში ეს ჩამონათვალი კიდევ უფრო გაზრდილია და მოიცავს: მუხლი 7(1)(გ), „სექსუალური დამონება, იძულებითი პროსტიტუცია, იძულებითი ორსულობა, იძულებითი სტერილიზაცია, ან შესაბამისი სიმძიმის სექსუალური ძალადობის ნებისმიერი სხვა გამოვლინება"; 7(1)(ჰ) მუხლის შესაბამისად ისჯება „ნებისმიერი იდენტიფიცირებადი ჯგუფის ან ერთობის დევნა პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, გენდერული ან სხვა მიზეზით, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმებით საყოველთაოდ მიჩნეულია დაუშვებლად, ამ მუხლში მოცემულ ნებისმიერ ქმედებასთან ან სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ დანაშაულთან მიმართებაში", ისევე როგორც ადამიანების ძალდატანებით გაუჩინარება; აპართეიდი და „სხვა მსგავსი ხასიათის არაადამიანური ქმედებანი, რომელთა წინასწარ განზრახული მიზანია ძლიერი ტანჯვის მიყენება ან სხეულის, ფსიქიკური თუ ფიზიკური ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება" (მუხლი 7(1) (ი-ფ).

ICC-ს 7(2) (გ) მუხლი-ს თანახმად, „დევნა ნიშნავს საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგოდ, ამა თუ იმ ჯგუფის ან ერთობისადმი კუთვნილების ნიშნით ძირითად უფლებათა განზრახ და სერიოზულ ხელყოფას"

კამბოჯისათვის შექმნილი სასამართლოს განსაკუთრებული პალატის წესდების (ECCC)-ს მეხუთე მუხლით დადგენილია, რომ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად მიიჩნევა, „ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმა ნებისმიერი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ეროვნულ, პოლიტიკურ, ეთნიკურ, რასობრივ ან რელიგიურ საფუძველზე".

1946 წელს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ განაცხადა, რომ „გენოციდი ადამიანთა მთელი ეთნიკური ჯგუფებისათვის არსებობის უფლების წართმევაა, ისევე, როგორც განზრახ მკვლელობა არის კონკრეტული ადამიანისთვის ცხოვრების უფლების შებღალვა; არსებობის უფლების ამგვარი უარყოფა თავზარს სცემს კაცობრიობის ცნობიერებას, შედეგად მოაქვს ადამიანთა ამ ჯგუფების მიერ კაცობრიობისათვის გაღებული კულტურული და სხვაგვარი წვლილის დიდი დანაკარგი და ეწინააღმდეგება გაეროს სამართალის მორალს, სულისკვეთებასა და მიზნებს."[3]

1947 წლის გაეროს გენოციდის კონვენცია „გენოციდს" განმარტავს როგორც „ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის, როგორც ასეთის, სრული ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით ჩადენილ ნებისმიერ შემდეგ ქმედებას: ა) ჯგუფის წევრების მკვლელობა; ბ) ჯგუფის წევრებისათვის მძიმე ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანის მიყენება; გ) ჯგუფისათვის ცხოვრების განზრახ ისეთი პირობების შექმნა, რომელიც გათვლილია მისი სრული ან ნაწილობრივი ფიზიკური განადგურებისაკენ; დ) ჯგუფში შობადობის აღკვეთისაკენ მიმართული ზომების განხორციელება; ე) ბავშვების ერთი ჯგუფიდან მეორეში იძულებით გადაყვანა". ეს განმარტება გამოყენებულია ICთი -ს მე-4 მუხლში, ICTR -ს მე-2 მუხლში და ICC-ს წესდების მე-6 მუხლში.

მკვლელობა: რა შემთხვევაში ითვლება იგი ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ან გენოციდად?

აუცილებელია თუ არა შეიარაღებულ კონფლიქტთან ან ოფიციალურ პოლიტიკასთან კავშირი?

შეიარაღებული კონფლიქტი

ნიურნბერგის წესდების მე-6-ე (გ) მუხლი აკონკრეტებს, რომ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (გენოციდი ჯერ არ აღიარებულა საერთაშორისო დანაშაულად) განხორციელება უნდა უკავშირდებოდეს „ტრიბუნალის იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ დანაშაულს, მიუხედავად იმისა დაირღვა თუ არა დანაშაულის ჩადენის ადგილის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა."

ICTY-ს წესდებამ გაიმეორა ნიურნბერგის პრეცედენტი მე-5-ე მუხლში, რომლის თანახმადაც ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ჩადენილი უნდა იყოს „საერთაშორისო თუ ადგილობრივი შეარაღებუ-

3. G.A. Res. 96 (Dec. 11, 1946)

ლი კონფლიქტის დროს". თუმცა, „ICTY"-მ ადრეულ ეტაპზე დაადგინა, რომ ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი აღარ საჭიროებდა კავშირს აღარც შეიარაღებულ და „საერთოდ არც არანაირ კონფლიქტთან". [4]

ოფიციალური პოლიტიკა

რუანდისათვის შექმნილი ტრიბუნალისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტებში, ტერმინების „ფართომასშტაბიანი"-ს და „სისტემატური"-ს ინტერპრეტაცია, შესაძლოა დავუკავშიროთ ისეთ თავდასხმას, რომელიც ოფიციალური პოლიტიკის საფუძველზე ხორციელდება. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მე-7(2)-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო მოსახლეობაზე განხორციელებული შეტევა „უნდა შეესაბამებოდეს სახემწიფო ან ორგანიზაციულ პოლიტიკას განახორციელოს ამგვარი შეტევა. „დანაშაულის ელემენტებში" ასევე დაკონკრეტებულია, რომ „ამგვარი შეტევის განხორციელების პოლიტიკა" მოითხოვს სახელმწიფოს ან ორგანიზაციისაგან შეტევის განხორციელების აქტიურ ხელშეწყობას მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ".

ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილი ტრიბუნალის სამოსამართლო სამართალი ასევე მოითხოვს, რომ შეტევა იყოს „ფართომასშტაბიანი" ან „სისტემატური" და „გარკვეული მასშტაბის და სიმძიმის" და არა მხოლოდ ცალკეული პირების მიერ განხორციელებული.[5] იუგოსლავიის ტრიბუნალი ასევე აცხადებს, რომ უნდა არსებობდეს პოლიტიკა, თუმცა „არ საჭიროებს მკაფიოდ ჩამოყალიბებას და არც სახელმწიფო პოლიტიკის არსებობას".[6] სულ ცოტა, ამგვარი გამოვლინების მიმართ „სახელმწიფოს, მთავრობას ან ერთობას მოთმინებას უნდა გამოხატავდეს". გარდა ამისა, ტრიბუნალის თანახმად, როდესაც ბოროტმოქმედება ხორციელდება, „მათ მიერ, ვისაც არც ოფოციალური სტატუსი გააჩნიათ და არც სახელმწიფოს სახელით მოქმედებენ", „სახელმწიფოს ან ხელისუფლების მხრიდან გარკვეული სახის აშკარა თუ დაფარული თანხმობაა საჭირო". შესაძლებელია აგრეთვე ეს ქმედებები „მკაფიოდ იყოს გამყარებული ძირითადი სახელისუფლო პოლიტიკით" ან „მკაფიოდ გათვალისწინებული ამგვარ პოლიტიკაში". ამ კონტექსტში, მაგალითად მოტანილია ველერის საქმე (Weller case) ბრიტანეთის საოკუპაციო ზონიდან, ნაციზმის დანაშაულთან დაკავშირებით. დადგინდა, რომ „კავშირი ძალაუფლების ნაციონალურ-სოციალისტურ სისტემასთან და ტირანია არ არსებობს მხოლოდ იმ ქმედებების შემთხვევაში, რომელთა დაკვეთაც და დამტკიცებაც ხდება ჰეგემონთა მხრიდან; ეს კავშირი ასევე არსებობს მაშინ, როდესაც ქმედებების ახსნა შესაძლებლია მხოლოდ ძალაუფლებაში მყოფი ხელისუფლების მიერ შექმნილი ატმოსფეროთი და პირობებით."

4. *Tadic* (IT-94-1-AR72), Def. Motion (10.2.95) ¶ 141. See William Schabas, *Genocide Law in a Time of Transition: Recent Developments in the Law of Genocide*, 61 RUTGERS L. REV. 161, 162 (2008)
5. *Pros. v. Kupreskic et al* (IT-95-16-T, Judgment (1.14.2000)
6. § 551 *Kupreskic*.

კენიის საქმესთან დაკავშირებით[7], წინასასამართლო განხილვის პალატამ, იმ საკითხის გადაწყვეტისას თუ რამდენად ჯდებოდა არჩევნებთან დაკავშირებული მკვლელობები „პოლიტიკის" ცნების ფარგლებში, აუცილებლობად მიიჩნია განსაზღვრულიყო თავდასხმის „დაგეგმილი, მართული ან ორგანიზებული" თუ „ძალადობის სპონტანური ან იზოლირებული" ხასიათი. მან დაადგინა, რომ ერთი ჯგუფი, მუნგიკი, პასუხობდა ICC-ის 72(2)(ა) პარაგრაფის მნიშვნელობას, ვინაიდან ეს იყო იერარქიული წყობის ორგანიზაცია, რომელსაც აკონტროლებდა მაინა ნიენგა (საბყრობილეში ყოფნის პერიოდშიც). ის იყო ტერიტორიულად მართული დიდი ორგანიზაცია, გაწვრთნილი გასამხედროებული ფრთით, რომელიც კენიის ზოგიერთ ნაწილში აკონტროლებდა და უზრუნველყოფდა აუცილებელ სოციალურ მომსახურებას, უსაფრთხოების ჩათვლით. აგრეთვე უნდა მიეღოთ ფიცი: „კიკუიუს ორგანიზაციის წესების ერთგულებისა" და „კიკუიუს თემის ღალატის შემთხვევაში" სიკვდილისათვის მზადყოფნის შესახებ.

მოსამართლე კაულმა თავის განსხვავებულ მოსაზრებაში განაცხადა, რომ „ორგანიზაციები, რომლებიც არ წარმოადგენენ „სახელმწიფოებს", უნდა „აკმაყოფილებდნენ სახელმწიფოს რიგ მახასიათებლებს. ეს მახასიათებლები შესაძლოა მოიცავდეს: ა) ადამიანების ერთობას; (ბ) მათ მამოძრავებელ საერთო მიზანს; (გ) დროის ხანგრძლივ პერიოდს; დ) პასუხისმგებელ მმართველობას დაქვემდებარებას ან იერარქიული სტრუქტურის გარკვეულ ხარისხს, რომელიც მოიცავს მინიმუმ გარკვეული ხასიათის პოლიტიკის დონეს; (ე) უნარს, საკუთარ წევრებს დაუწესოს შესაბამისი პოლიტიკა და მოახდინოს მათი სანქცირება; (ფ) ნებისმიერ სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი თავდასხმის განხორციელების შესაძლებლობანი და საშუალებანი". მოსამართლე კაულმა განაცხადა, რომ „ისეთ არა-სახელმწიფო აქტორებს, როგორებიც არიან ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები, ბანდები თუ შეიარაღებული სამოქალაქო პირები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, არ ძალუძთ ამგვარი პოლიტიკის გატარება." იგი დასძენს, რომ: „ოდენ უმოწყალობა ან მასობრივი მსხვერპლის გამოწვევა, იგივე მასების ვიქტიზაცია, არ გარდაქმნის დანაშაულს delictum iuris gentium-ად, არამედ ფუძემდებლური კონტექსტუალური ელემენტი, რომელშიც ქმედებაა გათავისებული". შემდეგ კაული აცხადებს, რომ პოლიციის მიერ მუნგიკის მბარდაჭერა გვიჩვენებს, რომ იგი სახელმწიფოს თანაბარი არ არის: „მუნგიკის ფინანსები, სამოსელი და იარაღი რომ არ მიეღო კენიის პოლიციისაგან, ის ვერ შეძლებდა ერცელ გეოგრაფიულ არეალში კენიელი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი შეტევის განხორციელებას. მისთვის ფინანსური დახმარების საჭიროება, მისი ფარგლების მიუხედავად, გვიჩვენებს, რომ მათ არ გააჩნდათ ფართომასშტაბიანი დანაშაულის ჩადენისათვის საკმარისი საშუალებანი".

7. Kenya Situation-PTC 1.23.12

კოტდივუარის (სპილოს ძვლის სანაპირო) საქმეში, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ დაადგინა, რომ „დაგეგმილი, მართული ან ორგანიზებული თავდასხმა, ძალადობის სპონტანურ ან ცალკეულ აქტთან შედარებით, დააკმაყოფილებს პოლიტიკის კრიტერიუმს და რომ არ არსებობს პოლიტიკის ოფიციალურად გაცხადების არავითარი ვალდებულება". „სახელმწიფოს ან ორგანიზაციის მიერ დაგეგმვის, მართვის ან ორგანიზების მტკიცებულება შესაძლოა თავისუფლად ადასტურებდეს თავდასხმის პოლიტიკას და სისტემატურ ბუნებას. თუმცა, ეს ორი ცნება ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს, ვინაიდან მათ სხადასხვა დანიშნულება გააჩნიათ და §§7(1), 7(2)(ა) თანახმად მოქმედებენ სხვადასხვა პირობებში „[8].

კარგად ორგანიზებული მაფია უნდა ექვემდებარებოდეს საერთაშორისო იურისდიქციას? ჰუტუს გენოციდის ჩამდენი პირები რუანდაში „ორგანიზებულად" მოქმედებდნენ? „კოზა ნოსტრა" სიცილიაში ან პაბლო ესკობარის კოლუმბიური მაფია თუ არის „ორგანიზებული", ვინაიდან ისინი ზოგჯერ უზრუნველყოფენ მომსახურებას, აქვთ დისციპლინა, omertà. რას იტყვით მემარჯვენე სიკვდილის რაზმებზე კოლუმბიაში, რომლებიც მჭიდრო კავშირში მოქმედებენ ჯართან ან მემარცხენე ტერორისტებთან, რომლებიც აკონტროლებენ ტერიტორიის/სათიბების დიდ ნაწილს. არის თუ არა ეს „ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დაყვანა სერიოზული ჩვეულებრივ მძიმე დანაშაულებთან."

პრობლემურია ასევე ის გარემოება, როდესაც ადამიანი დამნაშავეა გენოციდში მკვლელობისათვის, თანმხლები ფსიქიკური ელემენტით, თუ არ არსებობს არანაირი მიმდინარე გეგმა ან კამპანია გენოციდის განზრახვით. იელიშიჩის საქმემ წამოჭრა „ერთი ადამიანის გენოციდის" შესაძლებლობის საკითხი. სასამართლო პალატამ მიუთითა: „აპრიორი შესაძლებელია იმის დაშვება, რომ ბრალდებულმა დაგეგმა მთლიანი ჯგუფის განადგურება, რასაც არც ერთმა ორგანიზაციამ არ დაუჭირა მხარი, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვა ადამიანები". შემდეგ, მან დასძინა, რომ „კონვენციის შემდგენლები არ განიხილავდნენ ორგანიზაციის არსებობას ან სისტემის არსებობას როგორც გენოციდის დანაშაულის ობიექტის აუცილებელ სამართლებრივ შემადგენელს. შესაბამისად, მათ არ გამოურიცხავთ შესაძლებლობა, ერთ ადამიანს განეხორციელებინა მთლიანი ჯგუფის განადგურება". მიუხედავად ამისა, საბოლოოდ სასამართლომ შენიშნა, რომ „პრაქტიკულად ძალიან რთული იქნება ინდივიდის გენოციდის განზრახვის დამტკიცება თუ ჩადენილი დანაშაული არ არის ფართომასშტაბიანი და დანაშაულს ორგანიზაცია ან სისტემა არ უმაგრებს ზურგს."[9]

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს განსჯადი დანაშაულის ელემენტებმა, ნათლად ცხადჰყვეს „ერთი ადამიანის გენოციდის" შეუძლებლობა. გარდა იმისა, რომ მსხვერპლი ერთ ჯგუფს უნდა განეკუთვნებოდეს და ამსრულებლებს უნდა აერთიანებდეს ჯგუფის „სრული ან ნაწი-

8 *Pros. v. Gbagbo*, ICC-02/11-01-11 (6.12.14)
9. § 100, *Jelisic*

ლობრივი" განადგურების განზრახვა, დანაშაულის ელემენტები მოითხოვენ რომ ისეთი ქმედებანი, როგორიცაა მკვლელობა, უნდა განხორციელდეს „ამ ჯგუფის წინააღმდეგ მიმართული მსგავსი საქციელის მოდელის კონტექსტში" ან წარმოადგენდეს „ქმედებას, რომელსაც თავად შეუძლია გამოიწვიოს ამგვარი განადგურება."[10]

ვინ უნდა იყოს მსხვერპლი?

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

ვინაიდან ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ობიექტი „სამოქალაქო მოსახლეობაა", მსხვერპლიც სამოქალაქო პირები არიან. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჯარისკაცების მოკვლა დაშვებულია საომარი მოქმედებების დროს. ICTY წესდების მესამე მუხლი უზრუნველყოფს იგივე დანაშაულთა სისხლის სამართლებრივ დევნას, რომლებიც ნახსენებია წესდების მე-5 მუხლში „როდესაც მათ ჩადიან ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმის სახით ნებისმიერი სამოქალაქო პირების წინააღმდეგ ეროვნული, პოლიტიკური, ეთნიკური, რასობრივი თუ რელიგიური ნიშნით". საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტის მე-7-ე მუხლი იმეორებს ტერმინს „ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმის სახით ნებისმიერი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ", რასაც ემატება მაკვალიფიცირებელი „თავდასხმის შეგნებით".

ICTY-იმ ადრეულ ეტაპზე განსაზღვრა, რომ „სამიზნე მოსახლეობა უნდა იყოს უმეტესწილად სამოქალაქო ხასიათის. გარკვეული არა-სამოქალაქო პირების არსებობა მათ შორის არ ცვლის მოსახლეობის ხასიათს"[11] თუმცა, ომის ტყვეები არ არიან „სამოქალაქო პირები" ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მიზნებისათვის.[12] ტადიჩის საქმის (Tadic-ს) თანახმად, ყველაზე რთული საკითხი იყო: „თუ რამდენად შეიძლება ჩაითვალოს იმ ადამიანის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედება, რომელიც „აქტიურადაა ჩართული საომარ მოქმედებებში გარკვეული სახის წინააღმდეგობის განხორციელების კუთხით, თუ ეს ქმედება ხორციელდება სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმისას." თუმცა, სასამართლომ არ მიიჩნია, რომ „ოჯახის თავი, რომელიც ოჯახის დაცვას იარღით ხელში ცდილობს, არ კარგავს სამოქალაქო პირის სტატუსს" და რომ იგივე ვრცელდება „ცალკეულ პოლიციელსა და დაცვის ადგილობრივ წევრზე"[13]. მან ასევე დაადგინა, რომ „ჰოსპიტალის პაციენტები, რომლებიც არიან სამოქალაქო პირები, ან წინააღმდეგობის მებრძოლნი, რომლებმაც დაყარეს იარაღი", ჩაითვლებიან ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მსხვერპლად."[14]

10. § 57 *Omar al Bashir* (ICC-02/05-01/09). Decision on Arrest Warrant (3.4.09)
11. § 638, *Tadic*
12. Id., § 639.
13. Id. at § 640.
14. Id. at § 643.

გენოციდი

რუანდის საერთაშორისო ტრიბუნალის მეორე მუხლი და გენოციდის კონვენცია გენოციდის დანაშაულის მსხვერპლთა ოთხი ტიპის ჯგუფს ადგენენ: ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური, რაც ჯგუფების უფრო ვიწრო განმარტებაა ვიდრე ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემთხვევაში. ზოგჯერ რთულია განსაზღვრო თუ რამდენად განსხვავდება სამიზნე ჯგუფი ეროვნული, ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით დანაშაულის ჩამდენთა ჯგუფისაგან. 1991 წლის რუანდას კონსტიტუციით დადგენილია სამი ეთნიკური ჯგუფი, იგივე უბვოკო, ტუტსი, ჰუტუ ან ტვა. რუანდელებს თან უნდა ჰქონოდათ პირადობის დამადასტურებელი მოწმობები, რომლებზეც მინიშნებული იყო შესაბამისი ეთნიკური წარმომავლობა. სასამართლომ დაადგინა, რომ გენოციდის დანაშაული თავდაპირველად უკავშირდებოდა „სტაბილურ" ჯგუფებზე თავდასხმას, რომელთა წევრობა განისაზღვრება დაბადებით და გამორიცხავდა უფრო მობილურ ჯგუფებს, რომელსაც ნებაყოფლობით უერთდებიან გარკვეული მიზნებით, როგოიცაა, მაგალითად, პოლიტიკური ან ეკონომიკური ჯგუფები.[15]

akaezus Akayesu საქმის მიხედვით, ეროვნული ჯგუფები, იზიარებენ საერთო სამართლებრივ კავშირს საერთო მოქალაქეობის და უფლებათა თუ ვალდებულებათა საფუძველზე დაყრდნობით. ეთნიკურ ჯგუფებს საერთო ენა ან კულტურა აერთიანებთ. რასობრივი ჯგუფები ემყარება ისეთ მემკვიდრეობით ფიზიკურ მახასიათებლებს, რომლებიც ლინგვისტური, კულტურული თუ რელიგიური ფაქტორების მიუხედავად, ხშირად უკავშირდება გეოგრაფიულ რეგიონს, ხოლო რელიგიურ ჯგუფებს გააჩნიათ ერთი და იგივე რელიგია, სარწმუნოება ან ღვთისმსახურების ფორმა. სასამართლომ დაადგინა, რომ „ტუტსი" არ ჯდება ჩვეულებრივ „ეთნიკურ" ჯგუფში. მათი იდენტობა „სტაბილურია" და ისინი დაბადებიდან მიეკუთვნებიან ამ ჯგუფს. [16]

რუანდის საქმე მრავალ საკითხს წამოჭრის. რა მოხდება თუ ერთი ეთნიკურ ნიადაგზე შექმნილი პარტია გადაწყვეტს გაანადგუროს მეორე ეთნიკურ-პოლიტიკური ძალა ქვეყნის მართვის მიზნით? არის თუ არა ეს გენოციდი? ეთნიკურობა სტაბილურია თუ უცვლელი? პირადობის დამადასტურებელი მოწმობების დარიგება ქმნის ეთნიკურობას? რა მოხდება ღარიბმა რუანდელებმა, რომლებიც ჩაცმულობით და დაბალი სიმაღლით გამოირჩევიან, ამოწყვიტონ 100 წლის მანძილზე მათი მჩაგვრელი მდიდარი, მაღალი, გამხდარი და უკეთ ჩაცმული რუანდელები იქნება თუ არა ეს გენოციდი? ჰუტუს ტომის საშუალო წარმომადგენელთა ხოცვა უარყოფს ტუტსის წარმომადგენელთა მკელელობის გენოციდურ ასპექტს? ტუტსის ტომის წარმომადგენელთა შემცირება წარმოადგენს თუ არა „კაცობრიობისთვის დიდ დანაკარგს კულტურული და სხვა ფაქტორების თვალსაზრისით?" როგორც ინდივიდები უნდა იყვნენ

15. §§ 510-11, *Akayesu*, ICTR-96-4-T, Jt. (9.2.98)
16. *Akayesu.*

თუ არა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ჯგუფები გათვალისწინებული? აგრეთვე, ჯგუფები სექსუალური ორიენტაციის მიხედვით?

გვეკლინებოდა თუ არა წითელი ქხმერების სასაკლაოები ნაკლებად დანაშაულებრივი ან დასაძრახი ჰუტუებთან შედარებით? შესაძლებელია თუ არა ადამიანის გასამართლება თუ მან განიზრახა იმ ჯგუფის განადგურება, რომელსაც თავად მიეკუთვნება? „ახალი კამბოჯას" შექმნის გეგმა ემყარება კომუნისტურ და მაოისტურ მოსაზრებას შეიქმნას მიწათმოქმედი პროლეტარიატის იდეალიზირებული სახეობა. მსხვერპლს წარმოადგენდნენ ლონ ნოლის ჯარის წევრები და ყოფილი რეჟიმის (100,000 დან 200,000-მდე) სხვა წარმომადგენლები, რომელთა ამოხოცვა განპირობებული იყო კამბოჯას მოსახლეობის რასობრივმა, სოციალურმა, იდეოლოგიურმა და პოლიტიკურმა მოტივებმა. ამდენად, ყველა არა-ქხმერი ეთნიკური ჯგუფი, ვიეტნამელების, ჩინელების, მუსულმანების, ტაილანდელების და რეგიონის მკვიდრი მაცხოვრებლების ჩათვლით, უნდა შემცირებულიყვნენ ან ასიმილირებულიყვნენ. წითელი ქხმერების ლიდერთაგან, მრავალი ჩინური წარმომავლობისა იყო. მათ ასევე მოახდინეს იმ ადამიანების ელიმინაცია, რომელთა სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კუთვნილება ან ისტორიები მათ ცუდად მოიხსენიებდნენ. მოკლულ იქნა 2 მილიონი ადამიანი და ეს რიცხვი ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელია ყველა რევოლუციებს შორის. შეგვიძლია თუ არა ბრალდებული ნითელი ქხმერები დავადანაშაულოთ მუსულმანების ან ეთნიკური ვიეტნამელი უმცირესობების წინააღმდეგ გენოციდში? იგივე შეკითხვა ისმის სტალინის სოფლის მეურნეობის იძულებითი კოლექტივიზაციის შემთხვევაში და ამის შედეგად განხორციელებულ კულაკთა (მცირე მეწარმეთა) მასობრივ მკვლელობებზე და 7 მილიონზე მეტი უკრაინელისა და სამხრეთ რუსის შიმშილზე ან კიდევ, მის პოლიტიკაზე დაეპატიმრებინა დიდი ეროვნული ჯგუფები და სიკვდილამდე მათი იძულება ეშენებინათ არხები, ქარხნები, მეტროები და ა.შ.

იუგოსლავიის ტრიბუნალმა იელიშიჩის საქმეში გენოციდის მსხვერპლი ჯგუფების ცნება სუბიექტურად შეცვალა. სასამართლოს მოსაზრების თანახმად რელიგიური ჯგუფებისაგან განსხვავებით, „ეროვნული, ეთნიკური თუ რასობრივი ჯგუფის განმარტება ობიექტური და მეცნიერულად კრიტერიუმების გამოყენებით, სახიფათო თამაშს დაემსგავსებოდა, რომლის შედეგადაც ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი იმ ადამიანთა მოლოდინი, რომლებზეც ასეთი კატეგორიზაცია ვრცელდება." შესაბამისად, სასამართლომ შემოგვთავაზა „შეგვეფასებინა ეროვნული, ეთნიკური ან რასობრივი ჯგუფის სტატუსი იმ ადამიანების გადასახედიდან, რომლებსაც სურთ ამ ჯგუფის საზოგადოების დანარჩენი ნაწილიდან გამოყოფა." სასამართლო დასძენს, რომ „საზოგადოების მხრიდან, ჯგუფის როგორც ცალკეული ეროვნული, ეთნიკური ან რასობრივი ერთეულის სტიგმატიზაცია, შესაძლებელს ხდის განისაზღვროს თუ რამდენად წარმოადგენს ამსრულებელთა თვალთახედვით ეროვნული, ეთნიკური თუ რასობრივი ჯგუფი სამიზნე მოსახლეობას."[17] რუანდის სასა-

17 Prosecutor v. Jelisic. Case No. IT-95-10-T. Judgment, ¶ 70 (Dec. 14, 1999). In Nazi Germany, the Nazis, with their racial

მართლმა გაიზიარა ამგვარი სუბიექტური მიდგომა და შემდეგი მოსაზრება გამოთქვა: „თუ ამსრულებელი მსხვერპლს მიაკუთვნებს დაცულ ჯგუფს გენოციდის მიზნებისათვის მსხვერპლი პალატის მიერ ჩაითვლება ამ დაცული ჯგუფის წევრად.[18]

იელესიჩის საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ შესაძლებელია ჯგუფის როგორც პოზიტიურად, ასევე ნეგატიურად სტიგმატიზება: (1) „დადებითი მიდგომა" წარმოადგენს დანაშაულის ამსრულებლის მიერ „ცალკეული ეროვნული, ეთნიკური თუ რასობრივი ჯგუფის გამორჩევას მისი მახასიათებლების მიხედვით" (2) „უარყოფითი მიდგომა" კი, „მოიცავს კონკრეტული პირების არ მიკუთვნებას იმ ჯგუფთან, რომელსაც თვით ამსრულებელნი აიგივებენ საკუთარ თავთან. ჭეშმარიტად, ჯგუფი შესაძლოა იყოს „პლურალისტური და არაერთგვაროვანი". ეს მიდგომა უარყოფილ იქნა სამეცნიერო ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში.[19] როგორც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, გენოციდი „მოითხოვს ადამიანთა იმ ჯგუფის განადგურების განზრახვას, რომელთაც გააჩნიათ ჯგუფის კონკრეტული იდენტობა. მთავარი ისაა, თუ ვინ არიან ეს ადამიანები და არა ის თუ – ვინ არ არიან". [20]

ამგვარი ნეგატიური მიდგომა გამოიყენა ესპანეთის ეროვნულმა სასამართლომ, მოსამართლე ბალთაზარ გარსონის მიერ აუგუსტო პინოჩეტის წინააღმდეგ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში, რომელმაც გენოციდის განმარტება გააფართოვა, დაამატა რა „დიფერენცირებული ეროვნული ჯგუფი, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა ეროვნული მოდერნიზაციის პროცესს ან ისინი, რომლებსაც სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელნი ასეთებად მიიჩნევდნენ. მსხვერპლთა შორის იყვნენ უცხოელები, მათ შორის ესპანური წარმომავლობის. ყველა მსხვერპლი, ნამდვილი თუ პოტენციური ჩილელები ან უცხოელები, წარმოადგენდნენ განადგურების სამიზნე, ერის დიფერენცირებულ ჯგუფს". ამავდროულად, ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსი იცნობდა გენოციდის პოტენციურ მსხვერპლ „სოციალურ ჯგუფს", თუმცა ამის შემდეგ მოხდა მისი გენოციდის კონვენციაში შებრუნება.

თუმცა, იუგოსლავიის ტრიბუნალისგან განსხვავებით, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ მსხვერპლთა ჯგუფის განსამარტად პოზიტიური მიდგომა შეიმუშავა: „ჯგუფს, რომელზეც თავდასხმა განხორციელდა უნდა გააჩნდეს კონკრეტული დადებითი მახასიათებლები (ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური) და არ განიცდიდეს მათ ნაკლებობას". მან დაადგინა, რომ გენოციდის კონვენციის შემდგენლები „აქტიურ ყურადღებას უთმობენ ჯგუფების პოზიტიურ იდენტიფიცირებას კონკრეტული, ნათლად გამოხატული, უცვლელი განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით. შედეგად,

---

laws, determined who was a Jew, and this, according to Schabas, is always how it works Schabas. *supra* note 2, at 164

18. Prosecutor v. Bagilishema, Case No. ICTR-95-1A-T, Judgment, ¶ 65 (June 7, 2001), Schabas, *supra* note 2, at 165.

19. Schabas, *supra* note 2, at 168.

20 ICJ Judgment, *supra* note 1, ¶ 193-4.

„მნიშვნელობა ენიჭება იმას თუ ვინ არის ეს ხალხი და არა იმას თუ ვინ არ არის".

დარფურის საქმეში, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წინასწარი განხილვის პალატამ დაადგინა, რომ მსხვერპლთა სამ ჯგუფთან, ფურებთან, მასალითებთან და ზაგავასთან დაკავშირებით: „არ არსებობს არანიაირი საფუძველი მივიჩნიოთ, რომ ეროვნება, რასა და/ან რელიგია გვეულინება რომელიმე ამ სამი ჯგუფის განმასხვავებელ ნიშნად". სამივე ჯგუფის წარმომადგენლებს გააჩნიათ „სუდანის მოქალაქეობა, მსგავსი რასობრივი ნიშნები და საერთო მუსულმანური რელიგია". თუმცა, სასამართლომ აღიარა, რომ „არსებობს საფუძვლიანი არგუმენტები იმის საცნობად, რომ თითოეულ ჯგუფს აქვს საკუთარი ენა, ტომური წეს-ჩვეულებანი და მიწებთან ტრადიციული კავშირი."[21]

ყურადსაღებია, რომ მოსამართლე ანიტა უსაკა დარფურის მსხვერპლს განმარტავდა, როგორც „აფრიკული ტომების" ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფს, რომელიც შედგება, ფურების, მასალატების და ზაგავას უფრო მცირე ჯგუფებისაგან.[22]

დაცულ ადამიანთა კლასიდან რამდენი უნდა მოკლან?

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის რუანდისეული განმარტება გააფართოვა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მე-7 მუხლმა, რომელმაც გაიმეორა ტერმინი „როგორც ფართომასშტაბიანი ან სისტემატური შეტევის ნაწილი, რომელიც მიმართულია ნებისმიერი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ".[23] ამას დაემატა მაკვალიფიცირებელი „თავდასხმის განხორციელების შეგნებით". საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მე-7(2)(1)-ე მუხლში ასევე გვხვდება განმარტება იმისა თუ რას მოიცავს „თავდასხმა სამოქალაქო მოსახლეობაზე" – „პირველ პუნქტში მითითებულ ქმედებათა მრავალჯერადი ჩადენა, რომლებიც მიმართულია სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, სახელმწიფოს ან ასეთი თავდასხმის განხორციელებისაკენ მიმართული ორგანიზაციის პოლიტიკის გატარების ან მისი ხელშეწყობის მიზნით;" იუგოსლავიის ტრიბუნალის პრეცედენტული სამართალი ასევე მოითხოვს თავდასხმის განხორციელება აკმაყოფილებდეს „ფართომასშტაბიან" თუ „სისტემატურ" და „გარკვეული მასშტაბისა და სიმძიმის" კრიტერიუმებს[24]. „დანაშაულის ელემენტების თანახმად", აქტები არ არის აუცილებელი წარმოადგენდნენ სამხედრო თავდასხმას".

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მე-7(2)(ბ) მუხლის თანახმად, „განადგურება" მოიცავს ცხოვრების განზრახ ისეთი პირობების შექმნას, რომელიც, სხვათა შორის, ზღუდავს საკვებსა და წამლებზე წვდომას, რაც მიმართულია მოსახლეობის ნაწილის განადგურებისაკენ.

21. § 135 *Omar al-Bashir.*
22. § 26 Separate Opinion of Usacka, *Omar al-Bashir*
23. Cf. Art. 3 ICTR.
24. *Pros. v. Kupreskic et al* (IT-95-16-T, Judgment (1.14.2000)

იმისათვის, რომ მასობრივი მკვლელობა „გენოციდად" მიეჩნიოთ, „დამნაშავეებს უნდა მოეკლათ „ჯგუფის მნიშვნელოვანი ნაწილი", „რაოდენობრივი ან ხარისხობრივი თვალსაზრისით". მკვლელობებს „ზეგავლენა უნდა მოეხდინათ ჯგუფის დიდ ნაწილზე ან წარმომადგენლობით ნაწილზე, როგორიცაა, მაგალითად, მისი ლიდერები, „რომლებიც მოიცავს პოლიტიკურ ან ადმინისტრაციულ ხელმძღვანელებს, რელიგიურ ლიდერებს, აკადემიური სფეროს წარმომადგენლებს და ინტელექტუალებს, აგრეთვე ბიზნეს ლიდერებს და სხვა."[25] შეტევა ხელმძღვანელობაზე უნდა შეფასდეს დარჩენილი ჯგუფისათვის მიყენებული ზიანის შესაბამისად, მაშასადამე „ჯგუფის, სიცოცხლისუნარიანობის შემცირების" თვალსაზრისით. რუანდის ტრიბუნალმა დაადგინა, რომ უნდა დაიხოცოს ჯგუფის „საგრძნობი რაოდენობა" ან „მნიშვნელოვანი ნაწილი".[26]

რაოდენობრივად, რა თქმა უნდა, ვერაფერი უტოლდება ნაცისტების მიერ განადურებულ 6 მილიონ ებრაელს. მაგრამ, რუანდისა და სომხეთის შემთხვევაში, საუბარია დაახლოებით ერთ მილიონ ადამიანზე.[27]

სრებრენიცას ხოცვა-ჟლეტამ ნამოჭრა ჯგუფის „სრულად ან ნაწილობრივ" განადგურების განმარტების საკითხი. კრსტიჩის საქმეში პროკურორმა თავდაპირველად განაცხადა, რომ „ბოსნიელი მაჰმადიანები", ჯგუფი, რომელიც იუგოსლავიის 1963 წლის კონსტიტუციამ „ერად" აღიარა, წარმოადგენდა სამიზნეს, მაგრამ, შემდეგ ჯგუფის დასახელება შეამცირა: „სრებრენიცის ან აღმოსავლეთ ბოსნიის ბოსნიელი მუსულმანების მოსახლეობამდე". სასამართლომ უარი განაცხადა ცვლილების გათვალისწინებაზე. მიუხედავად ამისა, მაინც დაადგინა, რომ მკვლელობები შესაძლოა გენოციდად ჩამოყალიბებულიყო. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „არანაირი ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური მახასიათებელი არ იძლევა შესაძლებლობას განასხვავო 1995 წლის სრებრენიცის ბოსნიელი მუსლიმები სხვა ბოსნიელი მუსლიმებისაგან." „თავად ისინი, ვინც სრებრენიცაში ცხოვრობს, არ მიიჩნევს თავს ცალკეულ ჯგუფად, ვინაიდან უმეტესობა ნარმოშობით არ არის ამ მხარიდან, მაგრამ თავი მოიყარეს აქ როგორც თავშესაფარში".

სასამართლო პალატამ კრსტიჩის საქმეში, იმ საკითხთან დაკავშირებით, წარმოადგენდნენ თუ არა 1995 წელს სრებრენიცას სამხედრო ასაკის მამაკაცები „ჯგუფის ნაწილს", განაცხადა, რომ „ჯგუფის განადგურების განზრახვა, ნაწილობრივადაც კი, ნიშნავს იმას, რომ ჯგუფის ნაწილობრივად განადგურებაც კი, ნიშნავს ჯგუფის კონკრეტული ნაწილის განადგურებისკენ და არა მასში თავმოყრილი ცალკეული ადამიანების თავყრილობის მოსპობისკენ სწრაფვას. სასამართლო დასძენს: „კამპანია, რომელსაც შედეგად მოყვა, ვრცელ გეოგრაფიულ არეალში დაცული ჯგუფის წარმომადგენელთა მკვლელობა, შეიძლება არ დაკვალიფიცირდეს გენოციდად, მსხვერპლის დიდი რაოდენობის მიუხედავად, ვინაიდან, შეიძლება არ გამოიკვეთოს დამნაშავეთა

25. § 81, *Jelisic*
26. *Kayishema & Ruzindana*
27. Official Turkish accounts put the number at 800,000. Dadrian, *supra* note 1, at 191.

მხრიდან ჯგუფის, როგორც ასეთის, განადგურების მიზანი. საპირისპიროდ, მცირე გეოგრაფიულ არეალში თავმოყრილი ჯგუფის ნაწილის ყველა ნევრის დახოცვა, მიუხედავად მსხვერპლის სიმცირისა, შეიძლება აკმაყოფილებდეს გენოციდის მოთხოვნებს, თუ განხორციელებულია ჯგუფის ნაწილის განადგურების განზრახვით."[28]

3) ყველაზე მეტად საფრთხილო იქნება საკითხთა ის წრე, რომელსაც სუბიექტი გადაწყვეტს თავად და ამაში ცენტრი მარტივად ვერ ჩაერევა, სწორედ ამ ნაწილშია გასამახვილებელი ყველაზე დიდი ყურადღება, გამოსაჩენი დიპლომატიაც და სიფრთხილეც, სხვათა შორის კონცეფციებში ამ ნაწილს არ ეკიდებიან სათანადო სიფრთხილით, ამიტომ ამ საკითხებში მქონდა კიდეც ჩემი კრიტიკული მოსაზრებები და დღესაც იმ აზრზე ვარ, რომ არ შეიძლება სუბიექტისთვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება ძირითადი კანონით თუ სპეციალური კანონით, რომელიც მას შეუხსნის ხელ– ფეხს სეცესიისკენ. მართალია, ფედერალიზმი როგორც ტერიტორიული მოწყობის ფორმა, სულაც არ ითვალისწინებს ფედერალურ კავშირში შესვლას იმ მიზნით, რომ სუბიექტმა ფედერალური ერთობიდან გასვლაზე იფიქროს, პირიქით, ფედერაციული მოდელი ერთგვარი კომფორტია, რომ სახელმწიფოს ყველა ნაწილმა იგრძნოს მეტი ინტეგრირებულობა, მეტი ჩართულობა საერთო-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, მეტი შანსი აქვს ცალკეულ რეგიონს თუ სოციალურ, ეთნიკურ თუ სხვაგვარ ჯგუფს, იყოს მოსმენილი და შესმენილიც, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: სეცესია წარმოადგენს საფრთხეს და მასთან ერთად, თუ ვითვალისწინებთ ქართული სახელმწიფოს ბოლო სამი ათეული წლის გამოცდილებას, ნათელია, რომ ამგვარი საფრთხეები დღის წესრიგში მუდამ იქნება, ამ მიმართულებით პრევენცია იმთავითვე უნდა მოხდეს, საკანონმდებლო დონეზე ისე გაიწეროს უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხი ფედერალურ ცენტრსა და სუბიექტებს შორის,, რომ ფარული ნაღმები არ დავუტოვოთ მომავალს და საქართველომ შეძლოს თავისუფლად განვითარება ამ გარედან ინსპირირებული ე.წ. შინაური საფრთხეების დროული პრევენციით, უფრო ზუსტად ამის დეკლარირებას მოვახდენ ზემოხსენებული კონცეფციის ზოგიერთი პუნქტის საილუსტრაციო ანალიზისას. დაშვებულია ის ტიპიური უზუსტობები, რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ და არ დავუშვათ მომავალში.

ჩემთვის მიუღებელია მოცემულ კონცეფციაში (კონცეფცია საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ 2004 წ. გამოქვეყნდა გაზეთ 24 საათში N 153, 2004 წლის 30 ივნისს) მითითებული მე-3 თავის „ბ“ პუნქტის ბოლო ნაწილი (აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსი) ავისმომასწავებლად ჟღერს აფხაზეთთან მიმართებაში ტერმინი „წევრი-სახელმწიფო“, თუ ჩვენ მივანიჭებთ აფხაზეთს წევრი-სახელმწიფოს სტატუსს, მაშინ ვერანაირად ვერ ჩავჯდებით ფედერაციის ფორმულაში და გამოდის, რომ ვნერგავთ კონფედერაციის რაღაც ახალ ფორმას, რომელსაც პირობითად ვუწოდებთ ფედერაციას. წევრი-სახელმწიფოები ახასიათებს კონფედერაციას, ფედერაცია საკავშირო სახელმწიფოა და არა სახელმწიფოთა კავშირი, ეს არსებითია

და მნიშვნელოვანი, ეს ის შემთხვევაა, როცა სიტყვათა და ტერმინთა „თამაშს" შესაძლოა ცუდი შედეგი მოყვეს.ფედერაციაში არის ფედერაციის სუბიექტები – ეროვნული ან ტერიტორიული, ჩვენს შემთხვევაში უარესი იქნება ეროვნული, ცუდი – ტერიტორიული, უარესს ცუდი სჯობია და ვითვალისწინებ რა მაშინდელი ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებს, რამაც მიგვიყვანა ომამდე, მზად ვარ დავეთანხმო ტერიტორიული ფედერაციის სუბიექტის სახით აფხაზეთის ინტეგრირებას ერთიან ქართულ სახელმწიფოში, ანუ ვირჩევ ტერიტორიული ფედერაციის სუბიექტს, როგორც „უმცირეს ბოროტებას", საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა–შეანარჩუნების მიზნით, გრძელვადიან სტაბილურ შებარჩუნებას ვგულისხმობ. თუმცა ვთვლი, რომ ეს სტატუსიც ძალიან სახიფათოა რუსეთისკენ იმედის თვალით მომზირალი აფხაზების ერთი ნაწილისთვის. აქვე დავძენ: დროის გამოცდამ იმედი მაქვს, ბევრ რამეზე დააფიქრა ენგურს იქით დარჩენილი ჩვენი მოძმეები, იმედია ბევრი რამ გადაფასდა და შევძლებთ კვლავ ერთად ერთი ცისა და ერთი საკანონმდებლო სივრცის პირობებში ცხოვრებას.აფხაზთა ერთი ნაწილი იმზირება რუსეთისკენ, ჩემი ეს შეფასება 2005-ში დავწერე, ვაქვეყნებ დღეს და იმედს ვიტოვებ, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ჩვენი მოძმეების ცნობიერებაში, ამიტომ არსებობს შანსი ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობის აღდგენისა. „ქ. სოხუმში 1992-93 წლებში დატრიალებულ ტრაგედიას არავითარი საერთო არ აქვს აფხაზურ-ქართულ საკითხთან" ამას წერდა 2015 წლის ოქტომბერში ჩემი ძმა, რუსეთ-საქართველოს ორივე ომის მონაწილე და აფხაზეთის თემაში პროფესიონალურად ჩახედული სპეციალისტი, სახელმწიფო მოხელე და აქტიური წევრი ქართული საზოგადოებისა. მას ომი არ უნდოდა, მას ომმა შინ მოაკითხა. საუბედურიდ ის დღეს ცოცხალი აღარ არის, 46 წლის ასაკში 2018 წლის 13 ნოემბევრს დატოვა წუთისოფელი. ვუბრუნდები კვლავ ჩემს მსჯელობას ფედერაციაზე: ფედერაციის სუბიექტი არ არის სახელმწიფო, იგი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნია, თვით ფედერალური კონსტიტუციები ცნობენ მხოლოდ რესპუბლიკების, შტატების, მიწების ცნებას. ამიტომ, იურიდიულ მეცნიერებას არაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ ისინი დაახასიათოს, როგორც სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. ფედერაციულ სახელმწიფოებში ფედერაციის სუბიექტების მიმართ საერთოდ არ არის გამოყენებული „სახელმწიფო" ცნებად. კონსტიტუციური კანონმდებლობიდან გამომდინარე, იურიდიული ლიტერატურა ფედერაციის სუბიექტებს განსაზღვრავს, როგორც „სახელმწიფოებრივ ერთეულს". კონცეფციის პროექტში ვანყდებით შეუსაბამობას ფედერალიზმის მოდელთან: „იმავდროულად აფხაზეთი არის ფედერალური ქართული სახელმწიფოს წევრი (წევრი-სახელმწიფო) და არა ნაწილი?! „ (კონცეფციის პროექტიდან). ფედერაციის სუბიექტის სამართლებრივი ბუნების მთავარი განმსაზღვრელია

ის მომენტი, რომ იგი ფედერაციული სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია. ფედერაციული სახელმწიფოს არსზე არანაირი გავლენა არა აქვს იმ ფაქტს, რომ ფედერალურ კავშირში – ერთიან საკავშირო სახელმწიფოში გაერთიანებამდე, სანამ ისინი გაერთიანდებოდნენ ფედერალურ კავშირში. მასში შემავალი სუვერენული ერთეულები დამოუკიდებელი სახელმწიფოები იყვნენ. სრულიად აბსურდულად ჟღერს აფხაზეთის კონტექსტში ცნება პრეზიდენტი?! ე.ი. ჩვენ აფხაზეთს ცალკე სახელმწიფოს სტატუსს ვანიჭებთ, ყოველი შემთხვევისთვის, ერთი შეხედვით ასე ჩანს და ნუთუ არ გვეშინია იმისა, რომ ეს ე.წ. ნევრი-სახელმწიფო, ადრე თუ გვიან არ მოისურვებს ფედერაციაში ყოფნას, ჩვენ ხომ ვიცით,რომ ფედერაციული სახელმწიფო, ხშირად (თუნდაც თეორიულად) შეიძლება დაიშალოს ე.წ. „მარტივ მამრავლებად“ ანუ წევრი-სახელმწიფოები, როცა მათ ასე მოვიხსენიებთ, ძალიან ადვილად იჯერებენ, რომ ისინი მართლაც არიან რეალური დამოუკიდებლობის უნარის მქონე სახელმწიფოები და ცდილობენ წავიდნენ ცალკე. უმეტეს შემთხვევაში, მათი ეს ცდა შესაძლოა შედეგიანი აღმოჩნდეს.

არ ვეთანხმები აფხაზეთის პოლიტიკური მოწყობის ფორმის კონცეფციისეულ მე-2 ვარიანტს, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ მომწონს პირველი, გარდა იმისა, რომ მიზანშეუწონლად მივიჩნევ პრეზიდენტის ინსტიტუტს აფხაზეთის რეგიონში, თვით პრეზიდენტის, როგორც ინსტიტუციის მიმართ პროექტისეული მიდგომა ჩემთვის, ქრთული მოსახლეობისათვის მონობის დაკანონების ტოლფასია და ამ ფონზე გაუგებარია, რად გვინდა ასეთი აფხაზეთი? რას მოგვიტანს ასეთი გაუგებარი სტატუსის მქონე აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში? და იქნება კი ეს ერთიანი ქართული სახელმწიფო? ჩვენ გვავიწყდება ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: რომ აფხაზეთი ისტორიული კოლხეთია, ეს უძველესი და უპირველესი საქართველოა, სამწუხაროდ ამ კონცეფციის პროექტში ეს არსად არ ჩანს, ყველგან „პრივილეგირებულ“ ქართველთან არათანაბარ მდგომარეობაში ვაყენებთ აფხაზს, რაც დისკრიმინაციის განცდას ბადებს და სად ვჩანავართ ზოგადად ქართველები?! დღევანდელ აფხაზეთის ტერიტორიაზე ანუ საქართველოს დასავლეთ ნაწილში იქადაგეს ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა. სიმართლე ერთია და ამ სიმართლეს გვერდს ვერ ავუვლით, სიმართლე უნდა ითქვას ისტორიაში და უკვე მერე უნდა ვეძებოთ ტერიტორიული მოწყობის ორივე მხარისთვის მისაღები და ქართული სახელმწიფოს მომავლისთვის საუკეთესო ვარიანტი.

ადამიანის უფლებების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების უხეშ დარღვევას ვაწყდებით პროექტის იმ ნაწილში, სადაც საუბარია ე.წ. პრეზიდენტის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ: პრეზიდენტი შეიძლება იყოს მხოლოდ?! წარმოშობით აფხაზი?! პარლამენტის წევრი, აფხაზეთის მოქალაქე – ვფიქრობ, მსგავსი ფორმულირება პოზიტიური დისკრიმინაციის

ჩარჩოებსაც კი სცდება, საუბარია არა სეპარატიზმის პირობებში აფხაზეთის პრეზიდენტის არჩევაზე, არამედ აფხაზეთზე ქართულ კონსტიტუციურ სივრცეში. მსგავსი საკითხების განხილვა და დაგეგმარება მეტ ანალიტიკურ სიღრმესა და თუ გნებავთ, წინდახედულობასაც მოითხოვს. აფხაზეთის დაბრუნებისკენ მიმავალი ნებისმიერი გზა მისაღები ვერ იქნება. ხვალ ჩვენ იქ უნდა ვიცხოვროთ არა მონებად და ეროვნულ– ღირსებააყრილ მეორეხარისხოვან მასად, არამედ საქართველოს მოქალაქეებად. სამწუხაროდ ამ ტენდენციას აღნიშნულ პროექტში ვერ ვხედავ. პრობლემის განხილვისას არ შეიძლება გვერდი ავუაროო პოზიტიური დისკრიმინაციის საკითხს. დისკრიმინაცია, როგორი ფორმითაც არ უნდა არსებობდეს იგი, ყოვლად დაუშვებელია.და მიუღებელია. მსოფლიოს მრავალ ქვეყანას ჰყავს ეროვნული თუ ეთნიკური ან სხვა რაიმე ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ერთობა–ჯგუფი, რასაც ხშირად უმცირესობა ეწოდება. თითქმის არსად მსოფლიოში არ იზიარებენ მათი უფლებების დაცვისას დისკრიმინაციის თუნდაც პოზიტიური ფორმით დაშვებას; „დისკრიმინაციის ნებისმიერი, მათ შორის თუნდაც „პოზიტიური" სახე, შეუთავსებელია შვეიცარიული დემოკრატიის უნივერსალობისა და სამართლის წინაშე თანასწორობის საყოველთაო პრინციპთან" (გ. ხუბუა, ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბ. 2000, გვ.177.)

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რომელიმე ჯგუფისთვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭება უპირისპირდება თანასწორობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს." იურისპრუდენციაში ეს პრობლემა აქტიურად განიხილება არა მარტო უმცირესობათა უფლებების დაცვისადმი მიძღვნილ სპეციალურ ლიტერატურაში, არამედ საერთაშორისო პრაქტიკაშიც: გაეროს 1992 წლის უმცირესობათა დეკლარაციის მე-8 მუხლის მე-3 აბზაცი ადგენს, რომ უმცირესობათა ხელშეწყობის ღონისძიებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო-სამართლებრივი თანასწორობის პრინციპს. გაეროს დოკუმენტში კარგად გაითვალისწინეს ის კრიტიკა, რომ არცთუ იშვიათად უმცირესობათა „კარგად ყოფნა" ნიშნავს უმრავლესობათა „ცუდად ყოფნას": თანასწორობის პრინციპს არა მარტო წმინდა იურიდიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, რამეთუ ადამიანთა ნებისმიერი არასამართლიანად უთანასწორო განხილვა მათი ჯგუფური კუთვნილების ნიშნით ხშირად ხდება ახალ-ახალი დაპირისპირებისა და კონფლიქტის მიზეზი" (გ. ხუბუა, იქვე, გვ. 179). პოზიტიური დისკრიმინაციის სისტემა ყველა ასპექტით წამგებიანია:

1. ეკონომიკურ ასპექტში.
2. პოლიტიკურ ასპექტში

იგი არაეფექტურია ეკონომიკური თვალსაზრისით, ზღუდავს საბაზრო ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებელი სამუშაო ძალის მობილურობას, რაც თავისთავად განაპირობებს არაეფექტურ შედეგს.

დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმა ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მოთხოვნებსაც, რომლის მე-7 მუხლში ვკითხულობთ: „.... ყოველ ადამიანს უფლება აქვს თანაბრად იყოს დაცული ამ დეკლარაციის სანინააღმდეგო ნებისმიერი დისკრიმინაციისაგან და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისაგან" (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 7.მიღებულია 1948 წლის 10 დეკემბერს. ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული, პირველი ნაწილი, თბ. 2001).

პოზიტიური დისკრიმინაციის სისტემა ართულებს საზოგადოებრივი თანხმობის – კონსენსუსისმიღწევას. რომელიმე ჯგუფის პრივილეგირებულობა აჩენს უსამართლობის განცდას ჯგუფის დანარჩენ წევრებში, მათ უქრებათ ერთიანობის განცდა, თითქოს არც ეკუთვნიან ერთ საზოგადოებას, თავისთავად აისახება ამგვარი განცდა საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა ასპექტზე – არა მხოლოდ ეკონომიკურსა და პოლიტიკურზე, არამედ, სოციალურზე, სულიერ-კულტურულზე თუ გნებავთ და ასე ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ სრულ გაუცხოვებამდე. უდავოა, ნებისმიერი სახით ჩაგვრა – უმცირესობის მხრიდან იქნება თუ უმრავლესობის მხრიდან, საფრთხეს უქმნის სტაბილურობას სახელმწიფოში, დესტაბილიზაციის გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს უმცირესობათა მომეტებული – განსაკუთრებული პრივილეგიებით „დაცვის" სისტემაც. ჯგუფებს შორის არსებულმა პერმანენტულმა დაპირისპირებამ შესაძლოა საერთოდ სახელმწიფოს დეზინტეგრაციამდეც კი მიგვიყვანოს, ამიტომ უაღრესად ფრთხილ მიდგომას საჭიროებს პოზიტიური დისკრიმინაციის „მოდელი", განსაკუთრებით ისეთ შეუპოვარ ერთან, როგორიც ქართველი ერია. გამოსავალი მოსაძებნია, თანაც ისეთი – არ იგრძნობოდეს უსამართლობა არც ერთი მხარის მიმართ, უმცირესობათა დაცვა მიზნად არ უნდა ისახავდეს მათ პრივილეგირებულობას, სეცესიაზე ოცნებასა და სეპარატისტულ ზრახვებს, სახელმწიფოს ერთიანობისთვის ძირის გამოთხრას. უმცირესობათა უფლების დაცვის საფარქვეშ არ უნდა ინიღბებოდეს სეპარატიზმი და სეცესია, მათ შორის სერიოზული წყალგამყოფია გასავლები და მუდმივი პრევენციის რეჟიმი უნდა იყოს ჩართული ამ მიმართულებით. სეცესია: ფედერალური კავშირის დაშლის ერთ-ერთი ყველაზე მავნე, სპეციფიკური შემთხვევაა, ეს ნიშნავს კავშირიდან სუბიექტის, კონკრეტული ტერიტორიის გასვლას ფედერალური ხელისუფლების დაუკითხავად, ნებართვისა და შესაბამისი დადგენილი პროცედურების დაუცველად. ფაქტობრივად ეს არის შემთხვევა ტერიტორიული ერთეულის საერთო–სახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ველიდან გასვლისა, ოღონდ პრობლემა იმაშია, რომ ეს მოვლენა ვერც ერთი ტიპის სამართლის ველში ვერ ჯდება და ეწინააღმდეგება სამართლის

პრინციპებს,ანუ ანტისამართლებრივი მოვლენაა, რომელიც ამის შემდეგ ცდილობს მოიპოვოს ლეგიტიმაცია და გახდეს დამოუკიდებელი სუვერენული ერთეული. რაც უკანონობაა, უკანონობად უნდა დარჩეს და ამაში მსოფლიო თანამეგობრობა ერთმანეთის მიმართ სოლიდარული უნდა იყოს, არ შეიძლება სეპარატისტული რეგიონების, სეცესიის გზით ერთიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზმიდან „გამოქცეული" წარმონაქმნების აღიარება დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, ეს საფრთხეს უქმნის მსოფლიო წესრიგს, ამიტომ უნდა შევთანხმდეთ ერთ რამეზე: რაცეწინააღმდეგება სამართლის ზოგად პრინციპებს, რაც არ არის მიღებული მსოფლიოს ცივილიზებული სახელმწიფოების ძირითადი კანონებით, იმას არც სხვებმა დაუჭირონ მხარი: ე.წ. სხვისგან გამოქცეული უძღები შვილის მიმართ დათვური სამსახურია სეცესიის გზით გასული „სახელმწიფოების" აღიარება ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ. ბუმერანგის პრინციპი ჩაირთვება და აუცილებლად უკან მობრუნდება მსგავსი მიდგომა. დღეს აფხაზეთია პრობლემა, ხვალ ნაურუს თუ ტუვალუს რომელიმე ნაწილი გახდება პრობლემა და რა ვქნათ ვაღიაროთ? როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო? განა ეს სწორი მიდგომაა? ჩემი აზრით სეცესია სეპარატიზმის, როგორც პათოლოგიის გამოვლენის ნაირსახეობაა, ამიტომ მასთან შეგუება არის მიუღებელი, „შემწყნარებლური" დამოკიდებულება ცალკეული სახელმწიფოების მხრიდან სეპარატისტული წარმონაქმნების მიმართ, უნდა დაიგმოს საყოველთაოდ. სეპარატიზმი ფართო შინაარსისა და მრავალგვარი გამოვლინების მქონე მოვლენაა." სეპარატიზმი წარმოადგენს პოლიტიკურ მოძრაობას სახელმწიფოს შიგნით, რომელიც მიმართულია სახელმწიფოსაგან რომელიმე ტერიტორიული ნაწილის გამოყოფისკენ" (გ. ხუბუა, გვ. 144) სეპარატიზმი მოიცავს მოძრაობას, რომლის მიზანია ლოკალური ავტონომიური სტატუსის ან ფედერალური სტრუქტურების შემოღება ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში. როგორც ვხედავთ, ჩვენს მიერ გაანალიზებული კონცეფციიდან გამომდინარე, გარედან თავსმოხვეულმა აფხაზურმა სეპარატიზმმა თავის მიზანს მიაღწია: ჩვენივე ხელით ვწერთ ფედერალიზმის კონცეფციას, რაც გარკვეულ ვითარებაში, თუ სიფრთხილე და რეგიონის თავისებურებები არ გავითვალისწინეთ, შეიძლება დამანგრეველიც კი აღმოჩნდეს ყველასთვის: პირველ რიგში თავად აფხაზებისთვის და მთლიანობაში ქართული სახელმწიფოსთვის. აქ ვერ იარსებებს ცალკე აფხაზების პრობლემა და ცალკე ქართველების, ისტორიულ ფესვებში თუ კარგად ჩავიხედავთ, აქ ზღვარს ვერც გავავლებთ მკაფიოდ, ამიტომ ეს პრობლემა იქნება და არის ქართველი ერის, ქართული სახელმწიფოსი: „ გერმანიის ფედერაციული რეასპუბლიკის მოსახლეობააარის დაახლოებით 82 მილიონი, ხოლო ფართობი – 357027 კვადრატული კილომეტრი. გფრ-ის ერთ-ერთი მიწის

– ბავარიის ფართობი შეადგენს 70547 კვადრატულ კილომეტრს, ხოლო მოსახლეობა 12 მილიონს. მასასადამე, ბავარია ფართობით თითქმის საქართველოს ტოლია, ხოლო მოსახლეობის რაოდენობით თითქმის სამჯერ აღემატება მას. და თუ ითვლება, რომ საქართველოზე დიდი 12 მილიონიანი ბავარიის ხელისუფლებისთვის ახლობელი და ნაცნობია ადგილობრივი პრობლემატიკა, რატომ ვერ იქნება ასეთი პრობლემატიკა ახლობელი და ნაცნობი 4,5 მილიონიანი საქართველოს ხელისუფლებისთვის., ,ასეთი პატარა ქვეყნისთვის „ახლობელი“ და „შორეული“ პრობლემა ნაკლებად არსებობს„ (გიორგი გორაძე, ფედერალიზმის პერსპექტივები საქართველოში, კრიტიკული ანალიზი, თბ. 2012 წ. გვ.257.)

კონცეფციის პროექტში წერია ასეთი რამ: პრეზიდენტს აქვს მხოლოდ წარმომადგენლობითი ფუნქციები. კანონმდებლობით დადგენილი წესით იგი პრემიერ–მინისტრთან ერთად ხელს აწერს კანონებს, მას არა აქვს ვეტოს უფლება და აქვეყნებს მათ. ერთი რამ გაუგებარია: თუ ასე გვაშინებს ე.წ. აფხაზეთის პრეზიდენტისთვის ვეტოს უფლების მინიჭება, მაშინ რატომ ვეთამაშებით ცეცხლს? რად გვინდა პრეზიდენტი, რომელიც ვერაფრის მაქნისი ვერ არის? იმისთვის ხომ არა, რომ ხვალ–ზეგ ამ ე.წ. ბუტაფორიულმა პრეზიდენტმა, რომელიც კონცეფციის თანახმად, აუცილებლად აფხაზი უნდა იყოს, მოითხოვოს უფლებამოსილებათა გაზრდა, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის უახლოესი წარსულის გათვალისწინებით დარწმუნებული ვარ, კიდეც მიაღწევს ამას. რას ვიზამთ მაშინ? ამიტომ ვაცხადებ: მეტი სიფრთხილე და მეტი სიღრმე აფხაზეთზე კონცეფციების შექმნისას, შესარჩევი ტერიტორიული მოდელის შექმნაში ყველა უმნიშვნელო ნიუანსიც კი გრძელვადიან რეჟიმში უნდა იყოს გათვალისწინებული, ამჯერად შეცდომის უფლება არა გვაქვს. ან ერთად გადავრჩებით ან ერთად გავქრებით მსოფლიოს პოლიტიკური რუქიდან მხოლოდ? არა ბატონო, საერთოდ გავქრებით, გადარჩენა ერთმანეთშია, გადარჩენა სწორი ტერიტორიული მოდელის შერჩევაშია მას შემდეგ, რაც ერთმანეთს დავიბრუნებთ, რაც თეთრსა და შავს თავისი სახელი დაერქმევა ისტორიაშიც, კულტურის უკლებლივ ყველა სფეროში – რაც პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია და რეალობაშიც. სხვა გადარჩენის გზა უბრალოდ არ არსებობს.

ე. წ. ფრანგული მოდელი, რომელსაც გვთავაზობენ კონცეფციის მე-3 პუნქტში, ვერ გავიზიარებ. აფხაზეთის პირობებში, იქ არსებული მომძლავრებული სეპარატიზმის პირობებში, ნომინალური პრეზიდენტიც კი სახიფათოა, პრეზიდენტი ფართო უფლებამოსილებით, როგორც ეს ფრანგულ მოდელშია ჩადებული, ორმაგად სახიფათოა ჩვენთვის. პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ–მინისტრს, ამ უკანასკნელის წარდგინებით კი მთავრობის წევრებს. „ფედერალური მართვის დეცენტრალიზებული

სისტემა აყალიბებს ავტონომიური რეგულირების ხელსაყრელ პირობებს. მაგრამ ფედერაცია, როგორც სხვადასხვა ან სხვა ნიშნით განსხვავებული ჯგუფების ერთგვარი ასოციაცია, შეიცავს სახელმწიფოს დაშლის მეტ პოტენციალსაც „შემთხვევითი როდია, რომ უმცირესობათა ადმინისტრაციული ერთეულებისთვის სახელმწიფო უფლებამოსილებათა დელეგირება ლიტერატურაში ხშირად განიხილება, როგორც სეცესიისკენ გადადგმული ნაბიჯი. ავტონომია ხშირად განიმარტება, როგორც სახელმწიფოში ხალხთა ჯგუფების და უმცირესობათა სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება აცხადებს პერნტჰალერი „ (გ. ხუბუა გვ. 94) ამ მიზეზით არ გამოვყავი უფლებამოსილებათა, კომპეტენციათა ჯგუფში დელეგირებული უფლებამოსილებები, სწორედ ამ საფრთხემ დამაფიქრა და უარი ვთქვი დელეგირებულ უფლებამოსილებებზე.თუმცა პრაქტიკა გვიჩენებს რომ, ეთნიკური კონფლიქტებისგან ვერც ავტონომია იქნება უნივერსალური დაცვის გარანტია, ვერც რეგიონალიზმი და ვერც ფედერალიზმი მთლიანობაში. მრავალ სახელმწიფოს უდგას ავტონომიების შიში, მას ხშირად სეცესიისკენ გარდამავალ ნაბიჯად განიხილავენ და ეს სწორია, ეთნიკურ ნიადაგზე ნარმოშობილი კონფლიქტების გაუნებელყოფისთვის არ არსებობს რაიმე წინასწარ დაწერილი რეცეპტი, მოდელი, ფორმა ტერიტორიული მოწყობისა, ამიტომ ყველა კონკრეტული შემთხვევა მოითხოვს თავისებურ მიდგომებს. ავტონომია უფრო საშიშ წარმონაქმნად მესახება ვიდრე ფედერაციის სუბიექტი, საქართველოს შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ ტერიტორიული ფედერაციის სუბიექტის სტატუსი, სხვა ნებისმიერი ფორმა სახიფათოც არის და მიუღებელიც, გერმანული ფედერალიზმის მსგავსად, სადაც ჯერ ეროვნული ფედერაციის სუბიექტებად იყვნენ ფორმირებულნი, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ მიხვდნენ, რომ ტერიტორიული ფედერაციის სუბიექტები უფრო კომფორტულია, ნაკლებად სახიფათოა და არ არის ფეთქებადსაშიში. ეთნიკური ნიშნით შექმნილ სუბიექტებს მუდამ თან ახლავს სიმყიფე, არამდგრადობა, არაპროგნოზირებადობა. ჩვენ კი გრძელვადიანი კომფორტული, მშვიდობიანი განვითარების იდეაზე დაფუძნებული ერთიანი ქართული სახელმწიფო უნდა ავაშენოთ, ტერიტორიული მოწყობის სწორად შერჩეულ მოდელს დიდ წილად შეუძლია განაპირობოს მშვიდობა, ოღონდ მოსალოდნელი საფრთხეები „შენელებული მოქმედების ე.წ. ნაღმები“ უნდა გავანეიტრალოთ, მოვახდინოთ მათი პრევენცია. საყურადღებოა ერთი ფაქტი: ჯგუფური კუთვნილების ნიშნით ადამიანთა ნებისმიერი განსხვავებული განხილვა, ყოველთვის აწყდება წინააღმდეგობებს სხვა ჯგუფების მხრიდან, რაც საბოლოოდ იწვევს ეთნიკურ კონფლიქტებს, აი სად დავუშვით შეცდომა, აი რამ მიიყვანა ხელსაყრელ საბაბამდე გარეშე მტერი რუსეთის სახით, მან ეს შიდა დაპირისპირება კიდევ უფრო გააღვივა

და საბოლოოდ მივიღეთ ის, რაც მივიღეთ – ომი! გარდა ამისა, სისტემა, რომელიც აღიარებს უმცირესობების განსაკუთრებულ უფლებებს, არის წამგებიანი როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. პოლიტიკურად წამგებიანია იმდენად, რამდენადაც ცალკეულ ლოკალურ ჯგუფებად საზოგადოების დანაწევრება ართულებს ერთიან კონსენსუსს. ეკონომიკურად წამგებიანი იმიტომ არის, რომ რთულდება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარება, პრივილეგირებულ ჯგუფს არ სურს იმ ტერიტორიის დატოვება, სადაც სარგებლობს ამ პრივილეგიებით, რაც თავისთავად ართულებს თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას.

ეთნიკური წარმონაქმნებისთვის დამახასიათებელია სპონტანური განვითარება, არც ეთნიკური კონფლიქტია სწორხაზოვანი, ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირებულობა ხან მძაფრდება, ხან მცირდება." თითქმის ყველა თანამედროვე ეთნიკური კონფლიქტის მიზეზი მიდის ისტორიის სიღრმეებში. ამიტომ ეთნიკური კონფლიქტის დაძლევის პროცესში საჭიროა არა მარტო სიტუაციის ფხიზელი შეფასება, არამედ ისეთი მექანიზმების ამოქმედება, რომელსაც შეცვლილ სიტუაციებში ადაპტაციისა და ოპერატიული რეაგირების უნარი ექნება" (გ. ხუბუა 162)

აფხაზეთის განსაკუთრებულ სტატუსში შედარებით მოსანონია:

1) „გ" პუნქტის პირველი ვარიანტი, სადაც წერია: „აფხაზეთის პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული საპარლამენტო რესპუბლიკა. მთავრობას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი და არის აფხაზეთის უმაღლესი წარმომადგენელი საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ხელისუფლებასთან მიმართებაში „ (კონცეფცია)

2) ზოგადად ასიმეტრიული ფედერალიზმის პრინციპის მომხრე ვარ, მაგრამ ესეც მაშინებს, იმიტომ რომ თავისთავად მოიცავს უთანასწორობას, არათანაბარ საზომს და შესაბამისად არსებობს პოზიტიური დისკრიმინაციის საფრთხე,რასაც ვეხებით ვრცლად ამ სტატიაში.

უნდა მოვერიდოთ ისეთ ფორმულირებებს, რომელსაც შეუძლია ზიანი მოუტანოს ერთიანობისა და სახელმწიფოებრივი ერთობის განცდას ხალხში, მაგალითად, ჩემთვის მიუღებელია ფორმულირება: „აფხაზეთი არის ფედერაციაში წევრი-სახელმწიფოს სტატუსის მქონე სუბიექტი. დავარქვათ მას ფედერაციის სუბიექტი, ფედერაცია ნიშნავს შემდეგს: ფედერაციის სუბიექტი არის არა მისი წევრი-სახელმწიფო, არამედ მისი შემადგენელი ნაწილი. ფედერაციის ტერიტორიას შეადგენს მისი სუბიექტების ტერიტორია. ფედერაციულ მოწყობას კი ვირჩევთ იმიტომ, რომ ადგილებზე მართვა იყოს გაიოლებული და ყველა მითითება ცენტრიდან არ მოდიოდეს, მაგრამ ნურავის ნუ გაუჩნდება ილუზია, რომ ფედერაცია იქნება ნაბიჯი კონფედერაციისკენ ან სეცესიისკენ, ეს დაუშვებელია! კონფედერაციაზე მინიშნებას გასაგები მიზეზების გამო ვაკეთებ: კონფედერაცია

არის გარდამავალი შუალედური ვარიანტი ერთიანი ფედერაციული სახელმწიფოს დაშლისა ან პირიქით – დამოუკიდებელი სახელმწიფოების ერთ დიდ ფედერაციულ სახელმწიფოდ გაერთიანებისა. ჩვენს შემთხვევაში აფხაზეთი არ არის დამოუკიდებელი სახელმწიფო და ვერც მომავალში დავუშვებთ მსგავს ნონ-სენსს, ამიტომ კონფედერაცია არ გვაწყობს და არ მოგვესადაგება არც ერთ შემთხვევაში. არც ეს არის სწორი ფორმულირება: „საქართველოს სახელმწიფოსა და აფხაზეთის წევრ–სახელმწიფოს შორის ურთიერთობა". უნდა იყოს საქართველოს ფედერალურ ხელისუფლებასა და აფხაზეთს შორის ურთიერთობა, ჩვენნაირ ფეთქებადსაშიშ რეგიონში წევრი-სახელმწიფოს სტატუსი დღეს არც პრაქტიკულად გამოდგება,და რაც მთავარია ნიშნავს სერიოზულ სახელმწიფოებრივ პრობლემებს ხვალ. ფედერაციული მოწყობა სასარგებლო უნდა იყოს როგორც ქართველებისთვის, ისე აფხაზებისთვის. უნდა დაიწეროს ისეთი კონცეფცია ტერიტორიული მოწყობისა, რომ სეცესიის საფრთხეები გამოირიცხოს, ვერც ორსუბიექტიან ფედერაციას მივემხრობი – ორსუბიექტიანი ფედერაციის პირობებში სეცესიას ვერ გამოვრიცხავთ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რეგიონალიზმის პრინციპი, რომელიც ალბათ ძალიან გამოგვადგება საქართველოს ტერიტორიული მოწყობის სწორი მოდელის შემუშავებისას. რეგიონალიზმი, ჩემი თვალით დანახული, არის ერთვგვარი გარანტია ერთიანი სახელმწიფოს არდაშლისა ე.წ. მარტივ მამრავლებად. კერძოდ: „ეგიონის ცნების უმთავრეს ელემენტებს აყალიბებს: იერარქიული კრიტერიუმი – რეგიონი წარმოადგენს მასზე უფრო დიდის, მთელის ნაწილს, ‚რეგიონი როგორც მთელი, გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილების ჯამი. „ (გ. ხუბუა, გვ, 61) იქნებ ქართული ფედერალიზმი ეს იქნება დიდი წილი რეგიონალიზმისა ფედერაცია – რეგიონალიზმის ნიშნებით.

ჩვენ ვერ შევარჩევთ უბრალოდ მოდელს ფედერალიზმისა, აქ გასათვალისწინებელია ის სპეციფიკა, რომელიც ახასიათებს საქართველოს გეოპოლიტიკურად, კულტურულ–სოციალურად თუ გნებავთ ფსიქო-სოცილურადაც. მიუხედავად იმისა, რომ დღეს თანამედროვე სახელმწიფოთმცოდნეობის თეორია იცნობს ფედერაციული სახელმწიფოს 23 სხვადასხვა სახეობას, დარწმუნებული ვარ, ქართული მოდელი გახდება 24-ე. ერთი ხელის მოსმით ვერ დაწერ ამას, ძნელია გაბედო, დაწერო შენი სამშობლოს მომავალი ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი გეგმა ტერიტორიული მოწყობის მოდელისა ისე, რომ არაფერი შეგეშალოს, სადმე არ შეცდე, ამიტომ ვთვლი, ეს საქმე ყველას ერთად საკეთებელია, ეს არჩევანი ჩვენ ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ. რაც ზუსტად ვიცი, არის ის, რის დაშვებასაც ვერაფრით შევეგუები, ვითვალისწინებ რა არსებულ რეალობას, ვიცნობ რეგიონის სპეციფიკას, რაც ზუსტად ვიცი,

არის ის, რომ მთავარი ის კი არ არის, თუ რა სახელს დავარქმევთ ჩვენს ფედერაციას, მთავარი ისაა, თუ როგორ გავმიჯნავთ უფლებამოსილებებს ცენტრსა და სუბიექტებს შორის, ზუსტად ვიცი, რა საფრთხეებთან არის დაკავშირებული სუბიექტისთვის ისეთი უფლებამოსილებების გადაცემა, რაც საფრთხეს შეუქმნის საერთო–სახელმწიფოებრივი თანაცხოვრების წესს, სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, თავდაცვისუნარიანობას, საზღვრებს, კულტურას, განათლებას, რელიგიას. ამ მიმართებაში მაკეტად კვლავ იმ კონცეფციას ვიღებ, რომელიც 2004-ში გამოქვეყნდა. მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რაც არ შეიძლება სუბიექტის – ამ შემთხვევაში აფხაზეთის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხთა ნუსხაში შევიდეს, კვლავ აღვნიშნავ: ვითვალისწინებ რა არსებულ მწარე გამოცდილებას და იმ მოსალოდნელ საფრთხეებს, რომელთა პრევენცია ერთიანი ქართული სახელმწიფოს გარანტირებული მშვიდობიანი მომავლის საწინდარი უნდა გახდეს.მაშ ასე: გარდა საკითხთა ფუნქციათა, მისიათა იმ ვრცელი ნუსხისა, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო იცავს და შესულია ამ კონცეფციის პირველ მუხლში, არ შეიძლება სუბიექტის განსაკუთრებულ გამგებლობას მივაკუთვნოთ შემდეგი საკითხები:

1. განათლება, მეცნიერება კულტურა – ერთობლივ გამგებლობას უნდა მივაკუთვნოთ.

2. გარემოს დაცვა და ეკოლოგია, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთი არის საკურორტო ზონა, უმდიდრესი ეკოლოგიური რესურსით, ვთვლი, რომ საჭიროებს მეტ კონტროლს სახელმწიფოსგან, ამიტომ არც ეს სფერო არ უნდა მივაკუთვნოთ მხოლოდ სუბიექტს, ამ საკითხში სახელმწიფოს უნდა ეთქმოდეს სიტყვა.

3. მდინარეები და ტბები, არ შეიძლება მხოლოდ სუბიექტის გამგებლობას მივაკუთვნოთ, აქ მოსაზღვრე მდინარე ენგურია, ენგურჰესი მასზეა მიბმული, ამ საკითხს სახელმწიფოს სერიოზული კონტროლი სჭირდება, ამიტომ სუბიექტი რომ არ გავანაწყენოთ, ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებში უნდა გადავიტანოთ. აგრეთვე რიწის ტბა და არა მხოლოდ რიწა, რამდენი უმნიშვნელოვანესი თუ გნებავთ კულტურული მნიშვნელობისაც კი არის ეს ტბები და მდინარეები აფხაზეთში, ეს სახელმწიფოს კონტროლის გარეშე შეუძლებელია, რამდენადაც ფინანსური დანახარჯებიც სახელმწიფო ბიუჯეტმაც უნდა გაიღოს, არა მხოლოდ აფხაზეთის ბიუჯეტი ეყოფა მათ შენარჩუნებას, დაცვასა და სათანადო მოვლა-დასუფთავებას.

4. სატყეო მეურნეობა – აფხაზეთი ხომ უმდიდრესია ტყის საფარით, რას არ ნახავთ იქ: ნაძვნარი, ფიჭვნარიმ, ფართოფოთლოვანი ტყე, ძველი კოლხეთია, სადაც გემთსაშენი ხე–ტყე უხვად მოიპოვებოდა ჯერ კიდევ არგონავტების ხანაში, ამ ტყის საფარს მომეტებული დაცვა სჭირდება,

ამიტომ ეს საკითხიც საჭიროებს გადატანას ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხების ნუსხაში.

5. საოჯახო და სამეწარმეო სამართალი მხოლოდ სუბიექტმა რატომ უნდა გადაწყვიტოს? ესეც საერთო-ქართული კანონმდებლობით რეგულირებად საკითხთა ნუსხაში უნდა გადავიტანოთ.

6. კატეგორიულად ვეწინააღმდეგები ისტორიული, არქეოლოგიური და სამეცნიერო მემკვიდრეობის მიკუთვნებას მხოლოდ სუბიექტის განსაკუთრებულ უფლებამოსილებაში, რამეთუ არაერთი ფაქტია ვანდალიზმისა დაფიქსირებული აფხაზეთში, განადგურდა ქართული კულტურის უნიკალური ძეგლები, მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ ილორის ტაძრის ულამაზესი ფრესკები გადაიღება თეთრი საღებავით და მთლიანად შეეცვალა არქიტექტურა, თაღებისა და გუმბათების მოყვანილობა – გადაკეთდა რუსულ ყაიდაზე, ანალოგიურ დღეშია უამრავი არტეფაქტი, ვიცით ისიც, რომ ადგილი აქვს ისტორიის სერიოზულ გაყალბებას, ამ ვითარებაში სუბიექტის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხთა ნუსხაში არასოდეს არ უნდა შევიდეს ის მონაპოვარი, რაც საერთო – ქართული ეროვნული კულტურის, არქეოლოგიის და მეცნიერების – ქართველი ერის კუთვნილებაა, იქაა ბედიის ტაძარი, ბესლეთის უნიკალური XII საუკუნის ხიდი, რომელიც ჩემს მშობლიურ ქუჩაზე მდებარეობს და რამდენადაც ვიცი, ლურსმნული ქართულენოვანი წარწერა უკვე არა აქვს, იავარქმნილია, იქ ბაგრატ მეფის – გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს პირველი მეფის საფლავია, რომელიც ასევე საჭიროებს განსაკუთრებულ კრძალვასა და დაცვას ვანდალიზმისგან, კონფლიქტი ხან იფეთქებს ხან მინელდება, ეროვნულ ღირებულებებს ამის გამო საფრთხე არ უნდა შეექმნას, ამისთვის არსებობს ერთი ცივილიზებული გამოსავალი – სწორად გაწერილი კანონმდებლობა, სადაც მკაფიოდ იქნება გამიჯნული კომპეტენციის საკითხები ცენტრსა და სუბიექტს შორის. ეს ყველაფერი ისე უნდა გაიწეროს, რომ პოლიტიკური ვითარების ცვლილებამ ვერაფერი დააკლოს არსებულ არტეფაქტებს, კულტურის ძეგლებს, ეროვნულ მემკვიდრეობას.

7.კონცეფციის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" პუნქტი სუბიექტს მიაკუთვნებს აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიის ადმინისტრაციულ საზღვრებს და „ე" ქვეპუნქტით კი აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე პროვინციების, რაიონების, ქალაქების, სოფლებისა და დაბების საზღვრების დადგენას – რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმები „ბ" პუნქტის ნაწილში, აფხაზეთი, როგორც ერთიანი საქართველოს ერთ-ერთი სუბიექტი, მისი ტერიტორიის ადმინისტრაციული გარშემონერილობა უნდა დაადგინოს არა მხოლოდ სუბიექტმა, არამედ, როგორც მინიმუმ – ცენტრმა და სუბიექტმა ერთად.

შვიდი საფრთხე დავინახე მე, იქნებ უფრო მეტიც არის, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება გვმართებს უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხში, სუბიექტის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებულმა საკითხებმა ვერ უნდა შეძლოს, გარკვეული სეპარატისტული ძალების გააქტიურების შემთხვევაში, ერთიანი სახელმწიფოებრივი წესრიგის მოშლა, სეცესია ან სხვა ტიპის სეპარატისტული განკერძოება. ასევე საყურადღებოა ე.წ აფხაზური ფულის მოჭრის საკითხი, ამაზე იყო საუბარი, კონცეფციის შესაბამის ნაწილშიც ეს მითითებულია, საკუთრივ: დამატებითი გარანტიების ქვეთავში წერია შემდეგი: მხოლოდ ამონარიდს ვაკეთებ „დ“ ქვეპუნქტი ამბობს, რომ „აფხაზეთის ხელისუფლებას ასევე შეიძლება ჰქონდეს საქართველოს ეროვნული ბანკის კონტროლით სახელმწიფოს ეროვნული ვალუტის მონეტებისა და კუპიურების გამოშვების უფლება და აქვე წერია: ეს არ ნიშნავს აფხაზეთისთვის საკუთარი ფულის ერთეულის ემისიის უფლების მინიჭებას (აბა სხვა რას ნიშნავს?!), ...ამ მონეტებსა და კუპიურებზე აფხაზეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით შეიძლება გამოისახოს აფხაზეთის ისტორიული პიროვნებები, საზოგადო მოღვაწენი, აფხაზეთის გერბი, ისტორიული ნაგებობები და კულტურის ძეგლთა გამოსახულებები.... ისინი მიმოქცევაში იქნებიან მთელ საქართველოში, როგორც ეს არის დიდ ბრიტანეთში (შოტლანდია, ჩრდილოეთ-ირლანდია)“ (ხსენებული კონცეფცია).

აღნიშნულ საკითხზე არაერთხელ მომიწია საუბარმა, ერთ-ერთი ასეთი შეკითხვა დამისვეს გაზეთ „24 საათის“ რედაქციაში და ინტერვიუც ჩაიწერეს, სადაც აღნიშნულზე ჩემი აზრი დავაფიქსირე, სხვათა შორის, ეროვნული ბანკის საქებრად უნდა აღვნიშნო ერთი სასიამოვნო ფაქტი, ჩემი ამ პასუხის გამოქვეყნებიდან ცოტა ხანში, მიმოქცევაში შემოიღეს 200 ლარიანი კუპიურა აფხაზეთის გამოსახულებით, რამაც ძალიან გამახარა, ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ გაზეთ 24 საათის რომელიღაც შემდგომ ნომერში იყო გამოქვეყნებული ეს 200 ლარიანი კუპიურა. აი, რა პასუხი მაქვს აფხაზურ ფულზე, ვციტირებ საკუთარ პასუხის ერთ-ერთ ვერსიას: ვერ დავეთანხმები იმას, რომმაგალითად მოიჭრას აფხაზური ფული. ქართულ ფულზე იყოს აფხაზური ნიშნები, რაც აქამდეც უნდა გაგვეკეთებინა, არც ის მიმაჩნია მართებულად, რომ აფხაზეთი საპრეზიდენტო რესპუბლიკა უნდა იყოს, მაგრამ თუ ასე იქნება, მაშინ არ უნდა ვთქვათ ის, რომ პრეზიდენტი მხოლოდ აფხაზი შეიძლება იყოს, ეს არის დისკრიმინაციის საშინელი ფორმა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დისკრიმინაციის უმნიშვნელო ფორმაც აუცილებლად კონფლიქტს გამოიწვევს.“ („ფედერალიზმის მომხრეთა ორი პოზიცია აფხაზეთთან დაკავშირებით“ გაზეთი 24 საათი, 2005 წლის 26 იანვრის N17) სოხუმის მერიაში შეხვედრაზე უფრო ვრცელი საუბარი იყო ამ კონცეფციის ცალკეულ დეტალზე და განსაკუთრებული აქცენტი სწორედ აფხაზური ფულის მოჭრის დაუშვებლობაზე გავაკეთე.

დასკვნის ნაცვლად აღვნიშნავ შემდეგს: აღნიშნულ კონფერენციაში ჩემი მონაწილეობა და სწორედ ამ ჩემთვის და ყველა ქართველისთვის მტკივნეულ თემაზე აქცენტების გაკეთება მივუძღვენი ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციის, გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის კონვენციის 70-ე, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომისწესდების მიღების მე-20 წლისთავს. გენოციდისა და ომის დანაშაულის მსხვერპლი გახდა ბევრი ადამიანი, უამრავი ოჯახი, უამრავი სიცოცხლე, მათ შორის არც ჩემი ოჯახი აღმოჩნდა გამონაკლისი, ომმა და გენოციდმა შთანთქა ოჯახის უხუცესი წევრი – ჩემი ბაბუა, რომელსაც წამებით ამოხადეს სული სეპარატისტებმა 1993 წლის დეკემბერში. არც ომის შემდგომი წლები აღმოჩნდა იოლად გადასატანი, ამ ხალხისთვის ომი დღემდე გრძელდება, ამიტომ ვთვლი, რომ უნდა შეიქმნას ერთიანი დამოკიდებულება სეპარატიზმის მიმართ მსოფლიოში, ასევე უნდა შეიქმნას საუკეთესო ტერიტორიული მოდელები სახელმწიფოთა მშვიდობიანი განვითარებისთვის, ომის საშინელების არდაშვებისა და მსოფლიოში მშვიდობისთვის. კატეგორიული უარი უნდა ეთქვას ძალადობის ყველა ფორმას, მათ შორის ყველაზე მძიმესა და დამანგრეველს – ომს.

ბოლოს მინდა ვთქვა, რომ გენოციდად ჩვენს მიმართ ჩადენილი აფხაზეთში, რატომღაც დღემდე არ არის აღიარებული, ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ მნიშვნელოვანი ციტატების მოტანა ერთ-ერთი იმ დოკუმენტიდან, რომლის იუბილესაც ეძღვნება დღევანდელი კონფერენცია," გენოციდი არის დანაშაული, რომელიც არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არსსა და მიზნებს და რომ ცივილიზებული სამყარო გმობს მას.

ცნობენ... რომ მთელი ისტორიის მანძილზე გენოციდს დიდი დანაკარგი მოჰქონდა კაცობრიობისთვის... და რომ ამ საძაგელი უბედურებისგან კაცობრიობის ხსნისთვის საჭიროა საერთაშორისო თანამშრომლობა... გენოციდი, იმისდამიუხედავად თუ როდის ხდება იგი, მშვიდობიან თუ საომარ დროს, წარმოადგენს დანაშაულს, რომელიც არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და რომლის წინააღმდეგ ისინი ვალდებულნი არიან წინასწარ მიიღონ ზომები და დასაჯონ მისი ჩამდენები." (კონვენცია გენოციდის დანაშაულის წინააღმდეგ ზომების წინასწარ მიღებისა და გენოციდისათვის დასჯის შესახებ. ძალაშია 1951 წლის 12 იანვრიდან. მუხლი 1.ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული, თბ. 2001 წ. გვ. 39).

„ის პირები, რომლებმაც ჩაიდინეს გენოციდი.... უნდა დაისაჯონ იმისდა მიუხედავად, არიან თუ არა ისინი კონსტიტუციური ხელისუფლების წარმომადგენლები, თანამდებობის თუ კერძო პირები." (იქვე, მუხლი 4)

„სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებული დანაშაულები

1. სასამართლოს იურისდიქცია შემოიფარგლება მთელი საერთაშორისო საზოგადოებისთვის შემაშფოთებელი უმძიმესი დანაშაულებით. სასამართლოს იურისდიქცია, ამ წესდების თანახმად, ხორციელდება შემდეგ დანაშაულობებზე:

(ა) გენოციდის დანაშაული;

(ბ) დანაშაულები კაცობრიობის წინააღმდეგ;

(ც) სამხედრო დანაშაულები;

(დ) აგრესიის დანაშაული

მუხლი 6.

გენოციდი. „გენოციდი“ ამ წესდების მიზნებისთვის, ნიშნავს ქვემოთ ჩამოთვლილ ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ჩადენილია ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით:

ა) ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობა;

ბ)ასეთი ჯგუფის წევრთათვის სხეულის მძიმე დაზიანების მიყენება ან მათი ფსიქიკური მოშლილობის გამოწვევა;

ც) რომელიმე ჯგუფისათვის განზრახ ისეთი საარსებო პირობების შექმნა, რომლებიც მიზნად ისახავს მის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას (სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, მიღებული გაეროს უფლებამოსილ წარმომადგენელთა დიპლომატიურ კონფერენციაზე 1998 წლის 17 ივლისს.(რატიფიცირებულია საქართველოსპარლამენტის 2003 წლის 16 ივლისის N 2479 – რსდადგენილებით. მუხლი 5 და მუხლი 6). ჩვენს შემთხვევაში, აფხაზეთში და სამაჩაბლოში ეს ყველაფერი სახეზეა. იმედს ვიტოვებ, რომ ოდესმე სამართლის ძალა გაიმარჯვებს ძალის სამართალზე და უმოწყალოდ გაჟლეტილი საქართველო აფხაზეთში და სამაჩაბლოში (ე.წ. სამხრეთ ოსეთი, რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმები, ეს ისტორიული სამაჩაბლოა), მიიღებს სათანადო კვალიფიკაციას. – არა გენოციდს, არა ომს, არა სიკვდილს!

Lali Gabisonia;
Sokhumi State University; Professor, Juris Doctor

FUTURE OF GEORGIA; TERRITORIAL-POLITICAL MODEL, AS PREVENTIVE MEANS FOR TERRITORIAL CONFLICTS AND WAR CRIMES – ABKHAZIA

The main topic of this work covers the most tragic and painful for me problem – conflict of Abkhazia: irreparable consequences for Georgia that were resulted by war that occurred in Abkhazia. 25 years have passed since then, but thoughts have not subsided from that day on how to restore broken unity of the country, people, territories. If there is any way to prevent such tragedies in future. Unfortunately, another tragedy has added to the list on August 2008 and our country hasn't been able to overcome heavy political, social and economic statesince then.

Territory itself, if we consider it from theoretical aspect, is a space where concrete state has jurisdiction– even this theoretical postulate can't give us guarantee of peace, more so, when creeping annexation is ongoing and barbed wires are added to Georgia's territorial spaces day after day– territories: homes of people, gardens, grasslands, villages, roads, graves of ancestors. Something more important, more significant than territory has been violated – human life, unique miracle, that has been named as inalienable right by the world's civilized countries' laws. This fundamental and most important right is violated by war. We, who have survived war, know best the price of life and peace. These events have awakened a wish to select and create new model of territorial organization that will perform restraining role in conflict regions and will somehow guarantee the avoidance of armed conflict.

Georgian society has mixed opinions on Georgia's probable territorial organizational models. There have been conceptions, 2004.06.03 conception for example, where authors have displayed wide range of problems and three different ways of their solution, as well as their view of Abkhazia's future status in Georgian state. It evokes some criticism from my point, there are issues that I categorically don't agree with, but I can't insist that Georgia's territorial organizational model should be unitary, although most of Georgians are Unitarians at heart. Unfortunately, I have to point out that because of existing geopolitical reality, we have to take federal course of country's territorial organization, I'll specify: not country, but state – country and state are not identical concepts, that's why, I'll talk mainly about Georgian state, its territorial organizational model. State is 'society's historically defined form of political organization in a

country' (G. Intskirveli, theory of state and law, p. 39, Tb. 2011) whereas country is a term with more geographic meaning, and notes geographic territory, but it's frequently used as equal terms for state and nation, but the country doesn't necessarily have the most important feature of state – sovereignty. That's why I'll favour term state. As I mentioned, because of our geopolitical reality, we have to take federal course of country's territorial organization, however, it's important not to neglect the rights of majority while protecting the rights of minorities and we should always remember: everyone must be treated equally under the law regardless of race, gender, national origin, color, ethnicity, religion, disability, or other characteristics, without privilege, discrimination or bias. This principle is reinforced by Universal Declaration of Human Rights article 7: 'All are equal before the law and are entitled without any discrimination to equal protection of the law. All are entitled to equal protection against any discrimination in violation of this Declaration and against any incitement to such discrimination.' (The Universal Declaration of Human Rights December 10, 1948). We'll use this article in accentuation of positive discrimination.

Federalism has its' own pluses that held my attention:

1. federal organizational model makes easier to live in a state, its' main principle – unity in diversity gives us guarantee, that human rights will be better maintained. It doesn't only protect individual, but large social group of people with different interests as well. Every group has it's place in federal system.

2. second notable plus that's really important, in my opinion: federal organizational model gives us more guarantee of solving territorial conflicts, additional options, but I'll point out that federalism wouldn't be a genuine guarantee of conflict avoidance if other aspects will be neglected, I'll talk about those aspects below.

3. federalism contains both: the centralized government and opposing decentralization in centralized government. It has its' own pluses and minuses: plus is that subjects gain certain motivation of taking decisions correct on the spot, oriented on local needs. But we shouldn't miss out one little nuance, we should see the fine line between authority of centre and subject: general functions of stationary importance shouldn't be handed over to subject, these levers should be kept by state – unified federal centre. It contains important affairs, such as territorial borders, even if we have subject's territorial borders in question, it should be solved at most on paritalterms with subject and by no means only by subject. We should establish three vested authorityforms:

1) Rights exclusively granted to centre, where federal centre will decide general federal issues, like defence capabilities and functions related to it, setting of national boundaries, education, human right and freedom issues, principles of overall justice and so on.

2) Range of affairs that are should be regulated by government and subjects together, on paritalterms, where the most important point would be making a decision made by consensus of both parties.

3) Affairs that need cautiousness the most are the ones that would be decided by the subject himself and centre wouldn't be able to intervene easily. This point needs biggest attention as it needs big deal of diplomacy and alertness because there is the risk of secession. By the way, in other concepts they don't pay attention to this issue with deserved attentiveness, that's why I had my critical opinions on this topic and I'm on the same opinion to this day – government shouldn't grant subjects rights by basic law or special clause that will open opportunities for secession to them. It's true that federalism, as form of territorial organisation doesn't take into account entering in federal union with subject having exit in mind, on the contrary, it is establishedto make subjects feel comfortable and more integrated in general state affairs, to be heard and heeded but facts stays the same: secession poses danger and if we take last 30 years of our country's history into account, it's obvious that problems of the sort will always occur and we should take preventive measures beforehand, power andauthority between centre and subject should be clearly distinguished and crafted cleverly, so that we don't leave hidden bombs to future generations and Georgia will be able to evolve with prevention of these „internal dangers" inspired by outsiders. I will declare this problem more precisely when I'll illustratively analyse concept mentioned above. There have been typical inadequacies that should definitely be taken into account and not made in future.

the last segment of „B" part, third chapter in „conception of Abkhazia's special status in Georgian state" (that's been published in paper „24 hours" #153, 30.06.2004) is unacceptable for me, term „member state" regarding Abkhazia sounds ominous. If we grant Abkhazia the status of a member state, then we can not fall into the formula of the federation and it turns out that we have a new form of confederation that we conditionally call federation. Member States are characteristic for confederations, federation is a Union state and not a Union of States, it is essential and important, this is the case when the „game" of words and terms may have bad consequences. In the federation the subjects of federation – national or territorial, worse in our case will be national, bad – territorial, the bad is better than worse and taking into account the mistakes made by then–government that led to the war, I am ready to agree to integrate Abkhazia into the united Georgian state as a subject of the territorial federation, I mean the subject of the territorial federation as a „minor evil", I mean long–term stability in order to restore and retain territorial integrity of Georgia. However, I believe that this status is very dangerous for a part of the Abkhazians

who are looking at Russia with hope. I'll add one more thing: I hope trials of time have made our fraternity remaining in Enguri wonder about various things, hopefully a lot of things are revalued and we will be able to live together in the same conditions under the same sky and one legislative space. One part of the Abkhaziansare still looking at Russia with hope. I wrote this review in 2005, I publish it today and hope for that, since then many things have changed in our consciousness, so there is a chance to restore territorial and national integrity.

"The tragedy that occurred in 1992–93 in Sokhumi has nothing to do with the Abkhazian–Georgian issue. „ my brother wrote this on October of 2015, veteran of both Russian–Georgian wars and a specialist in the topic of Abkhazia, a state official and an active member of the Georgian society. He did not want war, war came for him at home. He is no longer alive today, and he left the world on November 13, 2018, at the age of 46.

Returning to my discussion of the federation: the subject of federation is not a state, it is a state entity, federal constitutions itself recognize only the notions of republics, states and lands. Therefore, legal science has nothing left to do, except that they characterize it as a state formation. In federal states the Federation subjects are not referred to as a term „state".Due to the constitutional legislation, legal literature determines the subjects of federation as „state unit". In the conception project, we face the incompatibility with the model of federalism: „At the same time Abkhazia is a member of the federal Georgian state and not a part of it ?! „(From the concept of the project). The main determinant of the legal nature of the Federation subject is the fact that it is a consisting part of the federal state.The fact that union sovereign entities in it were independent states before they entered federal union, doesn't change the meaning of the federal state. Term president sounds absolutely absurd in the context of the Abkhazia. So We grant Abkhazia the status of a separate state, in any case it seems to be so and why aren't we afraid of it. What if a member state, sooner or later, does not want to be in the federation, we know that the federal state can collapse (even theoretically) in form of so–called „simple multiplier" or the member states, when they say so, they can easily believe that they really are real states of independence and are trying to go out separately. In most cases, their tries may prove to have fruition. I do not agree with the concept of the political arrangement of the Abkhazia's second type of formation, but I can not say that I like the first, except that I do not consider the presidential institution in the Abkhazian region as a project approach to the president, as an institution, for me, equals to the legalization of slavery for the Georgian population and Why do we want Abkhazia of the sort? What will Abkhazia do with such incomprehensible status in Georgia? And will this be united Georgian state?

We forget one important fact: Abkhazia is historic Kolkheti, it's the oldest and foremostly Georgia, unfortunately it's not mentioned in this concept project,It seems that we are setting up Abkhazians in an unequal situation with „privileged" Georgians, which raises the feeling of discrimination and where are we, Georgians generally seen? Andria the First and SvimonKananeli preached in today's Abkhazian territory, or western part of Georgia.The truth is one and we can not ignore this truth, truth should be mentioned in history and only then we should look for the territorial arrangement, best for both parties and for the future of the Georgian state.

There is a gross violation of the universally recognized principles of human rights in the part of the project, which deals with the so–called „ President's Ethnic Origin: President Can Only Be?! from origin of the Abkhazia?! Member of Parliament, Abkhazian citizen – I think, similar formulation goes beyond the positive discrimination framework. The talk is not about Abkhazian president while in separatism but about Abkhazia in Georgian constitutional area. Consideration and planning of such issues requires more analytical depth and if you want, it also requires caution. Any way to return to Abkhazia can not be acceptable. Tomorrow we must live there not as slaves and as a nationally dignified secondary citizens but as Georgian citizens. Unfortunately, I do not see this trend in this project. When discussing the problem, you can not pose a positive discrimination. Discrimination, whatever form it mayappear, is absolutely inadmissible. And it is unacceptable.Many countries in the world have nationality, ethnicity or other unity of people–a group that is often called a minority. Almost anywhere in the world does not share the possibility of discrimination in a positive manner while protecting their rights;"Any form of discrimination, including a „positive" type, is incompatible with universal principles of Swiss democracy and the universal principle of equality before justice" (G. Khubua, federalism as a normative principle and political order, 2000, pp. 177)

Historical experience shows that granting exclusive rights to any group confronts the universally recognized principles of equality. „This problem in jurisprudence is not only considered in the special literature dedicated to minority rights but also in international practice: Article 8 of the UN Declaration of Minorities The 3rd paragraph of the Constitution establishes that the promotion of minorities should not contradict the principle of international legal equality. In the United Nations document, it is well aware of the criticism that the „goodness" of minorities means „poorness" of the majority: the principle of equality is not only sacred, but practical, because any unfairly unequal discussion of humanity is often caused by new group confrontation and conflict with their group affiliation „(G. Khubua, p. 179).

The system of positive discrimination is unprofitable by all aspects:

1. In economic aspect.

2. In political aspect.

It is inefficient in economic terms, limiting the mobility of the workforce necessary for the development of the market economy, which in itself stipulates the ineffective outcome.

Any form of discrimination contradicts the requirements of the Human Rights Declaration, which reads in Article 7: „... Everyone has the right to be equally protected from any discrimination contrary to this Declaration and any incitement to such discrimination" (Article 7. Universal Declaration of Human Rights, December 10, 1948. Human Rights in the field of basic international legal acts, the first part, p. 2001).

In many cases these illegally seized apartments (houses) are not even registered in their names.

Recall that after the failure of moratorium of the draft law about alienation of

10. For more check Russian-language website http://abkhazianform.com/item/6575-v-vostochnoj-abkhazi-ivydano-500-vidov-na-zhitelstvo

the real estate on foreign citizens, On 1st August, 2016 the Abkhazian president Raul Khajimba insert „ property rights state registration" bill at the de–facto parliament, which has been developed by foreign countries to Invest violets attract and regarded as a transitional stage of cadastral data and real estate rights registration system in the perfect way.[11]

The draft law initiated by Raul Khajimba, according to which Residents cannot sell unregistered real estate and cannot afford the negative reaction caused by illegally seized apartments for the owners.

Consequently, citizens of occupied Abkhazia are busy with the formation of illegally entrusted real estate, which has become very complicated and also practically impossible.

The so called „Registration of Right of immovable property" was specified in the Abkhazian society as „Alienation of Real Estate to Foreigners". The pre-requisite for removing moratorium on the review of the law, which was adopted in 1995, is the occupied territory of Abkhazia and can only be a citizen of the unrecognized republic.

When we are talking about alienation of the real estate on foreign citizens , we should pay attention to the articles in the Abkhazian and Russian media or social networks, which are intentionally underway in the Abkhazian de–facto government and close to the news agency Generate public opinion from the genocide that only the Russian Federation is their strategic partner and that it is possible to overcome the difficult socioeconomic problems only with the support of Russia. Maintaining independence and national identity.

For example, we can bring an interview with Fatima Bigvava, head of one of the companies in occupied Abkhazia, where she describes the characteristics of the real estate market on the territory of the unrecognized republic.

The last paragraph of the interview is noteworthy, where the so–called „The head of the Company" „Selling Real Estate on Foreign Citizens in some small districts of Abkhazia, considering the number of quotas and the number of houses, I think it is expedient to sell real estate to foreign nationals, but at the same time it is essential that the buyer has a personal and financial security guarantee."[12]

Today, the difficult situation of real estate has deteriorated due to the difficult socio–economic situation in the occupied territories of Abkhazia. It can be said that the real estate left by IDPs is a living source for people living on the occupied territories of Abkhazia. Until now, the invasion of another's house and the alienation of fraudulent schemes.

11. http://abkhaziajustice.gov.ge/%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98/.

12. For more check Russian-language website 05.10.2017: http://sputnik-abkhazia.ru/abkhzia/20171005/1022025580/kvartirnyj-vopros-v-abkhazii-kontrasty-rynkanedvizhimosti.html

In addition, economically and socially vulnerable population does not avoid the invasion of newly constructed apartments.

For example, we can bring occasion of may 2017, on #18 Arguni street (new district) on which 9 illegally lived families were evicted by the Militia Staff. Journalist of TV Company „ Абаза ТВ « spoke with so called will invades, including the so–called Georgian–Abkhazian conflict Veterans and socially unprotected mothers. Respondents answered the journalist›s questions that they were forced by the irresponsibility of the government; the government promised them that they will help these families, but later they didn't . In the course of the story, the journalist›s questions were answered by the so–called „housing division of the occupied Sokhumi administration". Senior Sergei Matosyan. According to him, this is the fourth case when the citizens illegally occupy other people›s home. After the last three illegally invasion, the so–called „government" satisfied them with housing and part of citizens perceived it as the norm. At the end of the story, Sergei Matosyan explained that 2 400 people are enrolled in the occupied Sukhumi apartment. In addition, the families of the victims and disabled are 245 people and families of fire victims, the number of which are 107 people and added that 352 people are not registered in the apartment.[13]

In the Russian–language media and especially in the Abkhazian segment of social networks, systematically speaking about the removal of moratorium on the law of alienation of residential real estate to foreigners.

Recently there are often publications, interviews where the so–called „Officials and ordinary citizens" even talk about abolishing the alienation of residential property to foreigners because it is impossible to attract investments in a different manner.

We can verify the interview of Constantine Philia, Chairman of the de facto city assembly of Sokhumi, where we read: – Everyone wants sell real estate on foreign nationals, but nobody speaks out loud. He said, „It could be allowed to sell the construction of apartments without granting Abkhaz citizenship, the citizens of the country who recognized the independence of Abkhazia. In addition, it is necessary to purchase a construction flat to undergo a special inspection in the relevant bodies „.

According to Constantine Philia, the issue of sale apartments to foreign nationals, caused debate and stirring between the members of Sokhumi city assembly. According to the Chairman of the de–facto city assembly, it is about the construction of apartments on the small towns of Sokhumi such as Changbaza Street and Shukura settlement. Constantine Philia also explained why it is necessary to satisfy his proposal. He said, this idea has evolved as follows; They

13. Watch video http://abaza.tv/news/?ID=5247

listened to the head of the city administration. The most difficult situation was found in the housing division. They have 2 500 people who are in the queue of the apartment and have no prospects to satisfy their housing. According to him, initially they permitted anyone to build multi–dwelling houses. Subsequently, several houses were provided to the housing division for the vulnerable persons. As of now, there is no possibility that the state or city administration will build social housing, except for a private construction company. According to the chairman of the Sokhumi de–facto council, this issue should be discussed with the direct leadership of the Russian Federation „direct" dialogue.[14]

For information, according to the so–called law of occupied territory of Abkhazia, Russian citizens have rights on registration of juridical person:

1. On the territory of occupied Abkhazia, for a business activity, to take a plot of land;

2. Purchase of commercial real estate without any restrictions, as well as in accordance with the Abkhazian legislation, to transfer residential property in commercial;[15]

It is noteworthy that in spite of the steps taken by the Georgian authorities in the context of the settlement of the problem, there are still a number of problems that still need to be done, which requires greater effort and active work, in particular, involvement of internally displaced persons in decision–making processes, To separate the rice. Moreover, when the efforts of the government are not enough, the international human rights organizations should be informed about the problems of internally displaced persons.

According to above–mentioned issues, painful results of unlawfully seized real estate of internationally displaced persons from the occupied territory of Abkhazia, that is violation of multiple rights that significantly obstructs the peaceful resolution of the conflict , gives us an opportunity to make a conclusion, that the reformer of Russian Interests De–Facto Government is responsible for those violations.

14. For more check Russian-language website http://sputnikaabkhazia.ru/Abkhazia/20160426/1023774315/piliya-prodazhe-zhilya-inostrancam.html

15. http://abkhaz-project.ru/mozno-li-kupit-v-abkhazii-zemlu-i-nedvizimost/

ბატოულ პაკზადი
სამართლის დოქტორი აზადის უნივერსიტეტი, თეირანი.

იაკობ არეფი
სისხლის სამართლის დოქტორანტი აზადის უნივერსიტეტი, თეირანი

ISIS-ის გენოციდის დანაშაულის და საერთაშორისო ორგანიზაციების რეაქციების გამოძიება

(თეირანის აზადის უნივერსიტეტის ჩრდილოეთის ფილიალის სამართლის დეპატამენტი)

ანოტაცია: ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა ფუნდამენტური საერთაშორისო ღირებულებების დარღვევაა. გენოციდის პრევენციისა და დასჯის კონვენციაში განხილული პრინციპები ცივილიზებული ერების ცნობილი წესებია, რომლებმაც მთავრობები დააკავშირეს საკონტრაქტო ვალდებულებების გარეშეც. გაეროც იმისათვის არსებობს, რომ დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება და მისი მიმდინარე გამოწვევები თავდაპირველად დაარსების პერიოდის გამოწვევებისაგან გაცილებით განსხვავებულია. რომელიმე ადამიანთა ჯგუფის სიცოცხლის უფლების ხელყოფა იმ გამოწვევათა მაგალითია, რომლებიც საერთაშორისო სამართალში გენოციდად მიიჩნევა და ერთ-ერთი უმძიმესი საერთაშორისო სისხლის სამართლის ქმედებაა მთელი ისტორიის მანძილზე, რომელიც საფრთხეს უქმნიდა საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას.

საერთაშორისო საზოგადოებამ ამ დანაშაულზე რეაგირება მოახდინა და იგი აკრძალა როგორც საერთაშორისო სამართლის იმპერატიული/უპირველესი ნორმა. მე-20 საუკუნე იყო გენოციდის საუკუნე, რომელიც დაიწყო სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში ადამიანების მკვლელობებით და მას შედეგად მოჰყვა რუანდას გენოციდი. 1915-1916 წლებში სომხების გენოციდი, უკრაინელების 1932-1933 წლებში და ებრაელების მეორე მსოფლიო ომის დროს. ესენია ამ დანაშაულის მაგალითები. წინამდებარე კვლევაში ჩვენ ვიხილავთ ISIS-ის დანაშაულს და მის წინააღმდეგ საერთაშორისო ორგანიზაციების რექაციებს.

გაერომ, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, შეიმუშავა გარკვეული სახის პოლიტიკა გენოციდის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შეასრულა დანაპირები. მეოცე საუკუნის ბოლოს, ბალკანეთის ტრაგედია, გენოციდის ბრალდებები სუდანის თანამდებობის პირების მიმართ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში და

უკუ-ბრალდება საქართველოსა და რუსეთზე გენოციდის ჩადენის შესახებ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მონყვეტილ ტერიოტრიებზე, რომელსაც მოჰყვა სარჩელის შეტანა საერთაშორისო სასამართლოში, ამას ყველაფერს მიანიშნებს.

ISIS (ისლამური სახელმწიფო ერაყსა და სუდანში) არსებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით დასაწყისიდანვე ჩაიდინა გენოციდი და კულტურული გენოციდი; თუმცა, გაეროს რამდენიმე მექანიზმის არაეფექტიანობის გამო და მძლავრი სახელმწიფოების ინტერესების მიერ გლობალური ინტერესების გადაფარვით, პასუხისმგებელი საერთაშორისო ორგანიზაციები ვერაფერს ვერ აკეთებენ ამ დანაშაულთა აღსაკვეთად.

საკვანძო სიტყვები: გენოციდი, ISIS, საერთაშორისო ორგანიზაციები, გაეროს უშიშროების საბჭო

შესავალი

მსოფლიოს ექსპერტთა უმეტესობას მიაჩნია, რომ ტერორიზმი არის ქვეყნების დაპყრობისა და ოკუპანტების გაფართოების შედეგი. ამ მოვლენის ყველაზე აშკარად გამოხატული ფორმა ალ-ქაედას ტერორიზმში გამოიხატა ავღანეთის დაპყრობის შემდეგ, რამაც მიიღო გლობალური სახე. ერაყის დაპყრობას 2003 წელს შედეგად მოყვა ტერორისტების ახალი ჯგუფების წარმოქმნა, რომლის შედეგებიც საბოლოოდ გამოჩნდა ავებედით „al-Nusra"-სა და „Isis"-ში. ISIL/ISIS ტერმინი არის შემდეგი სიტყვების პირველი ასოების კომბინაცია „ერაყის ისლამური სახელმწიფო და ლევანტი". სინამდვილეში, როდესაც ამ ჯგუფმა სირიაში ვეღარ შეძლო ტერორიზმის როლის შესრულება, იგი გამოეყო სხვა ტერორისტების ისეთ ჯგუფებს, როგორიცაა al-Nusra და რომელიც უკავშირდება Al Qaeda-ს. შემდეგ, მან სათამაშო მოედანი გადაიტანა ერაყში და მოაწყო იქ საშინელი ნგრევა და ტერორი.

ქვეყნის გარკვეული სუნიტური ადგილების დაპყრობის შემდეგ, მან შექმნა მთავრობა, დაარქვა მას ისლამური სახელმწიფო და გასცდა ერაყსა და ლევანტს. მისმა წევრებმა პატივისცემა გამოხატეს აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის (Abu Bakr al-Baghdadi), ISIS-ს ლიდერისა და მუსულმანების მმართველის მიმართ. ჰანიფი ISIS-ის რელიგიაა, რომელიც მიეკუთვნება ოთხი სუნიტური სკოლიდან ეთ-ერთს. ISIS-ს წევრების 90%-ზე მეტი მისდევს ჰანიფის (Hanafi) რელიგიას და ის ადამიანები, რომლებიც ამ ჯგუფის გეოგრაფიულ არეალში ცხოვრობენ, ასევე, ზოგადად, მიექკუთვნებიან ჰანიფის რელიგიურ მიმართულებას. რეალურად, Isis არის ექსტრემისტული ჰანიფი ან სალაფი (Salafi).[1] მათ თავიანთი მოქმედებებით

1.-Zarei, Saadallah, EbrahimzadehGorji, Ramzan Ali and YounisBagheri (1394). Geography thinking investigating of ISIS, growth, Tehran, No. 48, pp. 34-32.

აჩვენეს განზრახი და სასტიკი მკვლელობები, რასაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის თვალსაზრისით გენოციდი ეწოდება.[2] მაგალითად, ერაყის კაბინეტი 2015 წლის 24 მარტს, მის მეოცე რეგულარულ შეხვედრაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ჰაიდერ ალ-აბადი (Haider al-Abadi), „პრემიერ-მინისტრი, შეთანხმდა, რომ ISIS-ს მიერ ერაყში ჩადენილ დანაშაულს მიენიჭებოდა ტერმინი „გენოციდი".

ერაყის პრემიერ-მინისტრის სამსახური თავის განცხადებაში მიუთითებს, რომ ამ შეხვედრაზე განხილული დანაშაული წარმოადგენდა ნადუშის პატიმრების განზრახ მკვლელობას, სამხედრო ბაზა „Spiker"-ის დაუცველი მუშაკების მასობრივ განადგურებას, ალბონმერის (Albonmer), ალ-ჯუბურის (Al-Jubouri), ალჰაიბის (Alhaiby), ალ-ობეიდის (Al-Obeidi) მომთაბარეთა მასობრივ განადგურებას, ქურთი მოქალაქეების, ქრისტიანების, იეზიდებისა და შებეკების ხოცვას და გადაადგილებას ნინევიისა და სინჯარის დაბლობებში, თურქმენების განზრახ მკვლელობას და გადანაცვლებას ტელ აფარსა და ბაშირში.

ალსუმარიას ქსელი მიიჩნევს, რომ მინისტრთა კაბინეტის შეთანხმება ერაყში გენოციდის დანაშაულის განცხადების შესახებ იკითხება, როგორც პრელუდია გაეროში დანაშაულთა კოლექტიური აღიარებისა და აღნიშნავს, რომ ეს თემა 1948 წლის საერთაშორისო ხელშეკრულებაშია მოცემული, რომელსაც ერაყმა ხელი მოაწერა გასული საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს.[3] ამ საკითხთან დაკავშირებით ახალი ამბების მიდევნებით მსოფლიო დონეზე, ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ, რომ კომენტატორთა უმეტესობას მიაჩნია, რომ Isis-ს დანაშაული არის გენოციდი და გაეროც ამასვე აღიარებს.[4] ის, რაც დღეს ISIS ახორციელებს ერაყსა და სირიაში, როგორც „iconoclast" – რელიგიური მრწამსის დამანგრეველი, აღემატება ომის დანაშაულს. მოსულის მუზეუმსა და ბიბლიოთეკაზე თავდასხმა (რომელიც არის ხელოვნების სკულპტურათა და ნამუშევართა სახლი და ეკუთვნის ასირიულ და აქადურ ცივილიზაციებს და უზადო არქეოლოგიური ნიმუშების ნგრევა, რეალურად, არის ამ ტერიტორიაზე ადამიანთა იდენტობის განზრახ განადგურება.

დღესდღეობით, ნინევიისა და ნიმროდის, აგრეთვე ჰათრისა და თადმორის ძველი ქალაქები, მარბენამის-ს ქრისტიანული მონასტერი, ასევე, იეზიდების მინარეთები სინჯარში და სხვა ძველი შენობები და ძეგლები,

2. – See the news about the genocide of Shia Muslims and Yezidis by ISIS: http://www.shia-news.com/fa/news/94580 (accessed 6/16/94) http://snn.ir/detail/News/431278/179 (accessed 6/16/94)

3. -See: The Iraqi cabinet: ISIL does genocide. http://www.afkarnews.ir/vdcjy8exauqeyhz.fsfu.html, (accessed 6/16/94)

4. -See: Report of the United Nations about Genocide of ISIS in Iraq: http://www.un.org/apps/news/story.asp?NewsID=50439; http://www.un.org/apps/news/story.asp?NewsID=50456; http://www.aa.com.tr/en/news/480987--un-says-daesh-may-have-committed-yezidi-genocide (Accessed 16/6/94)

რომლებმაც გაუძლეს საუკუნეთა მანძილზე შუა აღმოსავლეთში ყველა რელიგიური უმცირესობის არსის შენარჩუნებას, დღეს მხოლოდ სიტყვიერ მოგონებებში ცოცხლობენ.[5]

ეს ქმედებები ვერც კი გამართლდება კერპთაყვანისმცემლობის საპირისპიროდ, ვინაიდან ნახსენები არქეოლოგიური ადგილები უკავშირდება გასულ საუკუნეებს და ამჟამად უკვე არარსებული ადამიანები და დანგრეული ძეგლები ამჟამად წარსულის სიწმინდეებს მოცილებულია და მხოლოდ ძველი ცივილიზაციების უხმო ნაკვალევს წარმოადგენენ.

აშკარაა, რომ ამ ქმედებათა მიზანი არის გენოციდი და ადამიანთა კულტურული მეხსიერებისა და ამ ტერიტორიებზე კულტურული მრავალფეროვნების დარღვევა.

ამ სასტიკ ქმედებებს თან სდევს უმცირესობათა კულტურული წმენდა (ასირიელები, იეზიდები, ქრისტიანები და შიიტი მუსლიმები და ერაყსა და სირიაში არსებული სხვა რელიგიური უმცირესობები) კაცობრიობის მეხსიერებიდან.

ეხლა კი ისმის კითხვა თუ რატომ არ აჩერებენ ISIL-ს დანაშაულს საერთაშორისო ორგანიზაციები, განსაკუთრებით კი, გაერო?

ნუთუ ამ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ ამის გაკეთება? რა მიზეზები იწვევენ აღნიშნული ორგანიზაციების არაეფექტიანობას ამ დანაშაულთა პრევენციის მიმართულებით და მათი ჩამდენების დადგენა-დევნაში? წინამდებარე სტატიაში, ჩვენ განვიხილავთ ორ თემას მოცემულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად. პირველ ნაწილში, გამოვიკვლევთ ერაყის ისლამურ სახელმწიფოს და ლევანტს (ISIS)-ს, ხოლო შემდეგ მეორე ნაწილში განვიხილავთ Isis-ს გენოციდს და იმას თუ რა რეაგირებას ახდენენ მასზე საერთაშორისო ორგანიზაციები.

1. ISIS-ს სისხლის სამართლებრივი აქტები/ქმედებები

ისლამურ სახელმწიფოებთან (ISIS) დაკავშირებული ელემენტების მიერ ჩადენილი გარკვეული მასობრივი დანაშაული ომის დანაშაულთა მთლიანი მტკიცებულებაა და მოიცავს იმ ომის კანონის ექსპერტთა მოსაზრებებს, რაც ზოგადად მიიჩნევა ომის დანაშაულის ნიმუშად.

ამ ესქტრემისტული ელემენტების საქმიანობა, რომლებიც აცხადებენ, რომ ისლამური ხალიფატისა და ისლამის კანონების დაცვას ახორციელებენ სირიასა და ერაყში, ყოველ დღე გადაიცემა ახალ ამბებში, რომლებიც გვიჩვენებენ ამ ექსტრემისტული ელემენტების საქმიანობას, რომელთა ქადაგებანი მომდინარეობს საუდის ვაჰაბისტებისაგან (Wahhabi of Sau-

5. იხ.: News destruction by Islamic monuments in the territory of this group: http://persian.euronews.com/2015/03/09/more-iraq-sites-at-risk-from-isil-cultural-cleansing-unesco/; http://www.presstv.ir/DetailFa/2015/04/04/404671/Middle-East-Iraq; http://farsnews.com/newstext.php?nn=13940613000230 (Accessed 16/6/94)

di) და სამღვდელოებისაგან, რომლებიც დამოკიდებული არიან ქვეყნის მთავრობაზე.

ახალი ამბების სააგენტოების მიერ გამოქვეყნებული საშინელი ახალი ამბები გვიჩვენებს ბარბაროსთა სულისკვეთებას და მსოფლიოს მოწინავე პროტეჟეს სისასტიკეს, რომელიც გაწვრთნა აშშ-მ და რომლებიც არაბთა რეაქციულ პოლიტიკას ატარებენ. საუდის არაბეთი ძალადობის იდეოლოგიის და სიძულვილის და ვაჭრული ტაკფირების დაბადების და ნარმოშობის ადგილია, შესაბამისად, კაცობრიობის სული და ცნობიერება სულ უფრო და უფრო საძულველია იმასთან მიმართბეაში, თუ რას სჩადიან ისინი ყოველ წუთს.

ერაყისა და სირიის ქურთული ნაწილის დათრგუნული ადამიანები „ალსუმარიას ახალი ამბების ქსელის ერაყელებთან" ინტერვიუში ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ISIS-ის ელემენტები უფრო მეტად ძალადობრივია, ვიდრე აქამდე და კლავენ ყველა სულიერ არსებას. ჯალულას ტერიტორიაზე (ბაქუბას ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან 70 კილომეტრის მანძილზე) მაცხოვრებელი 50 ათასზე მეტი ადამიანი იძულებით მიგრაციაშია ISIL დანაშაულის გამო.

სიკვდილით დასჯის სცენები, ძარცვა და სახლების ნგრევა ჯალულას ტერიტორიაზე ჩვეულებრივი ფაქტებია, რომლებსაც აწარმოებენ ე.წ. ისლამური სახელმწიფოს ჯიჰადისტები. ამ ანგარიშების თანახმად, ჯალულას მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენდა 56 ათასს და გადააჭარბა 95 %-ით მთლიან მოსახლეთა რიცხვს. მათი უმეტესობა ლტოლვილთა ბანაკებში გადავიდა ხანაგინის მიმდებარე ტერიტორიაზე (ბაქუბას ჩრდილოეთ-დასავლეთით 105 კილომეტრზე).

„აისის"-ს მომხრეთა ქმედებები განსხვავდება ჭეშმარიტი ისლამისაგან. გენოციდის ამსახველი უამრავი სურათი საერთაშორისო მედიაში გვიჩვენებს ქალების სექსუალურ მონობას, როგორც მდედრობითი სქესის ჯიჰადისტებისა, გენოციდისა (იაზიდის მიმდევრები), მკვლელობები და ძარცვა და სახელმწიფო ქონების მოპარვა, ჟურნალისტებისა და ტომის ლიდერების საჯარო ხოცვა და ამ გარყვნილი ჯგუფის საშინელი სახე, რომ მათი სპონსორები და მხარდამჭერები წარსულში მათ ზურგს უმაგრებდნენ. გარდა ამისა, გარკვეული დროის წინ საფრანგეთი იყო კონფერენციის ჩატარების ადგილი, სადაც ევროპელი და არაბი ლიდერები ახდენდნენ კოორდინირებას.

უამრავი ანგარიშის თანახმად, ISIL-ის წევრები მათ მიერ ოკუპირებული ადგილებში აიძულებდნენ ქალებს მათზე დაქორწინებულიყვნენ. რაქას პროვინციის ქალების უმეტესობა ISIS-ის ქცევის გამო საკუთარი სახლებისა და პროვინციების დატოვებას ლამობს. რაქას პროვინციის დედაქალაქში ერთ-ერთი ქალბატონი აცხადებს: „ISIS ქალბატონებს ცხოველებივით ეპყრობა (behaves Raqqa women like animals)". ქალები და გოგონები ყოველთვის ზიზღით

იყვნენ გამსჭვალული ISIS-ის საქციელის მიმართ ქალაქ რაქაში და ამ ყოფილი ტერორისტული ჯგუფის სხვა ოკუპირებულ რეგიონებში. ქალმა შეადარა ISIS-ის წევრებთან ქალებისა და გოგონების იძულებითი დაქორწინება სქესობრივ შეურაცხყოფას და განაცხადა: „გოგონებს აიძულებენ დაქორწინდნენ ISIS-ის წევრებზე იძულებით ან მოტყუებით ფულისა და სიმდიდრის საფასურად". კიდევ ერთმა ქალბატონმა რაქადან განაცხადა: „ISIL ამაჟამად ახდენს მისი სექსუალური ინსტინქტების გაჯერებას".

„Human Rights Watch" ასევე აცხადებს, რომ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ისლამური სახელმწიფოს შეიარაღებულმა პირებმა დახოცეს 500-ზე მეტი ადამიანი ერაყში. AFP განაცხადა, რომ ISIS გაამჟღავნა უამრავი ადამიანის სურათი სამოქალაქო ტანსაცმელში, რომელთაც რეგიონის ტერიტორიაზე ესროდნენ ერაყში არსებული ისლამური სახელმწიფოს წევრები.

ამ თვალსაზრისით, ISIS-მა აღიარა ასობით ადამიანის მკვლელობა. Human Rights Watch-მა განაცხადა, რომ ერთერთი გადარჩენილი ადამიანისაგან მიღებული ინფორმაცია და ვიდეო ფაილებისა და სატელიტურად გადაღებული სურათებისაგან მიღებული კვლევები გვიჩვენებს, რომ ISIS გააჩნია სამი სხვა ბაზა მასობრივი განადგურებისათვის; ამდენად, სულ ხუთი ბაზა არსებობს.

იეზიდი ახალგაზრდა გოგონები, რომლებიც ერაყის „სინჯარის" რაიონში არიან დაპატიმრებული ისლამური სახელმწიფოს მიერ, რეპორტიორთან ინტერვიუში აცხადებენ, რომ დაკავების შემდეგ ISIS-მა ისინი აიძულა გამხდარიყვნენ მუსულმანები, რათა დაქორწინებულიყვნენ მის წევრებზე. გარდა ამისა, მან ხაზი გაუსვა ამ ჯგუფის ყველაზე დიდ ბოროტებას და განაცხადა, რომ ISIS-მა იმ დროს „ტალ აფარის" რეგიონში გოგონები და ახალგაზრდა ქალბატონები გადაიყვანეს და ძალიან ბევრი გაუპატიურება ჩაიდინეს".

იეზიდების ხოცვა-ჟლეტა

სხვადასხვა ადგილობრივ და უცხოურ გამოცემებში დაბეჭდილი ახალი ამბების თანახმად, ზოგიერთი იეზიდი ქალბატონი, რომელიც გადაურჩა ISIS-ის ბრჭყალებს, "Human Rights Watch"-თან ინტერვიუში ფარდას ხდის ISIL-ის დანაშაულს, განსაკუთრებით, მათ მიერ განხორციელებულ სექსუალურ ძალადობას.

იეზიდი ქალბატონების ჯგუფი მიუთითებდა, რომ ISIS-მა დაატყვევა იეზიდი ქალბატონები და ბავშვები ჩრდილოეთ ერაყში და მის ჯარებს ეს ნადავლად გადასცა (granted as spoils of war to its troops). მას ასევე ეამაყება, რომ აღადგინა მონობა.

"Human Rights Watch" გაესაუბრა ზოგიერთ იეზიდ ქალბატონს, რომლებსაც ISIS-მა შეურაცხყოფა მიაყენა. „Almayadeen"-ის რეპორტიორი ანგარიშში, რომელიც მოიცავს იეზიდი ქალბატონებისა და ბავშვების სურათებს, რომლებიც ISIS-ს შეტევების შედეგად გახდნენ გადაადგილებული პირები,

ნათქვამია: „იეზიდებმა ბევრი ტანჯვა-წამება გადაიტანეს და რამდენიმე თვის წინ შეეცადნენ გამოსულიყვნენ ISIS-ს მიერ განხორციელებული გენოციდის არეალიდან". თუმცა, ეს უსარგებლოა, ვინაიდან დანაშაულის სურათმა, რომელიც ჩაიდინა ამ ჯგუფმა 500-ზე მეტი იეზიდის წინააღმდეგ, რომელთაგან უმეტესობა ცოცხლად დამარხეს, თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა.[6]

ერთ-ერთმა იეზიდმა ქალბატონმა განაცხადა, რომ როდესაც ქალაქზე განხორციელდა შეტევები და თავდასხმები, მათ ქალები და ქაცები განაცალკევეს. თავდამსხმელებმა ადამიანები აიძულეს მიეღოთ ისლამი, მაგრამ მათ უარი განაცხადეს. შემდეგ, ქალები სამი მანქანით უცნობ ადგილას წაიყვანეს. კიდევ ერთმა იეზიდმა ქალბატონმა განაცხადა, "ISIS-მა დახოცა ჩემი მეუღლე, ძმა და მამა ჩემს თვალწინ და ეხლა საერთოდ არ ვიცი რა დაემართა ჩემს დას და დედას. სოფელში შესვლისთანავე, ისინი ეძენდნენ ქალებს. ჩემთან 40-ზე მეტი უმეტესწილად გათხოვილი ქალბატონი იყო, მაგრამ ISIL-მა ამას არ მიაქცია ყურადღება და დაიწყო ცეკვა და სროლა." ყველას ამოხოცვის შემდეგ მათ დაიწყეს ჩვენზე ძალის გამოყენება და გაუპატიურება. ჩვენ შევეცადეთ არ მიგვეცა მათთვის უფლება შეხებოდნენ ჩვენს სხეულებს, მაგრამ... „საბოლოო ჯამში, ქსელის კორესპონდენტმა განაცხადა, რომ ათას ორასზე მეტი ქალი მოიტაცეს სინჯარიდან. ქურთების სადაზვერვო უწყების მიერ მითითებულმა „Human Rights Watch"-მა განაცხადა, რომ ათასობით ქალბატონი დამონებული იყო სახლებში ან საროსკიპოებში აღმოსავლეთის სხვადასხვა ნაწილში და შემდეგ მოხდა მათი ტრეფიკინგის განმახორციელებლებისათვის მიყიდვა. დანარჩენები კი აიძულეს დაქორწინებულიყვნენ ISIL-ს წევრებზე.[7]

ჯერ-ჯერობით, ექვსი მასობრივი სასაფლაო აღმოაჩინეს ქალაქ სინჯარში. ჩრდილოეთ ერაყის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აღმოაჩინეს მასობრივი სასაფლაო, რომელიც მიიჩნევა ისლამური სახელმწიფოს (ISIS) სახელით ცნობილი სამხედრო ჯგუფის მიერ განადგურებული 100-ზე მეტი ადამიანის სასუფევლად. ქალაქ სინჯარის ISIS-სგან ჩამორთმევის შემდეგ, ეს არის მეექვსე მასობრივი სასაფლაო, რომელიც აღმოაჩინეს ქალაქის ახლოს. ქალაქი სინჯარი, რომელშიც მოქალაქეთა უმეტესობა იეზიდები იყვნენ, გასულ ზაფხულს ISIS-მა დაატყვევა. ისლამისტმა სამხედროებმა დახოცეს იეზიდები და დაატყვევეს მათი ქალები, შემდეგ კი გააუპატიურეს ისინი. ISIS იეზიდთა უმცირესობას მიიჩნევს ათეისტებად და მათ ქალბატონებს ატყვევებს. იეზიდები საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ ერაყში და ISIS -ის ჩამოყალიბებისა და ერაყში მათი წინსვლის შემდეგ მათი უმეტესობა ამ ჯგუფის მიერ იქნა დახოცილი. [8]

6. – Mass graves of Yazidis women in Sinjar was discovered: http://www.bbc.com/persian/world/2015/11/151114_an_iraq_kurds_yazidi_massgrave . The second discovery of mass graves in Sinjar, http://www.bbc.com/persian/world/2015/11/151115_l10_2nd_mass_grave_sanjar_yazidi, December 8, 2015

7. -Yazidis women discovery of sexual harassment by ISIS, http://www.afghanirca.com/newsIn.php?id=22663, December 8, 2015.

8. – Sixth discovery of mass graves in Iraq:
http://www.bbc.com/persian/world/2015/11/151128_l31_iraq_sinjar_mass_grave, December 14, 2015.

სუნის ხოცვა-ჟლეტა

„ისლამური სახელმწიფოს" ტაკფირთა ტერორისტული ჯგუფის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების რუქა სირიასა და ერაყში გვიჩვენებს, რომ ამ ტერიტორიების უმეტესობა, სადაც ეს ჯგუფი არსებობდა, უმეტესწილად ცხოვრობენ სუნიტები და შიიტები, ხოლო ალავიტები ან არ არიან საერთოდ წარმოდგენილი, ან კიდევ, უმცირესობაში მოიაზრებიან. ერაყში ისლამურმა სახელმწიფომ დაიკავა ქვეყნის პროვინციების ტერიტორიები, რომლებიც ცნობილი იყვნენ სახელით „სუნიტების სამკუთხედი" და შედგება შემდეგი ოთხი პროვინციისაგან: დიალა, ალ-ანბარი, სალალ ალ-დინი და ბაღდადი 10 მილიონი მოსახლეობით. ამდენად, ფისქირდება ის გარემოება, რომ ისლამური სახელმწიფო ისეთ პროვინციებში, როგორიცაა, „კარბალა", „ნაჯაფი" და „ბასრა", საერთოდ არ იყო წარმოდგენილი ან ეს სრულიად შეუმჩნეველი და უმნიშვნელო იყო.

სირიაში, ანგარიშების თანახმად, ისლამური სახელმწიფოს მიერ დაკავებული ტერიტორიების უმეტესობა შემდეგ პროვინციებშია: რაქა, ჰასაკა და დეირეზორი, რომლებიც განლაგებულია ქვეყნის აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთით და უმეტესობა სუნიტები არიან. რა თქმა უნდა, ჰასაკა ძირითადად ქურთებითაა დასახლებული, რომლებიც სუნიტები არიან. ISIL-ის მიერ დაკავებული ტერიტორიების გარშემო არსებული მოსაზრების თანახმად, ამ ჯგუფის მიერ დაკავებული ტერიტორიების უმეტესობა სოფლები და პატარა ქალაქებია, რომლებიც დიდი და პროვინციული დედაქალაქებისაგან შორს არიან და ტომობრივი წყობა გააჩნიათ. ცენტრისაგან მოშორებით, ამგვარი განწყობა შეიქმნა ტომობრივ ადგილებში, რომ ისინი მთავრობამ განზრახ გარიყა და იგნორირება გაუკეთა.

უკმაყოფილებისა და სიძულვილის ეს გრძნობა კიდევ უფრო გაძლიერდა მაშინ, როდესაც ამას დაემატა ცენტრალურ მთავრობასთან რელიგიური განსხვავებები.

ერაყში, ალ-ანბარის სუნიტების პროვინცია, რომელიც ტომობრივი სტრუქტურით იმართება, ISIS-ისა და მისი ზეგავლენის ნაესაყუდელად გადაიქცა, ვინაიდან ბაატას რეჟიმის დაცემამდე, ეს ყოველთვის იყო ამ რეჟიმისგან გადარჩენილთა თავშესაფარი.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ალ-ანბარის პროვინცია „ალ-ქაედა"-ს ტაკრიფების ტერორისტული ჯგუფის საქმიანობის კერაა. ეს ის ჯგუფია, რომლის ერთ-ერთი განშტოებაა „ალ-ქაედა".

ანგარიშებში ხაზგასმულია, რომ ერაყში, მხოლოდ 8 თვეში ISIS-მა ჩაიდინა 12 მასობრივი ხოცვა-ჟლეტა სუნების წინააღმდეგ ამ ქვეყანაში. შესაბამისად, მინიმუმ 5 ათასი ადამიანი დაიღუპა და ათასობით დაშავდა.[9] სირიაში ადამიანის უფლებათა ცენტრი აცხადებს, რომ სხვადასხვა მედია საშუალებებით

9. – Isis crime statistics in Sunni areas from June 2013 to mid-January 2014, http://www.farsnews.com/newstext.php?nn=13931218000044, December 10, 2015.

გავრცელებული სურათები, კლიპები და ელექტრონული ინფორმაცია, სოციალური ქსელების ჩათვლით, ადასტურებს, რომ ISIS-მა ჩაიდინა 1607 დანაშაული, რასაც სუნის ტერიტორიაზე ხოცვა მოჰყვა. Ees ISIS -ს მიერ ჩადენილი დანაშაული განხორციელდა 2013 წლის ივნისის შუა პერიოდიდან, 2014 წლის იანვრის შუა პერიოდამდე და სუნის მიმდებარე ტერიტორია დაემსგავსა დანაშაულის კერას. ასევე, დადგინდა, რომ დაზარალებულთაგან 588 ადამიანი იყო სამოქალაქო და მოხდა მათი სიკვდილით დასჯა, ხოლო მსხვერპლს შორის იყო 67 ბავშვი და 53 ქალი.[10]

ქრისტიანების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული

„ვაშინგტონ თაიმსის" თანახმად, ISIS-ს ტერორისტები მათი კონტროლის ქვეშ მყოფ ადგილიებში, შიიტებისა და ქრისტიანების დევნით, ხელს უშლიან საკვების მიწოდებას მათთვის და, შესაბამისად, შიმშილს ან ცვლილებას. ამ შოკის მომგვრელი ანგარიშის თანახმად, ერთ-ერთმა მუშაკმა განაცხადა, რომ მათ უთხრეს, რომ თუ შიიტებს და ქრისტიანებს საკვებზე ხელი მიუწვდებოდათ, მოხდებოდა მათი დევნა და შარიათის მიმართ წინააღმდეგობის გაწევისთვის, ისინი დაისჯებოდნენ. მოსულ-ის დატყვევების დასაწყისში ISIS-ი შეეცადა ქალაქში დადებითი იმიჯი შექმნოდა და, ამისათვის, საკვები დაარიგა ქალაქში. მან, ასევე, აღადგინა დენის მიწოდება, მაგრამ, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, ეს ადგილი შიიტებისა და ქრისტიანებისათვის უაღრესად გაუსაძლისი გახადა, რაც გამოიხატა მათ წინააღმდეგ დამშევის გამოყენებაში.[11]

ანგარიშის თანახმად, ქრისტიანთა უმეტესობამ კონფლიქტის დასაწყისში დატოვა საკუთარი სახლები, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ისევ დაბრუნდა მოსულში, ვინაიდან მათ მიაჩნდათ, რომ სახლში სიკვდილი უკეთესია, ვიდრე ქუჩაში სიკვდილი. ISIS-ის ქმედებებები ერაყში შეიცავდა ეთნიკურ და რელიგიურ ნმენდას. 2015 წლის 4 ივლისს, ამ ჯგუფის ტერორისტებმა აღნიშნეს მოსულში ქრისტიანთა სახლები ასო „N"-ით, რომელიც აღნიშნავს სიტყვას „Nazarene" და სახლი გამოაცხადეს ისლამური სახელმწიფოს საკუთრებად. შიიტების სახლი ასევე აღინიშნებოდა ასოთი „ღ", რომელიც ნიშნავს სიტყვას „ღაფეზი" (ერეტიკოსი).

ერთი დღით ადრე, ისლამურმა სახელმწიფომ გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმად ქრისტიანებმა პატივი უნდა მიაგონ ისლამს ან დატოვონ ქალაქი ან მოხდეს მათი განადგურება.[12]

პალმირას განადგურება

უძველესი ქალაქი პალმირა „იუნესკო"-ს მსოფლიო მემკვირეობის ნაწილია. ანტიკურ ხანაში, პალმირა წარმოადგენდა მსოფლიოს ერთ-ერთ კულტურულ ცენტრს. ეს არის პირველი და მეორე საუკუნეების ხელოვნებისა და

10. – ibid.

11.11- ISIS crimes against Shias and Christians in Mosul, www.tebyan.net/newindex.aspx?pid=294619; http://tnews.ir/news/1BB740299012.html, December 14, 2015.

12. – ISIS crimes against Christians; www.tebyan.net/newindex.aspx?pid=294619, December11, 2015.

არქიტექტურის ნიმუში, სადაც რომაული და ბერძნული ტექნიკა შერწყმული იყო ადგილობრივ ტრადიციებთან და უძველეს ირანულ მიმდინარეობებთან. ეს ადგილი შეიცავს ათასზე მეტ სვეტს და დიდ სასაფლაოს, სადაც 500-ზე მეტი საფლავია. სირიაში სამოქალაქო ომის წინ, ყოველ წელიწადს პალმირას სტუმრობდა 150 ათასზე მეტი ტურისტი. რაიონის ოფიციალური წარმომადგენლების და სანდო წყაროების თანახმად, ისლამური სახელმწიფოს სამხედროებმა ააფეთქეს კიდევ ერთი ძეგლი ჩრდილოეთ სირიის ქალაქ პალმირაში. პალმირას აქტივისტმა განუცხადა AFP, რომ სამხედროებმა მიწასთან გაასწორეს „ტრიუმფალური არკა". ვარაუდობენ, რომ „ტრიუმფალური არკა" დაახლოებით ორი ათასი წლისაა. ისლამური სახელმწიფოს სამხედროებმა დაანგრიეს პალმირას უძველეს ქალაქში ორი ძველი ტაძარი, რომლებიც, „იუნესკო"-ს თანახმად, წარმოადგენდა ანტიკური სამყაროს ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრების ნაწილს. მოჰამად ჰასან ჰამსიმ, იქაურმა აქტივისტმა, AFP-ს განუცხადა, რომ "ტრიუმფალური არკა" განადგურებული იყო ISIS-ის მიერ.[13]

ლონდონში განლაგებული "ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ორგანიზაციამ", რომელიც მონიტორინგს უწევდა სამოქალაქო ომს, განაცხადა, რომ მისი ცნობა შენობის განადგურების შესახებ დადასტურდა. ამუნ აბდულ კარემი, სირიელი აქტივისტი ასევე ადასტურებს ამას; მან განუცხადა „როიტერსს", რომ თუ პალმირა ისლამური სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მოექცეოდა, მისი „ბედი გადაწყვეტილი იყო". UNESCO-ს, გაეროს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურის ორგანიზაციის, დირექტორმა ირინა ბოკოვამ განაცხადა, რომ ამ ძეგლების დანგრევა „ომის დანაშაულია" და მოუწოდა საერთაშორისო საზოგადოებას, გართიანებულიყვნენ ISIS-ს მცდელობების წინააღმდეგ სირიელი ხალხისთვის წაერთვათ ცოდნა, იდენტობა და ისტორია". 2015 წლიდან მოყოლებული ISIS სამთავრობო ძალებს არ აძლევს ამ უძველეს ქალაქში შესვლის შესაძლებლობას და ცდილობს ტაძრებისა და სხვა ძეგლების განადგურებას. ეს ჯგუფი ამ ძეგლებსა და ტაძრებს წარმართობის გამოხატულებად მიიჩნევს.[14]

გენოციდის მაგალითები

ISIS-ის ტერორისტების ჯგუფებს და მათთან დაკავშირებული სხვა ჯგუფებს ერაყში მიზანში ჰყავთ ამოღებული ქურთები, იეზიდები, თურქმენები და სხვა ეთნიკური ტომები, რომლებიც ცხოვრობენ ქვეყანაში. მათი მიზანია ტომის განადგურება, შევიწროება ან განდევნა ამ ტერიტორიებიდან.

მრავალი სისხლის სამართლებრივი და არაკანონიერი ქმედება, რომლებიც ISIS-ს ტერორისტების ჯგუფებმა ჩაიდინეს, მიიჩნევა ომის დანაშაულად და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად და გენოციდად. ამ ანგარი-

13. – ISIS-მა დაანგრია "ტრიუმფალური არკა" პალმირას უძველეს ქალაქში: http://www.bbc.com/persian/world/2015/10/151005_u04_palmyra_isis, December 16, 2015.
14. – იქვე.

შის თანახმად, გასული წლის განმავლობაში, მინიმუმ 11 ათას 600 ერაყელი დაიღუპა ISIS-ის ტერორისტული ჯგუფების შეტევაში და დაახლოებით 21 000 800 დაშავდა.[15]

2015 წლის 21 სექტემბერს, დიდი ბრიტანეთის პარლამენტის 60-ზე მეტმა წევრმა მოითხოვა პრემიერ მინისტრ დევიდ კამერონისგან გაეროზე ზეწოლა განეხორციელებინა, რომ მას სირიასა და ერაყში ე.წ. ისლამური სახელმწიფოს (ISIS) რელიგიური უმცირესობების მკვლელობა და ნამება გენოციდად და ომის დანაშაულად ჩაეთვალა.

ბატონ კამერონისათვის გაგზავნილ წერილში მათ ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ არსებობდა მკვლელობათა, გატაცებების და ორგანიზებული გაუპატიურების მტკიცებულება ქრისტიანების და ისეთი სხვა რელიგიური უმცირესობების მიმართ, როგორიცაა, იეზიდები.[16]

მანამდე, ამერიკის დემოკრატთა საპრეზიდენტო კანდიდატმა, ჰილარი კლინტონმა, განაცხადა, რომ ქრისტიანების, იეზიდების და სხვა ეთნიკური უმცირესობების დევნა აღმოსავლეთში მიიჩნევა გენოციდად.

კლინტონმა ეს კომენტარი გააკეთა ერთ-ერთი ამომრჩევლის შეკითხვის საპასუხოდ მის მისასალმებელ სიტყვაში ნიუ ჰემპშირის შტატში. ერთ-ერთმა ამომრჩეველმა ჰკითხა კლინტონს ტერმინ "გენოციდის" გამოყენების შესახებ ISIS-ის მებრძოლების მიერ განხორციელებული მკვლელობების აღსაწერად და ჰკითხა: „მოგწონს სხვა მსოფლიო ლიდერები რელიგიური, სეკულარული და პოლიტიკური ლიდერების ჩათელით როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე პარტიებიდან ამ მკვლელობებს გენოციდს რომ უწოდებენ?" კლინტონმა უპასუხა, რომ იგი ამ სათაურს ეთანხმებოდა, ვინაიდან ამ სფეროში არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულება. მან განაცხადა, რომ ისლამისტური მილიციის აქტივობები არა მხოლოდ იმაზეა მიმართული, რომ ადამიანების სიცოცხლე გაანადგუროს, არამედ შუა აღმოსავლეთში და ისლამური სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტერიორიებზე საერთოდ ამოძირკვოს ქრისტიანები და სხვა რელიგიური უმცირესობები.[17]

გაეროს გენერალური მდივნის მრჩეველის იედიოთ აჰრონოტის თანახმად, ერაყში ერთკვირიანი მოგზაურობისა და ამ ქვეყანაში მინიმუმ 30 იეზიდთან გასაუბრების შემდეგ, ივან სიმინოვიჩმა განაცხადა, რომ არსებობს იმის მტკიცებულება, რომელიც მოუთითებს, რომ იეზიდების წინააღმდეგ ერაყში ISIS-ის ტერორისტული ჯგუფის ქმედებაგანიხიკება, როგორც ომის დანაშაული, დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ და გენოციდი.

---

15. – ISIS -ის მიერ მოწყობილი გენოციდი: http://www.jonoubnews.ir/showcontent.aspx?xdMQ9gHqg4pZ/cuW8vtd0w==, December 14, 2015.
16. – Members of the Parliament of Great Britain: ISIS did genocide: http://www.bbc.com/persian/world/2015/12/151221_l10_uk_parliamentarians_open_letter_pm, December 21, 2015.
17. – Hillary Clinton: ISIL violence against other religions is genocide; http://www.ghatreh.com/news/nn29514483, December 16, 2015.

ასობით ერაყელი იეზიდი მოკლეს ISIS-ის თავდასხმისას ჩრდილოეთსა და დასავლეთში. ათობით ათასობით ადამიანი გახდა ლტოლვილი ჩრდილოეთ ერაყის ქურთულ მხარეში. ასობით ქალი და გოგონა იქნა დატყვევებული ისლამური სახელმწიფოს წევრების მიერ. დაახლოებით 7 ათასი იეზიდი დარჩა საკუთარ სახლში და ტერორისტულმა ჯგუფებმა ისინი აიძულეს შეეცვალათ თავიანთი რელიგია. იეზიდების წარმომადგენლები ერაყის პარლამენტში ასევე აცხადებდნენ, რომ:

მსხვერპლთა ოჯახებიდან მიღებული სტატისტიკის მიხედვით, ISIS-მა გაყიდა 950 იეზიდი გოგონა მოსულის ბაზარზე და მიჰყიდა ისინი მეომრებსა და ჩვეულებრივ ადამიანებს. ISIL-ის ტერორისტები ყიდულობენ და ყიდიან იეზიდ გოგონებს 150-დან 200 დოლარამდე ფასად და ზოგჯერ ათას დოლარსაც კი აკეთებენ. ISIS-მა ეს ასევე განაცხადა მის ოფიციალურ ჟურნალში, რომ:

„იეზიდი ქალბატონები და ბავშვები და ეს მეგრძოლთა შორის, რომლებიც მონაწილეობდნენ სინჯარის ოპერაციაში. ისლამური კანონის თანახმად, ეს ქალბატონები გაუნაწილეს მებრძოლებსადა რეზიდენტებს.[18]

2. საერთაშორისო ორგანიზაციების რეაქცია ISIS-ის ქმედებათა საპირისპიროდ გაეროს მიერ წარმოებული ქმედებების მოკლე ანოტაცია

გაეროს ქმედებები ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ იყოფა სამ ნაწილად, რაც მოიცავს საერთაშორისო სანქციების დაწესებას და საზოგადოებრივი ცნობადობის ამაღლებას. ამ საწყის ეტაპზე, შეგვიძლია გენერალური ასამბლეისა და გაეროს უშიშროების საბჭოს სამი რეზოლუციის მინიშნება ისლამური სახელმწიფოს ტერორისტულ ჯგუფთან დაკავშირებით.

„გაერო"-ს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 2170 (2014), როგორც „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების წინაშე მდგარი საფრთხე, რომელიც გამოწვეულია ტერორისტული ქმედებებით/აქტებით" იმასთან ერთად, რომ გამოიხატოს ღრმა შეშფოთება, რომ „ერაყისა და სირიის დიდი ტერიტორიები მოქცეულია ISIS-ისა და ალ-ნუსრას ხელში". თუმცა, რეზოლუციის VII თავზე დაყრდნობით, იგი მიიჩნიეს, როგორც „ყველაზე აგრესიული ფრაზები, რითაც დაგმობილ იქნა ISIL-ის ტერორისტული აქტები და მისი ექსტრემისტული ძალადობრივი იდეოლოგია და საერთაშორისო სამართლის ადამიანის უფლებათა მუდმივი და გაეროს გადასახედიდან სისტემატური დარღვევა" და სირიასა და ერაყში ჰუმანიტარული კრიზისი მიიჩნიეს, მესამე დონის ყველაზე უარეს ჰუმანიტარულ სიტუაციად"[19].

18. -The United Nations was likely considers attack to the PKK in Iraq as genocide (07/30/1393): http://shiastudies.net/portal/fa/shianews/post/1634/. December 14, 2015.

19. – See: Usborne, D. (2015) Isis: United Nations Security Council resolution planned by world powers to declare war against group in Iraq and Syria; http://www.independent.co.uk/news/world/politics/isis-world-powers-plan-united-nations-security-council-resolution-to-declare-war-against-group-in-a6741181.html,

უშიშროების საბჭოს მიერ ბოლო დროს გატარებული სანქციები ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ უკავშირდება 2199 (2015)-ე რეზოლუციას, სადაც საბჭომ ტერორისტული ჯგუფების დაფინანსების სამიზნეში ამოღებით, ერთხმად აკრძალა ნებისმიერი ბიზნესის დაკავშირება დამოკიდებულ ჯგუფებთან, ალ-ქაედასა და ISIS -ს ჩათვლით და გაეროს მეშვიდე თავის თანახმად, ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს გადადგან ნაბიჯები ერაყში და სირიაში ტერორისტული ჯგუფების მხირდან ნავთობითა და ანტიკვარით, აგრეთვე მძევლებით ვაჭრობის აღსაკვეთად.

2015 წლის 21 მაისს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ერაყის ქალაქ მოსულში არქეოლოგიური აღმოჩენების დანგრევის შემდეგ მიიღო რეზოლუცია სახელად „ერაყის კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენა", სადაც ხაზი გაუსვა მის დიდ შეშფოთებას ერაყის კულტურული მემკვიდრეობის განადგურების გამო მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, არქივებსა და არქეოლოგიურ ადგილებში ISIS-ის (ერაყსა და სირიაში ისლამური სახელმწიფო) მიერ. საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ ორივე რეზოლუციაში, მიუხედავად ISIS-ს ფართემასშტაბიანი სისატიკისა, განსაკუთრებით, ერაყში, არ დაფიქსირებულა უშიშროების საბჭოს მხრიდან რაიმე მკაცრი გადაწყვეტილება ამ დანაშაულთა მონაწილეთა სიტუაციის საერთაშორისო სისხლის სასამართლოში გადასაცემად.

მეორე დონეზე, სანქციებთან დაკავშირებით, შეგვიძლია ყურადღება გავამახვილოთ გაეროს უშიშროების საბჭოს 2014 წლის აგვისტოს გადაწყვეტილებაზე ისლამური სახელმწიფოს ტერორისტული ჯგუფის ექვსი უხუცესი წევრის მოთავსებით გაეროს სანქციების სიაში.

თუმცა, გაეროს ძალისხმევა არ შემოიფარგლება მხოლოდ რეზოლუციებითა და სანქციებით. იგზავნება გენერალური მდივნის განსაკუთრებული წარმომადგენლები, რომლებიც დანაშაულთა შესახებ გასცემენ მაქსიმალურად დიდ ინფორმაციას. მაგალითად, გაეროს საგანგებო დესპანი/აგენტი ზეინაბ ბანგორა, რომელიც ესაუბრება ქალებს და გოგონებს, რომლებმაც თავი დააღწიეს მონობას ISIL კონტროლირებად ტერიტორიაზე.

გარდა ამისა, შეგვიძლია იან კანკუბის, საგანგებო დესპანისა და ერაყში გაეროს მხარდამჭერი მისიის ხელმძღვანელის მოსაზრებებს მივაქციოთ ყურადღება, რომელსაც სურს ერაყის მთავრობამ და საზოგადოებრივმა ძალებმა კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა გამოიყენონ და ერთად ებრძოლონ ISIS-ს და დასძინა, რომ „რწმენის და სხვადასხვა საზოგადოებებს შორის ერთიანობის აღსადგენად, აუცილებელია სამართლიანობის და პასუხისმგებლობის გარანტირება დარღვევებსა და დანაშაულებთან მიმართებაში და დისკრიმინაციის და მარგინალიზაციის აღმოფხვრა განურჩევლად ადგილისა". გარდა ამისა, გაეროს ფაქტების დამდგენი გუნდის/სიტუაციის ანალიზის გუნდის ერაყში

accessed by 25/12/2015.

გაშვების შემდეგ, რომელსაც ბერტ შაფეთი ხელმძღვანელობდა, დადგინდა, რომ ისლამური სახელმწიფოს ტერორისტულმა ჯგუფმა ერაყში ჩაიდინა ნარმოუდგენელი დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ. [20]

გარდა ამისა, შეგვიძლია ყურადღება მივაქციოთ გაეროს განათლებისა და კვლევის სააგენტოს ინფორმაციას, რომელიც სატელიტური ფოტოების მეშვეობით ადასტურებს, რომ სირიაში, პალმირაში, ბელის ძველებური ტაძარი, რომელიც 2000 წლისაა, სრულიად დაინგრა ISIS-ის მიერ.

თუმცა, შეგვიძლია გავაკრიტიკოთ გაეროს საქმიანობა ISIS-ის ჭრილში რამდენიმე დონეზე. პირველი, სწრაფი და დროული რეაგირების ნაკლებობა, ISIS-ის მიერ შესრულებული საქმე, და ზოგიერთი მთავარობის სხვა წარსული და მიმდინარე არასწორი ქმედებები, განსაკუთრებით, აშშ-ში. გაეროში რუსეთის წარმომადგენელმა ვიტალი ჩერკინმა მართებულად აღნიშნა, რომ ისლამური სახელმწიფოს გაძლიერება შედეგად მოიტანა აშშ-ს მიერ ერაყის დაპყრობამ.

გარდა ამისა, გაეროს უშიშროების საბჭოს არ ჰქონია არანაირი რეაგირება აშშ-ს მიერ ინიცირებული სართაშორისო ISIS საწინააღმდეგო კოალიციაზე, რომელიც უშიშროების საბჭოს ნებართვის გარეშე დაიწყო და გაეროს ქარტიის 42-ე მუხლის აშკარა დარღვევაა.[21]

ეს ზომა გვახსენებს საბჭოს არაეფექტიანობას ცივი ომის პირობებში და რუანდასა და სრებრენიცაში ჩადენილი დანაშაულების პერიოდს როდესაც ეს განხორციელდა ძირითადი აღმოსავლეთ-დასავლეთის ინტერესთა კონფლიქტის გამო, ყირიმის სადაო კუნძულის რუსეთის მიერ ჩაგდების გამო 2014 წლის მარტში და აშშ-სა და ევრო-კავშირის სანქციები მთავრობის წინააღმდეგ ამ მიმართულებით, ახალი ცივი ომი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გაჩაღდა და ჩვენ ვხედავთ უშიშროების საბჭოს არაეფექტურობას და უმოქმედობას ამ ძირითადი საერთაშორისო კრიზისების კუთხით, როგორიცაა, ISIL-ს ტერორისტთა ჯგუფების სიხლის სამართლებრივი საქმიანობა.

გარდა ამისა, სხვადასხვა კუთხით საქმიანობის თვალსაზრისით სექტორთა შორის კოორდინირება არადამაკმაყოფილებელი ან სუსტია. მაგალითად, შესაძლებელია თავშესაფარის მაძიებლები გაეროს ნორვეგიის პროგრამის მასშტაბით მოვიაზროთ, რომელიც ადრე იყო ISIS-ის და Jabhat al-Nusra-ს წევრი. შედარებისთვის, გაეროში ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინსვლა იყო მზადყოფნა მომხდარიყო ტერორისტულ ჯგუფებთან პირდაპირ ან ირიბად მოლაპარაკებების განხორციელება აღმოსავლეთში მკვლელობების შესაჩერებლად, რაც როგორც ჩანს, აქამდე არ დაფიქსირებულა/მისი თავმჯდომარე აქამდე არ ყოფილა ჩაბმული ტერო-

20. – ibid.

21. -Usborne, D. (2015) Isis: გაერო ერთხმად მოუწოდებს მსოფლიოს გაერთიანდნენ ჯიჰადისტური ჯგუფების წინააღმდეგ, http://www.independent.co.uk/news/world/politics/war-on-isis-un-in-rare-unanimous-vote-calls-on-world-to-unile-against-jihadist-group-a6742951.html, accessed by 22/12/2015.

რისტულ ჯგუფებთან ბრძოლის კუთხით[22].

გაეროს მიერ საქმიანობის ნარმოების კრიტიკა

გაეროს უშიშროების საბჭო ასრულებს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტორის როლს. ISIS-მა სირიისა და ერაყის სუვერენიტეტის დარღვევით, დისიდენტებთან ურთიერთობით და სხვა რწმენის მიმდევრებთან კავშირით სასტიკად და უხეშად შეუშალა ხელი მშვიდობას და უსაფრთხოებას ამ ორ ქვეყანაში. სწორედ გაეროს უშიშროების საბჭოს ევალება ამ სიტუაციის განსაზღვრა და დიდი ძალისხმევის გამოყენება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღსადგენად.

გაეროს წესდების თანახმად, უშიშროების საბჭოს ძალაუფლება მოიცავს სამშვიდობო ძალების დაშვებას, საერთაშორისო სანქციებს და უფლების მინიჭებას სამხედრო ძალის გამოსაყენებლად მტრულად განწყობილი ქვეყნების წინააღმდეგ. გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო ოთხი რეზოლუცია ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც მოიცავს 2169-ე რეზოლუციას (თავი VI), 2170-ე რეზოლუციას (თავი VII), 2178-ე რეზოლუციას (VII) და 2179-ე რეზოლუციას (თავი VII).[23]

რეზოლუცია 2169 მიიღეს 2014 წლის 30 ივლისს. მასში ხაზგასმულია რამდენიმე საკითხი, რომელიც გვიჩვენებს უშიშროების საბჭოსა და მუდმივი წევრების მოსაზრებებს ირანის სახელმწიფოს არსებული უსაფრთხოების თვალსაზრისით და ქვეყნისა და რეგიონის სამომავლო უსაფრთხოებასთან მიმართებაში ISIS -ის საქმიანობის წინააღმდეგ.

თუმცა, 2169-ე რეზოლუციასთან დაკავშირებით, უშიშროების საბჭომ ვერ მიიღო გადაწყვეტილება ერაყში ქმედებათა ბუნების თვალსაზრისით „საერთაშორისო დანაშაულის" მიმართულებით, განსაკუთრებით, ომის და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისა და სისხლის სამართლებრივი აქტების კუთხით.

რეზოლუციის ძალაში არ შესვლის შედეგად, გაეროს უშიშროების საბჭოს 2170 -ე რეზოლუციაში ტერორისტული ჯგუფის წინააღმდეგ, რომელიც დიდი ბრიტანეთის მიერ ნამოყენებულ წინადადებად წარმოადგინეს, ექვსმა ადამიანმა გამოთქვა ნეგატიური დამოკიდებულება: ორი საუდის არაბეთიდან, ორი ქუვეიტიდან, ერთი ერაყიდან და ერთი ალჟირიდან. 2170-ე რეზოლუციამ უბრძანა ISIS და Jabhat Al-Nusra-ს ჯგუფებს, კერძო პირებსა და სხვა ერთეულებსა და ჯგუფებს, რომლებიც ალ-ქაედასთან იყვნენ დაკავშირებული, სასწრაფოდ დაეყარათ თავიანთი იარაღი.

უშიშროების საბჭო ასევე მოუწოდებს ქვეყნებს, როგორც მათ ამას 2000-ში მიღებული რეზოლუცია 1383 ავალდებულებს, ითანამშრომლონ იმისათვის,

---

22 - ibid.

23.- see: http://www.securitycouncilreport.org/un-documents/syria/, also:http://www.securitycouncilreport.org/un-documents/iraq, 25/12/2015.

რომ მიაგნონ და აღასრულონ სამართლიანობა ალ-ქაედასთან დაახლოებული ჯგუფებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, უშიშროების საბჭოს 2170-ე რეზოლუციის საფუძველზე, ისინი აცხადებენ საკუთარ მზადყოფნას სანქციათა სიაში შეიტანონ მათი საკუთარი და დამფინანსებელთა სახელები, ალ-ქაედას ჩათვლით. უშიშროების საბჭოს თხუთმეტი წევრი ასევე მოუწოდებს ამ ქვეყნებს გამოიყენონ ადგილობრივი ზომები ერაყში და სირიაში უცხოელი ტერორისტების ნაკადის შესაჩერებლად და განახორციელონ სამართალი დამნაშავეთა მიმართ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. [24]

ოცი დღის შემდეგ, 2014 წლის 24 სექტემბერს, უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 21 78, რომელიც მის წინაშე წამოაყენა ამერიკის მთავრობამ. რეალურად, ამ რეზოლიციის მიზიდულობის ცენტრი ჭრის საკომუნიკაციო გზებს ISIS და al-Nusra-ს ადამიანებთან სხვა ქვეყნებში. რეალურად, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული რეზოლუციები 2169 და 2170 შეიქმნა Al-Nusra-სა და ISIS-ს წინააღმდეგ. რეზოლუცია უწინარეს ყოვლისა, ტერორიზმის წინააღმდეგ არსებული რეზოლუციაა და არა ISIS-ის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი.

საბოლოო ჯამში, 2015 წლის 12 თებერვალს, ტერორისტებზე ზეწოლის გასააქტიურებლად, გაეროს უშიშროების საბჭომ რუსეთის ინიციათივით გამოსცა 2199-ე რეზოლუცია, ხოლო სირიაში ანტიკვარიატის ვაჭრობის აკრძალვით, ISIS -ს და Al-Nusra-ს ტერორისტული ჯგუფები დააშინეს საქნციების დანესებისათვის.

ბოლოს, 2015 წლის 12 თებერვალს, ტერორისტებზე ზეწოლის გასაძლიერებლად, გაეროს უშიშროების საბჭომ გამოსცა 2100-ე რეზოლუცია როგორც რუსული წინადადება და ამავე დროს აკრძალა ვაჭრობა სიძველეებით სირიაში რის შედეგადაც, ISIS-იდან ნავთობის მყიდველები და ალ-ნუსრას ტერორისტული ჯგუფები დააშინეს სანქციების დანესებით.

უშიშროების საბჭო ასევე მოუწოდებს ყველა ქვეყანას არ ივაჭრონ მძევლებთან დაკავშირებით ტერორისტებთან. ეს რეზოლუცია, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული, სამართლებრივად მავალდებულებელია და უშიშროების საბჭოს აძლევს უფლებას დაამტკიცოს გადაწყვეტილებები ეკონომიკურ სანქციებზე, მაგრამ, ასევე, არ იძლევა უფლებას მიმართონ სამხედრო ძალებს. [25]

ნახსენები დებულებებისა და რეზოლუციების განხილვა მიგვითითებს ხარვეზებსა და პრობლემებზე. პირველი პრობლემა ის არის, რომ არც ერთი შემზღუდველი ზომა ISIS-ის და Al-Nusra-ს წინააღმდეგ არ კონტროლდება და არ ხდება ამ რეზოლუციების განხორციელების იმპლემენტაციის კონტროლი კონკრეტულ სფეროში.

---

24. -See: http://www.securitycouncilreport.org/atf/cf/%7B65BFCF9B-6D27-4E9C-8CD3-CF6E4FF96FF9%7D/s_prst_2014_23.pdf, 25/12/2015.
25. – ibid.

ეს რეზოლუციები გვინინასწარმეტყველებს ISIS -ისა და Al-Nusra-ს ხარისხობრივ და რაოდენობრივ განვითარებას კონტროლის გარკვეული ზომების გათვალისწინებით და არ მიიღება მხედველობაში ის განსაკუთრებული ზომები, რომლებიც ამცირებს ამ ჯგუფების ძალაუფლებას და არსებობის უნარიანობას, ბოლოს კი ანადგურებს მათ. რეალურად, არ განხორციელებულა არც ერთი ჭეშმარიტი მცდელობა და არ ყოფილა არანაირი ნამდვილი სურვილი ამ ტერორისტთა ჯგუფების დამფინანსებელთა სპონსორების დასადგენად და მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ცალკეული პირების სანქცირება განხორციელდა, არ გამოიკვეთა არცერთი მხარდამჭერი ქვეყანა ISIS -თის ფინანსური ან ადამიანური მხარდაჭერის თვალსაზრისით. ამასობაში კი, ირანის ისლამური სახელმწიფო, უშიშროების საბჭოს გარკვეული წევრების წყალობით, მისი ბირთვული პროგრამის საფრთხესთან დაკავშირებით, ეწინააღმდეგებოდა სანქციებს.

დასუსტება და უშიშროების საბჭოს ფუნქციონირებაში სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები არის საერთაშორისო საფრთხეების და მასთან შებრძოლების ჭეშმარიტი აღქმის ნაკლებობა. უშიშროების საბჭოს 2011-დან 2014 ოთხი რეზოლუცია მიიღო ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ (იმისათვის, რომ განეახლებინა უშიშროების საბჭოს სანქციათა კომიტეტის ექსპერტების მისია და გაეძლიერებინა ისინი), 1984, 2049, 2105, 2159-ე რეზოლუციების ჩათვლით. თუმცა, ირანის წინააღმდეგ გაცემული რეზოლუციები გაცილებით უფრო ძლიერია შინაარსობრივად, ვიდრე ორგანიზაციული სტრუქტურის თვალსაზრისით. ამდენად, ამგვარი ქმედებები საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის განსჯის საკითხია. ისმის შეკითხვა თუ რამდენად არის ირანის ისლამურ რესპუბლიკას და ISIS-სს შორის მსგავსი საფრთხეები საერთაშორისო უსაფრთხოებისა და წესრიგის თვალსაზრისით ისე, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ორივე რეზოლუცია გამოსცეს მათთვის ორივესთვის ან საბჭოს გავლენიანი და ძლიერი წევრებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს ბოლო დროინდელი რეზოლუციები ტერორიზმისა და ISIS-ის წინააღმდეგ ერთხმად იქნა მიღებული, არსებობს უთანხმოება საბჭოს წევრებს შორის ამ ჯგუფებთან ურთიერთობის კუთხით.

ამ ჯგუფის წინააღმდეგ სამხედრო ქმედების შესაძლებლობა მუდმივ წევრებსა და რეგიონალურ მთავრობებს შორის კოოდინირების ნაკლებობის გამო, არ არის ნახსენები ამ რეზოლუციაში. შესაბამისად, ახალი რეზოლუციების საფუძველი არის მე-7 თავის 41-ე მუხლი და ამ ეტაპზე წესდების 42-ე თავის დებულებები ძალის ადმინისტრირების შესახებ ტერორიზმის დასაძლევად არ გამოიყენება ცალმხრივი, სპორადული და საჰაერო დარტყმების წინააღმდეგ, რომლებიც შესაბამისად არაეფექტურია. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს სერიოზული ხარვეზები და პრობლემები

გაეროს ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებებში, რომლებსაც ევალება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება.

დასკვნა და რეკომენდაციები

დღესდღეობით, საერთაშორისო ასპარეზზე ფიქსირდება სისხლიანი და დამამცირებელი ფაქტები, რომლებიც ასახავს ISIS-ს მობილობას ერაყსა და სირიაში, ისრაელის სამხედრო აგრესიას ღაზას სექტორში, პრობლემებს ლიბიასა და იემენში და აფრიკის კონტინენტზე, რასაც შედეგად მოსდევს მუსლიმური ქვეყნების ქონებისა და ადამიანების სიცოცხლის დაკარგვა.

ამ და კიდევ მრავალი სხვა კრიზისის პირობებში, რომელიც მოიცავს აღმოსავლეთ უკრაინის სეპარატიზმს, ნაკლებად საუბრობენ გაეროს როლზე, როგორც უდიდეს საერთაშორისო ორგანიზაციაზე მშვიდობისა და სტაბილურობის სფეროში, რომელიც რეალობად არის აღიარებული და ნორმად მიიჩნევა ხელიუსფლებისა და საზოგადოებრივი აზრის მასშტაბით.

დავასაბუთოთ, რომ გეგმის კომპონენტი, რომელიც ჩართულია თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსში ფაქტობრივად ვერ გახდება დანაშაულის დიაპაზონის შემცირების მიზეზი[24]. ზოგიერთი ავტორი იმასაც კი ამბობს, რომ გეგმის კომპონენტი არ უმატებს დამატებით მატერიალურ ელემენტს დანაშაულის განსაზღვრებას, არამედ უზრუნველყოფს აუცილებელი ფსიქიკური კომპონენტის მტკიცებულებას[25].

<u>პირველადი დანაშაულები</u>

რაც შეეხება პირველად დანაშაულებს, რომელიც შესაძლოა შეადგენდეს გენოციდის დანაშაულის ობიექტურ მხარეს (actus reus), თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის ფორმულირება ზოგიერთ ასპექტში განსხვავდება 1948 წლის კონვენციისგან. კონვენციაში ჩამოთვლილი ხუთი სხვადასხვა კატეგორიის ქცევის ანალიზი სწორედაც რომ უპრიანი იქნებოდა. ნებისმიერ შემთხვევაში თურქეთის აკადემიური წრეები თანხმდებიან იმაზე, რომ ჩამონათვალი სრულია[26].

1) „ჯგუფის წევრების მკვლელობა“: თსსკ ეხება განზრახ მკვლელობას, და როგორ ხდება შესაბამისი დებულების ინტერპრეტაცია საგანგებო სასამართლოს მიერ[27].

დანაშაულის ელემენტების თანახმად (რომის სტატუტი), ტერმინი „მკვლელობა“ შეიძლება შეიცვალოს ტერმინით „გამოიწვია სიკვდილი“ და ასეც რომ იყოს მიღებულია, რომ მკვლელობა უნდა იყოს განზრახი[28].

მართლაც რომ, სასამართლო პრაქტიკაში საგანგებო სასამართლოზე, ტერმინი „ლიკვიდაცია, სიცოცხლის მოსპობა“ (killings) გათანაბრებულია „მკველელობასთან“ (განზრახ მძიმე მკვლელობა murder). რუანდას სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის ფრანგული ვერსია არის „meurtre“ – მკვლელობა, დანაშაული (განზრახი), მაშინ როდესაც ინგლისური ვერსია იყენებს ტერმინ „killings“ – რომელიც მოიცავს, როგორც განზრახ, ისე არაგანზრახ მკვლელობას. ინტერპრეტაციის ზოგადი პრინციპის თანახმად dubio pro reo ტრიბუნალის პრაქტიკაში, უპირატესობა ენიჭება ბრალდებულის სასარგებლოდ გაკეთებულ ინტერპრეტაციას და აღირებულია, რომ ტერმინი „killings“, მკვლელობა (განზრახი და გაუფრთხილებელი) გენოციდის ბრალდების კონტექსტში შეიძლება ინტერეპრეტირებული იქნეს, როგორც განზრახი მკვლელობა, ანუ ისე,

24.Kocaoğlu, p. 164 andAkün, p. 66.

25. Faruk Turhan,„Yeni Türk Ceza Kanunu'na Göre Uluslararası Suçların Cezalandırılması“, *Hukuki Perspektifler Dergisi*, Sayı 3, Nisan 2005, p. 13; Değirmenci, p. 97.

26. Tezcan/Erdem/Önok, *Ceza Özel*. p. 57; Değirmenci, p. 86; Kocaoğlu, p. 151.

27. Tezcan/Erdem/Önok, *UluslararasıCeza*, p. 491.

28. Schabas,*Genocide*. pp. 288-289; Ilias Bantekas/Susan Nash,*International Criminal Law*, Third Edition. Routledge-Cavendish, 2007,p. 147; Robert Cryer, Hakan Friman, Darryl Robinsonand Elizabeth Wilmshurst, *An Introduction to International Criminal Law and Procedure*, Cambridge University Press, 2007,p. 174.

როგორც ეს დეფინიცია murder – ში (განზრახი მკვლელობა) იგულისხმება[29].

ეს მიდგომა დადასტურებულია საერთაშორისო სასამართლოს მიერ ბოლო პერიოდში განხილული საქმის მაგალითზე[30]:

„სასამართლომ,მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ სიტყვები „killing" და „meurtre" ინგლისურ და ფრანგულ ვერსიებში გვხვდება კონვენციის მეორე მუხლის ქვე–პარაგრაფის შესაბამისად. სასამართლოსთვის ეს სიტყვები იდენტური მნიშვნელობის მქონეა და აღნიშნავს ჯგუფის წევრების განზრახ მკვლელობას"

2) „ჯგუფის წევრებისთვის მძიმე ფიზიკური და ფსიქიკური დაზიანების მიყენება": თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსში ნათქვამია „ადამიანისთვის (პირისთვის) ფიზიკური და ფსიქიკური მთლიანობის მძიმე ხელყოფა". მიუხედავად იმისა, რომ შეიძლებოდა ამის სიტყვიერად უკეთესად ფორმულირება, ცალსახაა, რომ გაერთიანებული ერების კონვენციაში განზრახვა ჩადებულია ტერმინის დეფინიციაში და ამ ორ დეფინიციას შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ არსებობს[31].

3) „ჯგუფისთვის, სრულიად შეგნებულად ისეთი ცხოვრების პირობების თავს მოხვევა, რაც მის ნაწილობრივ ან მთლიან განადგურებას გამოიწვევს": ამ პუნქტში თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსში მცირედი განსხვავებაა. ჩვენი კანონი ამბობს „აიძულო ჯგუფი იცხოვროს ისეთ პირობებში, რომელიც შედეგად გამოიწვევს ამ ჯგუფის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას". ამგვარად, ცხოვრების პირობების შექმნის ნაცვლად ჩვენი კანონი ლაპარაკობს „ამგვარ პირობებში ცხოვრების დაძალებაზე". კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ დებულება უკეთესად რომ ყოფილიყო ფორმულირებული, ამ ორ დეფინიციას შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ იქნებოდა.

თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსში დეფინიცია არ შეიცავს სიტყვებს „იმ მიზნით", თუმცა თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსში ნათქვამია,რომ იმ შემთხვევაში თუ სხვა რამ არ დგინდება, დანაშაული არის განზრახი. ამგვარად, ჩვენი კანონმდებლობის თანახმად დამნაშავე განზრახვით მოქმედებს.

4) „ჯგუფის შიგნით შობადობის აღკვეთის ზომების შემოღება": ჩვენი კანონის ენით: „ჯგუფის შიგნით შობადობის აღკვეთის (პრევენციის) ზომების გატარება". ცალსახაა, რომ ამგვარი ზომები, შეიძლება „თავსმოხვეული" იყოს მსხვერპლისთვის, რათა მოხდეს ამ მატერიალური კომპონენტის აღსრულება.

---

29. *Kayishema* Appeal Judgement, para. 151; *Jelisic* Trial Judgement, para. 63; *Krstic* Trial Judgement, para. 543.

30. კონვენციის გამოყენება გენოციდის დანაშაულის პრევენციისთვის და სასჯელისთვის, Croatia v. Serbia(2015)

31. Further see Tezcan/Erdem/Önok, *Ceza Özel*, p. 66.

თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში ფორმულირება ეხება „შობადობის ძალადობრივად აღკვეთას". ეს იყო უხეირო ფორმულირება, ვინაიდან ის ნიშნავდა იმას,რომ ამ მიმართულებით გახორციელებული ნარუმატებელი ზომები მხოლოდ და მხოლოდ განზრახ ჩადენილ გენოციდზე აკისრებს პასუხისმგებლობას. ეს შეცდომა გასწორდა.

ორივე, როგორც გაეროს კონვენცია, ისე ჩვენი კანონი, ითხოვს ამგვარი ზომების გატარებას, იმისთვის რომ დანაშაული აღსრულებულად ჩაითვალოს.

საკამათოა ის საკითხი, რომ dolus eventualis (არაპირდაპირი განზრახვა ან დამნაშავის მიერ ქმედების შედეგის გაცნობიერება) არ არის საკმარისი არსებული დანაშაულის თვალსაზრისით, რადგან ადეკვატური ზომა უნდა მიმართული იყოს შობადობის პრევენციაზე[32]. შესაძლებელია იმის დასაბუთება, რომ თურქეთის კანონმდებლობით ტერმინი dolus eventualis მომცველი და საკმარისია ამ თვალსაზრისით განსხვავებული ფორმულირების გამო.

5) „ერთი ჯგუფის ბავშვების იძულებით მეორე ჯგუფში გადაყვანა" – აქ, თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსში იდენტური განსაზღვრებაა მოცემული.

Mens rea – დანაშაულის სუბიექტური მხარე

ფსიქიკურ კომპონენტებთან დაკავშირებით ჩვენი კანონი ეძებს აუცილებელი განზრახვის არსებობას პირველადი დანაშაულისთვის. ამ კონტექსტში, არაპირდაპირი განზრახვა (dolus eventualis) შესაძლოა საკმარისი აღმოჩნდეს მკვლელობის შემთხვევაში[33].

ამას გარდა, დანაშაულის სუბიექტური მხარის გათვალისწინებით, დამნაშავე უნდა მოქმედებდეს თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის ფორმულირების თანახმად კონკრეტული და საგანგებო „მიზნით" (თურქულად „maksat"): რათა გაანადგუროს ჯგუფი, მთალიანად ან ნაწილობრივ. კლასიკური იტალიური სისხლის სამართლის კანონმდებლობის დოქტრინის ფორმულირებით საჭიროა საგანგებო განზრახვის (dolus specialis) არსებობა[34]. სიტყვა „მიზნის" ჩართვა მიანიშნებს იმაზე, რომ მიღებულ იქნა მიზანზე დაფუძნებული მიდგომა.

თურქული დეფინიცია არ მოიცავს ტერმინს, როგორც ასეთს, რომელიც რთული სათარგმნელია თურქულად. რაც შეეხება ამ ტერმინების ზუსტ მნიშვნელობას ეს ცხარე სამეცნიერო დებატების საკითხია[35], თუ მიზანი

32. Werle&Jessberger, mn. 837.
33. In the same direction Werle&Jessberger, mn. 838.
34 Also see Schabas, *Genocide*, p. 260.
35. ამ მიმართულებით უფრო მეტი ინფორმაციის მისაღებად იხილე Lars Bersterin *Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide: A Commentary* (C. Tams, L. Bersterand B. Schiffbauer. eds.), C.H.Beck – Hart – Nomos, 2014, mn. 139 et seq.

არის ის, რომ ხაზი გაესვას „საგანგებო განზრახვის" არსებობას[36], რომელსაც სრულად მოიცავს თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის 76 -ე მუხლის დებულება. თუ მიზანი არის ის, ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ მსხვერპლი სამიზნეა არა როგორც ინდივიდი, არამედ როგორც ჯგუფის წევრი, ეს ინტერპრეტაციაც ასევე შესაფერისად არის გადმოცემული ამ კოდექსის ფორმულირებით. თუმცა არსებობს პრობლემა: საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, განსხვავება კეთდება „გენოციდის გეგმის არსებობის მტკიცებულებას შორის, როდესაც ინდივიდი დაინტერესებული პირია და ინდივიდის მხრიდან გენოციდის აქტების წინასწარი განზრახვით ჩადენას შორის. დამნაშავე ინდივიდი შეიძლება მონაწილეობდეს გენოციდში გეგმის არსებობის სრული შეცნობით და მაინც იმოქმედოს წინასწარი განზრახვის გარეშე."[37] თურქეთის კანონმდებლობის გათვალისწინებით ეს შეხედულებაც საკამათოა[38]. 76-ე მუხლის მარტივმა ინტერპრეტაციამ შესაძლოა შეგვიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს გეგმის კომპონენტი აგრეთვე აუცილებელია ინდივიდის ქმედების გათვალისწინებით.

<u>დაუსრულებელი დანაშაული</u>

თურქეთის კანონმდებლობას არა აქვს ცალკე არსებული დებულება საზოგადოების მხრიდან გენოციდის განხორციელების პირდაპირ წაქეზებაზე. თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლი „დანაშაულის ჩადენის წაქეზების" შესახებ იქნება გამოყენებული. სასჯელი არ არის განსაკუთრებით მკაცრი, თუმცა: დამნაშავეს შეეფარდება 6 თვიდან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. მეორე მხრივ, თუ წაქეზება მოიცავს მოსახლეობის ნაწილის შეიარაღებას მეორე ნაწილის მოსაკლავად, მაშინ სასჯელი იქნება 15-დან 24 წლამდე თავისუფლების აღკვეთა (მუხლი. 214/2). თუ ამ წაქეზების შედეგად, ჩადენილია გათვალისწინებული დანაშაული, ამ შემთხვევაში ნამქეზებელი იგივენაირად ისჯება, როგორც პროვოკატორი(მუხლი . 38/1).

ჩვენს ეროვნულ კანონმდებლობაში აგრეთვე არ არის ასახული წესი გენოციდის ჩადენის „კონსპირაციულობის" შესახებ. ვინაიდან, თურქეთი კონტინენტური ევროპის იურიდიული ტრადიციის მიმდევარია, ჩვენ არ გაგვაჩნია აღუსრულებელი დანაშაული კონსპირაციის ფორმით. 78-ე მუხლის დებულება, გენოციდის განხორციელების ორგანიზების თაობაზე ნაწილობრივ ასრულებს იგივე ფუნქციას. მუხლი 78 გამოიყენება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. არსებული პრაქტიკის თანახმად ორგანიზაცია შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულებრივად ყველა ქვემოთ

36. თუმცაღა ეს არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი სამეცნიერო შეხედულება (see Berster, mn. 139).
37. Schabas, *Genocide*, pp. 267-268.
38. Tezcan/Erdem/Onok, *Ceza Özel*, pp. 70-71; Değirmenci, p. 88, 95; Kocaoğlu, p. 155.

დასახელებულ პირობაში, თუ[39]:

ის შედგება მინიმუმ სამი წევრისგან

ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს, თუნდაც ამორფული, მაგრამ მაინც იერარქიული სტრუქტურა

ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს გარკვეული ხანიერება

ამ ორგანიზაციას, წევრების რაოდენობის და აღჭურვილობის გათვალისწინებით უნდა შესწევდეს გენოციდის განხორციელების უნარი.

<u>სანქცია</u>

76(2) მუხლის თანახმად, გენოციდის ჩამდენს უნდა მიესაჯოს თავისუფლების უვადო აღკვეთა[40]. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს შეხედულება, რომ თუ პირველადი (ძირითადი) დანაშაული არ არის განზრახი მკვლელობა, სასჯელი გადამეტებულია[41].

ამას გარდა, თუ ძირითადი დანაშაული განზრახი მკვლელობაა ან სხეულისთვის დაზიანების განზრახ მიყენება, დამნაშავე აგრეთვე მიიღებს დამატებით სასჯელს თითოეული მსხვერპლისთვის. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ დამნაშავემ ჩაიდინა გენოციდი, იმით რომ ხუთი ადამიანი მოკლა, მას გენოციდისთვის შეეფარდება თავისუფლების უვადო აღკვეთა და გარდა ამისა, მას კრებსითად მიესჯება ხუთი მკვლელობისთვის. პრაქტიკაში, ეს გავლენას იქონიებს მოსახდელი ვადის გათვალისწინებით ციხიდან პირობითი მსჯავრით (ვადამდელ) გათავისუფლების უფლებაზე. იმათ, ვისაც შეფარდებული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა, 30 წელი უნდა მოიხადონ იმისთვის, რომ უფლება მიეცეთ პირობით მსჯავრზე, მაგრამ თუ არსებობს დამატებითი კუმულაციური მსჯავრი, ვადა, რომელიც დამნაშავემ უნდა მოიხადოს შეადგენს 36 წელს (მუხლი. 107 კანონი 5275 სასჯელის განხორციელებაზე და უსაფრთხოების ზომებზე).

76 (4), მუხლის თანახმად გენოციდის დანაშაულს არ მიესადაგება ხანდაზმულობის სტატუსი. მიუხედავად ამისა, კანონის მოთხოვნის პრინციპის თანახმად, ეს წესი გამოიყენება მხოლოდ იმ დანაშაულის მიმართ, რომელიც ჩადენილია, თურქეთის ახალი სისხლის სამართლის კოდექსის ამოქმედების შემდგომ (2005 წლის 1 ივლისი). ფაქტობრივად, არ არსებობს არანაირი წინასწარი გამონაკლისი დანაშაულის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და კონსტიტუციის 38 (2) მუხლის თანახმად, ის დებულებები რომელნიც ეხება დანაშაულის ჩადენის ხანდაზმულობას, აგრეთვე ექვემდებარება კანონის მოთხოვნებს.

---

39. საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის დიდი პალატის გადაწყვეტილება 3.4.2007, no. 253/80.
40. განსხვავება (რიგითი) თავისუფლების უვადო აღკვეთისგან არის ის,რომ უფრო დიდი ვადა უნდა იყოს მოხდილი, იმისთვის რომ დაექვემდებაროს პირობით (ნაადრევ) გათავისუფლებას, სავალდებულო რეჟიმი კი უფრო მკაცრია მსჯავრდებულის უფლებებთან მიმართებაში.
41. Turhan, p. 15; Değirmenci, p. 103; Bayraktar, p. 62.

კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსში

ზოგადი დებულებანი

კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დეფინიცია მნიშვნელოვანი ასპექტებით განსხვავდება იმ დეფინიციისგან, რომელიც მიღებულია საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ნორმებით და იმისგან, რომელიც მიღებულია რომის სტატუტით. დებულების ოფიციალური ახსნა შემდეგია, იგი ინსპირირებულია ნიურნბერგის წესდების 6/c მუხლით და საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 212-1 მუხლით. აკადემიური წრეების კრიტიკა გამოიწვია ამ არჩევანმა, რადგან რომის სტატუტის დეფინიციის გაფორმება შეიძლებოდა ბევრად უკეთესი ყოფილიყო[42].

თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლის თანახმად, საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიმართ კონკრეტული ქმედებების „სისტემატური განხორციელება", „გეგმის, პოლიტიკური, ფილოსოფიური, რასობრივი ან რელიგიური მოტივების საფუძველზე არის დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ."

იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის წესდების მე-5-ე მუხლის საპირისპიროდ და რუანდას საერთშორისო ტრიბუნალის წესდების მე-3 -ე მუხლის, აგრეთვე სიერა ლეონეს სტატუტის მე-2-ე და რომის წესდების მე-7 -ე მუხლის შესაბამისად, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კავშირი შეიარაღებულ კონფლიქტთან არ არის სავალდებულო. ამ კუთხით, ჩვენი ეროვნული დებულება სრულ თავსებადობაშია საერთაშორისო ჩვეულებით სამართალთან[43]. თავად იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალმა დაადგინა, „შეიარაღებული კონფლიქტის" მოთხოვნა წარმოადგენდა გადახრას ზოგადი კანონიდან და ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება აიხსნას საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის წესდების მიღების წინაპირობით (ყოფილი იუგოსლავიის შეიარაღებული კონფლიქტი)[44].

მნიშვნელოვანი გადახრა ზოგადი კანონიდან არის ის, რომ ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსში აუცილებელია საგანგებო განზრახვის არსებობა დისკრიმინაციული animus – ის ფორმით. ამაზე ჩვენ შემდგომ ვიმსჯელებთ.

---

42. Turhan, p. 16; Elif Başkaracaoğlu„Uluslararası Hukuk Işığında Yeni Türk Ceza Kanunundaki „İnsanlığa Karşı Suçlar" Tanımının Değerlendirilmesi", *MHB*, Yıl 24, 2004, p. 256; Volkan Maviş, „ დანაშაული ჩადენილი კაცობრიობის წინააღმდეგ თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსში: საერთაშორისო მექანიზმების კონტექსტში გაკეთებული კრიტიკული მიმოხილვა ", *Gazi Üniversitesi Hukuk Fakültesi Dergisi*, C. XX, Sayı 2, 2016, pp. 688-689.

43. Rodney Dixon, in *Commentary on the Rome Statute (1999)* (O. Triffterer, ed.), article 7, margin n° 3; Simon Chesterman„An Altogether Different Order: Defining the Elements of Crimes Against Humanity", *Duke Journal of Comparative & International Law*, Vol. 10, 2000, p. 310; O'Keefe, mn. 4.56.

44. Canan Ateş Ekşi,*Uluslararası Ceza Mahkemesinin İnsanlığa Karşı Suçlar Üzerindeki Yargı Yetkisi*, Ankara 2004, p. 112.

რუანდას საერთაშორისო ტრიბუნალის, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს და სიერა-ლეონეს საგანგებო სასამართლოს საკანონმდებლო აქტების საერთო პუნქტი არის ის, რომ მხოლოდ ფართომასშტაბიანი ან სისტემატური შეტევა, რომელიც მიმართულია მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ შეიძლება ჩაითვალოს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად. იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის საკანონმდებლო აქტი პირდაპირ არ აცხადებს ამგვარი სტრუქტურის არსებობის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხოვნა შემუშავებული იქნა იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის სასამართლო პალატის მიერ.

<u>მსხვერპლი</u>

ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის მიხედვით კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მსხვერპლად ითვლება „სამოქალაქო (მშვიდობიანი) მოსახლეობა". „სამოქალაქო" მოცავს ყველა იმ პირს, რომელსაც „მებრძოლის" სტატუსი არ აქვს მინიჭებული. „მოქალაქის" განსაზღვრება მოცემულია ჟენევის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის 50/1 მუხლში[45], რომელიც გაიზიარა ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალმა და რუანდას სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალმა, როგორც ჩვეულების ამსახველი[46]. ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ დადგენილია, რომ:

„სიტყვა „მოსახლეობის" (პოპულაციის) გამოყენება არ ნიშნავს იმას, რომ შეტევის ქვეშ მყოფი გეოგრაფიული არეალის მთელი მოსახლეობა, უნდა მოყვეს ამ თავდასხმაში. სრულიად საკმარისია იმის ჩვენება, რომ ინდივიდები ამ დროს გახდნენ თავდასხმის სამიზნეები ან ისინი ისეთი ტიპის სამიზნე არიან, რაც აძლევს პალატას იმის თქმის შესაძლებლობას, რომ თავდასხმა მართლაც რომ განხორციელებული იყო მშვიდობიანი „მოსახლეობის" მიმართ და არა შეზღუდული რაოდენობის და შემთხვევით შერჩეული ინდივიდების მიმართ"[47].

გარკვეული მიზეზების გამო, ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი მოითხოვს,რომ ქმედება ჩადენილი იყოს „საზოგადოების ნაწილის

45. „ნებისმიერი სამოქალაქო პირი, რომელიც არ განეკუთვნება არც ერთ იმ კატეგორიას, რომელიც ნახსენებია მესამე კონვენციის 4 A (1), (2), (3) მუხლებში და (6) ამ პროტოკოლის 43-ე მუხლში. ეჭვის შემთხვევაში მიუხედავად იმისა, ეს პირი არის თუ არა სამოქალაქო პირი, ეს ადამიანი მაინც ჩაითვლება სამოქალაქო პირად". მეორე პარაგრაფის თანახმად: „სამოქალაქო მოსახლეობა შედგება სამოქალაქო პირებისგან„ და მესამე პარაგრაფის თანახმად „ სამოქალაქო საზოგადოებაში იმ ინდივიდების არსებობა, რომელთაც არ მიესადაგებათ მოქალაქეების დეფინიცია არ უკარგავს მოსახლეობას სამოქალაქო ხასიათს ."

46. Schabas, *The International Criminal Court: A Commentary on the Rome Statute*, Oxford: Oxford University Press, 2010, p. 154; O'Keefe, mn. 4.51.

47. *Prosecutor v Kunarac*, ICTY სააპელაციო პაალტის განაჩენი,12.6.2002, § 90.

მიმართ". აღსანიშნია,რომ პარლამენტის მართლმსაჯულების კომისიის მიერ მიღებული ტექსტი ეხება „მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებულ თავდასხმას". პარლამენტის მიერ შესწორებისთვის აუცილებელი მხედველობაში მიღებული ოფიციალური მიზეზი ეხება „დებულებების ტექსტის თავსებადობას საერთაშორისო კონვენციებთან". ეს არ არის სახარბიელო და დამაბნეველია: სინამდვილეში საწყისი ფორმულირება უფრო ახლოს დგას რომის საკანონმდებლო აქტთან (და საერთაშორისო ჩვეულებასთან).

ნებისმიერ შემთხვევაში, კანონმდებლის მიერ დადგენილი განზრახვა არ გულისხმობს საერთაშორისო კანონისგან განსვლას, არამედ პირიქით, ნიშნავს მიზნის ამ კანონთან თავსებადობას. ამის შედეგად, თელეოლოგიურმა მიდგომამ შეიძლება მიგვიყვანოს დასკვნამდე, რომ თურქეთის სისხლის სამართლის რელევანტური ფორმულირება ინტერპრეტირებული უნდა იყოს საერთაშორისო სამართლის დადგენილი ნორმის მიხედვით. შესაბამისად, მე მიმაჩნია, რომ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლი თურქეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობით არის „მშვიდობიანი მოსახლეობაც", რომელიც უნდა განიმარტოს საერთაშორისო კანონთან შეთანხმებით[48].

რომის საკანონმდებლო აქტის მე-7-ე მუხლის თანახმად, სიტყვა" პოპულაციის" მიზანი არის იმის ხაზგასმა, რომ მსხვერპლის დიდი რაოდენობა გახდა სამიზნე და შემთხვევითი თავდასხმა ინდივიდების გარკვეულ რაოდენობაზე არ აკმაყოფილებს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციას[49]. შებამისად, აქ განიხილება დანაშაულის კოლექტიური ბუნება[50]. ეს გვაძლევს იმის მტკიცების შესაძლებლობას, რომ ის რისი ილუსტრირებაც უნდოდათ ჩვენ კანონმდებლებს სიტყვებით „საზოგადოების ნაწილი" – ისე როგორც ეს საერთაშორისო სამართალშია მოცემული[51], დანაშაული არ უნდა იყოს მიზნობრივად ჩდენილი შემთხვევით შერჩეული მცირე და სპეციფიური რაოდენობის მსხვერპლის მიმართ.

თუმცა შეიძლება ვიკამათოთ იმაზე, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ფორმულირება წარმოადგენს საკანონმდებლო აქტიდან დევიაციას და რომ თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლი შეიძლება მოიცავდეს მოსახლეობის ნაწილს, რომელიც არ უნდა

48. იგივე კონტექსტში Turhan, გვ. 17.
49. Cryer *et al.*, p. 192; Ateş Ekşi, p. 122.
50. Bayraktar, p. 76.
51. *Prosecutor v Milan Martić*, ICTY სააპელაციო პალატა, გადაწყვეტილება 8.10.2008, პარაგრაფი. 83; გადაწყვეტილება შესაბამისობაშია 61(7)(a) მუხლთან და (b) რომის კანონმდებლობასთან ბრალდების მიერ Jean-Pierre Bemba Gombo- სთვის გამოტანილი განაჩენის შესახებ, და ICC საქმეების წინასწარი განხილვის მეორე პალატის გადაწყვეტილებასთან მიმართებაში (ICC-01/05-01/08-424), 15.6.2009, პარაგრაფი. 77.

ჩაითვალოს „სამოქალაქო პირად“[52], მაშასადამე ეს არის შეიარაღებული ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკურ დაჯგუფებას შიდა (საშინაო) შეიაღარებულ კონფლიქტში.

კონტექსტუალური კომპონენტები:“ ფართომასშტაბიანი ან სისტემატიური „თავდასხმა“

ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს იმ „თავდასხმას“, რომელიც შესაძლოა კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი კონტექსტუალური კომპონენტია საერთაშორისო სამართლის მიხედვით. ამგვარად, „შეტევა“[53] (თავდასხმა), კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენის მიზნით გულისხმობს უფრო ფართომასშტაბიან ქცევას, როგორიცაა აკრძალული ქმედებები, რომელთაგან ბრალდებულთა ქმედებები ამის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ[54].

თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის 77 -ე მუხლი არ მიანიშნებს თავდასხმის არსებობაზე, რომლის ნაწილიც იქნებოდა ინდივიდუალური ქმედება. ამის მაგივრად, ის ლაპარაკობს სისტემატურ ქმედებაზე, რომელიც ხორციელდება გეგმასთან შეთანხმებით. საერთაშორისო კანონმდებლობით ეს არის შეტევა (თავდასხმა), რომლის მონაწილეც არის ბრალდებული და რომელიც უნდა იყოს მართომასშტაბიანი და სისტემატური და არა მხოლოდ ბრალდებულის ქმედება[55]. თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის 77 -ე მუხლის მარტივი და გასაგები ინტერპრეტაციის მიხედვით ყოველი ქმედება (პირველადი, ძირითადი დანაშაული) ჩადენილი უნდა იყოს სისტემატურად და გეგმის მიხედვით [56]. სამართლებრივი ინტერპრეტაცია ამ სტილში რომ გაკეთებულიყო, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სფერო

---

52. ამისთვის იხილე Başkaracaoğlu, გვ. 37.

53. „თავდასხმის„ კომპონენტი აღწერს იმ ტიპის ქცევას, რომელიც შეიცავს ძალადურ აქტებს. მაგალითად რომის კანონმდებლობის 7(2) მუხლის თანახმად „თავდასხმა მიმართული ნებისმიერი სამოქალაქო პირის წინააღმდეგ ნიშნავს ისეთი ქცევის განხორციელებას , რომელიც შეიცავს მრავალჯერად ქმედებას ნებისმიერი სამოქალაქო პირის მიმართა თავდასხმის განხორციელების სახელმწიფო საორგანიზაციო პოლიტიკასთან შესაბამისობაში ან ხელშესაწყობად, რაზეც საუბარია პირველ პარაგრაფში.

54. როგორც განმარტებულია ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის (ICTY) სააპელაციო პალატის მიერ *Tadic (ტადიკის) საქმეში* (15.7.1999, § 271): „სასამართლო პალატა მართებულად აღნიშნავს, რომ დანაშაულები, რომლებიც არ არის დაკავშირებული სამოქალაქო საზოგადოების ფართომასშტაბიან ან სისტემატურ თავდასხმასთან (შეტევა, დევნა) არ უნდა იყოს კვალიფიცირებული, როგორც „კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული. კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული გამოირჩევა სპეციფიკით, რომელსაც ამორალობის უფრო მაღალი ხარისხი გააჩნია, ვიდრე ჩვეულებრივ დანაშაულს. ამგვარად იმისთვის, რომ ბრალდებულს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის მუხლი შეუფარდო, უნდა დამტკიცდეს,რომ ეს კონკრეტული დანაშაული ან დანაშაულები დაკავშირებული იყო სამოქალაქო საზოგადოებაზე თავდასხმასთან (შეტევა, დევნა), (რომელსაც ადგილი ჰქონდა შეიარაღებული კონფლიქტის დროს) და რომ ბრალდებული აცნობიერებდა რა ტიპის დანაშაულს იდენდა.„

55. O'Keefe, mn. 4.55.

56. აგრეთვე იხილე Maviş, გვ. 694-695.

მნიშვნელოვნად შევიწროვდებოდა და შემცირდებოდა საერთაშორისო ჩვეულებით სამართალთან შედარებით. ამავე დროს, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ინდივიდების ქმედება, რომელიც საერთაშორისო კანონმდებლობით არ კვალიფიცირდება, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ვინაიდან მას არა აქვს კავშირი ზოგად თავდასხმასთან, მაინც შესაძლოა მიეკუთვნოს 77 -ე მუხლს, მით უფრო იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედებები სისტემატურ ხასიათს ატარებს და ხორციელდება გეგმის თანახმად.

საერთაშორისო სამართლის ჩვეულების მიხედვით, შეუსაბამო და ირელევანტურია, როდესაც „ბრალდებული განიზრახავს საჭვო ქმედების განხორციელებას მხოლოდ და მხოლოდ მისივე მსხვერპლის ან მსხვერპლთა მიმართ და არა სამოქალაქო პირების მიმართ, რომელთა წინააღმდეგაც მიმართულია თავდასხმა"[57]. ეს დადასტურებულია საერთაშორისო სისხლის სამართლის იუგოსლავიის ტრიბუნალის მიერ: „ეს არის თავდასხმა (შეტევა) და არა ბრალდებულის ქმედება, რომელიც მიმართული უნდა იყოს მიზნობრივი მოსახლეობის მიმართ და ბრალდებული კი უნდა აცნობიერებდეს, რომ მისი ქმედება ამ ქმედების შემადგენელი ნაწილია „[58]. ამ ფორმულირების მიხედვით, თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლს ჭირდება „ქმედება", რომ (ძირითადი, პირველადი დანაშაული) მიმართული იყოს სამოქალაქო პირების მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით თითოეული ინდივიდი მიზნობრივი სამოქალაქო საზოგადოების (პირების) წინააღმდეგ უნდა ახორციელებდეს ქმედებას. თუ ეს ინტერპრეტაცია სწორია, თურქეთის კანონმდებლობით კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სფერო მნიშვნელოვნად შეიზღუდება. მაგალითად, სახელმწიფო სამიზნეს მიმართ ჩადენილ ქმედებას არასდროს შეეფარდება განხილული მუხლი 77, მაშინაც კი თუ ეს ქმედებები სამოქალაქო საზოგადოების (პირების) მიზანმიმართული, მასიური შეტევის შემადგენელი ნაწილია.

გარკვეული მიზეზით, თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსი თხოულობს სისტემატიური ქმედების არსებობას, იმ აუცილებელი პირობით,

57. O'Keefe, mn. 4.62.Also see *Cassese's International Criminal Law*, pp. 157-158: ავტორების აზრით, თუ ტერორისტული ქმედებები აღნეეს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციას მსხვერპლი შეიძლება გახდეს როგორც სამოქალაქო პირი, ისე სახელმწიფო მოხელე, შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების ჩათვლით. ავტორები აგრეთვე ასაბუთებენ, რომ კონტექსტუალური კომპონენტი არ ნიშნავს იმას, რომ ძირითადი (პირველადი) დანაშაულის მსხვერპლი აუცილებლად სამოქალაქო პირი უნდა იყოს. Further see KriangsakKittichaisaree, *International Criminal Law*, Oxford: Oxford University Press, 2005, p. 95: კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლი შეიძლება სამხედრო მოსამსახურეებსაც მოიცავდეს, and Bianchi & Naqvi, IHL and Terrorism, p. 255-256: პენტაგონის მოსამსახურე პერსონალი 9/11 შეტევის დროს შეიძლება განვიხილოთ, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლი (იგივე კონტექსტში იხილე Cassese, in: Enforcing..., p. 223).

58. *Prosecutor v Kunarac* et al., ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის(ICTY) სააპელაციო პალატის განაჩენი 12 ივნისი 2002, პარაგრაფი. 103.

რომ ის იქნება განხორციელებული გეგმასთან შესაბამისობაში, თუმცა არ არის დაკავშირებული მართომასშტაბიან ქმედებებთან[59]. მეორეს მხრივ, უნდა დასაბუთდეს, რომ თითქმის ყველა ფართომასშტაბიანი ქმედება აუცილებლად „სისტემატური" უნდა იყოს; მაგალითად, ტერორისტული ქმედებები, რომლებიც მიმართულია დიდი რაოდენობის მსხვერპლზე,როგორც წესი ყოველთვის სისტემატურ ხასიათს ატარებენ. თუმცაღა, შეიძლება შეგვხვდეს ისეთი ქმედებაც, რომელსაც სისტემატურს ვერ ვუწოდებთ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ბევრ მსხვერპლს მოიცავენ. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს შხამის ლეტალური რაოდენობის შეტანა წყლის მიმწოდებელ მუნიციპალურ სისტემაში. ამ შემთხვევაში თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის 77 მუხლი შეიძლება ვერ იქნას გამოყენებული[60]. ნებისმიერ შემთხვევაში, გაუგებარია კანონპროექტის ავტორებმა რატომ თქვეს უარი საყოველთაოდ მიღებულ ინტერპრეტაციაზე[61].

გეგმის ან პოლიტიკის ელემენტი

საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიხედვით საკამათოა, არის თუ არა პოლიტიკის კომპონენტის არსებობა დამოუკიდებელი და ცალკე მდგომი აუცილებელი პირობა[62]. მეორე მსოფლიო ომის მიღებული ეროვნული პრაქტიკა განიხილავს სამთავრობო პოლიტიკის არსებობას, როგორც აუცილებელ პირობას; მოგვიანებით, 1990 წელს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს მიერ აუცილებელ პირობად ჩაითვალა პოლიტიკა ან ინსტრუქტაჟი, წაქეზება ან წახალისება სახელმწიფოს ან ორგანიზაციის მიერ[63].

არსებობს შეხედულება, რომ პოლიტიკური სტრატეგიის ან გეგმის არსებობა დანაშაულის კომპონენტია[64]. რომის კონფერენციაზე იმდროინდელი ხელმძღვანელი ორგანოების შესაბამისად პოლიტიკური სტრატეგიის კომპონენტიც იქნა შეტანილი.

თუმცა, მოგვიანებით სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალმა ამოიღო პოლიტიკური სტრატეგიის კომპონენტის აუცილებლობა დანაშაულიდან[65]:

59. სინამდვილეში, სანყის პროექტში არც ერთი კრიტერიუმი არ არის ნახსენები.
60. იგივე კონტექსტში Maviş, pp. 697-698.
61. Tezcan/Erdem/Önok, *Ceza Özel*, p. 85; Maviş, p. 698.
62. Refer to Tezcan/Erdem/Önok, *Uluslararası Ceza*, pp. 531 for the debate.
63. Cryer*et al.*, fn. 44 at 238
64. ამ კონტექსტში იხილე May, გვ. 121-122. აგრეთვე იხილე Darryl Robinson, „Crimes against Humanity: A Better Policy on 'Policy'", (კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული: „უკეთესი პოლიტიკა პოლიტიკაზე"). In *The Law and Practice of the International Criminal Court* (Carsten Stahn ed.), Oxford: Oxford University Press, 2015, p. 706: „პოლიტიკური კომპონენტისთვის არსებობს ზოგადი კანონის მოქმედება, თუ მას გავიგებთ, როგორც მკურალებულ სამართლებრივ პრეცედენტს„და გვ. pp. 707-708 პოლიტიკური სტრატეგიის მიღების მნიშვნელობისთვის („ან ანალოგიურისთვის„). Claus Kress, William Schabas და CherifBassiouni იხრებიან ამ კომპონენტის აღიარების სასარგებლოდ. (ნფორმაციისთვის იხილე Robinson, გვ. 712, fn. 21).
65. ICTY A.Ch. in *Kunarac*, 12.6.2002, para. 98.

„ბრალდებულის მხრიდან თავდასხმას ან სხვა ქმედებას არ ჭირდება „პოლიტიკური სტრატეგიის" ან „გეგმის" არსებობის მტკიცებულება. სტატუტში ან საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში არაფერია ნათქვამი, იმის შესახებ, რომ სავარაუდო ქმედების ჩადენის დროს საჭიროა გეგმის ან პოლიტიკური სტრატეგიის არსებობის მტკიცება იმისთვის, რომ მსგავსი დანაშაული იქნას ჩადენილი. როგორც ზევით უკვე აღვნიშნეთ, მტკიცებულება, რომ თავდასხმა განხორციელებული იყო სამოქალაქო პირების მიმართ და რომ ის იყო ფართომასშტაბიანი და სისტემატური წარმოადგენს დანაშაულის იურიდიულ კომპონენტებს. ამ კომპონენტების არსებობის დასამტკიცებლად არ არის აუცილებელი იმის ჩვენება,რომ ეს არსებული პოლიტიკური სტრატეგიით ან გეგმით იქნა გამოწვეული. ეს შეიძლება გამოდგეს იმის დასადგენად, რომ თავდასხმა მიმართული იყო სამოქალაქო პირების მიმართ და ის იყო ფართომასშტაბიანი და სისტემატური და არანაირი პოლიტიკური სტრატეგია ან გეგმა არ არსებობდა, მაგრამ ამ ყველაფრის დადგენა შესაძლოა სხვა საქმეებთან კავშირითაც. ამგვარად, პოლიტიკური სტრატეგიის ან გეგმის არსებობა ცალსახად აქტუალურია, თუმცაღა ეს არ არის დანაშაულის სამართლებრივი კომპონენტი."

მაშინაც კი, თუ იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის ეს ინტერპრეტაცია მიიჩნეოდა საერთაშორისო სამართლის ჩვეულების გამოხატულებად[66], მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ უკავშირო და შემთხვევითი ქმედებები, იმ შემთხვევაშიც თუ ისინი ფართომასშტაბიანია არ წარმოადგენს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. სინამდვილეში, ერთი მიდგომის თანახმად პოლიტიკური სტრატეგიის კომპონენტი „გამორიცხავს" ინდივიდის მიერ მისივე თვითნებური ინიციატივით[67] ჩადენილ ჩვეულებრივ დანაშაულს. ამ ინტერპრეტაციის თანახმად, არანაირი სქემატური განსაზღვრება საჭირო არ არის. ტერმინის ინტერპრეტაცია ხდება ფართო მნიშვნელობით, როგორიცაა დაგეგმილი, შეკვეთილი ან ორგანიზებული დანაშაული, ძალადობის სპონტანური, იზოლირებული ქმედებისგან განსხვავებით. რეალურად, საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალების პრაქტიკაში გამოცხადდა, რომ „პოლიტიკური სტრატეგია" არც ფორმალურად უნდა იყოს მიღებული, არც ცალსახად გაცხადებული და არც ნათლად და ზუსტად ჩამოყალიბებული[68]. ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის ის,რომ ქმედებათა ჯაჭვი ერთმანეთთან იყოს დაკავშირებული. საერთაშორისო იურიდიულმა კომისიამ დაადგინა[69], რომ ამგვარი პოლიტიკური სტრატეგიისთვის არ არის

66. კრიტიკული შენიშვნისთვის ამ საკითხთან დაკავშირებით, იხილე, Schabas, ICC კომენტარი, გვ. 151.
67.Robinson, p. 705.
68.See Tezcan, Erdem&Önok, *UluslararasıCeza*, p. 513, fn. 191 for references; also see Robinson, p. 709.
69.საერთაშორისო საკანონმდებლო კომისიის მიერ გენერალური ასამბლეისთვის წარმოდგენილი ანგარიში , 51 U.N. GAOR Supp. (No 10) at 94 U.N.Doc. A/51/10 (1996)

აუცილებელი მოთხოვნა, რომ ფორმალურად მიღებული იყოს, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური კურსი. თუმცაღა, აუცილებელია წინასწარ შედგენილი (ორგანიზაციული) გეგმის ან პოლიტიკური სტრატეგიის არსებობის გარკვეული ფორმა.

რაც შეეხება საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს დანაშაულებრივი ქმედებების კომპონენტებს „თავდასხმა" (შეტევა) განხორციელებული ნებისმიერი სამოქალაქო პირის წინააღმდეგ ნიშნავს ისეთი სტილის ქცევას, რომელიც მოიცავს ქმედებათა მრავალჯერად განხორციელებას, რომელსაც ეხება პარაგრაფი 1 – ნებისმიერი სამოქალაქო პირის მიმართ, ამგვარი თავდასხმის განხორციელების სახელმწიფო ან ორგანიზაციული პოლიტიკური გეგმის მიხედვით ან მის ხელშესაწყობად".

სასამართლომ იმთავითვე საკმაოდ ფართე მიდგომა გამოიჩინა სტრატეგიული მოთხოვნების მიმართ:" სახელმწიფოს ან ორგანიზაციული პოლიტიკის მოთხოვნა" გულისხმობს, რომ თავდასხმა (შეტევა, დევნა) გულისხმობს, რომ თავდასხმები ექვემდებარებიან შემუშავებულ მოდელს. ამგვარი პოლიტიკური სტრატეგია იქმნება ჯგუფების მიერ, რომელნიც მართავენ კონკრეტულ ტერიტორიას ან იქმნება ნებისმიერი ორგანიზაციის მიერ, რომელსაც ხელეწიფება ფართომასშტაბიანი სისტემატური თავდასხმის (შეტევის, დევნის) განხორციელება სამოქალაქო პირების (მოსახლეობის) წინააღმდეგ. არ არის აუცილებელი რომ ამგვარი პოლიტიკა ფორმალიზებული იყოს. ფაქტობრივად, თავდასხმა (შეტევა, დევნა), რომელიც დაგეგმილია, მართულია ან ორგანიზებულია – სპონტანური ან იზოლირებული ძალადობრივი ქმედებისგან განსხვავებით – აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს"[70].

სინამდვილეში, ეს არის პირველი გადაწყვეტილება, რომელიც დააფიქსირა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ, რომ „სამოქალაქო საზოგადოების მიმართ სისტემატური დევნის (შეტევის, თავდასხმის) განხორციელების გათვალისწინებით პოლიტიკური სტრატეგიის კომპონენტს არ გააჩნია დამოუკიდებელი მნიშვნელობა, როგორც დანაშაულის კომპონენტს, მაგრამ ის შეიძლება გამოდგეს, როგორც მტკიცებულება, რომ არსებობს თავდასხმის (შეტევის, დევნის) სისტემატური ხასიათის კომპონენტი[71]. უნდა ვაღიაროთ, რომ „პოლიტიკის" გათანაბრება „სისტემატურთან" პრობლემატურია[72].

მეორეს მხრივ, საქმეების წინასწარი წარმოების პალატამ მიიღო საკმაოდ მკაცრი ინტერპრეტაცია, რომელმაც კრიტიკა გამოიწვია[73].

70. *Prosecutor* v. *Bemba Gombo*, Pre-Trial Ch. II, decision of 15 June 2009, para. 81.
71. *Prosecutor* v. *Harun and Kushayb*, Pre-Trial Ch., decision of 27 April 2007, para. 62, *Prosecutor* v. *Bemba Gombo*, Pre-Trial Ch., decision of 10 June 2008, para. 33.
72. ამასთან დაკავშირებით იხილე Robinson, გვ. 713-714.
73. Cryer *et al.*, pp. 239-240; Robinson, p. 705, further see p. 729: „ სისხლის სამართლის საერთაშორისო

მაგალითად, კოტდივუარის პრეზიდენტის გბაგბოს საქმეში, პალატის უმრავლესობა ითხოვდა პოლიტიკური სტრატეგიის ფორმალურად მიღების დადასტურებას[74]. ეს პირობა მართლაც რომ შეუთავსებელია წარსულ სასამართლო პრაქტიკასთან[75].

უფრო მეტიც, მბარუშიმანას საქმეში[76], უმრავლესობა დავობდა, რომ ორგანიზებული სისასტიკე არ აკმაყოფილებდა პოლიტიკური სტრატეგიის კომპონენტს, ვინაიდან ჯგუფის მიზანი თავდასხმის მიღმა, იყო შურისძიება ან დამცირება – შეურაცხყოფის მიყენება. ეს დადგენილება (გადაწყვეტილება) საეჭვოა: ბუნდოვანი მიზნების არსებობა ვერ შეარყევს ორგანიზაციული პოლიტიკური სტრატეგიის არსებობას[77].

ბოლოს რომ შევაჯამოთ, შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) იურიდიული პრაქტიკა მეტისმეტად არის შეჭრილი პოლიტიკურ კომპონენტში[78].

თურქეთის იურიდიულმა პრაქტიკამ არ უნდა გაიმეოროს იგივე შეცდომა. ჩვენი კანონი არ არის დაინტერესებული „პოლიტიკური სტრატეგიის„ არსებობაში. ამის ნაცვლად, მისთვის აუცილებელი პირობაა ამგვარი ქმედებების „გეგმის მიხედვით" სისტემატიური განხორციელება. თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის 77 -ე მუხლის გათვალისწინებით, მე ვთვლი, რომ „გეგმა" და „სისტემატური" არიან ცალკე მდგომი კომპონენტები. იმ ფორმულირებით, რომელიც მიცემული აქვს თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსს, იგი შეიძლება გავიგოთ როგორც მკაცრი მიდგომის მქონე: აუცილებელია (ფორმალური) სქემატური განსაზღვრება.

მეორეს მხრივ, საკამათოა აგრეთვე ისიც, რომ 77-ე მუხლის დეფინიციაში ჩართული გეგმის კომპონენტი მხოლოდ იმ მიზნით არის გამოყენებული, რომ ახსნას ის ფაქტი, რომ ქმედებები უნდა იყოს სისტემატური (თანმიმდევრული)[79]. ეს მტკიცებულება დასაყრდენს ჰპოვებს სამართლის კომისიის წინაშე გამართულ დებატებში – იმ საპარლამენტო კომისიისა, რომელმაც მოამზადა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ბოლო ვერსია, რომელიც შემდგომ გადაეგზავნა გენერალურ ასამბლეას[80].

ნებისმიერ შემთხვევაში, მე ვთლი, რომ გეგმა ფორმალურად არ უნდა

სასამართლოს ადრეული იურისპრუდენცია იჩენს გარკვეულ შემამფოთებელ ტენდენციას შეიტანოს პოლიტიკური სტრატეგიის პირობის კომპონენტი, რომელიც ხელისუფლების მიერ არ არის მოთხოვნილი და არც დანაშაულის თეორიის თანახმად არის აუცილებელი...„.

74. 2013 წლის 3 ივნისის საქმეების წინასწარი განხილვის პირველი პალატის გადაწყვეტილება, პარაგრაფი 44.

75. Cryer *et al.*, p. 240; Robinson, p. 705.

76.ბრალდების დადასტურება, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის მდგომარეობა ICC-01/04-01/10 – 465- Red, საქმეთა წინასწარი განხილვის პირველი პალატა,2011 წლის 16 დეკემბერი.

77. Robinson, p. 706.

78.ამასთან მიმართებაში იხილე,. Robinson, გვ. 705-706.

79. Turhan, *HPD*, p. 16.

80.Başkaracaoğlu, p. 260.

იქნეს მიღებული, არც ცალსახად გაცხადებული ან ნათლად და ზუსტად ჩამოყალიბებული.

ჩვენი კანონი არ ეძებს „ პოლიტიკური სტრატეგიის" არსებობას. სანაცვლოდ, მისი აუცილებელი პირობაა, რომ კონკრეტული ქმედებები განხორციელებული იყოს „გეგმის მიხედვით". თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლის გათვალისწინებით, მე ვთვლი, რომ „გეგმა" და „სისტემატური" დამოუკიდებელი კომპონენტები არიან. იმ ფორმულირებით, რომელიც მიცემული აქვს თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსს მისივე ფორმულირებიდან გამომდინარე თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსი შეიძლება გავიგოთ, როგორც მკაცრი მიდგომის მქონე: აუცილებელია სქემატური განსაზღვრება.

მეორეს მხრივ, საკამათოა აგრეთვე ისიც, რომ 77-ე მუხლის დეფინიციაში ჩართული გეგმის კომპონენტი მხოლოდ იმ მიზნით არის გამოყენებული, რომ ახსნას ის ფაქტი, რომ ქმედებები უნდა იყოს სისტემატური (თანმიმდევრული)[81]. ეს მტკიცებულება დასაყრდენს ჰპოვებს სამართლის კომისიის წინაშე გამართულ დებატებში – ანუ იმ საპარლამენტო კომისიისა, რომელმაც მოამზადა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ბოლო ვერსია, რომელიც შემდგომ გადაეგზავნა გენერალურ ასამბლეას[82]. ამგვარ სიტუაციაში, რაც შეეხება პოლიტიკის კომპონენტს, შეიძლება ვიკამათოთ იმაზე, რომ გეგმა არ უნდა იყოს ფორმალურად მიღებული, არც ცალსახად გაცხადებული, და არც ნათლად და ზუსტად ჩამოყალიბებული. მიუხედავად იმისა, რომ 77-ე მუხლის თანახმად აუცილებელია გეგმის არსებობა, მაინც არანაირი ნორმატიული აუცილებლობა არ არსებობს, რომ ეს გეგმა იყოს წერილობითი, დეტალურად აღწერილი ან ოფიციალურად დეკლარირებული. პოლიტიკურ სტრატეგიაზე შეიძლება ვიმსჯელოთ განხორციელებული ქმედებების სტილიდან გამომდინარე[83]; იგივე ეხება გეგმის არსებობასაც. სამეცნიერო ნაშრომებში ნათქვამია, რომ „საგანგებოდ მიღებული პროგრამის არსებობა არ არის აუცილებელი სასამართლო პრეცედენტისთვის და ის არც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თეორიებისთვის არის საჭირო"[84]. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ყველაზე ბოლო გადაწყვეტილება[85] მიუბრუნდა უფრო თავშეკავებულ თვალსაზრისს

81.Turhan, *HPD*, p. 16.

82. Başkaracaoğlu, p. 260.

83. Robinson, p. 709 (შემდგომში ავტორი აცხადებს, რომ საერთაშორისო და ერვონულ სასამართლოებს „ თითქმის არანაირი სირთულე არ შეხვედრიათ დანაშაულის ვითარებაში ნაგულისხმევი პოლიტიკური სტრატეგიის გაგებაში„. იქვე 723). Confirmed in *Prosecutor v Tadić*, ICTY Trial Chamber, judgment of 7 May 1997, para. 653.

84. Robinson, p. 711.

85. იხილეთ მეორე სასამართლო პალატის მიერ 2014 წლის 7 მარტს კატანგას (Katanga) საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება კანონმდებლობის მუხლი 74 -ის თანახმად (ICC-01/04-01/07-3436), და ლაურენტ გბაგოს (Laurent Gbagbo)მიმართ საქმეთა წინასწარი განხილვის პირველი პალატის მიერ 2014 წლის 12 ივნისს

პოლიტიკურ სტრატეგიასთან დაკავშირებით, იმას, რომელიც წარსულ სასამართლო პრაქტიკას და ზემოთ მოყვანილ სამეცნიერო მიდგომებს ეხმიანება[86]. გარდა ამისა, ბუნდოვანი მოტივის არსებობა არ შეგვიშლის ხელს იმის აღიარებაში, რომ დანაშაული ჩადენილი იქნა გარკვეული გეგმის თანახმად[87].

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურიდიული პრაქტიკა ადასტურებს, რომ არ არის აუცილებელი პოლიტიკური სტრატეგია მთავრობას ეკუთვნოდეს: კერძო ჯგუფებს და ორგანიზაციებსაც შეუძლიათ ამგვარი პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავება[88]. ორგანიზაცია შეიძლება ტერორისტულ დაჯგუფებასაც ნიშნავდეს, აგრეთვე ნებისმიერ სხვა ჯგუფსაც, რომელიც განკარგავს, როგორც მატერიალურ, ისე ადამიანურ რესურსს, პოტენციური ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის განსახორციელებლად სამოქალაქო საზოგადოების ან პირების მიმართ[89]. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო აირჩია ფართე მიდგომა ორგანიზაციული კომპონენტის მიმართ, დაუშვა რა, რომ ნებისმიერი ორგანიზაცია, რომელსაც მასობრივი დანაშაულის მართვის უნარი შესწევს პასუხს აგებს ამ „პოლიტიკური სტრატეგიისთვის"[90]. თუმცა, უმცირესობის აზრით (მოსამართლე კაული), ეჭვის ქვეშ მყოფი ორგანიზაცია უნდა იყოს „სახელმწიფოს მსგავსი". ეს აკადემიური შეხედულება, შემოთავაზებულია ბასიონის (Bassiouni) [91] მიერ, მაგრამ უარყოფილია აკადემიური წრეების წარმომადგენელთა უმრავლესობით[92]. მართლაც, შეიძლება ვიკამათოთ, რომ ტერმინი ორგანიზაცია მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდობს ადამიანების ჯგუფს, რომელიც არსებობს კონკრეტული დროის განმავლობაში და აქვს დადგენილი სტრუქტურა"[93]. ბასიონის შეხედულება რომ

ბრალდების დადასტურება.

86. Robinson, p. 730.

87. გამოითქვა აზრი, (Robinson, p. 728), რომ უმრავლესობის გადაწყვეტილების მიზეზი შეიძლება ყოფილიყო მცდარი შეხედულება, რომ აუცილებელი იყო ცალსახა მიზნის არსებობა „ ერთი საერთო მიზანი, რომელიც პოლიტიკით არის განპირობებული". ვინაიდან TPC მუხლი 77 მოითხოვს „გეგმის„ არსებობას და არა პოლიტიკური სტრატეგიისას, რა ტიპის პოლიტიკური სტრატეგიაც არ უნდა ედოს გეგმას საფუძვლად ის არანაირად არ იმოქმედებს გადაწყვეტილების მიღებისას „გეგმის„ არსებობასთან (ან არ არსებობასთან) მიმართებაში.

88. In the same direction Bantekas& Nash, p. 131; O'Keefe, mn. 4.59.

89. Werle & Jessberger, mn. 904.

90. ICC სასამართლო პალატამ დაადასტურა ეს 2010 წლის 31 მარტს კატაგანდას (Kataganda) შემთხვევაში მიღებულ გადაწყვეტილებაში (paras. 90 *et seq.*).

91. Scharf & Newton at 275. Indeed, *Bassiouni* is of the view that Art. 7 does not apply to non-state actors (M. Cherif Bassiouni, *The Legislative History of the International Criminal Court: Introduction, Analysis and Integrated Text*, Vol. I, New York: Transnational, 2005, pp. 151-152 (cited by Schabas, ICC Commentary, p. 152). Further see M. Cherif Bassiouni, *Crimes Against Humanity: Historical Evaluation and Contemporary Application*, Cambridge: Cambridge Univesity Press, 2011, p. 13, 28.

92. O'Keefe, mn. 4.59; direction Werle & Jessberger, mn. 906.Cfr Schabas, *ICC Commentary*, p. 152: აეტორი უპირატესობას ვინრო ინტერპრეტაციას ანიჭებს. თუმცა, ის არ გამორიცხავს დიდ ტერორისტულ ჯგუფებს/ქსელს.

93. Werle & Jessberger, mn. 904. Furher see Saul, p. 183.

მიეღოთ, ტერორისტული თავდასხმები, რომელიც განხორციელებულია არასამთავრობო სუბიექტების მიერ დარჩებოდა კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა სფეროს მიღმა. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო თვლის, რომ ამ ტერმინმა შეიძლება მოიცვას ტერორისტული ორგანიზაციებიც[94]. ვეთანხმები, იმ თვალსაზრისს, რომ მნიშვნელოვანია ჯგუფის უნარი „პრაქტიკულად განახორციელოს" ქმედება, რომელიც მოიცავს მძიმე ძალადობრივი ქმედების მრავალჯერად განხორციელებას და ამით ხელს უშლის და არღვევს ადამიანის ბაზისური უფლებების დაცვას"[95]. ჩემი აზრით, იგივე ფართე ინტერპრეტაცია შეიძლება იქნეს გამოყენებული თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლის მიმართ[96].

რაც შეეხება ინდივიდის მიერ განხორციელებულ სპორადულ თავდასხმას, ორგანიზაციული პოლიტიკისთვის წაყენებული აუცილებელი პირობა უნდა გამორიცხავდეს ამ ქმედებებს რომის საკანონმდებლო აქტის თანახმად. იგივე მოსაზრება, უნდა გამოიყენებოდეს თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლის მიმართაც. მაშინაც კი, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ თვითნებური და სპონტანური ინდივიდუალური თავდასხმები, რომელიც დაგეგმილი და სისტემატურია, შეიძლება დაექვემდებაროს ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსის დებულებას. სინამდვილეში, 77-ე მუხლის მიხედვით, არ არსებობს ორგანიზაციული პოლიტიკისთვის არანაირი აუცილებელი პირობა და არც მინიშნება კეთდება დიდი მასშტაბის „თავდასხმაზე". აკადემიური წრეების თანახმად „პოლიტიკური სტრატეგიის კომპონენტი მარტივად რომ ვთქვათ, არის ლოგიკური შედეგი იმ ნორმისა, რომ „თავდასხმად" არ შეიძლება ჩაითვალოს ინდივიდების შემთხვევითი ქმედებები, რომლებიც მოქმედებენ საკუთარი დანაშაულებრივი ინიციატივის საფუძველზე"[97]. ვინაიდან, ჩვენ სისხლის სამართლის კოდექსში არ არსებობს „თავდასხმის" პირობის აუცილებლობა, შესაძლებელია, რომ კონკრეტულ ტერორისტულ ინდვიდუალურ ქმედებებს შეეფარდოს მუხლი 77.

<u>პირველადი ქმედება/ დანაშაული</u>

თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსში ჩამოთვლილი ქცევის კატეგორიები, რომის საკანონმდებლო აქტთან შედარებით უფრო შეზღუდულია. მოსახლეობის დეპორტაცია ან იძულებით გადაადგილება,

94. Katanga, Trial Chamber, judgment of 7 March 2014, paras. 1118 *et seq.*
95. Di Filippo, *EJIL*, p. 567.
96.ერთი ავტორის Başkaracaoğlu, p. 263) აზრით იმგვარად ფორმულირებული დებულება, როგორც ეს მოცემულია TPC 77 -ე მუხლში, შეიძლება ინტერპრეტირებული იქნას ისე, თითქოს ნებისმიერი ჯგუფი შეიძლება იყოს მოაზრებული გეგმის უკან. ეს მიდგომა სავარაუდოდ გადამეტებულია.
97. Robinson, p. 710.

ადამიანების იძულებითი გაქრობა, დევნა, აპარტეიდი, სექსუალური მონობა არ არის ჩამოთვლილი თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსში. ეს სავარაუდოდ, გამოწვეულია იმით, რომ ამგვარი დანაშაული არ არსებობს თურქეთის მართლმსაჯულებაში და ამიტომაც არ იყო შესაძლებელი ამ ქმედებების ჩამოთვლა – დასახელება. ჩვენ სისხლის სამართლის კოდექსში ჩამოთვლილი ყველა სხვა ძირითადი (პირველადი) დანაშაული და/ან ქცევის კატეგორია შესაბამისი დებულების თანახმად ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლის თანახმად, შემდეგი ქმედებები შეიძლება ჩაითვალოს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კომპონენტებად: განზრახი მკვლელობა, სხეულის განზრახი დაზიანება, ტანჯვა – წამება (eziyet), დამონება, პირადი თავისუფლების ხელყოფა, სამეცნიერო ექსპერიმენტში მონაწილეობის იძულება, სექსუალური ძალადობა, არასრულწლოვანთა სექსუალური ექსპლუატაცია, იძულებითი ორსულობა, იძულებითი პროსტიტუცია. „იძულებითი ორსულობა“ არ არის განმარტებული თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსში, თუმცა ის შედის გაუპატიურების დანაშაულში (მუხლი. 102 (2) და იმ შემთხვევაში თუ მსხვერპლი არასრულწლოვანია, გამოიყენება 103 (2) მუხლი.

<u>დანაშაულის სუბიექტური მხარე</u>

პირველი სამი კომპონენტის არსებობა აუცილებელია თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად მუხლი 77 (i) ძირითადი (პირველადი) დანაშაულის სუბიექტური მხარე (მაგალითად, მკვლელობა, გაუპატიურება, წამება); (ii) ქმედების სისტემატური ხასიათის გაცნობიერება; (iii) დისკრიმინაციული მოტივი (თურქულად saik).

პირველი კომპონენტი არ საჭიროებს დამატებით ახსნა –განმარტებას.

რაც შეეხება მეორე კომპონენტს, საერთაშორისო კანონმდებლობით ბრალდებული შესაძლოა აცნობიერებდეს მისი ქმედების კავშირს და კონტექსტუალურ კომპონენტს, რაც უკვე არის ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმა[98]. ფართე კონტექსტის გაცნობიერება,

98. როგორც ეს ასახულია ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის (ICTY) სააპელაციო პალატის მიერ ტადიკის (Tadic) შემთხვევაში, დამნაშავე უნდა აცნობიერებდეს, რომ ადგილი პქონდა სამოქალაქო პირებზე თავდასხმას და რომ ეს ქმედება წარმოადგენს თავდასხმის ნაწილს (§ 248). ICTY სასამართლო პალატა ბლასკიჩის შემთხვევაში (*Blaskic*) აცხადებს,რომ დამანაშაეე სულ მცირე უნდა აცნობიერებდეს იმ რისკს, რომ მისი ქმედება თავდასხმის ნაწილს ნარმოადგენს და ამის მიუხედავად მაინც უნდა მიდიოდეს ამ რისკზე (§ 247, 251). რომის კანონმდებლობის დანაშაულის კომპონენტი აგრეთვე განმარტავს,რომ „ ქცევა შეიძლება ჩადენილი იყოს, როგორც სამოქალაქო პირებისადმი მიმართული, ფართომასშტაბიანი და სისტემატიური თავდასხმის კომპონენტი " და რომ „ დამნაშავე უნდა აცნობიერებდეს, რომ მისი ქცევა თავდასხმის ნანილი იყო ან მას განზრახული უნდა ქონოდა, რომ მისი ქმედება ყოფილიყო სამოქალაქო პირებზე განხოციელებული ფართომასშტაბიანი და სისტემატიური თავდასხმის შემადგენელი ნანილი„.

რომელშიც ჯდება დანაშაული არის ის დამატებითი კომპონენტი, რაც ინდივიდუალურ ქმედებას საერთაშორისო დანაშაულად გადააქცევს[99]. 77-ე მუხლის გათვალისწინებით, ვინაიდან არ არსებობს „ზოგადი თავდასხმის" არსებობის აუცილებლობა დანაშაულის დეფინიციაში, დამნაშავე მხოლოდ უნდა აცნობიერებდეს, რომ მისი ქმედება სისტემატური ხასიათისაა.

საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით, ბრალდებული ვერ აცნობიერებს თავდასხმის დეტალებს და მახასიათებლებს[100]. ანალოგიურად, ბრალდებულმა ზოგადად უნდა იცოდეს პოლიტიკური სტრატეგიის ან გეგმის ზოგადი არსებობის შესახებ და არა პოლიტიკური სტრატეგიის ან გეგმის ზუსტი დეტალები. გარდა ამისა, არ არის აუცილებელი ბრალდებული ჩართული იყოს პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავებაში, ან დაკავშირებული იყოს (სახელმწიფო ან კერძო) ჯგუფთან, რომელმაც ეს გეგმა შეადგინა, აგრეთვე არ არის აუცილებელი, რომ ბრალდებული იზიარებდეს თავდასხმის (შეტევის) იდეოლოგიურ მიზნებს [101]. ყველა ეს მოსაზრება სამართლიანია თურქეთის სისხლის სამართლის 77– ე მუხლისთვის „გეგმის" კომპონენტის გათვალისწინებით.

ჩვენი კანონის ყველაზე პრობლემური ასპექტი არის მესამე ელემენტი: დისკრიმინაციული მოტივის არსებობის მოთხოვნა არ არის შესაბამისობაში მიმდინარე სტატუსთან, რომელიც არ ითვალისწინებს ბოროტმოქმედის (დამნაშავის) მოტივს[102]. დისკრიმინაციული განზრახვით მოქმედების აუცილებელი პირობა, განმტკიცებულია რუანდის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის წესდების მუხლი 3—ით, რომელიც ადგენს, რომ ქმედება უნდა იყოს განხორციელებული ეროვნულ, პოლიტიკურ, რასობრივ ან რელიგიურ საფუძველზე. ეს აუციელებელი პირობა, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ტრიბუნალის იურისდიქციის შეზღუდვის საშუალება კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მიმართ, რომელიც ეგზომ ტიპიურია რუანდის სიტუაციისთვის[103].

ნებისმიერ შემთხვევაში, რუანდას სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ითხოვს, რომ ეს აუცილებელი პირობა ვრცელდებოდეს მთელ თავდასხმაზე; ამგვარად, ინდივიდუალური ბრალდებულის დისკრიმინაციული განზრახვა არ არის აუცილებელი პირობა[104]. თურქეთის სისხლის საამრთლის კოდექსის 77-ე მუხლის თანახმად აუცილებელი პირობაა დისკრიმინაციული განზრახვის არსებობა ყველა დამნაშავის

99. Bantekas& Nash, p. 133; Slye & Van Schaack, p. 218; AteşEkşi, p. 125.
100. ICTY Trial Chamber in *Kunarac*, § 434.
101 . Tezcan/Erdem/Önok, *Uluslararası Ceza*, p. 531; further see O'Keefe, mn. 4.61.
102. ICTY Trial Chamber in *Kupreskic*, 14.1.2000, § 558.Refer to Tezcan/Erdem/Önok, *Ceza Özel*, p. 87, fn. 213 for references.
103. Werle & Jessberger, mn. 876.
104. A.Ch. in *Akayesu*, 1.6.2001, para. 461-9.

შემთხვევაში და ეჭვქვეშ მყოფი ქმედების მიმართაც.

მდგომარეობას ამძიმებს ის ფაქტიც, რომ თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსში საგანგებოდ მოცემული დისკრიმინაციული საფუძველი, გაცილებით უფრო შეზღუდულია რუანდას სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის კანონმდებლობასთან შედარებით. ჩვენი კოდექსი მოიცავს მხოლოდ" პოლიტიკურ, ფილოსოფიურ, რასობრივ ან რელიგიურ მოტივებს" და არა ეროვნებაზე დაფუძნებულ დისკრიმანიციას. ეს მიდგომა რთული გასაგებია და მოსამზადებელი სამუშაოებიც არ გვთავაზობს არანაირ სახელმძღვანელო პრინციპს იმ ლოგიკური დასაბუთებისთვის, რომელიც განამტკიცებს ამ არჩევანს.

დანაშაულის სუბიექტური მხარის აუცილებელი პირობის მთავარი პრობლემა ჩვენი კანონის თანახმად არის შემდეგი: თანამზრახველი, რომელსაც არ ამოძრავებს საგანგებო განზრახვა და დანაშაულის ჩადენასთან მხოლოდ კაუზალური კავშირი აქვს ვერ აგებს პასუხს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე. ეს თანამზრახველი შეიძლება გასამართლდეს მხოლოდ საქმესთან კავშირის მქონე ძირითად დანაშაულთან მიმართებაში.

<u>გამოყენებული სანქციები</u>

მაშინ როდესაც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ხორციელდება საერთაშორისო ჰომიციდის (მკვლელობის) გზით, დამნაშავეს უნდა მიესაჯოს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის თავისუფლების უვადო აღკვეთა. თუ პირველადი დანაშაული სხვა ტიპისაა, დამნაშავეს უნდა მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა არა ნაკლებ 8 წლით. ამ შემთხვევაში, ნორმატიული მაქსიმუმი არის თავისუფლების აღკვეთა 20 წლით პატიმრობის პირობების ზოგადი მდგომარეობით. იმ შემთხვევაში თუ პირველადი დანაშაული არის მკვლელობა ან ჭრილობის ან დაზიანების განზრახ მიყენება დამნაშავე მიიღებს დამატებით და ცალკე სასჯელს თითოეულ მსხვერპლზე [105].

77 (4), მუხლის თანახმად დანაშაულს ჩადენილს კაცობრიობის წინააღმდეგ არ ეხება ხანდაზმულობის კანონი[106].

საერთაშორისო თანამეგობრობის მთავარი „დავალება“ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) მიმართ კოლექტიური ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის შეზღუდვა იყო, რომ სახელმწიფოსა და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას შორის ყოფილიყო მიჯნა გავლებული[10]. მთავარია, ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, რომის სტატუტის 25-ე მუხლის ინტერპრეტაციით, ინდივიდის ბრალეულობას, დანაშაულში მონაწილეობის ხარისხს დაქვემდებარებოდა,[11] რაც სისტემური პასუხისმგებლობის კონცეფციის მიმართ არსებულ ხარვეზებსა და კრიტიკას[12] აღმოფხვრიდა, ისე, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის მიზნებს არ შექმნოდა საფრთხე. ამ „დანაკლისის“ აღმოფხვრას ხელს უწყობს საერთა-

---

ბულ საკითხებზე იხ. გვარამია, მურაბ (ვეფხია), საერთაშორისო დანაშაულში ბრალდებულის ექსტრადიცია, საქართველოს იურისტთა კავშირი, თბილისი, 2002, 61-68.

7. დან. იხ. Lafontaine, Fannie / Gagne, Sophie, Complementarity Revised, National Prosecutions of International Crimes and the Gaps in International Law, კრებულში: Kastner, Philipp (ed.), International Criminal Law in Context, Routledge, New York, 2018, 260-279; დგებუაძე, გიორგი, სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების ზეგავლენა ეროვნულ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაზე: კომპლემენტარულობის პრინციპი – ეროვნული მართლმსაჯულების მხარდაჭერა თუ „დისკრეციული ინტერვენცია“?, კრებულში: ოუმანიშვილი, გიორგი / ჯიშკარიანი, ბაჩანა / შრამი, ედვარდ (რედ.), ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, მერიდიანი, თბილისი, 2019, 724-725; Dgebuadze, Giorgi, Horizontal and Vertical Grounds for Establishing Responsibility in International Criminal Law, Annales Pomorienses. Ius, 2021.

8. შეად. Fletcher, George P., The Grammar of Criminal Law, American, Comparative, and International, Volume I, Oxford University Press, Oxford, 2007, 111.

9. შეად. Cryer, Robert / Robinson, Darryl / Vasiliev Sergey, An Introduction to International Criminal Law and Procedure, Cambridge University Press, Cambridge, 4th ed., 2019, 96-97; დგებუაძე, გიორგი, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის მოდელი საერთაშორისო სისხლის სამართალში და მისი განვითარება ანგლო-ამერიკული და გერმანული სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით, თსუ, თბილისი, 2017, 80-81.

10. Bianchi, Andrea, State Responsibility and Criminal Liability of Individuals, კრებულში: Cassese, Antonio (ed.), The Oxford Companion to International Criminal Justice, Oxford University Press, Oxford, 2009, 167-191.

11. შეად. Weigend, Thomas, Problems of Attribution in International Criminal Law: A German Perspective, 12 Journal of International Criminal Justice, 2014, 265-266.

12. შეად. Gattini, Andrea, A Historical Perspective: from Collective to Individual Responsibility and Back, კრებულში: Nollkaemper, Andre / Van der Wilt, Harmen (ed.), System Criminality in International Law, Cambridge University Press, Cambridge, 2009, 186-191.

შორისო სისხლის სამართალში დაფუძნებული კონცეფციები, რომლებიც ითვალისწინებს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მაღალი თანამდებობის პირებზე, უმეტესწილად, ორგანიზებული სახელმწიფო აპარატის გამოყენებით ჩადენი დანაშაულებისათვის.[13]

ჰორიზონტალური და ვერტიკალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტი, უმეტესწილად, „პირველი დონის დამნაშავეა". ეს არის მაღალი პოლიტიკური ან სამხედრო თანამდებობის პირი, რომელიც ახდენს მასშტაბური (საერთაშორისო) დანაშაულების „ლეგალიზაციას", მათ დაქვემდებარებაში მყოფი ყველა პირის ჩართვით. იგი გამოირჩევა სხვა ამსრულებლისგან იმით, რომ იყენებს სახელმწიფოს აპარატსა და ხელქვეითებს დანაშაულების უშუალოდ ჩასადენად. იგი არის დანაშაულის შემოქმედი – auctor intellectualis. ასეთი ამსრულებელი შეიძლება იყოს, მაგალითად, სახელმწიფოს მეთაური – პოლიტიკური ძალაუფლების, „სახელმწიფო აპარატზე ბატონობის" უნარის მქონე პირი. იგი ქმნის განსხვავებულ სოციალურ რეალობას, რომლითაც აქეზებს სხვას, ორგანიზებას უწევს ან გეგმავს დანაშაულების ჩადენას. ზოგადად, ასეთი ტიპის ამსრულებლებს უმაღლესი სასჯელი ეფარდებათ.[14]

საერთაშორისო სისხლის სამართალში დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის რამდენიმე მოდელი არსებობს. კერძოდ: joint criminal enterprise (JCE) დოქტრინა – დაფუძნებული ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის (ICTY) მიერ, ანგლოამერიკული სამართლის სისტემაზე დაყრდნობით, რომელმაც გამოყენება პოვა, ასევე, რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალსა (ICTR) და ჰიბრიდულ ტრიბუნალებში;[15] თანაამსრულებლობის (co-perpetration), არაპირდაპირი ამსრულებლობისა (indirect perpetration) და არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის [indirect (co) perpetration] პასუხისმგებლობის დოქტრინები, რომლებიც ICC-ის მიმდინარე გამოყენებად სამართალს წარმოადგენს, უმეტესწილად, დაფუძნებულია გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკაზე;[16] მეთაურის პასუხისმგებლობის (superior responsibility, იგივე, command responsibility) დოქტრინა, რომე-

13. Dgebuadze, Giorgi, Horizontal and Vertical Grounds for Establishing Responsibility in International Criminal Law, Annales Pomorienses. Ius, 2021.

14. შეად. Smeulers, Alette / Hola, Barbora, ICTY and the Culpability of Different Types of Perpetrators of International Crimes, კრებულში: Smeulers, Alette (ed.), Collective Violence and International Criminal Justice. An Interdisciplinary Approach, Antwerp, Intersentia, 2010, 180-181; Dgebuadze, Giorgi, Horizontal and Vertical Grounds for Establishing Responsibility in International Criminal Law, Annales Pomorienses. Ius, 2021.

15. დან. იხ. დგებუაძე, გიორგი, საერთო ამსრულებლობის პრინციპი საერთაშორისო სისხლის სამართალში – ანგლოამერიკული (თანა)ამსრულებლობა, კრებულში: თოდუა, ნონა (რედ.), გურამ ნაჭყებია–75, საიუბილეო კრებული, მერიდიანი, 2016, 304-335.

16. დან. იხ. დგებუაძე, გიორგი, ამსრულებლობა საერთაშორისო სისხლის სამართალში, კრებულში: ტურავა, შერაზ (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, მერიდიანი, თბილისი, 2013, 325-354; იხ. ასევე: დგებუაძე, გიორგი, არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინა საერთაშორისო სისხლის სამართალში, 3/24 მართლმსაჯულება და კანონი, 2012, 91-101.

ლიც ფართოდ განვითარდა ad hoc ტრიბუნალებში და გარკვეული ენდემური მოდიფიკაციებით დღესაც გამოიყენება ICC-ის მიერ[17].[18] ნაშრომის მიზანია გააანალიზოს თანაამსრულებლობის – ჰორიზონტალური, არაპირდაპირი ამსრულებლობის – ვერტიკალური და არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის ჰიბრიდული კონცეფციები.[19]

II. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სტატუტისეული და ზესტატუტისეული საფუძვლები

ICC-მ პირველივე გადაწყვეტილებიდან დაიწყო მასზე დაკისრებული „დავალების" შესრულება არა ICTY-ის შემუშავებული და პრაქტიკაში კარგად დამკვიდრებული ინდივიდუალური პასუხისმგებლობის წესების რომის სტატუტში იმპლემენტაციით, არამედ, ამსრულებლობის ცნების ნოვაციური განმარტებით. ამის საფუძველი საერთაშორისო თანამეგობრობამ ICC-ს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სტატუტისეული ცნებით შეუქმნა, რაც გამოიხატა დანაშაულში მონაწილეობის ფორმების კონკრეტიზაციაში.[20]

ამსრულებლობის ცნება რომის სტატუტში აბსტრაქტულია – 25(3)(a)-ე მუხლი შეიცავს მხოლოდ ძირითად, ტრადიციულ პასუხისმგებლობის სახეებს,[21] რითაც სტატუტის შემქმნელებმა გზა გაუხსნეს პრეცედენტულ სამართალს. კერძოდ, ICC-ის სტატუტის 25(3)(a)-ე მუხლი, ICTY-ის სტატუტის მე-7(1) მუხლისგან განსხვავებით, პირდაპირ მიუთითებს ამსრულებლობის სამ სახეს და აღნიშნავს, რომ დანაშაულის ამსრულებელი (principal) არის პირი, რომელსაც გააჩნია დანაშაულზე კონტროლი (control over the crime) და აცნობიერებს ყოველივე ამას,[22] კერძოდ, ვინც: 1) ფიზიკურად ახორციელებს დანაშაულის ელემენტებს (direct perpetration, პირდაპირი ამსრულებლობა); 2) სხვებთან ერთად ახორციელებს დანაშაულზე კონტროლს, მასზე დაკისრებული არსებითი ამოცანებიდან გამომდინარე (commission of the crime jointly with others, ან co-perpetration, თანაამსრულებლობა); 3) ახორციელებს კონტროლს იმ პირის ნებაზე, რომელიც უშუალოდ ასრულებს დანაშაულის ობიექტურ ელემენტებს

17. დან. იხ. დგებუაძე, გიორგი, მეთაურის (უფროსის) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უმოქმედობისათვის საერთაშორისო სისხლის სამართალში, 1 სამართლის ჟურნალი, 2016, 287-314.

18. აღსანიშნავია, რომ ამ კონცეფციებიდან ნმინდა საერთაშორისო სისხლის სამართლებრივი ხასიათის joint criminal enterprise-ის, არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობისა და მეთაურის პასუხისმგებლობის დოქტრინებია.

19. Dgebuadze, Giorgi, Horizontal and Vertical Grounds for Establishing Responsibility in International Criminal Law, Annales Pomorienses. Ius, 2021.

20. დგებუაძე, გიორგი, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის მოდელი საერთაშორისო სისხლის სამართალში და მისი განვითარება ანგლოამერიკული და გერმანული სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით, თსუ, თბილისი, 2017, 121.

21. შეად. Jain, Neha, Perpetrators and Accessories in International Criminal Law, Individual Modes of Responsibility for Collective Crimes, Hart, Oxford, 2014, 94.

22. იხ. *ICC, Prosecutor v. Lubanga*, Decision on the Confirmation of Charges (ICC-01/04-01/06), Pre-Trial Chamber, 29 January 2007, პარ. 332; *ICC, Prosecutor v. Katanga and Chui*, Confirmation of Charges, 30.9.2008, პარ. 487; *ICC, Prosecutor v. Bemba*, Decision Pursuant to Atricle 61(7)(a) and (b) of the Rome Statute on the Charges (ICC-01/05-01/08), Pre-Trial Chamber, 15 June 2009, პარ. 346.

(commission of the crime through another person, ან indirect perpetration, არა-პირდაპირი ამსრულებლობა).[23] ამსრულებელი, რომის სტატუტის მიხედვით, არის ის პირი, რომელსაც აქვს დანაშაულზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. ამსრულებლობის სამივე სახე დღეის მდგომარეობით ICC-ის სხვადასხვა გადაწყვეტილებით უკვე განმარტებულია.[24]

III. ჰორიზონტალური პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი გარემოებები

Prosecutor v. Lubanga-ს საქმეზე დაფუძნებული ჰორიზონტალური პასუხისმგებლობის კონცეფცია რომის სტატუტში უკვე პრეცედენტული მნიშვნელობისაა. ICC მას თანაამსრულებლობის კონტექსტით განმარტავს ისეთ შემთხვევად, როდესაც კოორდინირებულ ადამიანთა დაჯგუფების კონტრიბუციის შედეგად ხდება დანაშაულის ობიექტური ელემენტების რეალიზაცია, სადაც თითოეული მათგანი, როგორც მთლიანი დანაშაულის ამსრულებელი, პასუხს აგებს სხვის მიერ განხორციელებული ქმედებებისათვის.[25]

დანაშაულზე კონტროლის თეორიაზე დაფუძნებული თანაამსრულებლობის პასუხისმგებლობა გულისხმობს ორი ან მეტი პირის კოორდინირებულ მოქმედებას დანაშაულის ჩასადენად. აღნიშნულის სისრულეში მოსაყვანად ისინი ინაწილებენ მათზე დაკისრებულ გარკვეულ ფუნქციებს. დანაშაულის არც ერთ კონკრეტულ მონაწილეს არ გააჩნია საერთო დანაშაულზე კონტრო-

---

23. ასევე. გამოისაყოფია ICC-ის მიერ Prosecutor v. Katanga and Chui-ს საქმეზე შემუშავებული ამსრულებლობის ახალი ფორმა – ე.წ. თანაამსრულებლობა სხვა პირის მეშვეობით (co-perpetration of a crime through another person), ან არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობა [indirect (co)perpetration]. ICC Prosecutor v. Al Bashir-ის საქმეზე. ამსრულებლობის აღნიშნული „კლასიკური" სახეების გარდა, ასევე ამსრულებლობის ცალკე სახედ გამოყოფს თანაამსრულებლობას სხვა პირის მეშვეობით, იმავე არაპირდაპირ (თანა)ამსრულებლობას, რომელი ფორმითაც მასზე დანყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა. იხ. ICC, Prosecutor v. Al Bashir, Decision on the Prosecution's Application for a Warrant of Arrest (ICC-01/05-01/09), Pre-Trial Chamber, 4 March 2009, პარ. 210.

24. ICC-ის გადაწყვეტილებებიდან, ამსრულებლობის ცნებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით გამოსაყოფია Prosecutor v. Lubanga-ს (ჰორიზონტალური პასუხისმგებლობის კონცეფციასთან მიმართებით), Prosecutor v. Katanga and Chui-ს (ვერტიკალური და პირდაპირი პასუხისმგებლობის კონცეფციებთან მიმართებით) და Prosecutor v. Bemba-ს (სუბიექტური მხარის ელემენტებთან მიმართებით) საქმეები, რომლებიც ისევე როგორც თავის დროზე ICTY-ის Prosecutor v. Tadic-ის (ICTY, Prosecutor v. Tadic, TC Judgment, 7.5.1997; ICTY, Prosecutor v. Tadic, AC Judgment, 15.7.1999) და სხვათა საქმეები, გამორჩეია ნოვაციური შინაარსით. შეად. Liefländer, Thomas R., The Lubanga Judgment of the ICC: More than just the Frist Step?, 1(1) Cambridge Journal of International and Comparative Law, 2012, 192; დვებუაძე. გიორგი, ამსრულებლობა საერთაშორისო სისხლის სამართალში, კრებულში: ტურავა, მერაბ (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, მერიდიანი, თბილისი, 2013, 335-336.

25. იხ. იქვე, პარ. 326; იხ. ასევე: ICC, Prosecutor v. Katanga and Chui, Decision on the Confirmation of Charges (ICC-01/04-01/07), Pre-Trial Chamber, 30 September 2008, პარ. 520. ნინასასამართლო პალატამ დასაბუთებულად მიუთითა, რომ რომის სტატუტი, ICTY-ის სტატუტისგან განსხვავებით, შეიცავდა დანაშაულში ინდივიდუალური და ჯგუფური მონაწილეობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უფრო მეტ ფორმას, რაც ქმედების მრავალფეროვანი კვალიფიკაციის შესაძლებლობას იძლეოდა. JCE-ის დოქტრინასთან ახლოს მდგომ კონცეფციად პალატამ უფრო 25(3)(d)-ე მუხლი მიიჩნია, რომელშიც საუბარია საერთო მიზნით მოქმედ პირთა ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენაზე. თუმცა, საერთო ჯამში, Prosecutor v. Lubanga-ს საქმეზე წინასასამართლო პალატის პოზიციით, 25(3)-ე მუხლი არ შეესაბამებოდა ICTY-ის კონცეფციას. იხ. იქვე, პარ. 334-336.

ლი, ვინაიდან თითოეული მათგანი დამოკიდებულია ერთმანეთზე – ისინი ინანილებენ დანაშაულზე კონტროლს. თანაამსრულებლებს, მათი პოზიციიდან გამომდინარე, მათზე დაკისრებული ამოცანების შეუსრულებლობით შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მთლიანი დანაშაულის ჩადენაზე.[26] საერთო გეგმა ან შეთანხმება – ეს არის ორი აუცილებელი კრიტერიუმი პირველი მატერიალური ელემენტისათვის.[27] ICC შეთანხმებისთვის მყარ მოთხოვნად არ აყენებს მის არსებობას ზუსტი, დაწვრილებითი ფორმით. შესაძლებელია, იგი თანაამსრულებელთა შეწყობილი ქმედებებიდან გამომდინარეობდეს.[28]

მეორე აუცილებელ მოთხოვნად ICC განსაზღვრავს რა თითოეული თანაამსრულებლის მხრიდან დანაშაულში კოორდინირებულ არსებით კონტრიბუციას, აღნიშნავს, რომ ეს უნდა იყოს მიმართული დანაშაულის მატერიალური

---

26. იხ. *ICTY, Prosecutor v. Stakic*, Judgement (ICTY-IT-97-24-T), Trial Chamber, 31 July 2003, პარ. 440; *ICC, Prosecutor v. Lubanga*, Decision on the Confirmation of Charges (ICC-01/04-01/06), Pre-Trial Chamber, 29 January 2007, პარ. 342; *ICC, Prosecutor v. Lubanga*, Judgment Pursuant to Article 74 of the Statute (ICC-01/04-01/06), Trial Chamber, 14 March 2012, პარ. 922; *ICC, Prosecutor v. Katanga and Chui*, Decision on the Confirmation of Charges (ICC-01/04-01/07), Pre-Trial Chamber, 30 September 2008, პარ. 521; *ICC, Prosecutor v. Al Bashir*, Decision on the Prosecution's Application for a Warrant of Arrest (ICC-01/05-01/09), Pre-Trial Chamber, 4 March 2009, პარ. 212. *ICC* გამოყოფს თანაამსრულებლობის ორ მატერიალურ ელემენტს: 1) ორ ან მეტ პირს შორის საერთომგეგმის ან შეთანხმების არსებობა; 2) თითოეული თანაამსრულებლის მხრიდან კოორდინირებული არსებითი კონტრიბუცია, მიმართული დანაშაულის ობიექტური ელემენტების რეალიზაციისკენ. იხ. *ICC, Prosecutor v. Lubanga*, Decision on the Confirmation of Charges (ICC-01/04-01/06), Pre-Trial Chamber, 29 January 2007, პარ. 343-348; *ICC, Prosecutor v. Lubanga*, Judgment Pursuant to Article 74 of the Statute (ICC-01/04-01/06), Trial Chamber, 14 March 2012, პარ. 924-925; *ICC, Prosecutor v. Katanga and Chui*, Decision on the Confirmation of Charges (ICC-01/04-01/07), Pre-Trial Chamber, 30 September 2008, პარ. 522-526; *ICC, Prosecutor v. Bemba*, Decision Pursuant to Article 61(7)(a) and (b) of the Rome Statute on the Charges (ICC-01/05-01/08), Pre-Trial Chamber, 15 June 2009, პარ. 350.

27. იხ. იქვე, პარ. 343; ICTY, Prosecutor v. Stakic, Judgement (ICTY-IT-97-24-T), Trial Chamber, 31 July 2003, პარ. 470-477; ICC, Prosecutor v. Katanga and Chui, Decision on the Confirmation of Charges (ICC-01/04-01/07), Pre-Trial Chamber, 30 September 2008, პარ. 522-523; ICC, Prosecutor v. Bemba, Decision Pursuant to Atricle 61(7)(a) and (b) of the Rome Statute on the Charges (ICC-01/05-01/08), Pre-Trial Chamber, 15 June 2009, პარ. 350. აღსანიშნავია, რომ პირველ მატერიალურ ელემენტს ვაიგენდი თავის ნაშრომში, როგორც თანაამსრულებლობის სუბიექტურ ელემენტს, ისე მოიხსენიებს. იხ. Weigend, Thomas, Intent, Mistake of Law, and Co-perpetration in the Lubanga Decision on Confirmation of Charges, 6 Journal of International Criminal Justice, 2008, 482-483. ICC-ის წინასასამართლო პალატა Prosecutor v. Lubanga-ს საქმეზე განმარტავს, რომ საერთო გეგმა, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცავდეს დანაშაულის ნიშნებს, მიუხედავად ამისა, არ არის აუცილებელი პირდაპირ დანაშაულის ჩადენისკენ იყოს მიმართული. საყმარისია: 1) თანაამსრულებლები შეთანხმდნენ ა) საერთო გეგმის განხორციელების დაწყებაზე, რომელიც მიმართულია არადანაშაულებრივი მიზნის ასრულებისკენ; ბ) დანაშაულის ჩადენაზე; 2) თანაამსრულებლებს ა) ჰქონდეთ შეგნებული ის რისკი, რომ საერთო მიზნის რეალიზაცია (რომელიც სპეციფიკურად მიმართულია არადანაშაულებრივი მიზნის ასრულებისკენ), აისახება დანაშაულის ამსრულებლობაზე; ბ) დათანხმდნენ ასეთ შედეგს. იხ. იქვე, პარ. 344. თუმცა წინასასამართლო პალატა Prosecutor v. Katanga and Chui-ს საქმეზე Prosecutor v. Lubanga-სგან განსხვავებით აღნიშნავს, რომ საერთო გეგმა დანაშაულის ჩადენისკენ უნდა იყოს მიმართული. იხ. ICC, Prosecutor v. Katanga and Chui, Decision on the Confirmation of Charges (ICC-01/04-01/07), Pre-Trial Chamber, 30 September 2008, პარ. 523; იხ. ასევე: Van Sliedregt, Elies, Individual Criminal Responsibility in International Law, Oxford University Press, Oxford, 2012, 100.

28. იხ. ICC, Prosecutor v. Lubanga, Decision on the Confirmation of Charges (ICC-01/04-01/06), Pre-Trial Chamber, 29 January 2007, პარ. 345; ICC, Prosecutor v. Katanga and Chui, Decision on the Confirmation of Charges (ICC-01/04-01/07), Pre-Trial Chamber, 30 September 2008, პარ. 523; დგებუაძე, გიორგი, ამსრულებლობა საერთაშორისო სისხლის სამართალში, კრებულში: ტურავა, მერაბ (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, მერიდიანი, თბილისი, 2013, 337-339.

ელემენტების რეალიზაციისაკენ.[29] როდესაც დანაშაულის მატერიალური ელემენტები შესრულებულია საერთო გეგმის ფარგლებში მოქმედი რამდენიმე პირის მიერ, ICC ადგენს, რომ დანაშაულზე კონტროლი აქვთ მხოლოდ იმათ, ვისაც ეკისრებათ არსებითი ფუნქციები და, შესაბამისად, აქვთ ძალაუფლება, მასზე დაკისრებული ამოცანების შეუსრულებლობით გავლენა მოახდინონ დანაშაულის ამსრულებლობაზე.[30]

IV. ვერტიკალური პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი გარემოებები

ICC რომის სტატუტის ფარგლებში ავითარებს დანაშაულზე კონტროლის კონცეფციის – ორგანიზაციაზე კონტროლის (control over an organization; Organisationsherrschaft) ცნებას, რომელშიც „ამსრულებელი ამსრულებლის უკან" დანაშაულს სჩადის ორგანიზაციაზე კონტროლის მეშვეობით.[31] ვერტიკალური პასუხისმგებლობის ფორმა სისხლის სამართალში არაპირდაპირი ამსრულებლობის კონტექსტით, ძირითადად, ორი გაგებით არსებობს. პირველი, ეს არის ე.წ. „ცოცხალი იარაღის" („უდანაშაულო აგენტის") გამოყენებით შუალობითი ამსრულებლობის შემთხვევა, რომელიც აღიარებულია მსოფლიოს მრავალ სამართლებრივ სისტემაში. დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობაა, როდესაც პირდაპირი ამსრულებელი შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო სჩადის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.[32] ასეთ მიდგომას ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიც შუალობითი ამსრულე-

---

29. იხ. იქვე, პარ. 346-348; ICTY, Prosecutor v. Stakic, Judgement (ICTY-IT-97-24-T), Trial Chamber, 31 July 2003, პარ. 478-491; ICC, Prosecutor v. Katanga and Chui, Decision on the Confirmation of Charges (ICC-01/04-01/07), Pre-Trial Chamber, 30 September 2008, პარ. 524-526; ICC, Prosecutor v. Bemba, Decision Pursuant to Atricle 61(7)(a) and (b) of the Rome Statute on the Charges (ICC-01/05-01/08), Pre-Trial Chamber, 15 June 2009, პარ. 350.

30. იხ. იქვე, პარ. 347; ICC, Prosecutor v. Katanga and Chui, Decision on the Confirmation of Charges (ICC-01/04-01/07), Pre-Trial Chamber, 30 September 2008, პარ. 525; დგებუაძე, გიორგი, ამსრულებლობა საერთაშორისო სისხლის სამართალში, კრებულში: ტურავა, მერაბ (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, მერიდიანი, თბილისი, 2013, 339-340.

31. ICC, Prosecutor v. Katanga and Chui, Decision on the Confirmation of Charges (ICC-01/04-01/07), Pre-Trial Chamber, 30 September 2008, პარ. 498. ICC-ის წინასასამართლო პალატის მიერ ციტირებულია – Roxin, Claus, Straftaten im Rahmen organisatorischer Machtapparate, Goltdammer's Archiv für Strafrecht, 1963, 193-207. აღნიშნული სტატიის ინგლისური ვერსია იხ. Roxin, Claus, Crimes as Part of Orginized Power Structures, 9 Journal of International Criminal Justice, 2011, 193-205; Organisationsherrschaft-თან მიმართებით იხ. ასევე: Ambos, Kai, Article 25, Individual Criminal Responsibility, კრებულში: Triffterer, Otto / Ambos, Kai (ed.), The Rome Statute of the International Criminal Court, A Commentary, C.H.Beck.hart. Nomos., München, 3rd ed., 2016, 994-1001.

32. შუალობითი ამსრულებლობის დროს პირდაპირი ამსრულებელი შეიძლება მოქმედებდეს ასევე ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობისა თუ საფრთხის ქვეშ. მაგალითად, ჯარისკაცი, რომელსაც უბრძანეს უკანონოდ მოკლას პირი და სისრულეში მოჰყავს ქმედება იმის შიშით, რომ ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეთაური მოუსპობს სიცოცხლეს. ჯარისკაცი რომის სტატუტის 31-ე მუხლის მიხედვით არ არის პასუხისმგებელი – იძულებითი უკიდურესი აუცილებლობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებას წარმოადგენს. აქ მეთაური იქნება პასუხისმგებელი იმ მკვლელობისთვის, რომელიც განახორციელა პირდაპირმა ამსრულებელმა. იხ. Manacorda, Stefano / Meloni, Chantal, Indirect Perpetration versus Joint Criminal Enterprise, Concurring Approaches in the Practice of International Criminal Law?, 9 Journal of International Criminal Justice, 2011, 169. ამის მაგალითია, ასევე რომის სტატუტის 26-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს 18 წლამდე ასაკის პირებზე იურისდიქციის გაურცელების დაუშვებლობას.

ბლობის ცნებაში.[33] მეორე, ეს არის ე.წ. „ამსრულებელი ამსრულებლის უკან" (perpetrator behind the perpetrator, Täter hinter dem Täter) შემთხვევა, სადაც პირდაპირი ამსრულებელი გამოყენებულია არაპირდაპირი ამსრულებლის მიერ, როდესაც ორივე ინდივიდუალურად პასუხს აგებს ჩადენილი ქმედებისათვის.[34] ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს საერთაშორისო სისხლის სამართალში, მასში შემავალი დანაშაულების სისტემიდან, მაკროკრიმინალურობიდან გამომდინარე, როდესაც დანაშაულის უშუალო ამსრულებელი ქმედებას დანაშაულის აუცილებელი მენტალური ელემენტით ახორციელებს. „მაღალი დონე" დამოკიდებულია „დაბალ დონეზე", რომელსაც სისრულეში მოჰყავს დანაშაული. მიუხედავად იმისა, რომ არაპირდაპირი ამსრულებლობის ეს გაგება უმეტეს სამართლებრივ სისტემებში არაა აღიარებული, მას მოიცავს რომის სტატუტის 25(3)(a)-ე მუხლი.[35]

არაპირდაპირი ამსრულებლობისათვის უნდა დამტკიცდეს ორგანიზაციაზე კონტროლის, ორგანიზებული და იერარქიული ძალაუფლების აპარატისა და ბრძანებაზე „ავტომატური" თანხმობის მატერიალური ელემენტები.[36] ორგანიზაცია უნდა იყოს დაფუძნებული იერარქიულ ურთიერთობაზე მეთაურსა და ხელქვეითს შორის. ორგანიზაცია უნდა დაკომპლექტდეს მნიშვნელოვანი ხელქვეითებით, რომ იყოს გარანტია მეთაურის ბრძანების აღსრულებისა ერთი ამსრულებლის მიერ თუ არა, მეორის მიერ მაინც.[37] ლიდერმა უნდა გამოიყენოს თავისი კონტროლი აპარატზე დანაშაულის ჩასადენად, რაც ნიშნავს იმას, რომ ლიდერი, როგორც „ამსრულებელი ამსრუ-

33. დან. იხ. ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერიდიანი, თბილისი, მე-9 გამოცემა, 2013, 326-330; გამყრელიძე, ოთარ, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, საჩინო, თბილისი, 2011, 189-260; მჭედლიშვილი-პედრიხი, ქეთევან, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, მერიდიანი, თბილისი, 2011, 174-195. ტურავა ემხრობა შუალობითი ამსრულებლობის ობიექტურ თეორიას, რომლის მიხედვითაც, თუ უშუალო ამსრულებელი შეცდომას უშვებს დანაშაულის „ცოცხალი იარაღის" ბუნებასთან დაკავშირებით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა გადაწყდეს წამქეზებლის სუბიექტური წარმოდგენიდან გამომდინარე. იხ. ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერიდიანი, თბილისი, მე-9 გამოცემა, 2013, 328. განსხვავებულ პოზიციას ავითარებს გამყრელიძე, რომელიც შუალობითი ამსრულებლობის სუბიექტურ თეორიას ემხრობა – წამქეზებელი შუალობითი ამსრულებელი იქნება მაშინ, როცა მან იცის, რომ იგი სხვა პირს იყენებს დანაშაულის ჩადენის „იარაღად". იხ. გამყრელიძე, ოთარ, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, მერიდიანი, თბილისი, 2013, 260-261, 280-281; გამყრელიძე, ოთარ, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, საჩინო, თბილისი, 2011, 192-193; იხ. ასევე: მჭედლიშვილი-პედრიხი, ქეთევან, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, მერიდიანი, თბილისი, 2011, 193-195.

34. Manacorda, Stefano / Meloni, Chantal, Indirect Perpetration versus Joint Criminal Enterprise, Concurring Approaches in the Practice of International Criminal Law?, 9 Journal of International Criminal Justice, 2011, 169; Jessberger, Florian / Geneuss, Julia, On the Application of a Theory of Indirect Perpetration in Al Bashir, German Doctrine at The Hague?, 6 Journal of International Criminal Justice, 2008, 857-858.

35. იქვე, 169-170; დგებუაძე, გიორგი, ამსრულებლობა საერთაშორისო სისხლის სამართალში, კრებულში: ტურავა, მერაბ (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, მერიდიანი, თბილისი, 2013, 340-341.

36. ICC-ის წინასასამართლო პალატა Prosecutor v. Katanga and Chui-ს საქმეზე განსაზღვრავს არაპირდაპირი ამსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელ მატერიალურ და მენტალურ გარემოებებს. იხ. ICC, Prosecutor v. Katanga and Chui, Decision on the Confirmation of Charges (ICC-01/04-01/07), Pre-Trial Chamber, 30 September 2008, პარ. 500-518.

37. იხ. იქვე, პარ. 512.

ლებლის უკან", მობილიზებას უკეთებს თავის ძალაუფლებას ორგანიზაციის მეშვეობით, რომ მისი ბრძანებებით უზრუნველყოს თანხმობა. თანხმობა უნდა მოიცავდეს იმ დანაშაულის ჩადენას, რომელიც გათვალისწინებულია ICC-ის იურისდიქციით.[38]

ორგანიზებული და იერარქიული აპარატი უფლებას აძლევს ლიდერს, უზრუნველყოს დანაშაულის ასრულება. მისი მეშვეობით იგი იყენებს ხელქვეითებს, როგორც „უბრალო მექანიზმს გიგანტურ მანქანაში", იმ მიზნით, რომ შესრულდეს მისი ბრძანებები „ავტომატურად".[39] ამ ორგანიზაციების ძირითადი მახასიათებელი ნიშანი არის მექანიზმი, რომელიც აძლევს საშუალებას მაღალ პოზიციებზე მყოფ პირებს, თავიანთი ბრძანებებით უზრუნველყონ ავტომატური თანხმობა. აღნიშნული ორგანიზაცია ავითარებს ისეთ გარემოს, რომელშიც არაფერი იცვლება მისი წევრების შეცვლით. იგი ფუნქციონირებს, მიუხედავად ამსრულებლის პიროვნებისა.[40] აღნიშნულის გარდა, ორგანიზაციისათვის დამახასიათებელია ავტომატური თანხმობა, ინტენსიური, მკაცრი და ძალადური რეჟიმების საფუძველზე შექმნილ აპარატზე კონტროლის მეშვეობით.[41] არაპირდაპირი ამსრულებლობის მენტალური ელემენტი გამოიხატება მატერიალური ელემენტების განზრახ განხორციელებაში, განსაკუთრებით, ბრალდებულს უნდა ჰქონდეს შეგნებული დანაშაულზე სხვა პირის მეშვეობით კონტროლის ფაქტობრივი გარემოებები.[42]

V. ჰორიზონტალური და ვერტიკალური პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ჰიბრიდული გარემოებები

ICC-ის წინასასამართლო პალატა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასაფუძნებლად ეფექტიანი ზომების გასატარებლად Prosecutor v. Katanga and Chui-ს საქმეზე ამკვიდრებს ჰორიზონტალური – თანაამსრულებლობისა და ვერტიკალური – არაპირდაპირი ამსრულებლობის ჰიბრიდულ, ახალი პასუხისმგებლობის სახეს – არაპირდაპირ (თანა)ამსრულებლობას [indirect (co)perpetration], იმავე თანაამსრულებლობას სხვა პირის მეშვეობით (co-perpetration of

38. იხ. იქვე, პარ. 514. ICC-ის წინასასამართლო პალატის მიერ ციტირებულია – Roxin, Claus, Täterschaft und Tatherrschaft, de Grueter, Berlin, 8. Auflage, 2006, 245 და გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება – BGHSt 40, 218, 236; იხ. ასევე: ICC, Prosecutor v. Al Bashir, Decision on the Prosecution's Application for a Warrant of Arrest (ICC-01/05-01/09), Pre-Trial Chamber, 4 March 2009, პარ. 211; დგებუაძე, გიორგი, ამსრულებლობა საერთაშორისო სისხლის სამართალში, კრებულში: ტურავა, მერაბ (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, მერიდიანი, თბილისი, 2013, 342-343.

39. იხ. იქვე, პარ. 515. ICC-ის წინასასამართლო პალატის მიერ ციტირებულია – Roxin, Claus, Täterschaft und Tatherrschaft, de Grueter, Berlin, 8. Auflage, 2006, 245.

40. იხ. იქვე, პარ. 516-517.

41. იხ. იქვე, პარ. 518; დგებუაძე, გიორგი, ამსრულებლობა საერთაშორისო სისხლის სამართალში, კრებულში: ტურავა, მერაბ (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, მერიდიანი, თბილისი, 2013, 343-344.

42. დგებუაძე, გიორგი, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის მოდელი საერთაშორისო სისხლის სამართალში და მისი განვითარება ანგლოამერიკული და გერმანული სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით, თსუ, თბილისი, 2017, 134.

a crime through another person),[43] როგორც ამსრულებლობის მეოთხე, დამოუკიდებელ ფორმას.[44] კონკრეტიზაციის მიუხედავად, იგი მაინც თანაამსრულებლობის ცნების ქვეშ მოიაზრება ინდივიდუალური მოდიფიკაციებით.[45]

არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინა საერთაშორისო სისხლის სამართლის დამნაშავეებზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთ მთავარ იარაღად იქცა. კენიის რესპუბლიკის[46] ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში წინასასამართლო პალატამ ჩამოაყალიბა აღნიშნული დოქტრინის აუცილებელი მატერიალური და მენტალური ელემენტები, რომლებშიც კომბინირებულია ის აუცილებელი მოთხოვნები, რომლებიც ICC-მ Prosecutor v. Lubanga-სა და Prosecutor v. Katanga and Chui-ს საქმეებზე თანაამსრულებლობისა[47] და არაპირდაპირი ამსრულებლობისათვის[48] ჩამოაყალიბა.[49]

VI. პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი გარემოებების დოქტრინა

ჰორიზონტალური, ვერტიკალური და ჰიბრიდული პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი გარემოებების ანალიზისას,[50] უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ JCE-ის უარყოფითა და თანაამსრულებლობის, არაპირდაპირი ამსრულებლობისა და არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინების

43. ICC, Prosecutor v. Katanga and Chui, Decision on the Confirmation of Charges (ICC-01/04-01/07), Pre-Trial Chamber, 30 September 2008, 487 და მომდევნო პარ.

44. იხ. ICC, Prosecutor v. Al Bashir, Decision on the Prosecution's Application for a Warrant of Arrest (ICC-01/05-01/09), Pre-Trial Chamber, 4 March 2009, პარ. 210, სადაც წინასასამართლო პალატა ამსრულებლობის სახეებში არაპირდაპირ (თანა)ამსრულებლობას დამოუკიდებელი სახით მოიხსენიებს, როგორც ამსრულებლობის მეოთხე ფორმას რომის სტატუტის 25(3)(a)-ე მუხლში.

45. დგებუაძე, გიორგი, არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინა საერთაშორისო სისხლის სამართალში, 3/24 მართლმსაჯულება და კანონი, 2012, 92-93.

46. კენიის რესპუბლიკის სიტუაციასთან დაკავშირებით დან. იხ. <https://www.icc-cpi.int/kenya>, [16.7.2019]; იხ. ასევე: Kreß, Claus, On the Outer Limits of Crimes against Humanity: The Concept of Organization within the Policy Requirement: Some Reflections on the Martch 2010 ICC Kenya Decision, 23 Leiden Journal of International Law, 2010, 855-873.

47. ICC, Prosecutor v. Lubanga, Decision on the Confirmation of Charges (ICC-01/04-01/06), Pre-Trial Chamber, 29 January 2007, პარ. 343-348.

48. ICC, Prosecutor v. Katanga and Chui, Decision on the Confirmation of Charges (ICC-01/04-01/07), Pre-Trial Chamber, 30 September 2008, პარ. 500-518.

49. ესენია: ბრალდებული ერთ ან რამდენიმე პირთან ერთად უნდა იყოს საერთო გეგმის ან შეთანხმების ნაწილი; ბრალდებულმა და სხვა თანაამსრულებლებმა უნდა განახორციელონ კოორდინირებული არსებითი კონტრიბუცია, მიმართული დანაშაულის მატერიალური ელემენტების რეალიზაციისკენ; ბრალდებულს უნდა გააჩნდეს ორგანიზაციაზე კონტროლი; „ორგანიზაციის" ფარგლებში უნდა არსებობდეს ორგანიზებული და იერარქიული ძალაუფლების აპარატი; დანაშაულის ასრულება უნდა იყოს უზრუნველყოფილი ბრალდებულის მხრიდან გაცემული ბრძანებებით; ბრალდებული უნდა მოქმედებდეს შესაბამისი დანაშაულის მენტალური ელემენტებით; ბრალდებულსა და სხვა თანაამსრულებლებს უნდა ჰქონდეთ შეგნებული და დასთანხმდნენ იმას, რომ საერთო გეგმის ასრულებას შედეგად მოჰყვება დანაშაულის მატერიალური ელემენტების განხორციელება; ბრალდებულს უნდა ჰქონდეს შეგნებული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც აძლევს მას სხვა პირების მეშვეობით დანაშაულის ამსრულებლობაზე განახორციელოს საერთო კონტროლი. იხ. ICC, Prosecutor v. Ruto, Kosgey and Sang, Decision on the Prosecutor's Application for Summons to Appear for William Samoei Ruto, Henry Kiprono Kosgey and Joshua Arap Sang (ICC-01/09-01/11), Pre-Trial Chamber, 8 March 2011, პარ. 40; დგებუაძე, გიორგი, არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინა საერთაშორისო სისხლის სამართალში, 3/24 მართლმსაჯულება და კანონი, 2012, 93-94.

50. ამ თავში გამოყენებულია ნაშრომი: Dgebuadze, Giorgi, Horizontal and Vertical Grounds for Establishing Responsibility in International Criminal Law, Annales Pomorienses. Ius, 2021.

ჩამოყალიბებით ICC ცდილობს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ისეთი დოგმატიკის შექმნას, რომელიც დაფუძნებულია მეცნიერიურისტთა ნააზრევზე.[51]

1. ჰორიზონტალური პასუხისმგებლობის კონცეფცია

ICC თავის პრაქტიკაში Prosecutor v. Lubanga-ს საქმეზე ჩამოყალიბებული თანაამსრულებლობის ცნებით ამკვიდრებს ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის (functional control over the act; funktionelle Tatherrschaft) გერმანულ დოქტრინას, რომელიც დაფუძნებულია ქმედებაზე ბატონობის (domination of the act an control of the act; Tatherrschaft) თეორიაზე და ემსახურება ამსრულებლობასა და თანამონაწილეობას შორის არგუმენტირებული მიჯნის გავლების მიზანს,[52] „თუ ვინ არის უფრო მეტად პასუხისმგებელი".[53] ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის თეორია მხარდაჭერილია ქართულ სისხლის სამართალშიც.[54]

---

51. შეად. Fletcher, George P., New Court, Old Dogmatik, 9 Journal of International Criminal Justice, 2011, 184. იგივე შეიძლება ითქვას JCE-ის დოქტრინაზეც. ICTY-ის სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება Prosecutor v. Tadic-ის საქმეზე. შეგეიძლია მიეჩვიოთ უფრო აკადემიურ ნაშრომად, ვიდრე სასამართლოს გადაწყვეტილებად. შეად. Van Sliedregt, Elies, The Criminal Responsibility of Individuals for Violations of International Humanitarian Law, T.M.C. Asser Press, The Hague, 2003, 100; Dgebuadze, Giorgi, Horizontal and Vertical Grounds for Establishing Responsibility in International Criminal Law, Annales Pomorienses. Ius, 2021.

52 Ambos, Kai, The First Confirmation Decision of the International Criminal Court, კრებულში: Kotsalis, Leonidas / Courakis, Nestor / Mylonopoulos, Christos (ed.), Essays in Honour of Agryrios Karras, Athen, 2010; იხ. ასევე: ტურავა, მერაბ, დანაშაულის მოძღვრება, მერიდიანი, თბილისი, 2011, 6 (პარ. 9), 239-240; აღნიშნული თეორიის რეგულაცია გერმანულ სისხლის სამართალში იხ. Jain, Neha, The Control Theory of Perpetration in International Criminal Law, 12 Chicago Journal of International Law, 2011, 161-176.

53. შეად. Van Sliedregt, Elies, Individual Criminal Responsibility in International Law, Oxford University Press, Oxford, 2012, 77; დგებუაძე, გიორგი, ამსრულებლობა საერთაშორისო სისხლის სამართალში, კრებულში: ტურავა, მერაბ (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, მერიდიანი, თბილისი, 2013, 350-351.

54. შეად. ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერიდიანი, თბილისი, მე-9 გამოცემა, 2013, 81-82, 336-340. მაგალითად, ყაჩაღობის დროს, თუ დაჯგუფების ერთ-ერთი წევრი უშუალოდ არ მონაწილეობს თავდასხმაში და აკონტროლებს მიმდებარე პერიმეტრს და ამით, უშუალოდ დანაშაულის ჩადენის დროს, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში, ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის თეორიის მიხედვით, იგი თანაამსრულებელია. შეად. იქვე, 336-337. განსხვავებულ კვალიფიკაციას ემხრობა ნერეთელი, გამყრელიძე, ნაჭყებია და თოდუა, რომლებიც ფორმალურ-ობიექტურ თეორიაზე დაყრდნობით, აცეთ პირს დამხმარედ მიიჩნევენ. მათი აზრით, თითოეული თანაამსრულებელი უშუალოდ უნდა ასრულებდეს დანაშაულის ერთსა და იმავე შემადგენლობას. იხ. ნაჭყებია, გურამ, დანაშაულში თანამონაწილეობა, ნიგნში: ნაჭყებია, გურამ / თოდუა, ნონა (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მერიდიანი, თბილისი, 2016, 275-276; თოდუა, ნონა, ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის ცალკეული პრობლემები, სახელმძღვანელოში: ნაჭყებია, გურამ / თოდუა, ნონა (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მერიდიანი, თბილისი, 2016, 317, 328-329; გამყრელიძე, ოთარ, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, მერიდიანი, თბილისი, 2013, 260-261, 280-281; გამყრელიძე, ოთარ, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, საჩინო, თბილისი, 2011, 161-162; ნერეთელი, თინათინ, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, მერიდიანი, თბილისი, 2007, 99-119, 134-138. საკითხის დიფერენცირებულად გადაწყვეტას ემხრობიან სულაქველიძე და მჭედლიშვილი-ჰედრიხი, რომლებიც მხოლოდ უშუალო მონაწილეობას (დასწრებას), პირდაპირი მნიშვნელობით, არ მიიჩნევენ თანაამსრულებლობის საკმარის პირობად. იხ. სულაქველიძე, დავით, ქმედებაზე ბატონობა და თანამონაწილეობა, კრებულში: ტურავა, მერაბ (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, მერიდიანი, თბილისი, 2013, 206-208; მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქეთევან, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, მერიდიანი, თბილისი, 2011, 151-156. ოხანაშვილი ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის თეორიას უჭერს მხარს არა თითოეული პირის მიერ შეტანილი წვლილის განცალკევებულად შეფასებით, არამედ მხოლოდ ერთმანეთთან კავშირში, ქმედებისათვის მათი ფუნქციური მნიშვნელობის გათვალისწინებით. იხ. ოხანაშვილი, ანრი, თანაამსრულებლობის დასაბუთება მოქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობით,

თანაამსრულებლობის დოქტრინა შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც დანაშაულის ჩადენის მიზნით რამდენიმე ადამიანის კოორდინირებული მოქმედება, სადაც თითოეულ მათგანს გააჩნია დანაშაულზე კონტროლი, თამაშობს მნიშვნელოვან როლს დანაშაულის ამსრულებლობაში და მასზე დაკისრებული ამოცანების შეუსრულებლობით შეუძლია გავლენა მოახდინოს დანაშაულის მიმდინარეობაზე. თანაამსრულებელს უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ მისი კონტრიბუცია დანაშაულში არსებითია და მოქმედებს მენტალური ელემენტის იმ აუცილებელი მოთხოვნით, რომელიც გათვალისწინებულია ამ დანაშაულისათვის.[55] უფრო მარტივად რომ ვთქვათ, თუ ორ პირს შეუძლია ერთიანად დანაშაულზე კონტროლი, მაშინ ორივე თანაამსრულებელია.[56]

2. ვერტიკალური პასუხისმგებლობის კონცეფცია

Prosecutor v. Katanga and Chui-ს საქმეზე ფართოდ გაშლილი არაპირდაპირი ამსრულებლობის კონცეფცია, რომელიც დანაშაულის ჩადენის ადგილს მოშორებით „სავარძელში მსხდომ მკვლელებზე საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების იდეალურ შესაძლებლობად" არის მოხსენიებული,[57] სისხლის სამართლის მეცნიერებასა და სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკაში კარგად გამოყენებადი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თეორიაა. არაპირდაპირი ამსრულებლობისას შუალობითი ამსრულებელი იყენებს უშუალო ამსრულებელს, როგორც იარაღს დანაშაულის ჩასადენად. არაპირდაპირი ამსრულებლობის შინაარსის განმარტებისას, ICC ავითარებს როქსინის მიერ შემუშავებულ დოქტრინას – „ამსრულებელი ამსრულებლის უკან" (perpetrator behind the perpetrator; Täter hinter dem Täter),[58] სადაც არაპირ-

---

კრებულში: თოდუა, ნინა (რედ.), გურამ ნაჭყებია–75, საიუბილეო კრებული, მერიდიანი, 2016, 275-280; Dgebuadze, Giorgi, Horizontal and Vertical Grounds for Establishing Responsibility in International Criminal Law, Annales Pomorienses. Ius, 2021.

55. როგორც ვხედავთ, ICC-ის მიერ თანაამსრულებლობისათვის წაყენებული დანაშაულში კონტრიბუციის დონე უფრო მაღალია, ვიდრე ICTY-ის სააპელაციო პალატამ განსაზღვრა JCE-ისთვის. შეად. Cassese, Antonio / Acquaviva, Guido / Fan, Mary / Whiting, Alex, International Criminal Law, Cases and Commentary, Oxford University Press, Oxford, 2011, 360.

56. Ohlin, Jens D., Co-Perpetration: German Dogmatik or German Invasion?, კრებულში: Stahn, Carsten (ed.), The Law and Practice of the International Criminal Court, Oxford University Press, Oxford, 2015, 520; დგებუაძე, გიორგი, ამსრულებლობა საერთაშორისო სისხლის სამართალში, კრებულში: ტურავა, მერაბ (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, მერიდიანი, თბილისი, 2013, 350-351; Dgebuadze, Giorgi, Horizontal and Vertical Grounds for Establishing Responsibility in International Criminal Law, Annales Pomorienses. Ius, 2021.

57. *Werle, Gerhard / Burghardt, Boris,* Indirect Perpetration: A Perfect Fit for International Prosecution of Armchair Killers?, 9 Journal of International Criminal Justice, 2011, 85.

58. იხ. ICC, Prosecutor v. Katanga and Chui, Decision on the Confirmation of Charges (ICC-01/04-01/07), Pre-Trial Chamber, 30 September 2008, პარ. 496-497. ICC-ის ნინასასამართლო პალატის მიერ ციტირებულია – Roxin, Claus, Straftaten im Rahmen organisatorischer Machtapparate, Goltdammer's Archiv für Strafrecht, 1963, 193-207. აღნიშნული სტატიის ინგლისური ვერსია იხ. Roxin, Claus, Crimes as Part of Orginized Power Structures, 9 Journal of International Criminal Justice, 2011, 193-205; იხ. ასევე: Weigend, Thomas, Perpetration through an Organization, The Unexpected Career of a German Legal Concept, 9 Journal of International Criminal Justice, 2011, 94-99. დოქტრინის კრიტიკასთან დაკავშირებით იხ. იქვე, 99-101.

დაპირ ამსრულებელზე, პირდაპირ ამსრულებელთან ერთად, ხდება ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება: პირდაპირ ამსრულებელზე – დანაშაულის მატერიალური და მენტალური ელემენტების შესრულებისათვის, ხოლო არაპირდაპირ ამსრულებელზე — დანაშაულზე კონტროლისათვის, პირდაპირი ამსრულებლის ქმედებაზე კონტროლის მეშვეობით. ამსრულებელი ამსრულებლის უკან არის პასუხისმგებელი, გამომდინარე იქიდან, რომ იგი ახორციელებს კონტროლს პირდაპირი ამსრულებლის ქმედებაზე.[59] როქსინის ქმედებაზე ბატონობის თეორიის მიზანიც სწორედ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ამ გზით დასაბუთება იყო.[60]

3. დოქტრინის გავლენა პრაქტიკაზე

არაპირდაპირი ამსრულებელი (mittelbare Täter), როქსინის თეორიით, ბატონობს „ადამიანზე, როგორც ინსტრუმენტზე" (human instrument), რომელიც სჩადის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. თეორიის მიხედვით, უშუალო ამსრულებელი დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად არ აკმაყოფილებს ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელ ელემენტს. თუ იგი დანაშაულის ჩადენაში განიცდის სრულ „ავტონომიას", მაშინ ვერ იქნება იმავდროულად „ინსტრუმენტი" სხვის ხელში – ე.ნ. „ავტონომიურობის პრინციპი" (autonomy principle).[61]

თავიდან როქსინი არაპირდაპირი ამსრულებლობის ტრადიციულ გაგებას ემხრობოდა, სადაც უშუალო ამსრულებელი სისხლისსამართლებრივად არ აგებდა პასუხს, მაგრამ როდესაც გააანალიზა ადოლფ აიხმანის (Adolf Eichman) საქმე[62], რომელიც იერუსალიმში გასამართლდა გენოციდის დანაშაულის გამო,

---

59. იქვე.

60. როქსინის დოგმატიკის – ქმედებაზე ბატონობის (domination of the act; Tatherrschaft) თეორიის მიზანი ამსრულებლობის საერთო დეფინიციური კრიტერიუმის შექმნა იყო. ამსრულებელი ბატონობს (beherrscht) დანაშაულის ჩადენაზე, რომელსაც აქვს ძალაუფლება, განსაზღვროს შესაბამისი ქმედების „შინაარსი". იხ. Werle, Gerhard / Burghardt, Boris, Indirect Perpetration: A Perfect Fit for International Prosecution of Armchair Killers?, 9 Journal of International Criminal Justice, 2011, 191; იხ. ასევე: Kreß, Claus, Claus Roxins Lehre von der Organisationsherrschaft und das Völkerstrafrecht, 153 Goltdammer's Archiv für Strafrecht, 2006. 304-310; ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერიდიანი, თბილისი, მე-9 გამოცემა, 2013, 335-340; სულაქველიძე, დავით, ქმედებაზე ბატონობა და თანამონაწილეობა, კრებულში: ტურავა, მერაბ (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, მერიდიანი, თბილისი, 2013, 191-210; დგებუაძე, გიორგი, ამსრულებლობა საერთაშორისო სისხლის სამართალში, კრებულში: ტურავა, მერაბ (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის საერთაშორისო სიმპოზიუმის კრებული, მერიდიანი, თბილისი, 2013, 351-352; Dgebuadze, Giorgi, Horizontal and Vertical Grounds for Establishing Responsibility in International Criminal Law, Annales Pomonenses. Ius, 2021.

61. Weigend, Thomas, Perpetration through an Organization, The Unexpected Career of a German Legal Concept, 9 Journal of International Criminal Justice, 2011, 96. ქმედებაზე ბატონობა შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით; Dgebuadze, Giorgi, Horizontal and Vertical Grounds for Establishing Responsibility in International Criminal Law, Annales Pomonenses. Ius, 2021.

62. ადოლფ აიხმანი იყო Gestapo-ს მაღალჩინოსანი, რომელიც ებრაელების საკონცენტრაციო ბანაკებში მასშტაბურ გადაყვანაზე იყო პასუხისმგებელი. პოლოკოსტის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა. იგი ლტოლვილის სტატუსით თავს აფარებდა არგენტინას, ბუენოს-აირესს, რიკარდო კლემენტის (Ricardo Klement) სახელით. აიხმანი 1960 ნელს ისრაელის აგენტების მიერ გადაყვანილ იქნა ისრაელში, სადაც გაასამართლეს ებრაელების

მან არაპირდაპირი ამსრულებლობის დოქტრინა, ტრადიციულ გაგებასთან ერთად, სისხლისსამართლებრივად პასუხისმგებელი პირის ქმედებაზე ბატონობის შემთხვევაშიც გახადა შესაძლებელი, როცა პირდაპირი და არაპირდაპირი ამსრულებლების პასუხისმგებლობა ერთობლივად შეიძლება დადგეს. ეს იყო არაპირდაპირი ამსრულებლობის შემთხვევა (indirect perpetration; mittelbare Täterschaft), როდესაც პირდაპირი ამსრულებელი სჩადიოდა დანაშაულს მის ზურგს უკან მდგომი არაპირდაპირი ამსრულებლის ნების შესაბამისად (perpetrator behind the perpetrator; Täter hinter dem Täter).[63]

როქსინის აზრით, აიხმანი, რომელიც გასცემდა მილიონობით ებრაელის მოკვლის ბრძანებას, ვერ იქნებოდა თანამონაწილე, წამქეზებელი ან დამხმარე, რასაც ემხრობოდა „ავტონომიურობის პრინციპი".[64] ამსრულებელი ვერ უზრუნველყოფდა დანაშაულის პრევენციას იმიტომ, რომ არაპირდაპირი ამსრულებლობის დროს ქმედება არ იყო ინდივიდუალური, არამედ ეს იყო „დანაშაულებრივი ორგანიზაციის" ნაწილი.[65] როქსინი იზიარებდა სასამართლოს შეფასებას აიხმანის ბრალეულობასთან დაკავშირებით – ისეთ ფართო დანაშაულებში, რომლებშიც უამრავი ადამიანი მონაწილეობდა, ბრალდებულის შემთხვევაში არ იყო „პრაქტიკული" „დახმარებისა" და „წაქეზების" ცნებების გამოყენება. იგი მოიაზრებოდა, როგორც ამსრულებელი.[66] აიხმანის მონაწილეობის ყველა დონე იყო არსებითი. იგი გამოცხადდა ძირითად ამსრულებლად სხვადასხვა დანაშაულებრივი ქმედების დახმარებისა და კოოპერაციისათვის. პროცესზე აღინიშნა, რომ მასშტაბურ დანაშაულებში რთული იყო განსაზღვრა, თუ „ვინ ვინ წააქეზა".[67] როქსინმა ახალი კონცეფციის ჩამოყალიბებისას საბჭოთა უშიშროების სამსახურის აგენტის, ბოგდან სტაშინსკის (Bogdan Stashynsky) საქმეც გააანალიზა.[68]

შესაბამისად, როქსინი ორგანიზებული ძალაუფლების სტრუქტურის მიერ

ნინააღმდეგ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულებისათვის. დან. იხ. Ben-Naftali, Orna, Eichman, კრებულში: Cassese, Antonio (ed.), The Oxford Companion to International Criminal Justice, Oxford University Press, Oxford, 2009, 653-656; იხ. ასევე: Bilsky, Leore, The Eichmann Trial, Towards a Jurisprudence of Eyewitness Testimony of Atrocities, 12 Journal of International Criminal Justice, 2014, 27-57; Dgebuadze, Giorgi, Horizontal and Vertical Grounds for Establishing Responsibility in International Criminal Law, Annales Pomorienses. Ius, 2021.

63. *Weigend, Thomas,* Indirect Perpetration, კრებულში: *Stahn, Carsten* (ed.), The Law and Practice of the International Criminal Court, Oxford University Press, Oxford, 2015, 547.

64. *Weigend, Thomas,* Perpetration through an Organization, The Unexpected Career of a German Legal Concept, 9 Journal of International Criminal Justice, 2011, 96.

97. ICC, Prosecutor v. Al Bashir, Decision on the Prosecution's Application for a Warrant of Arrest (ICC-01/05-01/09), Pre-Trial Chamber, 4 March 2009, paras. 216, 221-223; See also: Jessberger, Florian / Geneuss, Julia, On the Application of a Theory of Indirect Perpetration in Al Bashir, German Doctrine at The Hague?, 6 Journal of International Criminal Justice (2008), pp. 853-869; Dgebuadze, Giorgi, Indirect (Co)Perpetration Doctrine in International Criminal Law, 3(34)'12 Justice and Law, 2012, pp. 95-96 (in Georgian); Dgebuadze, Giorgi, Horizontal and Vertical Grounds for Establishing Responsibility in International Criminal Law, Annales Pomorienses. Ius, 2021.

98. Manacorda, Stefano / Meloni, Chantal, Indirect Perpetration versus Joint Criminal Enterprise, Concurring

VII. Conclusion

Overall, the new dogmatics of perpetration in international criminal law is more pragmatic comparatively with the personal responsibility doctrine of the ad hoc tribunals, especially in terms of the criminal responsibility of high-ranking state officials for usage the state apparatus to commit the crime. The Rome Statute relies on the 'hierarchy of blameworthiness' of the participants in the crimes, and it's obligatory to be defined[99] – the severity of punishment must be defined by the relative weight of guilt which is the prerequisite of immense sentencing. The sentencing is impossible without the equality of personal blameworthiness to the degree of involvement in a crime.[100]

The discussed doctrines of criminal responsibility methodically differ from the individual criminal responsibility concepts of the other international criminal tribunals. Within the doctrine of the perpetration, while relying on the German criminal law theory of the domination of the act, the ICC established the control over the crime notion with the essential contribution standard, in particular, for co-perpetration – the functional control over the act and for indirect perpetration – the control over the organization. Therefore, indirect (co)perpetration relies on the systemic concept of control over the crime. Accordingly, within the Rome Statute international criminal law has some independent models to manage the perpetration concept: the horizontal direction presents the co-perpetration doctrine, the vertical direction – the indirect perpetration doctrine and the 'hybrid' direction – indirect (co)perpetration doctrine, which depends on the concepts of these two doctrines of perpetration.[101]

Approaches in the Practice of International Criminal Law?, 9 Journal of International Criminal Justice, 2011, p. 177; Dgebuadze, Giorgi, Indirect (Co)Perpetration Doctrine in International Criminal Law, 3(34)'12 Justice and Law, 2012, pp. 95-96 (in Georgian); Dgebuadze, Giorgi, Horizontal and Vertical Grounds for Establishing Responsibility in International Criminal Law, Annales Pomorienses. Ius, 2021.

99. Especially in international criminal law. For more details see Kreß, Claus, International Criminal Law, in: Wolfrum, Rudiger (ed.) The Max Planck Encyclopedia of Public International Law, Volume V, Oxford University Press, Oxford, 2012, pp. 717-732.

100. Turava, Merab, The Doctrine of Crime, 'Meridiani' Press, Tbilisi, 2011, p. 46; Werle, Gerhard / Burghardt, Boris, Establishing Degrees of Responsibility: Modes of Participation in Article 25 of the ICC Statute, in: Van Sliedregt, Elies / Vasiliev, Sergey (eds.), Pluralism in International Criminal Law, Oxford University Press, Oxford, 2014, pp. 303-304, 318-319; Dgebuadze, Giorgi, The Model of an Individual Attribution of a Crime in International Criminal Law and its Evolution under the Influence of Anglo-American and German Criminal Law Systems, TSU, Tbilisi, 2017, pp. 242-243; Dgebuadze, Giorgi, Horizontal and Vertical Grounds for Establishing Responsibility in International Criminal Law, Annales Pomorienses. Ius, 2021.

101. Dgebuadze, Giorgi, The Model of an Individual Attribution of a Crime in International Criminal Law and its Evolution under the Influence of Anglo-American and German Criminal Law Systems, TSU, Tbilisi, 2017, p. 176; Dgebuadze, Giorgi, Horizontal and Vertical Grounds for Establishing Responsibility in International Criminal Law, Annales Pomorienses. Ius, 2021.

ვეფხვია გვარამია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

გენოციდისა და ომის დანაშაულისათვის პასუხის მგებლობის პრობლემები დროში, სივრცეში და პირთა მიმართ

შესავალი

თემის აქტუალობა. გენოციდის და ომის დანაშაულის შემადგენლობაში შემავალი ქმედებებიკონვენციით მე-20 საუკუნის 50–იან წლებში განისაზღვრა. კონვენციის მონაწილეება ევალებოდათ თანამშრომლობა და შიდასახელმწიფოებრივი იმპლემენტაცია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს 1993 წლის 8 ივლისს დაემატა მუხლი 65 გენოციდი, 1993 წლის 11 ოქტომბერს საქართველო შეუერთდა გენოციდისდან აშაულისთავიდანაცილებისადადასჯისშესახებკონვენციას,ხოლო 1993 წლის 11 ოქტომბერს, საქრთველო შეუერთდა 1949 წლის 14 აგვისტოს ჟენევის ოთხ კონვენციას და 1977 წლის დამატებით ოქმს. აღნიშნულ კონვენციებთან შეერთების დაყოვნება, რიგ შემთხვევებში ომის დანაშაულისა და გენოციდის დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის არიდების საშუალებად იქცა. აღნიშნული დღესაც იწვევს აზრთა სხვადასხვაობას პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების ძალაში შესვლიდან საერთაშორისო დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის ათვლა, აფერხებს მის გავრცელებას 2002 წლამდე ჩადენილ ქმედებებზე.გენოციდისა და ომის დანაშაულის გამოძიებას აბრკოლებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების არანევრი სახელმწიფოების მიერ სასამართლოსთან თანამშრომლობაზე უარის თქმა, რაც ბრალდებულთა მიერპასუხისმგებლობის არიდების საშუალებაა.

პუბლიკაციის მიზანი ისტორიულ-სამართლებრივი, შედარებით-სამართლებრივი და დოგმატური კვლევის მეთოდებისა და არსებული მასალის ანალიზის საფუძველზესაქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი გენოციდისა და ომის დანაშაულისათვის დროში, სივრცეში და პირთა წრის მიმართპასუხისმგებლობის პრობლემების, არსებული პრაქტიკის, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი ნორმების გათვალისწინებითსაკით ხისწარმოჩენის, შეფასების, რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადებაა.

1.გენოციდისა და ომის დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის პრობლემები დროში.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში აქტუალური გახდა საერთაშორისო

სისხლის სამართლის სასამართლოს შექმნის იდეა, ეს საკითხი მე-20 საუკუნეში თავს იჩენდა ომის დამთავრების შემდეგ. რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნებისათვის დაუშვებელი იყო ჩადენილი ქმედების დასასჯელად მიეღოთ ნორმები, მიეცათ მათთვის უკუქცევითი ძალა და შეექმნათ მათ დასასჯელად სპეციალური ტრიბუნალი. თუმცა მსჯელობები, მოგვიანებით მატერიალური ნორმების მიღების შესაძლებლობას ქმნიდა.

1859 წელს სოლფერინოს ბრძოლაში დაჭრილი მებრძოლები შვეიცარიელმა ბიზნესმენმა ჰენრი დიუნანმა მოინახულა და დაჭრილთა მძიმე მდგომარეობით შთაგონებულმა დაწერა წიგნი „სოლფერინოს მოგონებები", რომელშიც ავტორი გამოთქვამდა იდეას, სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილიყო ნეიტრალური ჰუმანიტარული ორგანიზაცია, რომელიც დაეხმარებოდა დაჭრილებს და მშვიდობიან მოსახლეობას. აღნიშნული იდეის საფუძველზე შეიქმნა წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის ორგანიზაციებიდა ჟენევის 1964 წლის 22 აგვისტოს კონვენცია „ჯარში დაჭრილთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ".კონვენციაში მოცემული მატერიალური ნორმები, საერთაშორისო სამართლის ჩვეულებების და რომანულ-გერმანული კანონმდებლობის მიხედვით ვერ გავრცელდებოდა კონვენციის მიღებამდე განხორციელებულ ქმედებებზე.

1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომის დასრულების შემდეგ, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტმა გუსტავ მუანემ წარმოადგინა კონვენციის პროექტი, 1964 წლის კონვენციით გათვალიწინებული დარღვევებისათვის ბრალდებული პირების პასუხისგებაში მისაცემად საერთაშორისო სასამართლოსშექმნის შესახებ. აღნიშნული კონვენციით სასამართლოს შექმნის იდეა ნარუმატებლად დასრულდა. შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობდა პროცესუალური ნორმები და საერთაშორისო მექანიზმები 1864 წლის კონვენციით გათვალისწინებული მატერიალური ნორმების დარღვევების დასასჯელად.

მე-20 საუკუნის დასწყისიდან აქტუალური იყო დაეების მშვიდობიანი გადაწყვეტისა და ომის დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დადგენა, თუმცა პრაქტიკა არ არსებობდა. მნიშვნელოვანი იყო მატერიალური ნორმების მიღება ომის დროს ჩადენილი ისეთი ქმედებების აკრძალვისათვის რომელიც გაუმართლებელ შედეგებს იწვევდა. ჰააგის კონფერენციებზე 1899-1907 წლებში მიღებული იქნა სამი კონვენცია, რომელიც ომის მიმდინარეობის დროს ჰუმანური მოპყრობის პრინციპებს და წესჩვეულებებს ეთმობოდა. კონვენციების მიღება განპირობებული იყო ომების შედეგად გამოწვეული ზიანის შეფასებით, რაც გამოიხატებოდა დაჭრილების, ავადმყოფების, სამხედრო ტყვეების და მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ სასტიკი მოპყრობისგან დასაცავად. მოცემული წესები

ზოგად რეგულაციებს ექვემდებარებოდა და მათი დაცვისთვისეფექტური საერთაშორისო მექანიზმები არ არსებობდა.

ჰააგის 1899 წელს კონფერენციების შედეგად შემუშავებული იქნა სამი კონვენცია საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადწყვეტის შესახებ; სახმელეთო ომის კანონებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ; საზღვაო ომში ჟენევის 1864 წლის კონვენციის პრინციპების გამოყენების შესახებ. მიღებული იქნა აქვე სამი დეკლარაცია, რომელიც ომის დროს აკრძალული იარაღის გამოყენებას ეთმობოდა.

კონცეპტუალურ დონეზე საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შექმნის აუცილებლობის იდეა 1881 წელს დასაბუთებული იყო ლ. კამაროვსკის სადოქტორო დისერტაციაში „საერთაშორისო სასამართლოზე", ნაშრომი მოგვიანებით ფრანგულ ენაზე გამოიცა პარიზში.[1]

1907 წელს სამიეე კონვენციის განახლება განხორციელდა, საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადწყვეტისშესახებ კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოების მიზანი იყო ხელი შეეწყოთ საერთაშორისო დავების მეგობრული გადაწყვეტისათვის. შემუშავებული იქნა დავების გადასაწყვეტად სხვადასხვა მექანიზმები, რომელთა შორის მნიშვნელოვანი იყო მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო.[2] კონვენცია სახელმწიფოთაშორის დავების პრევენციის საშუალებას უფრო წარმოადგენდა, ვიდრე ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობას.

სახმელეთო ომის კანონებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ კონვენციის პირველი მუხლი ითვალისწინებდა მონაწილე სახელმწიფოს ვალდებულებას გაეცა ბრძანება თავიანთ სახმელეთო ძალებს დაეცვათ კონვენციით გათვალისწინებული წესებ".მოცემული გარემოებები სახელმწიფოს ვალდებულებას აკისრებდა კონვენციის რატიფიკაციის პროცესში მიეღო საკანონმდებლო ზომები. ჰააგის კონვენციებიში არ იყო გამოკვეთილი ფიზიკური პირის საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.მას არ გააჩნდა უკუქცევითი ძალა და ის ინვევდა სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართლევრ პასუხისმგებლობას მხოლოდ კონვენცის რატიფიკაციის შემდეგ განხორციელებულ ქმედებებზე.აღნიშნული კონვენციების და დეკლარაციების მიღებამნიშვნელოვანიიყო საერთაშორისო სამართლის განვითარებისა და ფიზიკური პირების საერთაშორისო სისხლისსამართლევრივი პასუხისმგებლობის კონცეფციის ჩამოყალიბებისთვის. კონვენციები სახელმწიფოებს ავალდებულებდა მიეღო საკანონმდებლო ზომიები და ურთიერთობებში აღიარებული ნორმებიდაეცვათ. ომის დასრულების შემდეგ სამშვიდობო ხელშეკრულებებში ფიქსირდებოდა

1. Kamarovskii L.A. Le tribunal international / Transl. S. de Westman. Paris, 1887.
2. 1907 წლის კონვენცია საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2794462?publication=0

ომის დროს ჩადენილ დანაშაულებზე ამინისტიის გამოცხადება, რაც პასუხისმგებლობას ხელს უშლიდა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ჩადენილ დანაშაულებში ბრალდებულთა დასჯისათვის ვერსალის ხელშეკრულების საფუძველზე დადგა სმხედრო ტრიბუნალების შექმნის საკითხი. არსებობდა 3 ტიპის სასამართლო.გერმანიის ყოფილი იმპერატორის ვილჰელმ II–ის მიერ ჩადენილიქმედებებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის ვერსალის ხელშეკრულების 227-ე მუხლის მიხედვით განისაზღვრა შექმნილიყო გამარჯვებული ქვეყნების წარმომადგენლების მიერსპეციალური ტრიბუნალისაერთაშორისომორალისშეურაცხყოფისდახელშეკრულებებისწმინდაძალის პრინციპების დარღვევისათვის.

ვერსალის ხელშიკრულების 229-ე მუხლის თანახმად თუ სამხედრო დანაშაული არღვევდა გაერთიანებული რამოდენიმე სახელმწიფოს ინტერესს, ასეთი საქმეები ექვემდებარებოდა დაინტერესებულ სახელმწიფოთა მიერ პარიტეტულ საფუძველზე შექმნილ სამხედრო სასამართლოს. ვერსალის ხელშეკრულებით სამხედრო დანაშაულის კონკრეტული სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ ჩადენის შემთხვევაში ექვემდებარებოდა კონკრეტული სახელმწიფოს სამხედრო სასამართლოს.[3]ყოფილი გემანიის იმპერატორის ვილჰემ II -ის სასამართლო ტრიბუნალი არ ჩატარდა, ჰოლანდიის მთავრობამ უარი განაცხადა ვილჰემ II -ის ექსტრადიციაზე, კანონის უკუქცევითი ძალიდან გამომდინარე თვლიდა, რომ ქმედების ჩადენის შემდეგ მიღებული კანონით პასუხისმგებლობა გაუმართლებელი იყო. ჰოლანდიის სასამართლო მოკავშირეთა ზემოქმედების შედეგად ვილჰემ II-ის მიმართ მსუბუქი საჯელით შემოიფარგლა და მას გადასახლება მიუსაჯა. შემდეგ ჰოლანდიის მთავრობა საკუთარ კონსტიტუციაზე დაყრდნობით უთითებდა, რომ უცხოელები სარგებლობდნენ კანონის დაცვით და უარს აცხადებდა ექსტრადიციაზე.

ანატოლი შარკოვი აღნიშნავს, რომ ვესალის ხელშეკრულების 228-ე მუხლის თანახმად მოკავშირეები გერმანიის მთავრობას აკისრებდნენ ვალდებულებას სამხედრო სასამათლების მეშვეობით პასუხისმგებლობა დაეკისრებინა იმ მოქალაქეებისათვის, რომელთაც ჩაიდეინეს ომის კანონებისა და ჩვეულებების დარღვევა.[4] ვერსალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ნორმა, ბრალდებულები დაქვემდებარებოდნენ

3. Treaty ofpeace with Germany (Treaty of Versailles) Art. 229 https://www.nationalarchives.gov.uk/pathways/firstworldwar/aftermath/p_versailles.htm

4. Шарков Анатолий Васильевич. Ответственность за военные преступления, совершённые в годы Первой мировой войны: международно-правовой аспект, Первая мировая война в исторических судьбах Европы : сб. материалов Междунар. науч. конф., г. Вилейка, 18 окт. 2014 г. / редкол. : В.А. Богуш (пред.) [и др.]. – Минск: Изд. центр БГУ, 2014. –С. 373. file:///C:/Users/User/Desktop/s%20%20%20%20t%20%20%20%20a%20%20%20%20t%20%20%20i%20%20a/Sharkov.pdf

დანაშაულის ჩადენის სახელმწიფოს განსჯადობას, ვერ განხორციელდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ, მათი მფარველობისა და იურისდიქციის მოტივით. გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა გერმანიას 870 ომის კანონებისა და ჩვეულებების დარღვევაში ბრალდებულების ექსტრადიცია მოთხოვა, რომლებიც გერმანიში მაღალი რანგის პოლიტიკოსები და სამხედრო მოღვაწეები იყვნენ.[5]გერმანიის ხელისუფლებამ აღნიშნული მოთხოვნის მიმართ 1920 წლის 25 იანვრის ნოტაში უარყოფითი პოზიცია დაიკავა, სადაც აღნიშნული იყო, რომ მსგავსი ქმედება იწვევდა ქვეყანაში ანარქიას და პირობას იძლეოდა, რომ კანონმდებლობას ნაკისრ ხელშეკრულებებთან შესაბამისობაში მოიყვანდა და დამნაშავეებს ლაიფციგის იმპერიის სასამართლოს გადასცემდა და დასჯიდა. რაიხსტაგმა 2019 წლის 12 დეკემბერს მიიღო კანონი, რომელიც ადგენდა გერმანიის იმპერიის სასამართლოს იურისდიქციას პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა მიერ ჩადენილი ქმედებისათვის გასამართლებას.[6]

ანატოლი შარკოვი ასკვნის, რომ გერმანიაში ჩატარებული პროცესების „უმრავლესობა „აღმოჩნდა ფარსი". მოკავშირეები და გერმანელებიც მას უწოდებდნენ „თეატრალილურ კომედიას", რასაც ისინი იძულებით თამაშობდნენ გამარჯვებულთა სასარგებლოდ."[7]

ვერსალის ხელშეკრულების თანახმად ლაიფციგში 45 პროცესი დაიწყო, არსებითად განიხილეს მხოლოდ რამოდენიმე საქმე დანარჩენი შეჩერებული იქნა. ექვსი ბრალდებული გამართლდა, ექვსი კი გასამართლებული იქნა გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსით. ვოტცელი თვლის, რომ აღნიშნული განპირობებული იყო საერთაშორისო სამართალში ომის დანაშაულების კრიმინალიზაციის არარსებობით.[8] მსგავს პოზიციას ანვითარებს ი. არციბასოვი და ს.ეგოროვი[9]

ა. ვოლევოდზი და ბ. ვოლევოდზი, ვერსალის ხელშეკრულების მნიშვნელობის შეფასებისას აღნიშნავს, რომ „ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულება წარმოადგენს პირველ საერთაშორისო სამათლებრივ დოკუმენტს, რომელშიც მოცემულია საერთაშორისო სისხლის სამართლის შესაბამისად სახელმწიფო მეთაურთა პასუხისმგებლობის ნორმები, რისთვისაც გათვალისწინებული იქნა მათი გადაცემა სპეციალური საერთაშორისო სასამართლოსათვის, ასევე იმ პირების

5. Шарков Анатолий Васильевич, იქვე. file:///C:/Users/User/Desktop/s%20%20%20%20t%20%20%20%20a%20%20%20%20%20t%20%20%20%20i%20%20a/Sharkov.pdf
6. Kriegsverbrechverfolgungsgesetz, RGBl. 1919. S. 2125 f.
7. Шарков Анатолий Васильевич, С. 374. file:///C:/Users/User/Desktop/s%20%20%20%20t%20%20%20%20a%20%20%20%20%20t%20%20%20%20i%20%20a/Sharkov.pdf
8. Woetzel R.-K. The Nurenberg Trial in International Law. London; New-York, 1962. p. 32 – 34.
9. Арцибасов И.Н., Егоров С.А. Вооруженный конфликт: право, политика, дипломатия. М., 1989. – с. 185.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომლებიც ბრალდებულები იყვნენ საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევაში."[10]

ა. ვოლევოდზი და ბ. ვოლევოდზი ხაზს უსვამს ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულების რეალიზაციისათვის, ერთი მხრივ პროცესუალური წესების, მეორე მხრივ კი საერთაშორისო დანაშაულების შემადგენლობის მარეგლამენტირებელი საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტებით არასაკმარის სამართლებრივ რეგულირებას, რომელმაც საშუალება არ მისცა შეექმნათ საერთაშორისო სასამართლო.[11]

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-20 საუკუნის დასაწყისში მიღებული კონვენციების რეალიზაციის თვალსაზრისით მოკავშირე სახელმწიფოთა მცდელობა დაესაჯათ პირველი მსოფლიო დამნაშავეები წინგადადგმული ნაბიჯი იყო, თუმცა, ვფიქრობ, პირველი ტრიბუნალის ნარუმატებლობა განპირობებული იყო იმით, რომ არ იქნა გათვალისწინებული განსხვავებული სამართლებრივი სისტემებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, მაგალითად იურისდიქციის, ტერიტორიულობის პრინციპის, კანონის უკუქცევითი ძალის, ბრალის წარდგენის თავისებურებები და მოქალაქეობის საკითხები.არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებები, კონვენციები აღნიშნული საკითხების გადაჭრის საშუალებას არ იძლეოდა, ამასთან ერთად არ იყო შესწავლილი საერთაშორისო სისხლის სამართლის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, რომელიც მსოფლიო სამართლებრივი სისტემების კონსესუსსშექმნიდა.

პირველი მსოფლიო ომის დამნაშავეთა დასჯისათვის,საერთაშორისო სისხლის სამართალი, კანონის უკუქცევითი ძალის და სამართლის პრინციპების საფუძველზე პრეცედენტების მიღების საშუალებას არ იძლეოდა. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში კისათანადო ნორმატიული წყაროები არ არსებობდა.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ სახელმწიფოთა თანამშრომლობა საერთაშორისო დანაშაულების ფორმირებასთან დაკავშირებით შეჩერდა, ვფიქრობ აღნიშნული განპირობებული იყო პირველი მსოფლიო ომის დამნაშავეთა დასჯის კრახით, საერთაშორისო სისხლის სამართლის საკითხების არასათანადო დამუშავებით და საერთო ნორმების უნიფიკაციის არარსებობით.

1937 წელს მომზადდა ხელშეკრულება, რომელიც ტერორისტების გასასამართლებლად საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამარლოს შექმნას ითალისწინებდა, სახელმწიფოებმა აღნიშნულ საკითხს მხარი არ დაუჭირეს. მეცნიერთა დიდი ნაწილი საერთაშორისო სისხლის

10. А.Г. Волеводз, В.А. Волеводз, ВолеводзА.Г. Исторические и международно-правовые предпосылки формирования современной системы, международной уголовной юстиции, Международное уголовное право и международная юстиция. – 2008. – No2. – с. 7.
11. А.Г. Волеводз, В.А. Волеводз с. 7.

სამართლის განვითარებას რეალურად თვლიდ მეორე მსოფლიო ომის დროს.[12] განსაკუთრებით ხაზგასმული იქნა 1943 წლის 19–30 ოქტომბრის მოსკოვის დეკლარაციის მნიშვნელობა, საბჭოთა კავშირის, აშშ–ს და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რომელიც დანაშაულის ჩადენის მიუხედავად ითვალისწინებდა ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობას.[13]

საერთაშორისო სისხლის სამართლის მკვლევართა დიდი ნაწილი საერთაშორისო სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის საფუძვლად 1945 წლის 8 აგვისტოს შეთანხმებას მიიჩნევს, რადგან ის ნიუნბერგის ტრიბუნალის დამფუძნებელ დოკუმენტს წარმოადგენდა, მოლაპარაკებებში მონაწილე სახელმწიფოების აზრი ორად გაიყო საბჭოთა კაშირი და საფრანგეთი, მათი სამართლებრივი სისტემიდან გამომდინარე ეწინააღმდეგებოდნენ აშშ-ს და დიდი ბრიტამეთის სამართლებრივ სისტემას, პრეცედენტული სამართლის დამკვიდრების საკითხზე. მიღწეულმა კონსესუსმა ხელი შეუწყო საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარებას.[14]

ნიურბერგის სამხედრ ტრიბუნალის წესდების მე-6 მუხლში 3 საერთაშორისო დანაშაული იყო გამოკვეთილი: 1. დანაშაული მშვიდობის წინაარმდეგ; 2. ომის დანაშაული; 3.დანაშაული ადამიანურობის წინააღმდე. აღნიშნულმა კლასიფიკაციამ საფუძველი დაუდო საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარების პერსპექტივას „სამხედრო ტრიბუნალის პრაქტიკის შედეგად, შეიცვალა სახელმწიფოთა დამოკიდებულება საერთაშორისო დანაშაულისადმი.“[15] მეცნიერთა ნანილი სრულიად სმართლიანად მიიჩნევს, რომ ტრიბუნალის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა არის საერთაშორისო სამართლით პირდაპირი პასუხისმგებლობა, რომელიც გახდა ფუნდამენტალური განაცხდი საერთაშორისო სისხლის სამართალში.[16]

კარსტერ შტანი აღნიშნავს, რომ გენოციდი, დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, ომის დანაშაულისა და აგრესიის ტერმინები სახელმწიფოთა ინტერესის გათვალისწინებით ისტორიულად მომდინარეობს პროცესებში სხელმწიფოს ჩართულობის იდეიდან.[17] აღნიშნული მოსაზრების ავტორი დასძენს, რომ გასული ათწლეულების განმავლობაში თითოეული ეს

12. Robert Cryer, Hakan Friman, Darryl Robinson and Elizabeth Wilmshurst, International Criminal Lawand ProcedureCambridge University Press, New York 2007, p. 92.
13. ვეფხვია გვარამია, საერთაშორისო დანაშაულში ბრალდებულის ექსტრადიცია, სიკ, თბ., 2002, გვ. 19-20.
14. Robert Cryer, Hakan Friman, Darryl Robinson and Elizabeth Wilmshurst, International Criminal Law and Procedure Cambridge University Press, New York 2007, p. 93.
15. ვეფხვია გვარამია, საერთაშორისო დანაშაულში ბრალდებულის ექსტრადიცია, სიკ, თბ., 2002, გვ. 32.
16. Robert Cryer, Hakan Friman, Darryl Robinson and Elizabeth Wilmshurst, International Criminal Law and Procedure Cambridge University Press, New York 2007, p 94.
17. Carsten Stahn, A Critical Introduction to International Criminal Law , Cambridge University Press, 2019, p. 32.

დანაშაული საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალებისა და სასამართლოების პრაქტიკაში ახალ კონტექსტში იქნა განმარტებული[18]

საერთაშორისო სისხლის სამართალი განვითარდა მძიმე გარემოებების ზენოლის შედეგად. ის წარმოიშვა ახალი ტიპის დანაშაულის აუცილებლობიდან გამომდინარე. მოგვიანებით გამოიკვეთა, რომ ომის დანაშაულები და კაცობრიობის წინაარმდეგ მიმართული დანაშაულების კონცეფციები უპირისპირდება ერთმანეთს და ურთირთ დაკავშირებულია. მაგალითად, მოქმედება ოკუპირებულ ტერიტორიაზე ან მოქალაქეების წინააღმდეგ შეტევა შეიძლება იყოს ომის დანაშაულები, ისევე როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები, როდესაც საომარი მდგომარეობა არარსებობს, ჩადენილი ქმედებები ნეიტრალური სახელმწიფოების მოქალაქეების წინააღმდეგ ან მტრის მოქალაქეების წინააღმდეგ, კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულია, მაგრამ არ არის ომის კანონების და ჩვეულებების დარღვევა და შესაბამისად ომის დანაშაულები.[19] სპეციალური კომისიის მუშაობის, სასამართლო პრაქტიკის და სამეცნიერო დოქტრინების შეჯერების შედეგად ხარვეზები მეტნაკლებად აღმოიფხვრა.

ნიურბერგის ტრიბუნალის მსვლელობის პროცესში ომის დანაშაულების და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში გადანაწილდა გენოციდის დანაშაულის შემადგენლობაში შემავალი ქმედებები, რაც განპირობებული იყო გენოციდის დანაშაულის შესახებ კონცეფციის და სათანადო ნორმის არარსებობით. შემდგომმა კონცეფციებმა და პრაქტიკამ აჩვენა, რომ გენოციდი უმძიმესი დნაშაულია და მისი შემადგენლობის ცალკე გამოყოფა იყო საჭირო. 1946 წლის 1 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო გენოციდის შესახებ სპეციალური რეზოლუცია, რომლის ძირითადი ნაწილის არსი განიმარტა შემდეგი სახით, გენოციდი არის ადამიანური ჯგუფების არსებობის უფლების უარყოფა, მკვლელობა, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სულისკვეთებას და მიზნებს. ვინაიდან, გენოციდის დანაშაულის მრავალი შემთხვევაა ჩადენილი, როდესაც რასობრივი, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა ჯგუფები მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურებულია, გენოციდის დანაშაულისთვის დასჯა საერთაშორისო ინტერესის სფეროა. ზემოაღნიშნულ რეზოლუციაში მოცემული რეკომენდაციების შემდეგ, ახალი ტიპის საერთაშორისო დანაშაული გახდა განხილვისა და შესწავლის საგანი[20]

18. Carsten Stahn, იქვე.

19. History of the United Nations War Crimes Commission and the development of the laws of war, Compiled by the United Nations War Crimes Commission, London 1948 , p.188-189 (https://heinonline.org/HOL/License) file:///C:/Users/User/AppData/Local/Temp/1948HistoryoftheUnitedNat.pdf

20. History of the United Nations War Crimes Commission and the development of the laws of war, Compiled by the United Nations War Crimes Commission, London 1948 , p.200 (https://heinonline.org/HOL/License) file:///C:/Users/User/AppData/Local/Temp/1948HistoryoftheUnitedNat.pdf

გერმანელი ბრალდებულების ადვოკატები საუბრობდნენ ნიურნბერგის პროცესის ხარვეზებზე და უთითებდნენ კონკრეტული კანონის არარსებობას ქმედების ჩადენის დროს, შერიფ ბასიოუნი აღნიშნავს, რომ ნიურბერგის ტრიბუნალს ორი ძირითადი ნაკლი ქონდა 1. პოზიტიური საერთაშორისო სისხლის სამართლის კანონმდებლობა არასაკმარისი იყო, მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად კანონიერების პრინციპი იქნა გამოყენებული საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში; 2.მხოლოდ დამარცხებულები იყვნენ დასჯილი.[21] აღნიშნულის მიუხედავად ბასიუნი მართებულად დასძენს, რომ დიდი მსხვერპლის და განსაკუთრებული სისასტიკეების გამო, ომის შემდეგ საერთაშორისო მართლმსაჯულების შექმნა აუცილებელი იყო.[22]

დევიდ კოენი აღნიშნავს, რომ ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე 1991 წლიდან ჩადენილი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები აღიარებულია, როგორც მნიშვნელოვანი მოვლენა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ტრიბუნალის შესაქმნელად. კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ტრიბუნალი არ უნდა შექმნილიყო, რადგან განწირული იყო წარუმატებლობისთვის, რაც გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდა საეთაშორისო სამართლის მიზნებს.დევიდ კოენი სვამს კითხვას, რა შეიძლება იყოს ახალი საერთაშორისო ტრიბუნალის მიღწევა, რომელსაც საერთაშორისო სამართლის სამომავლო განვითარებისათვის ექნება მნიშვნელობა? ტრიბუნალს დაევალა ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მოსახლეობის მიმართ ჩადენილი სისასტიკეებისათვის პასუხისგებაში მიცემა, რა რისკებს აწყდება ის ამ როლის შესრულებისას?[23] აღსანიშნავია, რომ ყოფილი იუგოსლავის ტერიტორიაზე ჩდენილი დანაშაულებისთვის მიღებული წესდება აშკარად აფართოებს იურისდიქცია სკაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების, 1948 წლის გენოციდის კონვენციის დებულებების და ომის კანონებისა და ჩვეულებების მიმართ, რომელიც წარმოადგენდა წარმატებას საერთაშორისო დანაშაულების კოდიფიკაციის პროცესში.

მნიშვნელოვანი იყო იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც დასაქმებული იყვნენ სამხედრო აპარატში და ასრულებდნენ ბრძანებებს. დევიდ კოენი ბრძანების პასუხისმგებლობის დოქტრინაზე დაყრდნობით ასკვნის, რომ ნიურბერგის ქარტიის და სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად სხვადასხვა რანგის მოხელეებს არ შეეძლოთ უარი ეთქვათ

21. M. Cherif Bassiouni, Enforcing Human Rights through International Criminal Law and through an International Criminal Tribunal., Studies in Transnational Legal Policy Volume 26, 1994 p. 358-359 file:///C:/Users/User/AppData/Local/Temp/26StudTransnatlLegalPoly3.pdf

22. იქვე.

23. Cohen, David. „The International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia and International Law." East European Constitutional Review, vol. 5, no. 4, Fall 1996 p. 75 file:///C:/Users/User/AppData/Local/Temp/5EEurConstRev75.pdf (https://heinonline.org/HOL/License)

დიქტატორის ბრძანებების შესრულებაზე, [24]ნიურნბერგის სასამართლო პროცესზე აღნიშნული საფუძვლით გამართლებული იქნა აპარატის თანამშრომლები.[25]

საერთაშორისო სამართლში არსებული შენიშვნები და ახალი ტრიბუნალების პრაქტიკა საინტერესოა ბრძანების საფუძველზე პასუხისმგებლობისგან გასათავისუფლებად, აღნიშნულთან ერთად საკითხის მომავალი განვითარებისთვის გამჭრიახობასთან ერთად მნიშვნელოვანია მტკიცებულების მოპოვება. დეეიდ კოენი დროებითი სამხედრო ტრიბუნალების მნიშვნელობიდან გამომდინარე მართებულად ასკვნის, რომ „საერთო ჯამში, ახალი საერთაშორისო ტრიბუნალი წარმოადგენს გზაჯვარედინს საერთაშორისო სამართლის განვითარებისთვის. „შესაძლებელია იმ პრინციპების დემონსტრირება რომელიც ჩამოყალიბდა ორმოცდაათი წლის წინ ნიურნბერგში და ტოკიოში, ისინი კვლავ შეიძლება გამოყენებლ იქნას იმ პირების დასასჯელად რომლის ბრძანებებმა და პოლიტიკამ გამოიწვია გენოციდი, ომის დანაშაული და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული."[26]

გარეოს უშიშროების საბჭომ 1993 წლის 25 მაისს 3217-ე სხდომაზე რეზოლუციით დააფუძვნა 1991 წლის 1 იანვრიდან ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევისათვის პირთა დევნის და პასუხისმგებლობისათვის საერთაშორისო ტრიბუნალი.[27] მიღებულ წესდებაში გათვალისწინებული ნორმების განმარტებისა და შევსებისთვის დამატების ან რეკომენდაციის მიღება გახდა საჭირო.[28] ტრიბუნალის წესდების მე-2-5 მუხლში საერთაშორისო სამართალში არსებული ნორმრბის გათვალისწინებით დაკონკრეტდა ჟენევის 1949 წლის კონვენციის დარღვევები (მ-2 მუხლი), ომის კანონებისა და ჩეულებები დარღვეევეა (მე-3 მუხლი), მე-4 გენოციდი, და კაცობრიობის წინაღმდეგ მიმართული დანაშაულები (მე-5 მუხლი). წესდებაში გაიწერა მოსამართლეთა არჩევის, პროკურორის ფუნქციები, სასჯელის მისჯისსაკითხები, რომელიც დაკავშირებული იყო ამ საქმის თავისებურებებთან[29]. არსებული წესდება სრულად არ არეგულირებდა ყველა საკითხს, ტრიბუნალის მიერ მიღებული

24. Cohen, David. „The International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia and International Law." East European Constitutional Review, vol. 5, no. 4, Fall 1996 p. 79 file:///C:/Users/User/AppData/Local/Temp/5EEurConstRev75.pdf (https://heinonline.org/HOL/License)

25. Р. А. Руденко, Нюрнбертский процесс. Том VI, Гос. изд. Юридической литературы, М., 1961 с. 434-515

26. Cohen, David. „The International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia and International Law." East European Constitutional Review, vol. 5, no. 4, Fall 1996 p. 79 file://C:/Users/User/AppData/Local/Temp/5EEurConstRev75.pdf (https://heinonline.org/HOL/License)

27. RESOLUTION 827 (1993)Adopted by the Security Council at its 3217th meeting. on 25 May 1993https://www.icty.org/x/file/Legal%20Library/Statute/statute_827_1993_en.pdf

28. United Nations Resolutions relevant to the Statute of the Tribunalhttps://www.icty.org/en/documents/statute-tribunal

29. UPDATED STATUTE OF THE INTERNATIONAL CRIMINAL TRIBUNAL FOR THE FORMER YUGOSLAVIA https://www.icty.org/x/file/Legal%20Library/Statute/statute_sept09_en.pdf

გადაწყვეტილებები კონკრეტულ საქმეებზე განავრცობს და აკონკრეტებს ამათუ იმ დამაშაულის სპეციფიკას.[30] გიორგი დგებუაძე დადებითად აფასებს დროებითი ტრიბუნალების მნიშვნელობას და დასძენს, რომ „ad hoc ტრიბუნალების მეშვეობით ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების მოდელმა სამართებრივი, პოლიტიკური და დიპლომატიური თვალსაზრისით გაამართლა".[31]

მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს გაეროს მიერ მიღებული კონვენცია სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისადმი ხანდაზმულობის ვადის მიუღებლობის შესახებ.[32]აღნიშნულმა კონვენციამ ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო პასუხისმგებლობისგან თავის არიდება შეზღუდა.

გაეროს უშიშროების საბჭომ წესდების მე-7 თავის შესაბამისად, 1994 წლის 8 ნოემბერს მიიღო რუანდის ტრიბუნალის წესდება (სტატუტი).[33]წესდების მე-2 მუხლი დაეთმო გენოციდის დანაშაულის შემადგენლობას, მე-3 მუხლი კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულებს, მე-5 მუხლში მოცემულია ჟენევის 1949 წლის კონვენციების და 1977 წლის 8 ივნისის მე-2 დამატებითი ოქმით გათვალისწინებული დარღვევები.[34]კონკრეტული საქმეზე, მოსამართლეს შეუძლია პროპორციულობის პრინციპის დაცვით იმსჯელოს ხარვეზის შევსებაზე, რასაც პრეცედენტული სასამართლო წარმატებით ართმევს თავს. რუანდის სასამართლოს გადაწყვეტილებებში მოსამართლეებმა კონკრეტულ დანაშაულებზე მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთეს.[35]

30. იხ. Radislav Krstić. Judgment, 19 April 2004, ICTY Case No: IT-98-33-A https://www.icty.org/x/cases/krstic/acjug/en/krs-aj040419e.pdf
Radoslav Brđanin, Judgment, 1 September 2004, Case No. IT-99-36-T https://www.icty.org/x/cases/brdanin/tjug/en/brd-tj040901e.pdf
Milomir Stakic, Judgment, 31 July 2003, ICTY Case No. IT-97-24-T https://www.icty.org/x/cases/stakic/tjug/en/stak-tj030731e.pdf
Ratko Mladić, Judgment, 22 November 2017, Case No. IT-09-92-T https://www.icty.org/x/cases/mladic/tjug/en/171122-4of5_1.pdf
31. გიორგი დგებუაძე, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის მოდელი საერთაშორისო სისხლის სამართალში და მისი განვითარება ანგლოამერიკული და გერმანული სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით, ნაშრომი ნარმოდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თსუ, თბ. 2017გვ. 54.
32. Convention on the Non-Applicability of Statutory Limitations to War Crimes and Crimes Against Humanity ,Adopted and opened for signature, ratification and accession by General Assembly resolution 2391 (XXIII) of 26 November 1968 ,Entry into force: 11 November 1970.
33. RESOLUTION 955 (1994), Adopted by the Security Council at its 3453rd meeting,*Judgment*, on 8 November 1994http://unscr.com/en/resolutions/doc/955
34. Statute of the International Tribunal for Rwandap. 3-5 http://unscr.com/en/resolutions/doc/955
35. იხ. Akayesu Judgment. 2 September 1998, Case No. ICTR-96-4-T, https://unictr.irmct.org/sites/unictr.org/files/case-documents/ictr-96-4/trial-judgements/en/980902.pdf
Judgment,, 1 June 2001, Case No. ICTR-96-4-T-A, https://unictr.irmct.org/sites/unictr.org/files/case-documents/ictr-96-4/appeals-chamber-judgements/en/010601.pdf .
Kayishema and Ruzindana, Judgment, 21 May 1999, Case No. ICTR-95-1 https://unictr.irmct.org/sites/unictr.org/files/case-documents/ictr-95-1/trial-judgements/en/990521.pdfJudgment., 1 June 2001, Case No. ICTR-95-Ahttps://unictr.irmct.org/sites/unictr.org/files/case-documents/ictr-95-1/appeals-chamber-judgements/en/010601.pdf

დროებითმა ტრიბუნალებმა და მიღებულმა გადაწყვეტილებებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების (რომის სტატუტის) მიღების პროცესში. რომის სტატუტის მე-11 მუხლი დაეთმო სასამართლოს იურისდიქციას „Jurisdiction ratione temporis" პირველი პუნქტის შესაბამისად „სასამართლოს გააჩნია იურისდიქცია მხოლოდ წინამდებარე წესდების ძალაში შესვლის შემდეგ ჩადენილ დანაშაულებზე."[36] აღნიშნული გარემოება სასამართლოს არ აძლევს შესაძლებლობას 2002 წლამდე ჩადენილ საერთაშორისო დანაშაულებზე გაავრცელოს იურისდიქცია, რომის სტატუტის დროში მოქმედების სპეციფიკურობიდან გამომდინარე ის ვერ იმოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე 1992 წლიდან 2002 წლამდე ჩადენილ საერთაშორისო დანაშაულებზე.

საქართველომ 1991 წლის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ უარი თქვა სსრკ-ს რატიფიცირებულიხელშეკრულებების სამართალმემკვიდრეობაზე. ლევან ალექსიძე აღნიშნავს,„ყოველი სახელმწიფო, რომელიც იძენს დამოუკიდებლობას მეტროპოლისაგან ან სხვა სახით არსებულ კოლონიური რეჟიმისაგან თავისუფლდება ყველა სხვა ხელშეკრულებისაგან, რომელიც დადო მმართველმა მთავრობამ ამ ტერიტორიის სახელით. აქ მოქმედებს „ტაბულა რაზას" (tabula rasa – სუფთა დაფა) პრინციპი".[37] საქართველომ ეტაპობრივად დაიწყო იმ საერთაშორისო კონვენციების რატიფიკაცია.

საბჭოთა კავშირი შეუერთდა 1949 წლის ჟენევის ოთხ კონვენციის და გენოციდის კონვენციას,[38]თუმცაგენოციდის შემადგენლობა არ იქნა გათვალისწინებით საბჭოთა პირიოდის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, ჟენევის 1949 წლის კონვენციების იმპლემენტაცია საბჭოთა პერიოდის კოდექსში განხორციელებული იყო მწირად, 285-ე მუხლი (ძალადობა მოსახლეობის მიმართ საომარი მოქმედების რაიონში), 286-ე მუხლი (ცუდად მოპყრიბა სამხედრო ტყვეებისადმი). 287-ე მუხლი (წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ნიშნების უკანონო ტარება და ამ ნიშნების ბოროტად გამოყენება).[39]

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საბჭოთა პირიოდის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი აგრძელებდა ცვლილებებით არსებობას ახალი კოდექსის მიღებამდე. აღნიშნულ კოდექსში, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავში

36. Rome Statute of the International Criminal Court, Published by the International Criminal Court 2011, p 8.
37. ლევან ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2010, გვ. 76.
38. საბჭოთა კავშირი 1954 წელს შეუერთდა 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციას, დამატებით ოქმებს შეუერთდა 1989 წელს, გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ კონვენციას საბჭოთა კავშირი შეუერთდა 1954 წელს, რუსეთის ფედერაცია საბჭოთა კავშირის ძირითადი სამართალმემკვიდრეა.
39. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, ცვლილებებით 1963 წლის 1 ივლისამდე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო„ თბ. 1963.

გათვალისწინებული იქნა 1993 წლის 8 ივლისს 65 -ე მუხლი – გენოციდი. 1991 წლის 2 აგვისტოდან ეთნიკური წმენდა.[40] ჟენევის კონვენციებიდან გამომდინარე ნაწილობრივ ცვლილებები იქნა შეტანილი საბჭოთა პერიოდის კოდექსისგან განსხვავებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტით.[41]

საქართველოში 1993 წლის 14 სექტემბრიდან ძალაშია 1949 წლის 14 აგვისტოს ჟენევის ოთხი კონვენცია და 1977 წლის დამატებით ოქმი, ამავე წლის 11 ოქტომბერს ძალაში შევიდა გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ კონვენცია. საბჭოთა ეპოქიდან გადმონაშთის სახით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში რჩებოდა ომის დანაშაულის მუხლები, 1991 წლის აგვისტოში კი დაემატა – ეთნიკური წმენდა, ხოლო 1993 წლის ივლისში გენოციდი. ამდენად, დროში მოქმედების მიხედვით გვაქვს სათანადო ბაზა, ადგილობრივი ან ჰიბრიდული სასამართლოების მიერ განხილული იქნას ომის დანაშაულის, ეთნიკური წმენდის და გენოციდის საკითხი. კიდევ უფრო მარტივია პროცესის ჩატარება უშიშროების საბჭოს ნების შემთვევაში შექმნილ დროებით ტრიბუნალზე.

გენოციდისა და ომის დანაშაულებისათვის სპეციალური ნორმები და ტრიბუნალები იქმნებოდა ქმედების ჩადენის შემდეგ, რაც ეყრდნობოდა ამ სფეროში ზოგად ამკრძალავ პრინციპებს, კონკრეტული ნორმების შექმნას აადვილებდა დროებითი ტრიბუნალების სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ამავე დროს ნორმას განმარტავდა და პრეცედენტს ქმნიდა, რაც საერთაშორისო სისხლის სამართლის სპეციფურობითაა გამინვეული, მასში გაერთიანებულია მსოფლიო სამართლებრივი სისტემების ნაზავი. პრეცედენტების გამოყენება აადვილებს დროში პასუხისმგებლობის საკითხს.

მიმდინარე ეტაპზე დროებითი სამხედრო ტრიბუნალების შექმნა ჩაანაცვლა რომის სტატუტმა. უშიშროების საბჭოს შეუძლია სისხლის სამართლის საერთაშორისო წესდების მე-13 მუხლის b) პუნქტის თანახმად გაეროს წესდების მე-7 თავის შესაბამისად მიმართოს პროკურორს სავარაუდო საერთაშორისო დანაშაულისათვის იურისდიქციის განხორციელების შესახებ.[42] რადგანაც სტატუტი ერცელდება 2002 წლიდან ჩადენილ დანაშაულებზე,[43] გაეროს უშიშროების საბჭოს შეუძლია, გაეროს წესდების თანახმად შექმნას დროებითი ტრიბუნალი თუ ეს საჭიროა

40. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ცვლილებებითა და დამატებებით 1997 წლის 1 მაისამდე „სამართალი„ თბ. 1997, გვ. 72-73.
41. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ცვლილებებითა და დამატებებით 1997 წლის 1 მაისამდე „სამართალი„ თბ. 1997, გვ. 72-73.
42. Rome Statute of the International Criminal Court, Published by the International Criminal Court. 2011, p.8.
43. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 16 ივლისის N 2479 – რს დადგენილებით.

საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღსადგენად. ქეთევან ხუციშვილი აღნშნავს, „XX საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბებულმა ახალმა მსოფლიო წესრიგმა და ამ დროისთვის საკმარისად განვითარებულმა ადამიანის უფლებების დაცვის დოქტრინამ ადამიანის უფლებების დაცვაზე მეტი ყურადღების მიპყრობის საჭიროება წარმოშვა.“[44] ავტორი დასძენს, რომ უშიშროების საბჭოს „პირველი ქმედება – ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნა – საერთაშორისო და არასაეთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტთა რთულ ნარევში ადამიანის უუფლებათა უმძიმეს დარღვევაზე რეაქცია იყო, მეორე ნაბიჯი კი – რუანდის სისხლის სამართლის სასამართლოს შექმნაა – შიდა კონფლიქტის შემდეგ“ რაც ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების გამო დამნაშავეთა დასასჯელად განხორციელდა.[45] ქეთევან ხუციშვილი მართებულად ასკვნის, რომ „თუ არსებობს რეალური პოლიტიკური ნება და საერთაშორისო დანაშაულის შემადგენელი ადამიანის უფლებების სასტიკი დარღვევისაგან დასაცავად რეალური მზაობა, აუცილებლად მოიძებნება სუვერენული იმუნიტეტისა და სუვერენული თანასწორობის ცნებათა დაცვის ლაბირითიდან გამოსვლის გზები და საერთაშორისო დანაშაულების ჩამდენთა მართლმსაჯულებისათვის დამსახურებისამებრ წარდეგენის შესაძლებლობა, რათა მოხდეს მართლმსაჯულების ინტერესების განხორციელება, მომავალი დანაშაულების თავიდან აცილება.“[46]

1992 წლიდან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების, გენოციდის და სხვა უმძიმესი დარღვევებისათვის დაუსჯელობამ ნაახალისა დანაშაულის ჩადენა, რამაც სისტემატური ხასიათი მიიღო.

აქტუალურია საკითხი იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებმაც საქართველოში სტატუტის ძალაში შესვლამდე ჩაიდინეს უმძიმესი საერთაშორისო დანაშაულები. ამ მხრივ კანონის დროში მოქმედების თვალსაზრისით მართებულია გათვალისწინებული იქნას შემდეგი წინადადებები:

1. განხილული უნდა იქნას ჰიბრიდული სასამართლოს შექმნის საკითხი, რომელიც იხელმძღვანელებს საქართველოს კანონმდებლობით და იქნება შერეული, რომელთა შორისაც იქნება გაეროს მიერ შერჩეული რამოდენიმე მოსამართლე, რაც ნდობის აღდგენის თვალსაზრიშით აქტუალურია;

2. უშიშროების საბჭოს მიერ სპეციალური ტრიბუნალის შექმნა,

44. ქეთევან ხუციშვილი, გაეროს უსიშროების საბჭოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კონკურენტული და კომპლემენტარული კომპეტენციები, სადოქტორო დისერტაცია, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი თბ. 2010 გვ. 52.

45. ქეთევან ხუციშვილი, გაეროს უსიშროების საბჭოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კონკურენტული და კომპლემენტარული კომპეტენციები, სადოქტორო დისერტაცია, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი გვ. 52.

46. ქეთევან ხუციშვილი, გვ. 100.

ეს უკანასკნელი მრავალ პრობლემას მოხსნიდა სპეციალური წესდების საფუძველზე. აღნიშნული საკითხი უნდა დაისვას გაეროს უშიშროების საბჭოს წინაშე, რადგან საქართველოში 2008 წლის ომის შემდეგ გარემოებები შეიცვალა, უშიშროების საბჭოს ერთ-ეთი წევრი შეიარაღებული კონფლიქტის მხარედ გამოცხადდა, ხოლო საქართველოს ტერიტორია ოკუპირებულად,[47] მსგავსი საკანონმდებლო ფონი ადრე არ არსებობდა, აღნიშნულმა ფაქტმა უნდა გამორიცხოს უშიშროების საბჭოს წევრის მიერ ოკუპაციის ფაქტის გამო უშიშროების საბჭოზე კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილილების მიღების დროს ხმის მიცემა;

3. გამოკვლეული და შეფასებული უნდა იქნეს კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებით, 1993-1994 წლებში რუსეთ-საქართველოს მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების მიზანშეწონილობა;

4. მართებულია საქართველოს პროკურატურაში აღძრული საქმე 1993 წლიდან ჩადენილ ქმედებებთან მიმართებაში გახდეს აქტიური, დაზუსტდეს კვალიფიკაციები და განხორციელდეს საერთაშორისო ძებნა იმ პირების, რომელთა მიმართაც გამოკვეთილია ბრალი;

5. სისხლის სამართლის სასამართლოში მიმდინარე საქმე 2008 წლის ომის დანაშაულებთან მიმართებაში, შეივსოს ეთნიკური ნიშნით (გენოციდი) ქართველების 2002 წლიდან დღემდე ოკუპირებულ ტერიტორიაზე ნაწილობრივი განადგურების ფაქტებით.

აღნიშნული წინადადებების განსახორციელებლად, შრომატევადი პოლიტიკური და სამართლებრივი საქმიანობაა საჭირო.

ჰიბრიდული სასამართლოს რამოდენიმე მოდელი არსებობს, მათი შექმნა დამოკიდებულია არსებული პრობლემის მართმსაჯულების გზით გადაწყვეტის თავისებურებებზე, გადაწყვეტილების ნდობაზე. გიორგი დგებუაძე წარმოაჩენს ჰიბრიდული სასამართლოების მოდელებს და აღნიშნავს, რომ „ჰიბრიდული ტრიბუნალების მეშვეობით საერთაშორისო სისხლის სამართალმა მოახდინა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინის ტრანსპლანტაცია სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის სისტემაში."[48] ჰიბრიდულმა ტრიბუნალებმა მრავალი პრობლემა გადაჭრა და გამარჯვებული ხელისუფლების მართლმსაჯულების დოქტრინა შეცვალა. საერთაშორისო სიხლის სასამართლის შექმნის საკითხი სირიის საქმეზე განიხილება თანამედროვე დოქტრინაში, ანიკა ჯონსი ხაზს უსვამს, რომ ასეთი სასამართლო უნდა იყოს დამასკოში, მის მუშაობაში ჩართული

47. საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/19132?publication=8

48. გიორგი დგებუაძე, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის მოდელი საერთაშორისო სისხლის სამართალში და მისი განვითარება ანგლოამერიკული და გერმანული სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით, ნაშრომი წარმოდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, თბ. 2017, გვ. 54 -64.

უნდა იყვნენ ადგილობრივი კადრებიც. ჯონსს სასამართლოს შექმნა ობიექტურობის დაცვისთვის მიზანშეწონილად მიაჩნია,[49] რომის სტატუტის ძალაში შესვლამდე განხორციელებული ქმედებებისთვის ან არაწევრი ქვეყნისთვის მსგავსი სასამართლოს შექმნა მართლზომიერია.

2. გენოციდისა და ომის დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის პრობლემები სივრცეში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გერმანიის იმპერატორის, ვერსალის ხელშეკრულებით შექმნილი ტრიბუნალისათვის გადაცემის დამაბრკოლებელი გარემოება გახდა ჰოლანდიის კანონმდებლობა, რადგან არ ითვალისწინებდა ქმედების ჩადენის შემდეგ მიღებული ნორმრბით დასჯას.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც მოკავშირეებმა საკონტროლო ზონებად დაჰყვეს გერმანია, იკისრეს მათ იურისდიქციაში მყოფი ბრალდებულების გადაცემის ვალდებულება. 1945 წელის 8 აგვისტოს ფაშიზმის წინააღმდეგ მოკავშირე სახელმწიფოებს შორის დაიდო ხელშეკრულება, მე-3 და მე-4 მუხლი დაეთმო ბრალდებულთა ტრიბუნალისათვის გადაცემას. მე-3 მუხლის თანახმად, ხელმომწერ ყოველ სახელმწიფოს უნდა მიეღო აუცილებელი ზომები მათ დაქვემდებარებაში მყოფი „მთავარი სმხედრო დამნაშაავეების" გადასაცემად. მე-4 მუხლის მიხედვით „სამხედრო დამნაშაავეები" უნდა გადაეცათ იმ ქვეყნისათვის, სადაც ისინი ბრადებული იყვნენ.მოკავშირეთგან შექმნილმა საკონტროლო საბჭომ 1945 წლის 20 დეკემბერს მიიღო კანონი N10. მე-3 მუხლის პირველი ნაწილი ეთმობოდა საოკუპაციო ხელისუფლების კომპეტენციას თუ როგორ ემოქმედა თავის სამოქმედო ზონაში ბრალდებულთა დაპატიმრების და ექსტრადიციის დროს.[50] განსხვავებული სამართლებრივი სისტემების, პოლიტიკური გრემოვნების და განსხვავებული მოსაზრებების მიუხედავად სახელმწიფოთა მიერ მიღწეული იქნა კონსესუსი, სახელმნიფოთა ტერიტორიული იურისდიქციის მიუხედავად მთავარ დამნაშავეთა ტრიბუნალისათვის გადაცემისა და გასამართლების საკითხზე.

ნიურბერგის პროცესის დამთავრების შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრალდებულთა ძებნა, რომლებმაც სხვა ქვეყნებს შეაფარეს თავი, რამოდენიმე შემთხვევაში განხორციელდა ექსტრადიცია დანაშაულისჩადენის ადგილის მიხედვით, თუმცა სახლმწიფოთა დიდი ნანილი ექსტრადიციაზე უარს ადგილსამყოფელი სახელნიფოს კანონმდებლობით ხსნიდა. 1958 წელს გერმანიის მიერ პოლონეთში განხორციელდა ერიკ კოხის ექსტრადიცია, რომელიც აპროტესტებდა

49. Jones, Annika. „Seeking International Criminal Justice in Syria.„ International Law Studies Series. US Naval War College., 89, 2013, p. 802 – 816. HeinOnline.file:///C:/Users/User/AppData/Local/Temp/89IntlLStudSerUSNavalWarC.pdf

50. ვეფხვია გვარამია, საერთაშორისო დანაშაულში ბრალდებულის ექსტრადიცია, სიკ, თბ., 2002, გვ. 21-31.

4. ზურაბ ხონელიძე. „რბილი ძალა„ თანამედროვე პოლიტიკაში და საქართველო. აკადემიკოს როინ მეტრეველის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 2019; ასევე Prof. Dr. Zurab KHONELIDZE. New „Soft Power" For Sustainable Peace Building / Новая «Мягкая Сила" Для Строительства УстойчивогоМира, 2ND INTERNATIONAL BLACKSEAJOURNALSOCIALSCIE NCE SSYMPOSIUM,THEBOOKOFPROCEEDINS21–23JUNE–2019, GİRESUN – TURKEY. pp. 61– 65; http://www.dergikaradeniz.com/ibsess/upload/bildiri–kitabi.pdf.

5. Fedoroff, Insipience diplomacy in the 21st Century",Cell,136(1),2009, January. pp. 9.

დიპლომატია სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის განმახორციელებელი ერთ-ერთი ინსტრუმენტი და საშუალებაა,[6] რომელიც მოლაპარაკების ხელოვნების საფუძველზე, კონსტრუქციული დიალოგის საშუალებით განახორციელებს საკუთარი სახელმწიფოს ინტერესების დაცვას საერთაშორისო არენაზე. დიპლომატიის, როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტის მთავარი ფუნქციაა მხარეებს შორის საერთო ინტერესების მოძებნა და კონფლიქტური საკითხების გამორკვევა მათი მშვიდობიანი გადაწყვეტის მიზნით.[7] უნივერსიტეტი მომდინარეობს ლათინური სიტყვისგან universitas და კორპორაციას ნიშნავს. ოფიციალური განმარტებით, უნივერსიტეტი უმაღლესი განათლებისა და კვლევითი დაწესებულებაა, სადაც კურსდამთავრებულებს აკადემიურ ხარისხს ანიჭებენ. დანიელი პროფესორის ოლაფ პედერსენის აზრით, შუა საუკუნეების უნივერსიტეტები მხოლოდ მეცნიერთა და მასწავლებელთა გაერთიანებას წარმოადგენდა,[8] მაგრამ დღეს უნივერსიტეტს გაცილებით მეტი ფუნქცია აქვს. გარდა იმისა, რომ აკადემიურ წოდებას ანიჭებს კურსდამთავრებულებს, გერმანელი მკვლევრისა და ფილოსოფოსის, უდო რაინჰოლდ იეკის აზრით, ის „გავლენას ახდენს მსოფლიო ცივილიზაციაზე და მისი მოქმედების არეალი საერთაშორისოა, უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ის კარგავს თავის მნიშვნელობას იმ შემთხვევაში, თუკი მისი მიღწევები ცოდნის გლობალურ საფუძვლებს არ ემყარება."[9]

მსოფლიოში გავრცელება ჰპოვა უნივერსიტეტის იმ მოდელმა, რომლის წარმოშობაც ევროპაში შექმნილმა სოციალურ-პოლიტიკურმა გარემომ განაპირობა. დღეს უნივერსიტეტი შეიძლება წარმოვიდგინოთ ცოდნისა და რწმენის სინთეზის პრაქტიკაში განხორციელების ადგილად.[10]

სახელმწიფოსთან უნივერსიტეტის მიმართება საფუძვლიანად აქვს გააზრებული კარლ იასპერსს ნაშრომში „უნივერსიტეტის იდეა". ავტორმა საკითხის ფუნდამენტური საფუძვლები წარმოაჩინა და აქცენტი გადაიტანა სახელმწიფოსთან უნივერსიტეტის მჭიდრო კავშირზე, თუმცა, იქვე მიუთითა, რომ მიუხედავად უნივერსიტეტის იდეის ზესახელმწიფოებრიობისა და ზენაციონალურობისა, ის (უნივერსიტეტი) მაინც პოლიტიკურად დამოუკიდებელია, რადგან, პოლიტიკური სივრცის

6. ჰამლეტ ჭიპაშვილი. დიპლომატიის ანბანი. გვ. 17.
7. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი. სერიის რედაქტორი მარინე ჩიტაშვილი. თბილისი, 2004. გვ.63.
8. Olaf Pedersen. The First Universities: Studium Generale and the Origins of University Educa– tioninEurope. Cambridge: CambridgeUniv. Press. 1997.
9. უდო რაინპოლდ იეკი. ალექსანდრიის პროექტი და მისი შედეგები. მუზეიონი, როგორც ინტერკულტურული ცოდნის ცენტრი, კრებულში: თანამედროვე უნივერსიტეტის მისია. კრებულის რედაქტორები: მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერძენიშვილი), უდო რაინპოლდ იეკი და თენგიზ ირემაძე. თბ., 2018. გვ. 9.
10. გიორგი თავაძე. უნივერსიტეტების ნარმოშობა შუა საუკუნეებში. წიგნში: თანამედროვე უნივერსიტეტის მისია. გვ.77.

თავისებურებები განაპირობებს უნივერსიტეტის სახეს, უმაღლესი განათლების მოდელს, დამოუკიდებელ და თავისუფალ კვლევებს. ასე რომ, უნივერსიტეტი თანამედროვე სახელმწიფოს არსებობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.[11]

თუ ეს ასეა, მაშინ, უნივერსიტეტი სახელმწიფოებრივი მისიის მქონე კორპორაცია დაწესებულებაა, რომლის ვალია არა მარტო აკადემიური ხარისხის მინიჭება და ახალი კადრების აღზრდა, არამედ, მეცნიერულად დასაბუთებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე კონცეფციების, პლატფორმებისა და თეორიების შექმნა, სახელმწიფოებრივ განვითარებას რომ უზრუნველყოფენ.

სამეცნიერო, დიპლომატიურმა და სხვა სახის გამოცდილებამ, საქართველოში და მის გარეთ არსებული მდგომარეობისა და მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების სისტემურმა ანალიზმა, SWOT–ანალიზმა, GAP ანალიზმა, PEST–ანალიზმა და სხვ. ავტორს შესაძლებლობა მისცა, დაენახა უნივერსიტეტი სრულიად ახალი პროდუქტის შემქმნელ სივრცე–გარემოდ, რომელიც შესაძლებელია, იქცეს არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, უახლესი ისტორიის მთავარი გამოწვევის –ქართულ–აფხაზური, ქართულ–ოსური კონფლიქტის მოგვარების მექანიზმად, მომავლის ახლებურად გააზრების საძირკვლადაც.[12]

„საუნივერსიტეტო დიპლომატიის" გაჟღერება საქართველოში (კერძოდ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში) შემთხვევით არ მომხდარა. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქრისტიანული ქვეყანაა. სადაც მშვიდობიანად თანაარსებობენ ქართველი ქრისტიანები, მუსულმანები, იუდეველები და სხვა რელიგიისა თუ კონფესიის წარმომადგენელი ჩვენი თანამოქალაქეები.

ჩვენი კულტურა, მეტწილად, განსაზღვრულია დასავლური ცივილიზაციით, რაც დასტურდება არა მხოლოდ ანთროპოლოგიური, ლინგვისტური თუ არქელოგიური ფაქტებით, არამედ, საერთო ღირებულებებისადმი პატივისცემის, ჰუმანიზმის, ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის ფუნდამენტური პრინციპებით. ქართველები ევროპელები ვართ, ევროპა არის ჩვენი წარსული და ჩვენი მომავალი. თუმცა, იმის თქმა, რომ საქართველო ევროპული კულტურის ორგანული ნაწილი და მისი ერთ-ერთი განშტოებაა, სრულად მაინც ვერ ასახავს ქართული სახელმწიფოს როლსა და იმ ადგილს, რაც მას კაცობრიობის ისტორიაში ეკუთვნის! ამდენად, ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე ჩამოყალიბებული ქართული ცივილიზაცია, არასოდეს ყოფილა და ვერც იქნებოდა მხოლოდ ევროპული,

11. ლალი ზაქარაძე. უნივერსიტეტის მისია. ნიგნში: თანამედროვე უნივერსიტეტის მისია, გვ.44
12. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ნინამდებარე ნაშრომი ახალი ნარატივის თეორიული კონცეპტია. მომავალში იგეგმება წარმოდგენილი ხედვის კვლევითი ნაწილის შედეგების გამოცემა.

ან მხოლოდ აზიური. ჩვენთვის უცხო არც ევროპული იდეალებია და არც აღმოსავლური კულტურული ფასეულობანი.

ქართული კულტურული თვითმყოფადობის მრავალფეროვნება მისივე მთავარი სიმდიდრე და სიძლიერეა. რაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენს კულტურას სხვა კულტურაზე მაღლა ვაყენებთ. საუბარია მხოლოდ მის იმ უნიკალურობაზე – განსხვავებულობაზე, რამაც შესაძლებელი გახადა ქართული ნიჭის გამოღვიძება და თავისივე ქვეყნის ბუნების სალაროდან არაორდინალური აზრის – „საუნივერსიტეტო დიპლომატიის", როგორც საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ახალი ფორმის დაბადება – აღქმული ტვირთად და პასუხისმგებლობად, ცივილიზებული სამყაროს წინაშე.

Zurab Khonelidze
Doctor of Political Science, Rector of Sokhumi State University

UNIVERSITY DIPLOMACY – THE WAY TO SETTLE THE CONFLICT

At every stage of societal development, the introduction of a new concept in political thinking requires a scholarly perception, as well as fundamental and infallible judgment, taking into consideration the new concept's significance, content, and form.

For further deliberation, this work is presented to scholars, specialists of the field, students, and even a wider segment of the society, interested in the issue a new value notion with an utterly new function, called „University Diplomacy" an intrinsically novel form of international relations and diplomacy.

This is not a book about university and diplomacy, and not just about the reasons and pains that have temporarily divided the united Georgian space and the Georgian society into several parts. This is a book about the organic fusion of university and diplomacy, both full of contradictions and conflicts, analyzing the priority problems not only of Georgia but of humanity, and suggesting the ways to resolve them.

The goal of the present work is to elucidate our innovative vision and turn it into a realistic method to implement the peace process and solve our local and regional problems. This concept should serve as the model for the Georgian–Abkhazian and Georgian–Ossetian unified state models. The implementation of this model will be successful only with the help of participation from other ethnic groups, equipped with relevant visions, concepts, and feasible programs, and based on the principles of social justice, cooperation and mutual interests. Let us provide the foundation for a solid security system that incorporates the three classifications of conflict in Georgia (not the interested outsiders) – identity, prosperity, and security.

Although Georgia gained independence in the early 1990s, the process of national and state reestablishment is still underway in the international arena.[1] A famous diplomat was right to have said, „It is difficult for a new state to find a place under the sun."[2] The essence of world order and restraint, the spinning pace of geopolitics and geostrategy, and interests of large and small states keep altering and tend to vary qualitatively.

Year in and year out, fresh global and regional challenges come into view and new tasks emerge in International Relations. The interests of major states

1. Alexander Chikvaidze, Hamlet Chipashvili. Diplomacy Kitchen, Tbilisi 2008. p. 5.
2. Alexander Chikvaidze. Political chess through the eyes of ambassadors of three different countries, Tbilisi 2004. p. 213.

are being balanced anew. Instead of its bilateral analogue, multilateral diplomacy is becoming increasingly important. [3]

In such a situation, the European political establishment has proposed a new format to ensure the world peace and wellbeing, and to provide for the development of public relations, that is, a „scientific diplomacy."

Based on worldwide experience, „scientific diplomacy" primarily serves to resolve the extant problems in contemporary International Relations, just as the university diplomacy is based on the theory of soft power, both of them having common and distinctive features.[4] If scientific diplomacy is focused on resolving common problems in international relations and on constructive international partnerships,[5] university diplomacy creates completely new opportunities for sustainable peacebuilding with the help of university. Specifically, University Diplomacy recognizes the importance of science – the highest peak of education – and, most importantly, the healthiest, most pragmatic and motivated part of our society – the youth.

Our topic of study – conflict – although it is a specific theme, the phenomena that we are going to be using as problem – solving tools (the university and diplomacy), have never before become a matter of special attention – neither separately nor as a new form of International Relations and a new type of diplomacy. Hence, until we pin down our outlook for solving the problem, the actual state of these basics itself has to be „tested" in advance.

And yet, what is diplomacy? And what is the university? What do they have in common and how could they be put together and effectively used to service peace and development?

Diplomacy is one of the tools and means of implementation[6] of foreign policy of states that, through the art of negotiation and by means of constructive dialogue, will pursue the protection of its interests in the international arena. The key function of diplomacy as an instrument of foreign policy is to find common interests between the parties and to identify conflicting issues in order to resolve them peacefully.[7]

3. Alexander Chikvaidze, Hamlet Chipashvili. Diplomacy
Kitchen, Tbilisi 2008. p. 5.
4. Zurab Khonelidze, „Soft Power" in Modern Politics and Georgia. Jubilee collection dedicated to the 80th anniversary of Academician Roin Metreveli. Tbilisi, 2019; AlsoProf.
Dr. Zurab KHONELID ZE. New „Soft Power" For Sustainable Peace Building / Новая «Мягкая Сила" Для Строительства Устойчивого Мира, 2ND INTERNATIONAL BLACK SEA JOURNAL SOCIAL SCIENCES SYMPOSIUM, THE
BOOK OF PROCEEDINS 21-23 JUNE – 2019, GİRESUN-TURKEY.pp. 61-65; http://www.dergikaradeniz.com/ibsess/upload/bildiri-kitabi.pdf
5. Fedoroff, N. „Science diplomacy in the 21sCentury, Cell, 136 (1), 2009
6. Hamlet Chipashvili. Alphabet of Diplomacy. Tb., 1993. p. 17.
7. Dictionary of Social and Political Terms – Reference Book. Editor of the series Marine Chitashvili. Tb., 2004. p. 63.

The word „university" is derived from the Latin word universitas, which means, among other things, a „corporation" or a „community." Traditionally understood, the university is a higher education and research institution, providing graduates with an academic degree. According to Danish professor Olaf Pedersen, medieval universities were only a union of scientists and teachers[8], but today the university has far more functions than merely offering academic degrees to its graduates. According to German Philosopher Dr. Udo Reinhold Jeck, „[The university] influences the world civilization, and its scope is international; moreover, it can be said that it

loses its significance if its achievements are not based on the global foundation of knowledge." [9]

The model of the university, the origins of which are rooted in the socio– political environment of Europe, was found to be widespread worldwide. Today the university can be seen as a place to practice the synthesis of knowledge and belief.[10] The relationship between university and state is well thought out in Carl Jasper's book, The Idea of the University. Jaspers lays out the fundamentals of the issue, having accentuated the tight bond between university and state. Although the idea of university itself is a suprastate and supranational phenomenon, he emphasizes, the university is nonetheless politically independent. Although the peculiarities of the political world determine the image of university, the model of higher education provides for independent, genuine research, and an environment free from any ideologies. Thus, the university is an important precondition for the existence of a modern state.[11]

If this is true, then the university is a corporation with a state mission, an institution whose duty is not only to deliver academic degrees and educate the new cadres, but to create scientifically grounded concepts, platforms, and theories that support the development of the state.

Scientific and diplomatic experience, a systemic analysis of the situation in Georgia and beyond, analysis of current transformational processes, the SWOT, GAP, PEST and other types of analyses gave the author an opportunity to see the university as a space/environment for creating a brand new product, which could possibly turn not only into a peace solution for the Georgian-Abkhazian and Georgian-Ossetian conflicts – the main challenges in our country's recent

8. Olaf Pedersen. The First Universities: Studium Generale and the Origins of University Education in Europe. Cambridge: Cambridge Univ. Press. 1997.
9. Udo Reinhold Jeck. The Alexandria Project and its Consequences. The Museum as a Center for Intercultural Knowledge, in the book: Mission of Modern University. Editors of the collection: Metropolitan Grigory (Berbichashvili), Udo Reinhold Jeckand Tengiz Iremadze. Tb., 2018. p. 9.
10. Giorgi Tavadze. The origin of universities in the Middle Ages. In the book: Mission of Modern University. p. 76.
11. Lali Zakaradze. University Mission. In the book: Mission of Modern University, p. 44.

history– but even into a basis for a renovated conceptualization of the future.[12]

It is not an accident that the idea of university diplomacy was born in Georgia, specifically at Sokhumi State University. It is universally known that Georgia is the Virgin Mary's shared Christian country, where Christians, Muslims, Judaists, and the adherents of other faiths and confessions are living in peace as fellow citizens of this country.

Our culture is largely defined by Western civilization, which is corroborated not only by anthropological, linguistic or archaeological facts, but also by the fundamental principles of respect for common values, humanism, and tolerance. We – the Georgians – are Europeans, and Europe is our past and our future. However, to say that Georgia is an organic part of the European culture and one of its branches would not fully reflect the role and place of the Georgian state in world history.

The uniqueness of the Georgian culture, its character, the Georgian mentality and identity are based on the synthesis of Eastern and Western cultural heritages. Neither the European ideals nor the Eastern values are alien to us.

The diversity of cultural singularity is the source of Georgia's main wealth and strength, but this should not let us reckon our culture superior to others. These qualities only highlight Georgia's uniqueness and the differences that has made it possible for the Georgian talent to awaken and give birth to an extraordinary idea of university diplomacy, right from the treasury of its nature, as a new form of international relations and diplomacy, and as an apparent burden and responsibility before the civilized world.

12. We would like to note that the present work is a theoretical concept of a new narrative. It is planned to publish the results of the research part of the presented vision in the future.

ჯემალ გახოკიძე

პოლიტიკისა და სამართლის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

სოფიო მიდელაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ტალიავინის კომისიის ანგარიშის სამართლებრივი და სამხედრო–პოლიტიკური ასპექტები

საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოში ოსი სეპარატისტების მონაწილეობით რუსეთმა ანარმოა აგრესიული ომი, განახორციელა სამხედრო ინტერვენცია და ცალმხრივად აღიარა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა.

აღნიშნულმა მდგომარეობამ მყისიერად ფართო გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიოს მასშტაბით. საკმარისია აღინიშნოს საფრანგეთისა და იმავდროულად ევროკავშირის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის ორი სპეციალური ვიზიტი ომის დროს თბილისში.

ეს მოხდა მას შემდეგ, რაც დიმიტრი მედვედევმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიან დოკუმენტს ხელი მოაწერა. ნიკოლა სარკოზი 2008 წლის ე.წ. საზავო შეთანხმებასთან დაკავშირებით ევროკავშირის სახელით მოქმედებდა.

ზემოაღნიშნული დოკუმენტი თავისი შინაარსით, სამხედრო–პოლიტიკური და სამართლებრივი ხასიათისაა, რაზეც მასში მითითებული პუნქტები მიუთითებენ, კერძოდ:

1. არ იქნეს გამოყენებული ძალა;

2. საბოლოოდ შეწყდეს ყველა საომარი მოქმედება;

3. ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება თავისუფლად შეიძლებოდეს;

4.საქართველოს შეიარაღებული ძალები დაუბრუნდნენ მუდმივი დისლოკაციის ადგილს;

5. რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა დაიკავონ საომარი მოქმედების დაწყებამდე არსებული ხაზი. საერთაშორისო მექანიზმების შექმნამდე რუსეთის სამშვიდობო ძალებმა უზრუნველყონ უსაფრთხოების დამატებითი ზომები.

6. დაიწყოს საერთაშორისო განხილვა ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მომავალი სტატუსის და მათი მყარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებზე.

აღნიშნულ დოკუმენტს ხელი მოაწერეს სეპარატისტული რეგიონების ლიდერებმაც. მაგრამ საქართველოს პრეზიდენტმა მოითხოვა არსებული დოკუმენტის კორექტირება, კერძოდ, ტექსტიდან აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ პუნქტის ამოღება. აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

„6. საერთაშორისო გარანტიების შექმნა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოების და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად".

თუ დამდგარი შედეგის მიხედვით ვიმსჯელებთ, საქართველომ შეთანხმებით გათვალისწინებული მოთხოვნები მთლიანად შეასრულა, ხოლო რუსეთმა პირიქით, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების უგულებელყოფით, გადადგა სამხედრო და პოლიტიკური ხასიათის ისეთი წინასწარ განზრახული ნაბიჯები, რომლითაც პირდაპირ ხელყო საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტი.

ომის შედეგების ჩვენეული შეფასება ასეთია:

ე.წ. სამხრეთ ოსეთმა ომის შემდეგ მოიპოვა არაღიარებული „დამოუკიდებლობა" საბოლოოდ მისი დაკარგვის პერსპექტივით. „მათი გამარჯვება" მხოლოდ ისაა, რომ ჯერჯერობით ოსი სამხედრო დამნაშავეები ჰააგის ტრიბუნალის, ხოლო ოსი მოსახლეობა დემოგრაფიული კატასტროფის მოლოდინში არიან.

საქართველო წმინდა სამხედრო განზომილებით, რუსეთთან ომში დამარცხდა. მან ვერ შეძლო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. უფრო მეტიც, ომის შედეგებიდან გამომდინარე, კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივა უფრო შორი დროისათვის გადაიდო და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება კიდევ უფრო გართულდა.

რუსეთმა საქართველოსთან ომში „გამარჯვება" წმინდა სამხედრო თვალსაზრისით მოიპოვა. ამ გზით, მან შეძლო რამდენიმე მიზნის ერთდროულად განხორციელება: არ დაუშვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა; სამშვიდობო ძალებისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების დაცვის მოტივით საქართველოს სამხედრო სტრატეგიული ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის განადგურება; სამხრეთის მიმართულებით მან მნიშვნელოვნად განიმტკიცა პოზიციები და გეოპოლიტიკური სარტყელი. ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობით შეიძინა „ყურმოჭრილი" და ერთგული ბუფერული სივრცეები. რუსეთს მიეცა იმის პერსპექტივაც, რომ ხანგრძლივი დროით შეაფერხოს აღმოსავლეთის მიმართულებით ნატოს გაფართოება. ხოლო ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის სამხედრო ბაზების პირისპირ განალაგოს სამხედრო ბაზები, რითაც ოცნებად ქცეული მიზნები პოლიტიკურ რეალობად აქცია.

მიუხედავად სამხედრო წარმატებისა, რუსეთმა პოლიტიკურ არენაზე მნიშვნელოვნად დაკარგა დემოკრატიულობისა და საიმედოობის იმიჯი. აშკარაა საერთაშორისო სტრუქტურების მხრიდან საქართველოსადმი, როგორც გაუმართლებელი სამხედრო მსხვერპლის, აქტიური მხარდაჭერა. ამასთან, დღევანდელ რუსეთში მის ხელისუფლებასთან ერთად, საერთაშორისო თანამეგობრობამ დიდი საფრთხე დაინახა და სერიოზული პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური წინააღმდეგობები შეუქმნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ 2008 წლის აგვისტოს ომში ერთმნიშვნელოვნად გამარჯვებული და დამარცხებული, არც ერთი მხარე არაა.

ამასთან, არ გვინდა გვერდი ავუაროთ ერთ მეტად მნიშვნელოვან პოლიტიკურ-სამართლებრივი ხასიათის გარემოებასაც, კერძოდ, გასაკვირი და დასანანია საერთაშორისო ორგანიზაციების და, განსაკუთრებით, ევროპის წამყვანი სახელმწიფოების თავდაპირველი პოზიცია იმაზე, რომ რუსეთის სახელმწიფომ 2008 წლის 7 აგვისტოს დაარღვია სუვერენული სახელმწიფოს – საქართველოს – საზღვრები (სწორედ თვითონ რუსეთის მიერ 2008 წლის 7 აგვისტომდე აღიარებული საზღვრები) და დაიწყო ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე და ყველაფერი ეს კი მაშინ შეფასდა, როგორც რუსეთის მხრიდან არაპროპორციული სამხედრო ძალის გამოყენება და არა აგრესიული ომი (აღნიშნულზე ქვემოთ გვექნება უფრო კონკრეტული საუბარი).

ასეთი შეფასება ძირშივე არასწორი იყო და ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო ურთიერთობების მარეგულირებელი კონვენციების ფუნდამენტურ პრინციპებს და ეს სხვა არაფერია, თუ არა იურიდიული ნონსენსი. ასეთი ლოგიკით გამოდის, რომ თუ რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დროს გამოიყენებდა იმ რაოდენობის ცოცხალ სამხედრო ძალასა და ტექნიკას, რაც იმ დროისათვის საქართველოს ჰქონდა, საერთაშორისო თანამეგობრობას რუსეთთან შესადავებელი არც არაფერი რჩებოდა.

მოგახსენეთ რა ჩვენეული შეფასებები 2008 წლის აგვისტოს ომთან მიმართებაში გამარჯვებულისა და დამარცხებულის თვალსაზრისით, ობიექტურობა მოითხოვს და გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ 2008 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე ევროკავშირის საბჭომ, მისი არსებობის განმავლობაში პირველად, საჭიროდ ჩათვალა და მიიღო გადაწყვეტილება, ჩართულიყო შეიარაღებული კონფლიქტის მოგვარებაში და შვეიცარიელი დიპლომატის პაიდი ტალიავინის ხელმძღვანელობით შექმნა „საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების

დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია", როგორც კონფლიქტის შემდგომი პერიოდის პოლიტიკურ–სამართლებრივი და დიპლომატიური მექანიზმი.

ევროკავშირის საგამოძიებო კომისიამ მუშაობის შედეგად წარმოადგინა დოკუმენტი — „საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში". ფართო საზოგადოებისათვის აღნიშნული დოკუმენტი ცნობილია, როგორც „ტალიავინის კომისიის დასკვნა". უნდა აღინიშნოს, რომ კომისიამ, ჩვენი აზრით, ბოლომდე არ აიღო თავის თავზე პასუხისმგებლობა და დასკვნის მაგივრად წარმოადგინა ანგარიში მომხდარი სამარი კონფლიქტის შესახებ. ვფიქრობთ, დასკვნას და ანგარიშს, პოლიტიკური და სამართლებრივი, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით, სხვადასხვა იურიდიული ძალა აქვს, მათ შორის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიღებისთვისაც. ამ და სხვა გარემოებებმა განაპირობა ჩვენი ინტერესი ანგარიშში წარმოდგენილი ფაქტების ტალიავინისეული შეფასებების მიმართ და ვეცდებით ისინი ობიექტურად და მიუკერძოებლად წარმოგიდგინოთ.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად ყველაფრისა, დღესდღეობით აღნიშნული ანგარიში ყველაზე მაღალი კონპეტენციის მქონე საერთაშორისო ექსპერტების კოლექტიური კვლევის შედეგია და მისი გადასინჯვა ან რევიზია არ მომხდარა.

მაინც როგორია ტალიავინის კომისიის მიდგომები საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებთან, როგორიცაა:

1. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსეთმა განახორციელა თუ არა აგრესიული ომი და მოახდინა თუ არა საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია?

2.. განხორციელდა თუ არა კოდორის ხეობის და ახალგორის ოკუპაცია?

3.. მოხდა თუ არა საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფა?

<u>აგრესიული ომი და ოკუპაცია</u>

აგრესიული ომის განსაზღვრება მოცემულია გაეროს გენერალური ასამბლეის 1974 წლის რეზოლუციაში: ,,აგრესიულად ჩაითვლება სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების გამოყენება სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული ხელშეუხებლობის, ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ან გაეროს წესდებით დაუშვებელი სხვა რომელიმე სახით. თქვენი განსაკუთრებული ყურადღება გვინდა მივაქციოთ ამ დანაშაულის (აგრესიული ომის) ობიექტურ მხარეს, რეზოლუციაში ეს ასეა წარმოდგენილი: ა) ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შეჭრა ან თავდასხმა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე; ნებისმიერი სამხედრო

ოკუპაცია, თუნდაც დროებითი, რომელიც ასეთი თავდასხმის შედეგია; სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნაწილის ანექსია ძალის გამოყენებით; ბ) ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის დაბომბვა ან ამ მიზნით სხვა იარაღის გამოყენება; გ) ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა სახელმწიფოს ნავსადგურების ან ნაპირების ბლოკადა.

ახლა თანმიმდევრობით მივყვეთ რას მიიჩნევს აღნიშნული კომისია დადგენილად. ფაქტობრივად ტალიავინის კომისიის ანგარიშის ავტორები აღწერენ რუსეთის მიერ განხორციელებულ სამხედრო ოპერაციებს სუვერენული საქართველოს ტერიტორიაზე, უთითებენ, რა სამხედრო ძალები და ტექნიკა, მათ შორის საერთაშორისო კონვენციებით აკრძალული საბრძოლო იარაღი იქნა გამოყენებული, მაგრამ გვერდს უვლიან მთავარს და არ აფიქსირებენ, რომ რუსეთმა განახორციელა სამხედრო აგრესია და მოახდინა საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია. თუმცა, ტალიავინის კომისიის ანგარიშის მეორე თავის (2008 წლის აგვისტოს კონფლიქტი საქართველოში) მე-2, მე-16, მე-20, 21-ე და 23-ე მუხლებში კომისიის მიერ აღწერილი ვითარება რუსეთის მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციის შესახებ, სხვა არაფერია, თუ არა აგრესია. მოვიყვანოთ კომისიის მიერ დადგენილად მიჩნეული რამდენიმე ფაქტი:

მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის პირველ ფაზაში რუსეთის მიერ თავდაცვის მიზნით ძალის გამოყენება კომისიის მიერ მეტ–ნაკლებად რბილადაა შეფასებული, მეორე ფაზაში სიტუაცია რადიკალურად იცვლება და კომისია რუსეთის ფედერაციას ბრალად დებს „ყველა სახის მასობრივ და ხანგრძლივ ქმედებებში, რომელიც მოიცავდა კოდორის ხეობის ზედა ნაწილის დაბომბვას, შეიარაღებული ძალების განლაგებას საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის დაფარვის მიზნით, სამხედრო პოზიციების გამაგრებას ქართულ ქალაქებსა და მათ შორიახლოს, მათ შორის ძირითადი საგზაო მაგისტრალის კონტროლის მიზნით და შავ ზღვაზე საზღვაო ძალების განლაგებას“. ასევე, კომისია ვერანაირ გამართლებას ვერ უძებნის რუსეთის ქმედებებს, ხანგრძლივ ნგრევას, რომელიც ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შემდეგ განხორციელდა. კასეტური ბომბების გამოყენებაში ორივე მხარე დადანაშაულებულია, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ რუსეთის მხრიდან აღნიშნული სახის იარაღი გამოყენებულ იქნა კონფლიქტის ზონის გარეთ, კერძოდ, გორში.

ეჭვგარეშეა, რომ კომისია აშკარად თავს არიდებს რუსეთის ფართომასშტაბიან სამხედრო ოპარაციებს მიანიჭოს აგრესიული ომის კვალიფიკაცია, რაც ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს ინდიფერენტული დამოკიდებულების ცალსახა გამოხატულებაა.

ჩვენს არგუმენტებს ამყარებს ის გარემოებაც, რომ აშშ–ის სახელწიფო მდივანმა ჰ. კლინტონმა თბილისში ყოფნისას (05.07.10) რუსეთის მიერ

განხორციელებულ სამხედრო ოპერაციას, პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასებისას აგრესია უწოდა. ასეთივე კვალიფიკაცია მისცა აღნიშნულს ევროსაბჭომ არაერთ რეზოლუციაში. თუმცა, ფაქტი ფაქტად რჩება და ასეთი ანგარიშით ტალიავინის კომისიამ პასუხგაუცემელი დატოვა მთავარი კითხვა: კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული – აგრესიული ომი აწარმოა თუ არა რუსეთმა საქართველოს მიმართ.

<u>საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფა</u>

მნიშვნელოვანია განვიხილოთ რუსეთის არგუმენტები, რომელიც ტალიავინის კომისიას წარუდგინა საქართველოში ინტერვენციის გამართლებასთან დაკავშირებით. ტალიავინის კომისიის ანგარიშის მე-17 მუხლში ვკითხულობთ: ,,რუსული მხარე ამართლებდა საკუთარ სამხედრო ინტერვენციას იმით, რომ შეეჩერებინა ოსური მოსახლეობის ე.წ. გენოციდი საქართველოს ძალების მიერ, დაეცვა ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეები და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე განლაგებული რუსული სამშვიდობო ჯარები, რომლებიც იქ 1992 წელს ქალაქ სოჭში დადებული ხელშეკრულების თანახმად იმყოფებოდნენ"

ზემოაღნიშნულს აბათილებს ანგარიშის I თავის იმავე მე-17 მუხლის ჩანაწერი, სადაც ვკითხულობთ, რომ „გენოციდის განზრახვაში დადანაშაულებული ქართველების ბრალი ვერ მტკიცდება", პირიქით, აღნიშნული კომისიის მიერ აღიარებულია, რომ განხირციელდა ქართველების და არა ოსური მოსახლეობის ეთნოწმენდა.

რუსეთის ფედერაციის მხრიდან თავის მართლების მეორე არგუმენტი არის იმ ხალხის დაცვა, რომლებსაც რუსულმა მხარემ ცალმხრივად მიანიჭა რუსეთის მოქალაქეობა. ანგარიშის I თავის მე-12 მუხლში მითითებულია, რომ ,,ის პირები, რომლებიც ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ცხოვრობენ და რომლებიც საქართველოს მოქალაქეები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდნენ, ,,პასპორტიზაციის" პოლიტიკის მიუხედავად, საქართველოს მოქალაქეებად რჩებიან. 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში ისინი ჯერ კიდევ საქართველოს მოქალაქეები იყვნენ და, სამართლებრივი თვალსაზრისით, დღემდე საქართველოს მოქალაქეებად რჩებიან, თუ მათ უარი არ უთქვამთ მოქალაქეობაზე და არ დაუკარგავთ საქართველოს მოქალაქეობა დადგენილი პროცედურების დაცვით. საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე, რუსეთის მოქალაქეობის მასობრივი მინიჭება საქართველოს მოქალაქეებისათვის და პასპორტების მასობრივი გაცემა საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის სეპარატისტულ რეგიონებში, ენინააღმდეგება კეთილმეზობლური პოლიტიკის პრინციპებს, რაც საქართველოს სუვერენიტეტს აშკარად უქმნის სირთულეებს და საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევას

წარმოადგენს". უფრო მეტიც ,,მოქალაქეების ნებაყოფლობითი პასპორტიზაცია", რასაც რუსეთი ამ რეგიონში მიმართავდა, უკანონო იყო არა მარტო საერთაშორისო სამართლის პრინციპით, არამედ თვით რუსეთის კანონმდებლობითაც, რომლის თანახმად სხვა სახელმწიფოს მოქალაქეს რუსეთის მოქალაქეობის მიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ რუსეთსა და ამ სახელმწიფოს შორის დადებულ სამთავრობო ხელშეკრულებაში მითითებულია ამის შესახებ. ასე რომ, რუსეთის ქმედება ეწინააღმდეგება თავისივე კანონმდებლობას.

სამწუხაროდ, თავის დროზე საქართველოს ხელისუფლებამ ვერ გამოიყენა ტალიავინის კომისიის მყარი არგუმენტები რუსეთის მხრიდან აფხაზი და ოსი მოქალაქეების უკანონო პასპორტიზაციის შესახებ და დაკმაყოფილდა საერთაშორისო თანამეგობრობისგან რეაგირების გარეშე დატოვებული არაფრისმომცემი ხმამაღალი განცხადებებით.

რჩება ბოლო არგუმენტი — რუსი სამშვიდობოების დაცვა. I თავის მე-17 მუხლში ვკითხულობთ: ,,საქართველოს მხარემ უარყო რუსეთის სამშვიდობო შენაერთებზე განზრახ იერიშის მიტანა და განაცხადა, რომ საქართველოს საჯარისო ნაწილებს ცხინვალში შესვლისას ცეცხლი გაუხსნეს რუსეთის სამშვიდობო ძალების მხრიდან და ისინი იძულებული გახდნენ საპასუხო ცეცხლი გაეხსნათ". საგულისხმოა, რომ ,,მისიას არ გააჩნია დამოუკიდებელი ანგარიშები, რომელიც მხარეების ბრალდებების საფუძვლიან დასაბუთებას ან უარყოფას შეძლებდა"

საერთაშორისო სამართლის პრინციპების გათვალისწინებით, ვერც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზი ვერ უძლებს კრიტიკას და ვერ ამართლებს რუსეთის ფედერაციის ქმედებას. მიუხედავად რუსეთის მცდელობისა, მონახოს ალიბი, კომისია თავადვე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „საქართველოს საგარეო პოლიტიკის მკვეთრად გამოკვეთილმა პროდასავლურმა ორიენტაციამ გამხდარიყო ნატოს წევრი, კიდევ უფრო მეტად შეაშფოთა რუსეთი, ... რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში განახლებული თვითდაჯერებულობით ამოქმედდა". სამწუხაროა, ის დღესაც მკვეთრ ნაბიჯებს დგამს ამ მიმართულებით.

კომისიის წევრები წარმოდგენილ ანგარიშში გვერდს ვერ უვლიან იმ ფაქტის აღიარებას, რომ „რუსეთის სამხედრო ოპერაცია ე.წ. სამხრეთ ოსეთში არსებითად საერთაშორისო სამართლის დარღვევით განხორციელდა"

ანგარიშის I თავის მე-16, მე-17 და მე-18 მუხლებში მითითებულია ფაქტები, რომლებიც პირდაპირ აღწერს საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის ცალკეულ ეპიზოდებს:

მე-16 მუხლში ვკითხულობთ: ,,აღმოჩნდა, რომ რუსეთის საჰაერო ძალებმა საომარი ოპერაციები დაიწყეს საქართველოს სამიზნე ობიექტების

წინააღმდეგ, რომელიც გასცდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვრებს, ჯერ კიდევ 8 აგვისტოს დილას, ესე იგი იმაზე ადრე, რასაც რუსეთის ოფიციალური წყაროები იუწყებიან. არსებული მონაცემებით, რუსეთის საჰაერო ძალებმა დაიწყეს შეტევა საქართველოს ცენტრალურ ნაწილზე (ვარიანი, გორი). ეტაპობრივად გააფართოვეს სამოქმედო არეალი და გადავიდნენ საქართველოს სხვა რეგიონებზეც, მათ შორის სენაკის სამხედრო ბაზაზე, ფოთის პორტის სამხედრო სამიზნეებსა და დედაქალაქ თბილისზე"

მე-17 მუხლში აღნიშნულია: ,,10–დან 11 აგვისტოს ღამეს საქართველოს მხარემ ჯარის უმეტესი ნაწილი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან გამოიყვანა. მას მოჰყვა რუსეთის ჯარის ღრმად შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე, რომელმაც გადმოკვეთა ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრები და გაშალა სამხედრო ბანაკები საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში, მათ შორის გორში, ზუგდიდში, სენაკსა და ფოთში".

მე-18 მუხლში მითითებულია: „მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლის შეწყვეტა გამოცხადდა, რუსეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სამხედრო ნაწილები, მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, აგრძელებდნენ დამატებითი ტერიტორიის ოკუპაციას, მათ შორის ახალგორის რაიონში, რომელიც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე საქართველოს ადმინისტრაციულ ერთეულში შედიოდა"

ზემოაღნიშნული მუხლები ერთმნიშვნელოვნად აღწერს საქართველოს სუვერენიტეტის შელახვას, თუმცა, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ კომისია თავს არიდებს რუსეთის მისამართით მკაცრ ტონს და კონკრეტულ კვალიფიკაციას. მაგრამ გვერდს ვერ უვლის იმ ფაქტის აღნიშვნას, რომ „2008 წლის ზაფხულში საქართველოში განვითარებულმა კონფლიქტმა გამოააშკარავა ზოგიერთი პოლიტიკური მოთამაშის ტენდენციები, რითაც გამოიხატა საერთაშორისო სამართალში ისეთი საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისაგან დაშორება, როგორიცაა ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა" (ეს დაშორება კი არა პირდაპირი ხელყოფაა, წართმევაა).

ვსვავთ რიტორიკულ კითხვას: ვის გულისხმობს კომისია ,,ზოგიერთ პოლიტიკურ მოთამაშეში"? პასუხი თქვენთვის მომინდია.

I თავის მე-11 მუხლში ასევე ვკითხულობთ: „სეპარატისტული ტერიტორიული ერთეულების, ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარება მესამე ქვეყნის მიერ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს, რადგან ასეთი ქმედება წარმოადგენს უკანონო ჩარევას დაზარალებული ქვეყნის, ამ შემთხვევაში, საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობაში". მესამე ქვეყნის მაგივრად კომისიას პირდაპირ უნდა მიეთითებინა რუსეთი.

I თავის 37-ე მუხლში აღნიშნულია: „იგნორირებულ იქნა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი, როგორიცაა სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა". ამავე მუხლის მიხედვით: „კონფლიქტი საქართველოში გამოირჩევა გავლენიან ძალათა (სახელმწიფოთა) პირდაპირი ჩარევის უფრო მეტი ხარისხით, ვიდრე ნებისმიერი სხვა მოუგვარებელი კონფლიქტი". ნათელია, რომ ანგარიშის ავტორები ისევ რუსეთს გულისხმობენ, თუმცა თავს იკავებენ პირდაპირი დასახელებისგან.

ამრიგად, კომისიამ როგორც ვნახეთ რუსეთი ერთ შემთხვევაში დაასახელა როგორც „ზოგიერთი პოლიტიკური მოთამაშე", მეორე შემთხვევაში როგორც „მესამე ძალა", მესამე შემთხვევაში – „გავლენიანი ძალა".

თუმცა რუსეთის ხელმძღვანელობამ თვითონვე გასცა თავი. ამის ფონზე ,,დამაგვირგვინებელი" იყო რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტის დ. მედვედევის აგრესიული განცხადება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომთან მიმართებაში, კერძოდ, მან დაუფარავად განაცხადა, რომ „2008 წელს ჩვენ რომ შევმკრთალიყავით, გეოპოლიტიკური მოწყობა ახლა სულ სხვა იქნებოდა და მთელი რიგი ის ქვეყნები, რომელთა ხელოვნურად შეთრევასაც ცდილობდნენ ჩრდილო–ატლანტიკურ ალიანსში, უკვე იქ იქნებოდნენ. ზოგიერთი მეზობელი ჩვენ უბრალოდ დავამშვიდეთ, ვაჩვენეთ, როგორ უნდა მოიქცნენ რუსეთთან და მეზობელ პატარა სახელმწიფოებთან მიმართებაში. ხოლო ზოგიერთი ჩვენი პარტნიორისთვის, მათ შორის ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისთვის, ეს იყო სიგნალი იმასთან დაკავშირებით, რომ ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებდეს გაფართოების შესახებ, გეოპოლიტიკურ სტაბილურობაზე უნდა იფიქროს. ამაში ვხედავ ძირითად გაკვეთილებს იმისა, რაც 2008 წელს ხდებოდა"

<u>კოდორის ხეობის ოკუპაცია</u>

ტალიავინის ანგარიშის I თავის 24-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „მოსკოვის შეთანხმების პირობების მიხედვით, კოდორის ხეობის ზედა ნაწილი არ წარმოადგენდა აფხაზური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიას; ამდენად, აფხაზური ქვედანაყოფების მიერ რუსული სამხედრო ძალების მხარდაჭერით იერიშის მიტანა (კოდორის ხეობის ზედა ნაწილზე) წარმოადგენს: ძალის უკანონო გამოყენებას, რაც იკრძალება ხელშეკრულებით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და გაეროს წესდების მე-2 (4) მუხლით და, ასევე, საქართველოზე თავდასხმას გაეროს წესდების 51-ე მუხლის მიხედვით"

სამხედრო ოპერაციის გამართლებისას აფხაზეთის ხელმძღვანელობამ კომისიას წარუდგინა განმარტებები. კერძოდ, ანგარიშის I თავის

24-ე მუხლში ვკითხულობთ: „აფხაზეთის მხარე ამტკიცებდა, რომ სამხედრო ოპერაცია დაიწყო „კოდორის ხეობის გასათავისუფლებად" და მისი განხორციელება აუცილებელი იყო მშვიდობიან მოსახლეობაზე ტერორისტული თავდასხმების აღსაკვეთად. შემდეგ ამტკიცებდა, რომ აფხაზეთის მხრიდან ოპერაციის განხორციელება აუცილებელი იყო საქართველოს მხრიდან აფხაზეთის წინააღმდეგ მოსალოდნელი სამხედრო ოპერაციის წინასწარ აღსაკვეთად; და ბოლოს, აფხაზეთი თავს მოვალედ თვლიდა, გაეხსნა „მეორე ფრონტი" 2005 წლის 19 დეკემბერს ე.წ. სამხრეთ ოსეთთან გაფორმებული „მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების" თანახმად".

ნათელია, რომ აფხაზეთის მხარე ცდილობდა მეორე ფრონტის გახსნას დასავლეთ საქართველოში და ამით მის შევიწროება-შესუსტებას. ეს წინასწარ მოფიქრებული და შედგენილი გეგმის ნაწილი იყო. საქართველოს მხრიდან კოდორის ხეობის დაკავებისას გაწეული წინააღმდეგობა ანგარიშში გამართლებულია თავდაცვის მიზეზით და აღნიშნულია, რომ ,,აფხაზეთის მიერ ძალის გამოყენება საერთაშორისო სამართლის მიხედვით გაუმართლებელია. იგივე ეხება რუსეთის მიერ ხელშეწყობას აღნიშნულ ოპერაციებში". ჩვენი მხრიდან გვინდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთს პოლიტიკური გადაწყვეტილება აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოკუპაციის შესახებ დიდი ხნით ადრე ჰქონდა მიღებული (პუტინის განცხადება კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით, რომ რუსეთსაც აქვს თავისი „საშინაო სამზადისი") და თუ თავის სამხედრო განზრახვას აგრესიის ფორმით ცხინვალიდან ვერ განახორციელებდა, მისი სათადარიგო ვარიანტი კოდორის ხეობაზე შეტევის განხორციელება იქნებოდა.

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ტალიავინის კომისიის ანგარიშის ზოგიერთი დებულება როგორც პოლიტიკურად, ისე სამართლებრივად – მიუხედავად მისი სრული სიცხადისა, კონკრეტული დასკვნების მაგივრად ზოგადია, რაც მათ სამხედრო-პოლიტიკური და სამართლებრივი დასკვნებისთვის, მით უმეტეს საერთაშორისო სასამართლოში მტკიცებულებად გამოყენებისათვის, დადგენილი სტანდარტების თვალსაზრისით, როგორც ჩანს, პრობლემებთან იქნება დაკავშირებული. დასანანია, რომ ძირითადად ეს ეხება იმ ფაქტებს, რომელშიც კონფლიქტის მეორე მხარის – რუსეთ-სამხრეთ ოსეთის დადანაშაულება მათივე მიერ წარმოდგენილი გაცილებით მეტი ფაქტობრივი მასალით შეიძლებოდა.

წარმოვადგინეთ რა ჩვენი ხედვები 2008 წლის რუსეთ–საქართველოს ომის სამართლებრივი და სამხედრო–პოლიტიკური ასპექტების შესახებ, გვერდს ვერ ავუვლით დაწყებულ გამოძიებას, რომელსაც აწარმოებს

ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურატურის ოფისი.

როგორც ცნობილია, ჰააგის სასამართლო გამოძიებას წარმართავს ძირითადად სამი მიმართულებით:

1. ჰქონდა თუ არა ადგილი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ეთნიკურ წმენდას?

2. ვის მიერ, როდის და რა ვითარებაში განხორციელდა სამხედრო ქმედებები?

3. სამხედრო ინციდენტი „ვერხნი გარადოკთან" (რუსული სამშვიდობოების ადგილსამყოფელთან დაკავშირებით)?

რა თქმა უნდა, ტალიავინის კომისიის ანგარიში თავის როლს ითამაშებს გამოძიების მიერ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ყველა მისი მონაწილის მხრიდან განხორციელებული სამხედრო ქმედებების საერთაშორისო სისხლის სამართლებრივი შეფასების დროს, მაგრამ არა გადამწყვეტს, ამიტომ პროკურატურის ოფისის ამოცანაა ჩაატაროს სრულყოფილი, ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიება მხოლოდ პირდაპირი მტკიცებულებების საფუძველზე (რა თქმა უნდა, ირიბ მტკიცებულებებთან ერთად), გააკეთოს შესაბამისი დასკვნები. ისეთი მაღალი რეპუტაციის მართლმსაჯულების დაწესებულება, როგორიცაა ჰააგის სასამართლო, არ იძლევა მათ ობიექტურობასა და სამართლიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველს.